ირაკლი ქავთარაძე

ძველი თბილისის გახსენება

1978 წ.

მასალა შეაგროვა და დასაბეჭდად მოამზადა

ნანა ქავთარაძემ

თბილისი 2015 წ.

ISBN 978-9941-0-7964-1

ჩვენს ოჯახში ინახებოდა ჩემი მამის, ილიკო ქავთარაძის საბუღალტრო მანუალიდან ფურცლებზე შესრულებული მოგონებათა ორი ნაწილი „წარსულზე ფიქრით, მოგონებებით" და „ძველი თბილისის ყაზარმები" (ფურცლებზე 1978 წელს), რომლებშიც ასახულია ყაზარმიანობა და ადამიანი სიცოცხლეს მიმოიხილავს.

ეტიბელი, სოფელია ჭალადიდი ალმოსავლეთ ოსეთის ყაზბეგის ოლქში, ზღვის დონიდან 1500 კილომეტრზე. ეკლესია-ციხეები (ალიხლოებით 1500 კილომეტრზე). ეკლესიებს ამ ციხეების ნელ-ნელა ალაგებდა და ალმოსავლეთი, რომ ასეთი ეროვნული ინტერესის მიერ ეკლესიებს ციხეები, რომლებიც ასახავდნენ მისი ტოტემების საიმედოობისა და ირონიებს, რომლებიც მოდებულნი ალიხლოებით 20-დან 60-ია წლიანმდე ერთიოლ.

ამ ფაქტმა ეკლესიებს მისი ტოტემებისთვის ალბერტი ეს ფოტო ქაბალია და ეკმოდა ნაფიალ ჭეთეთავზეობა ალიბერტესული ჭეთეებლებისთვის.

ამის მიხედვით ეკმოძებიდა ჩემი ალი სიუჟეტული და ეპოქისა ჩემი ბაბის, ილიკო ქავთარაძისადმი.

ალბომად ეს ფაქტი ძალიან საინტერესო ყოფილა.

ეპოქისგან ჭეთეებლებისადმი

ნინო ქავთარაძე

ვის აქვს უფლება დაწეროს მოგონებები? ყველას! იმიტომ რომ არავინ არის ვალდებული წაიკითხოს ისინი.

გერცენი

ვუძღვნი მშობლების ხსოვნას

ძველი თბილისის გახსენება

(წარსულზე ფიქრით, მოგონებებით)

ქართულ წერილობით წყაროებში თბილისი პირველად მეოთხე საუკუნეში იხსენიება.

მსოფლიოს არცერთი ქალაქის დაარსებას ისეთი წარმტაცი მითი არ უდევს სარჩულად, როგორც თბილისისას:

„მთელი არემარე თბილისისა ტყით მოცული იყო. ერთ დღეს ამ ტყეში ვახტანგ გორგასალი ნადირობდა. მისმა მეძებრებმა ხოხობი ააფრინეს. მისი ქორი ხოხობს გამოედევნა და ორთავე ფრინველი მალე გადაიკარგნენ. მეფე მხლებლებითურთ ქორის საძებნელად წავიდა. ბევრი ძებნის შემდეგ ნახეს, რომ ქორი და ხოხობი ერთ წყაროში ჩაცვივნულად და მოხარშულან. ქორი თურმე ისეთი სისწრაფით დასცემოდა ხოხობს, რომ ჰაერში თავი ვეღარ შეემაგრებინა და ბრჭყალებში შებოჭილ ხოხობითურთ ძირს წამოსულიყო და წყაროში ჩავარდნილიყო.

ეს არემარე მეფემ კარგად დაათვალიერა და ნახა, რომ ამ მშვენიერ ადგილას მრავალი წყარო იყო: გრილი, თბილი და ცხელი და ყველას გოგირდის სუნი სდიოდა, მეფეს უთხრეს, ამ წყაროებს სამკურნალო თვისება უნდა ჰქონდეთო.

ვახტანგს მოეწონა წყაროები და მათი ადგილმდებარეობაც, ააშენა ქალაქი და სახელად, თბილი წყლების გამო, „თბილისი“ უწოდა.

სატახტო ქალაქმა მცხეთიდან თბილისს გადმოინაცვლა. ძველი ქალაქებიდან მსოფლიოში, ალბათ, ვერ დავასახელებთ ისეთ ქალაქს, რომელსაც თავისი არსებობის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში იმდენი ნგრევა, რბევა და აწიოკება განეცადოს, რაც თბილისმა განიცადა.

უკანასკნელად, ქართველთა სისხლით მთვრალი, ჟინდაუცხრომელი აღა–მაჰმად ხანი შემოესია თბილისს. სამოცდათხუთმეტი წლის ერეკლე მეფე ჭაბუკი შემართებით შეებრძოლა მტერს.

ერეკლე მეფეს სიკვდილი ან ტყვეობა ემუქრებოდა, ძალით რომ არ გაეყვანათ ბრძოლის ველიდან. მრავალომგამოვლილმა ქართლ–კახეთის მეფემ გადახედა ცეცხლმოკიდებულ ქალაქს, რომელსაც მტრის ჯარი იპყრობდა.

აღა–მაჰმად ხანის შემოსევის და თბილისის აოხრების შემდეგ დიდი ხანი არ გასულა.

საქართველოში ერთმორწმუნე რუსთა ჯარი შემოვიდა. 1801 წ. გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტი ქართლ–კახეთის სამეფოს გაუქმებისა და რუსეთთან მისი შეერთების შესახებ.

მეთვრამეტე საუკუნის ცნობილი ქართველი ისტორიკოსი ვახუშტი ბაგრატიონი ძველ თბილისს ასე აღწერს:

„ხოლო ტფილისი არს სამი ქალაქი – ტფილისი, კალა და ისნი“.

თბილისის ყველა ტოპონიმი: გარეუბანი, ვერე, ვეძისი, სეიდაბადი, კრწანისი, სოღანლუღი, ავლაბარი, ნავთლუღი, ჩუღურეთი, კუკია, დიდუბე, ელია, განლაგებულია მტკვრის მარჯვენა და მარცხენა მხარეს. ადრე თითქმის ყველა სოფელს წარმოადგენდა. თანდათანობით ყველა მათგანი ქალაქს შეუერთდა.

რამდენიმე სახელწოდებით არის ცნობილი ძველი თბილისის შუაგულში კლდოვან კონცხზე აღმართული ციხე, რომელსაც ხან უბრალოდ თბილისის ციხეს უწოდებდნენ, ხან დედაციხეს. საისტორიო წყაროები კი მას კალად, შურის ციხედ იხსენიებენ. ყველაზე გავრცელებული სახელი ამჟამად ხმარებული ნარიყალაა, რომელიც IV საუკუნიდან გუშაგობს თბილისს. ქალაქის ეს ძველი ციტადელი საუკუნიდან საუკუნემდე იცავდა ქართველ შემოქმედ ხალხს. აქ ისხდნენ ქართლის მეფეები; ერეკლე ბევრს ზრუნავდა ნარიყალას კოშკ–გალავნის აღდგენა–შეკეთებაზე.

აღდგენილი ციხე მხოლოდ ლანდია ნამდვილისა. იგი დღესაც ობლად გადაჰყურებს ძველ თბილისს – უგუმბათო ანჩისხატს, გუმბათიან სიონს...

ეძებს და ვერ პოულობს მეტეხის ციხეს.

ბევრი გამოჩენილი უცხოელი მოუხიბლავს ძველ თბილისს.

შარდენი წერდა: თბილისი აღმოსავლეთის ერთ–ერთი უმშვენიერესი ქალაქიაო.

რამდენ სახელოვან პირს, როგორც ძველად ისე ახლაც, შეუსხამს ქება–დიდება ამ ქალაქისთვის.

ყველაზე ნიშანდობლივია ის, რომ თბილისი ერთადერთი ქალაქია, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისე მსოფლიოში, სადაც თავს იყრის რამდენიმე ათეული ერის წარმომადგენელი.

უცხო ერების ზოგიერთი წარმომადგენელი, რომ აღარაფერი ვთქვათ კავკასიურ მოძმე ერებზე, თბილისში ჩამოსვლისას იმდენად მოხიბლულან ამ ქალაქით, რომ სამშობლოში აღარ დაბრუნებულან.

აზერბაიჯანელი და სომეხი ხალხი, რომლებიც თბილისში ცხოვრობენ, მკვეთრად განირჩევიან თავიანთი ერის შვილებისგან. ერევნელ სომეხს უჭირს თბილისურ დიალექტზე ლაპარაკი და პირიქით.

ვის არ უცხოვრია თბილისში ქართველის გარდა: სომეხი, რუსი, ოსი, აზერბაიჯანელი, თათარი, ებრაელი, ქურთი, გერმანელი, ფრანგი, ინგლისელი, არაბი და სხვა. მაგრამ ყველა ისინი ტიპიური თბილისელები იყვნენ, მხოლოდ თბილისისათვის დამახასიათებელი ჩვევებითა და სულისკვეთებით. მადლიანმა, სტუმართმოყვარე თბილისმა კალთა გულუხვად გადაუშალა, შეინახა ისინი და თავის ღირსეულ მოქალაქეებად გაიხადა.

განსაკუთრებით აღსანიშნავია რუსი ხალხის დამოკიდებულება თბილისისადმი.

გასული საუკუნის დასაწყისში რუსი ხალხის დიდი მწერალი და გამოჩენილი დიპლომატი, ეს ყველაზე ჭკვიანი კაცი რუსეთში (როგორც მასზე პუშკინს უთქვამს), ჩამოდის თბილისში, სადაც გაიცნობს თავად ალექსანდრე ჭავჭავაძის ასულს, ნინოს. გრიბოედოვი იხიბლება ქართველი ქალის სილამაზით. დაქორწინება წინანდალში ხდება, დიდი იყო გრიბოედოვის ცოლისადმი სიყვარული.

ნინოს სიყვარული მეუღლისადმი ყველასთვის ცნობილია, რამდენიმე ხნის შემდეგ თბილისში პუშკინი ჩამოდის, იგი ვერ შეხვდა გრიბოედოვს, შეხვდა მის ცხედარს ერზრუმში. გრიბოედოვს თბილისში მოასვენებდნენ.

გრიბოედოვი მთაწმინდის მიწას მიაბარეს. ქართულმა მიწამ მიიღო სიცოცხლეში დევნილი მოღვაწის ნეშტი.

თბილისში ლერმონტოვიც ნამყოფია.

როგორც ცნობილია, 1851 წელს, ლევ ტოლსტოი საქართველოს სამხედრო გზით, ბრიჩკით ჩამოვიდა თბილისში, სადაც მან რამდენიმე თვე დაჰყო. ამ მოკლე ხანში ლევ ტოლსტოიმ იმდენი ახალი და თავისებური რამ ნახა თბილისში, რომ სამუდამოდ აღიბეჭდა მის მეხსიერებაში.

ნანახიდან ბევრმა მის შემოქმედებაში ჰპოვა ანარეკლი.

თბილისში ტოლსტოი დაუახლოვდა იმ დროის ბრწყინვალე წარმომადგენლებს. როგორც აღნიშნავენ, აქ გამაგრდა მისი ჭეშმარიტი მოწოდება, გამხდარიყო მწერალი.

ლევ ტოლსტოის ყოფნის პერიოდში თბილისი კავკასიის კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა.

თვითონ ტოლსტოიმ უწოდა მას: „ცივილიზებული ქალაქი, პეტერბურგის ძალზე მიმბაძველი“.

ტოლსტოის აღარ მიეცა საშუალება თბილისში მეორედ ყოფნისა, მაგრამ კავშირს ამ ქალაქთან, მის მცხოვრებლებთან, ის არ წყვეტდა. თბილისში გაუტარებია ახალგაზრდობა, აქ აუდგამს ფეხი, როგორც მომღერალს, დიდი ხმის პატრონს, მსოფლიოში სახელოვან შალიაპინს.

თბილისში ერთხანს ცხოვრობდა და სწავლობდა რუსეთის დიდი მწერალი მაქსიმ გორკი.

სამხატვრო თეატრის ერთ–ერთმა დამაარსებელმა, ნემიროვიჩ–დანჩენკომ და ჩვენმა თანამემამულემ, გამოჩენილმა მსახიობმა და თეატრის მოღვაწემ იუჟინ–სუმბათაშვილმა თბილისში მიიღეს საშუალო განათლება.

თბილისში გარკვეულ ხანს ცხოვრობდა, დიდი რუსი კომპოზიტორი, ჩაიკოვსკი. ეს თბილისის ძალზე მოკლე ისტორიაა. ახალი არაფერი მითქვამს. თბილისის სიყვარულმა გამაბედინა, გავიხსენო ყველაფერი, რაც ჩემს მშობლიურ ქალაქთან მაკავშირებს.

* * *

მამა 21 წლისაც არ არის, წარჩინებით ამთავრებს ხარკოვის უნივერსიტეტს, როგორც პროვიზორი და ბრუნდება ქუთაისში, სადაც მას თავის რომელიღაც ამხანაგთან ერთად საკუთარი აფთიაქი ჰქონდა. რამდენიმე ხნის შემდეგ მამა ოჯახით ჩამოდის თბილისში.

სანამ ბინას იშოვნიდა, ქირაობს სასტუმროს ნომერს Grand Hotel-ში, სადაც მე დავბადებულვარ (ეს შენობა ახლაც დგას კარლ მარქსის ხიდის მიმართულებით მარჯვენა მხარეს. იხ. სურათი). იმ ხანებში გაიხსნა ალექსანდროვის საავადმყოფო (ახლანდელ კამოს ქუჩაზე), სადაც მამას აფთიაქის გამგედ ნიშნავენ.

ცოტა ხნის შემდეგ მამას კიდევ ერთ აფთიაქს აბარებენ საავადმყოფოში ქსენიევის ქუჩაზე (ახლანდელი შეროზიას ქუჩა, სადაც განლაგებულია თვალის კლინიკა). აქ კი, მელიქიშვილი მას სამოთახიან ბინას სთავაზობს. ე.ი. მამა ერთხანს, ერთდროულად ორი აფთიაქის გამგე იყო. მას ორივეგან თანაშემწეები ჰყავდა (ერთხანს საკუთარი აფთიაქიც ჰქონდა რუსთაველის პროსპექტზე „იმელი“–ს პირდაპირ).

სასტუმროდან გადავედით და დავსახლდით ახალ ბინაში. ხუთი წლისაც არ ვყოფილვარ, ავსულვარ მესამე სართულზე და დერეფნით მივბაჯბაჯებდი სამშობიარო ოთახისკენ. გადამეღობა ბებიაქალი, ამიყვანა ხელში, მაკოცა და ძამიკოს დაბადება მომილოცა.

ჩვენი დაიკო თამარა რვა წლისაც არ ყოფილა დედას რომ გამოუწყვია. გაუკეთებია დიდი ბაბთა და წაუყვანია ოპერის თეატრში, სადაც თამარამ იუბილარ აკაკი წერეთელს ლექსი წაუკითხა.

ერთ დღეს ბინაში ჩემი გამდელი, ოლღა გურასაშვილი შემოვარდა, რომელმაც გვაცნობა: საავადმყოფოსთან მეფემ ჩაიარა კარეტითო. მე, ალბათ, ბავშვობიდან მახასიათებდა ცნობისმოყვარეობა, რამაც მაშინ იჩინა თავი. აბა, როგორ დავუშვებდი, მეფე ჩემს უნახავი წასულიყო თბილისიდან. უმალვე გავვარდი ქუჩაში, დავეწიე კარეტას, შევხტი საფეხურზე და თვალებში შევხედე მეფეს და დედოფალს. მათ გამიღიმეს, თავზე ხელი გადამისვეს, შემდეგ გააჩერებინეს კარეტა, დამემშვიდობნენ და ჩამომსვეს.

ეს იყო ნიკოლოზ მეორე – რომანოვების დინასტის უკანასკნელი მეფე, რომელმაც პირველად და უკანასკნელად ინახულა თბილისი. ძალზე აფორიაქებული შევვარდი სახლში. ბავშვურად გავუზიარე შთაბეჭდილება მშობლებს.

ამ სახლიდან ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად თუმანოვის ქუჩაზე (ახლანდელი გოცირიძის ქუჩა) გადავიდა. ამ სახლშივე ცხოვრობდნენ ოლინკა დეიდას, ბაბო დეიდას და ბიძია პეტიას (პეტრე ქავთარაძე) ოჯახები. ამ სახლთან იყო გერმანელების სასაფლაო და ბაღი, სადაც ვთამაშობდით: მე, ლელო, ტანია, არჩილი, ნათელა.

იმ დროს ვსწავლობდი სათავადაზნაურო გიმნაზიის პირველ დაწყებით ჯგუფში. დიდი გზა მქონდა გასავლელი. გათენებისას მიხდებოდა ადგომა. ახლანდელ საბჭოს ქუჩაზე წვიმების დროს საშინელი ნიაღვარი მოდიოდა. ხალხი კურტნიან მუშებს ხელით გადაჰყავდათ. ხელში აყვანა ვითაკილე და მოვისურვე კურტანზე დასკუპება. წყალში გადავვარდი. ამოწკუმპლული, ზურგზე ჩანთა მოკიდებული დავბრუნდი სახლში, ჩემი დანახვისას დედა ძალიან შეშინდა.

სათავადაზნაურო გიმნაზიაში შესვლისთანავე დედა ჩემს ეკიპირებას შეუდგა. ვარანცოვის ხიდთან ერთ–ერთ მაღაზიაში გამომაწყო – კოსტიუმით, პალტოთი, (რომელიც იქვე დამიმოკლეს), ფეხსაცმლით, ქუდით და ქამრით, რომლებზეც ეწერა სამი ასო TDG. ფორმა შავი მაუდის იყო, წითელკანტშემოვლებული.

თუმანოვის ქუჩიდან ჩვენი ოჯახი ვაკეში, ახლად შეძენილ სახლში გადავიდა. მესამე სართული მთლიანად დავიკავეთ. ეს დასახლებული ადგილი ახლანდელ უნივერსიტეტთან იყო და 24 კერძო სახლისგან შედგებოდა. სამსართულიანი მხოლოდ ჩვენი სახლი იყო. ბიძია პეტიას ოჯახი ახლანდელ ძერჟინსკის ქუჩაზე ცხოვრობდა. მშობლები შეუდგნენ ბინის მორთვა–მოწყობას.

მამა არც ბიძია პეტიას ოჯახს ივიწყებდა. ანიკოს საჩუქრად ფარდები მიართვა, რომლებიც კარ–ფანჯრებზე თავის ხელით ჩამოუკიდა.

იმ წელს თბილისში დიდი მიწისძვრა იყო. გორი სანახევროდ დაინგრა. მიწისძვრა შუაღამისას მოხდა. სასტუმრო ოთახში ჩამოკიდებული ჭაღი ისე ქანაობდა, რომ მის ჩამოვარდნას ველოდით. მეორე დღეს გაგვაფრთხილეს, რომ მიწისძვრის განმეორებაა მოსალოდნელი, უფრო დიდი სიძლიერით. ჩვენი სახლი დაიცალა... ძალზე სუსხიანი ზამთარი იდგა, დიდი ყინვებით. საწოლები გავყარეთ. რამდენიმე დღე გარეთ, მიწისძვრის მოლოდინში გავატარეთ. სახლი დანგრევას გადარჩა, ჩვენ, ფილტვების ანთებას გადავურჩით.

იმ წელიწადს კოლია ქარცივაძე უბინაოდ იყო. მამამ მისი ოჯახი თავის ბინაში შემოისახლა.

დედა საკუთარ ჭერქვეშ უფრო ხალისიანად და გატაცებით შეუდგა ოჯახის გაძღოლას.

მე იმ დროს დავეუფლე ორთვლიან ველოსიპედს, რამაც ძალზე გამიტაცა. არჩილს, გოგის და ბიბის უკან შემოვისვამდი და ისე ვასეირნებდი. ერთხელ გოგი ველოსიპედიდან გადმოვარდა, მამამ დამტუქსა – შენ ხომ მაგ ველოსიპედის მსხვერპლი ხარ, მაგ ბავშვს რაღას ერჩიო.

ჩვენ ოჯახში ხშირი იყო სტუმრიანობა. განსაკუთრებით დიდი საზოგადოება იყრიდა თავს დედას დღეობაზე. სუფრა შუშაბანდში იშლებოდა. ვის არ უთამადნია ამ სუფრაზე. ისეთ უბადლო თამადასაც, როგორიც შალვა დადიანი იყო. ვაკის ეს დასახლება რძით, მაწვნით და ნახშირით (რომელიც აუცილებელი იყო მწვადის შესაწვავად, სამოვრების ასადუღებლად), წყნეთიდან ვირებით მარაგდებოდა. მაწონი მოჭიქულ ქილებში იყიდებოდა, რომელსაც სველი ჩვარი ჰქონდა დაფარებული.

დედა ყიდვის დროს შესამოწმებლად ქილას გადმოაპირქვავებდა. ქვაბების მკალავებად იმ დროს ლეკები იყვნენ, რომლებიც დედას მიმართ განსაკუთრებული თავაზიანობით გამოირჩეოდნენ. წყნეთის ქუჩაზე განლაგებული იყო სავაჭრო დუქნები და ფარდულები.

განსაკუთრებით გამოირჩეოდა ჯაფარას დუქანი, სადაც არჩილი ხშირად დარბოდა, ზოგჯერ ნისიადაც მოჰქონდა გოზინაყის მაგვარი თეთრი ხალვა, რომელიც ორთავეს ძალზე გვიყვარდა.

ხაჯი რაზმანოვი დედას რომ მოკრავდა თვალს, წამოვარდებოდა, უკან გაჰყვებოდა და განსაკუთრებულ მომსახურებას უწევდა, არჩევინებდა ტკბილეულს და ხილს. ასარჩევი კი ბევრი იყო. ეს, რაღაც თვალწარმტაცი რამ იყო. მარტო მისი სურნელებით დაიბნიდებოდა იქ მყოფი ადამიანი. ხილი ვიტრინებში პირამიდის ფორმებში იყო დაწყობილი. ხაჯი რახმანოვს ნისიად მოვაჭრეთათვის დავთარი ჰქონდა შემოღებული, რაც დედას არ ეხებოდა.

ქარვასლის შენობაში მსოფლიოში ცნობილი მეყვავილის მიხეილ მამულაშვილის ყვავილების დიდი მაღაზია იმყოფებოდა, „სოლეიდდორის“ სახელწოდებით, რაც ფრანგულად „ოქროს მზე“–ს ნიშნავს. „მცხეთელ მინდიას“ ზამთარ–ზაფხულ უმშვენიერესი ვარდ–ყვავილი ჰქონდა. არ შეიძლებოდა საყვავილეს ვიტრინასთან არ შეჩერებულიყავით, არ შეგეხედათ მიხეილის მიერ გამოყვანილი შავი ვარდისთვის. ამ საყვავილეში ხშირად იკრიბებოდნენ სილამაზის მსახურნი – ჩვენი პოეტი პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, იოსებ გრიშაშვილი, ნიკოლოზ მიწიშვილი, გალაკტიონი, ვალერიან გაფრინდაშვილი და სხვანი. ეს იყო „პოეტთა სამყარო“, სადაც ხშირად იმართებოდა ერთმანეთში პაექრობა. (იხ. ქარვასლის სურათი).

სოლოლაკში არსებული საპარიკმახერო გრიგორაშვილს ეკუთვნოდა „გრეგუარის“–ს სახელწოდებით. განთქმული იყო თავისი პარიკებით და გრიმიორებით. შალიაპინს სპეციალურად ემსახურებოდნენ.

ოქრომჭედლის (ახლანდელ ლესელიძის) ქუჩაზე იყო მსოფლიოში განთქმული საკერავი მანქანების მაღაზია, „ზინგერი“–ს ფირმის სახელწოდებით. საათების ფირმის „პაველ ბურეს“ მაღაზია რუსთაველის პროსპექტზე მდებარეობდა. საერთოდ თბილისი ცნობილი იყო თავისი მაღაზიებით. ნამცხვრების მაღაზია „ბომარშე“ (ფრანგულად ნიშნავს კარგ საქონელს), საკანცელარიო ნივთების მაღაზია „ბლანნუარ“ (რაც თეთრსა და შავს ნიშნავს). ჯინჭარაძის საიუველირო მაღაზია. ლოტი – შოკოლადის ხის ბანბანერკებში – მარიკა ჩიმინკიანის ბებიისა. ფართლეულის ბეზრუჩკოსი, ძეხვეულის –

ჩიჩიკინის, პლეხანოვის პროსპექტზე. საკონდიტროები – სალაყაიასი სოლოლაკში – ნაუმენკო, საგანელიძის პუშკინის ქუჩაზე (პონჩიკები) მაიერის – ოპტიკა რუსთაველის პროსპექტზე, ფართლეულის – მილოვი. დარაჟნოვის – სოლოლაკში კრუჟოვების (მაქმანი) მზა ტანსაცმლის და ფართლეულის – კუკუჯანოვის და ხარიმზაროვის სოლოლაკში (ამ მაღაზიაში დედამ ჩემი გემოვნებით მიყიდა ორი „მატროსკა“, ელექტრიკი და ქარვის ფერის ლამაზ ყუთებში ჩალაგებული).

ცნობილი იყო ბუკინისტების წიგნის მაღაზია „ცოდნა“ სოსიკო მერკვილაძისა.

დავით ქებაძის ბორჯომის წყლები იყიდებოდა რუსთაველის პროსპექტზე, აქვე იყო განლაგებული პატარა მაგიდები.

პუშკინის ქუჩაზე მდებარეობდა თევზის მრეწველი ძმების ძეგველოვების მაღაზია, რომელიც დღესაც თავის ადგილზეა. აკლია მემორიალური დაფა.

საერთოდ ყველა ნაჭერს კოხტად შეფუთავდნენ, ქაღალდში შეკრავდნენ კანაფით, რაშიც გამონასკვავდნენ პატარა ჩხირს, თითებში დასაჭერად. პატარა დეტალია, მაგრამ ასეთი რამ არც უცხოეთში მინახავს. ასეთი მომსახურება ხომ არ არის თბილისისთვის დამახასიათებელი.

ქუჩებში შეხვდებოდით ასეთ აბრებს – ორთაჭალის სასტუმროზე - Гостиница, მეჩექმე - Здес жио сапожник шио Вино пио сапоги шио. . .

დიდუბის დალაქხანა - Мобрдзанди, Дабрдзанди, Галамазди – Мибрдзанди.

პუშკინის ქუჩაზე ცნობილი იყო „სიმპათია“, სადაც კედლები მოხატული იყო, იყურებოდნენ – შექსპირი, კოპერნიკი, თამარ მეფე, შოთა რუსთაველი.

როდესაც თბილისს ჩიჩერინი ეწვია, „სიმპატია“–ში წაიყვანეს. ნადიმის დროს ავეტიქამ შემოიკრა ხელი ყბაში, – „უმრი ავეტიქ, ჩიჩერინ უ ტებია!“ გამომშვიდობებისას ჩიჩერინი დიდ მადლობას უხდის, ავეტიქა თავის მხრივ სთხოვს, – მოსკოვში ჩაბრძანებისას მიდეპეშეთო.

ავეტიქას ჩარჩოში ჩასმული დეპეშა დახლთან ეკიდა. ერთ–ერთ დუქანში კედელზე დახატული იყო მოცეკვავე კინტოები წარწერით: Танцую я танцуют все хочиш смотри, хочиш не.

ერთ დუქანში ასეთი წარწერაც მინახავს: ძმაო ნისია რა სინდისია, ნაღდი ივაჭრე წესი ასეა.

თავისუფლების მოედანზე შეამჩნევდით კინტოს ჭრელ ტანსაცმელში, სახეზე ფერუმარილით, დახატული ხალით. ხელზე ვარდებით მოვაჭრეს, რომელსაც შერქმეული ჰქონდა „ვაჟკაცი“. გამიგონია, პარიზში ყოფილან მათხოვრები, რომლებიც შემდეგ მილიონერები გამხდარან. აბა, თბილისი როგორ ჩამორჩებოდა პარიზს. აქაც იყო მათხოვარი, რომელიც ავლაბარში რამდენიმე სახლის მეპატრონე გახდა.

წყნეთის და ყაზბეგის ქუჩის კუთხეში იჯდა ფეხსაცმლის მწმენდავი, რომელსაც ხატვა ეხერხებოდა, განსაკუთრებით შოთა რუსთაველის. საცოდავი, ბნედა მოსული შაქრო ქვაფენილზე დაგდებული მინახავს.

ცნობილი იყვნენ თბილისის ოქრომჭედლები, იუველირები, ჩოხა–ახალუხის მკერავები, ხარაზები, გალიბანდის ხელოსნები და სხვა. მათი მაღაზიები ძირითადად განლაგებული იყო ვერცხლის რიგებში (ახლანდელი ლესელიძის ქუჩა). ფრაკის, ვიზიტკის და სმოკინგის მკერავად პიკელნი ითვლებოდა (რუსთაველის პროსპექტზე). მასთან რუსეთიდანაც ჩამოდიოდნენ კლიენტები. კოსტიუმების მკერავად ძმები ცალკინები (მე პირველად მათ შევაკერინე კოსტიუმი). უფრო მოგვიანებით პარიზიდან ჩამოვიდა შალვა ლეკიშვილი, რომელმაც პირველად მე შემიკერა კოსტიუმი, შალიკომ მალე დაიმსახურა საუკეთესო მკერავის სახელი. ძველი თაობიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია ივანე რობაქიძე, ეს ღვაწლმოსილი ადამიანი, რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ახალგაზრდა თაობის აღზრდაში.

ცნობილ ფოტოგრაფთა შორის იყვნენ – ჟვანია, შიხმანი, კოზაკი, მიჩნიკი, ცოტა მოგვიანებით პარიზიდან ჩამოვიდა მიჩნიკის შვილი სიომა, რომელმაც თავის ნამუშევრებით უმალვე დაჩრდილა მამაც და დანარჩენებიც. სიომამ ჩემი პორტრეტის გაკეთება მოისურვა, რომელიც სასახლის ქუჩაზე ვიტრინაში გამოფინა.

ერთ–ერთი ვახშმობის დროს სიომას ყელში წიწილის ძვალი გაეჩხირა, ვერაფრით ვერ ვუშველეთ.

ბაღის ფოტოგრაფებში გამოირჩეოდა „სეგოკიუ“.

ქალაქის ეზოების და ზოგიერთი ქუჩის განათება მეეზოვეს ევალებოდათ, რომლებიც მიიდგამდნენ კიბეს, ადიოდნენ და ანთებდნენ ფანრებს.

ეზოებში დადიოდნენ მეარღნეები, „არღნის ჩიტებით“, მოხეტიალე მომღერლები, გიტარისტები, რომლებიც მოსახლეობას ართობდნენ.

თბილისში იყვნენ მეზურნეები, დუდუკზე და საზანდარზე დამკვრელები. ეზოებში მეარღნეებისა და მომღერლების გამოჩენას დიდი გამოცოცხლება ახლდა. აივნებიდან, ფანჯრებიდან უფროსები უსმენდენ, ბავშვები კი ეზოში ჩავრბოდით.

მახსოვს ქეიფი მტკვარზე. ეს მეტად თავისებური და ეგზოტიკური სანახაობაა ტივზე არღნით ან ზურნით.

ქალაქური, დარბაისლური პურ–მარილი ორთაჭალის ბაღებში ზაფხულობით იმართებოდა.

თბილისში ჩამოსულ პუშკინს იმდროინდელმა ქართველმა ინტელიგენციამ სადილი სწორედ ორთაჭალის ბაღში გაუმართეს.

ორთაჭალის ბაღებში არა მარტო ქართველი დიდგვაროვანი მამაკაცები, არამედ ქართველი დიდგვაროვანი ქალებიც დადიოდნენ. საქვეყნოდ იყო განთქმული თბილისური გოგირდის აბანოები.

თბილისის აბანოები ეკუთვნოდათ კერძო პირებს: ერეკლე მეფეს, თბილელს, ორბელიანებს, სუმბათაშვილებს, მელიქიშვილებს და სხვებს. აქედან გამომდინარე თითოეულ აბანოს თავისი მფლობელის სახელი ერქვა.

ამ აბანოების ეშხი პუშკინსაც განუცდია: „აბანოს პატრონმა ჩემი თავი თათარ მექისეს გადასცა. მას უნდა ეზრუნა ჩემზე. ჰასანამ (ასე ეძახდნენ ამ თათარს) იმით დაიწყო, რომ ქვის თბილ იატაკზე დამაწვინა, რის შემდეგაც ჩემი სხეულის ასოების მტვრევას და დაჭიმვას შეუდგა. მცირე ტკივილსაც ვერ ვგრძნობდი, პირიქით, საოცარ შვებას განვიცდიდი. აზიელი მექისეები ზოგჯერ აღტაცებაში მოდიან, მხრებზე გახტებიან, ფეხებით შენ თეძოებზე დასრიალებენ და ზურგზე ბუქნავენ.

შემდეგ დიდხანს მხეხა მატყლის ქისით. თბილი წყალი გადამავლო და ტილოს აქაფებული ბუშტით მბანდა. აუწერელი განცდაა. ცხელი საპონი ჰაერივით გეფრქვევა. საპნის გადაფრქვევის შემდეგ ჰასანამ აბაზანაში ჩამიშვა და ცერემონია დამთავრდა“. მე და იოსებ გრიშაშვილს ერთი მექისე გვყავდა.

ხშირ შემთხვევაში ბანაობა იქვე, აუზთან წახემსებით მთავრდებოდა. იშლებოდა პურმარილი, მეზობელი დუქნიდან მიდიოდა ცხელ–ცხელი ლულა–ქაბაბი, მწვადი, ლავაში და კარგი კახური ღვინო. ასეთი პურმარილის მოწმე ბავშვობისას მეც ვყოფილვარ.

დეიდა ნინას მეუღლეს, სამსონს, საკუთარი აბანო ჰქონდა, სადაც მამას და მემნოს ძიას დავყავდი. ბანაობის შემდეგ ასეთი წახემსება უდიდეს სიამოვნებას ჰგვრიდა ადამიანს. განსაკუთრებით დამამახსოვრებდა სუკის ბასტურმა.

აბანოებში ქალებიც ერთობოდნენ. ქალები მთელ დღეს აბანოში ატარებდნენ. აქვე სინჯავდნენ და არჩევდნენ სარძლოებს. ქალები აბანოში ყველაზე ძვირფას ტანსაცმელს ატარებდნენ. თან მიჰქონდათ ბოხჩაში გამოხვეული სარეცხი. აქვე გაიგონებდით ქალაქის ყოველდღიურ ამბავს, ჭორსა თუ მართალს.

აბანოში ჩნდებოდა ქართველ ქალთა კოსმეტიკური ნიჭი.

ფრედერიკა ფონ–ფრეიგმანი გადმოგვცემს: „ქართველები, განსაკუთრებით დიდებული ქართველი ქალები, კვირაში ერთხელ მთელ დღეს და ხშირად ღამესაც აბანოში ატარებენ. პირველ, თაღებიან შენობაში ისინი წამოწვებიან ტახტზე ზარმაცი ნებივრობით და იღებავენ თმას და ფრჩხილებს. თვით მოხუც ქალებს, თმის მუდმივი შეღებვის გამო, ნაწნავები გიშერივით შავი აქვთ. ისინი პირისახეზე ფერუმარილს ისვამენ, ცდილობენ შეიღებონ და შეაერთონ წარბების ისრები და სხვა. უამისოდ აქ სილამაზე წარმოუდგენელია. ეს მათთვის დიდი დღეა, დღე ტკივილისა და სიხარულისა“.

თბილისში მტკვარზე მდგარი ყველა წისქვილი კერძო პირებს ეკუთვნოდათ, რომლებსაც დიდი შემოსავალი და არავითარი გასავალი არ ჰქონდათ.

ხიდებიდან ყველაზე ძველი ვერის ხიდია. იგი აღარ აკმაყოფილებდა თბილისის მზარდ მოსახლეობას.

ხიდების გარდა მოსახლეობას დიდ სამსახურს უწევდა ბორნები.

1908 წელს კიევის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორ პატონის პროექტით საფუძველი ჩაეყარა მუხრანის ერთმალიან რკინის ახალ ხიდს. იგი XVIII საუკუნეში არაგვის ერისთავის მიერ აგებული ხიდის ადგილას უნდა აშენებულიყო (მისი ნაშთები 1909 წელს ააფეთქეს ახალი ხიდის მშენებლობისას).

1911 წელს „ივერია“ წერდა, ხიდის გახსნის საზეიმო ცერემონიალზე დამსწრეთა რიცხვი იმდენად დიდი ყოფილა, რომ მოსაწვევი ბარათები დაუწესებიათ.

ახალი ხიდის გახსნას დასწრებიან: მეფის ნაცვალი, გრაფი ვორონცოვ–დაშკოვი, მეფის ნაცვლის მოადგილე, ინფანტერიის გენერალი შატილოვი, სენატორი ვატაცი, საქართველოს ეგზარქოსი ინოკენტი, რომელიც ანჩისხატის ეკლესიიდან სასულიერო ლიტანიას მეთაურობდა, ქალაქის ინტელიგენცია და სხვა.

ხიდზე გადასასვლელი ზონარი გაჭრა მეფისნაცვლის მეუღლემ სტატს–დამმა ელისაბედ ანდრიას ასულმა... ხიდის ახლო მახლო სახლებზე სადღესასწაულო დროშები იყო გამოფენილი. ამ დღისთვის საგანგებოდ გაუშენებიათ სკვერები, საღამოს კი ქალაქის ილუმინაცია მოუწყვიათ.

ამ ხიდის ადგილას დედაჩემის უფროს ძმას ვასო სამადბეგიშვილს ერთხანს საკუთარი ბორანი ჰქონდა.

ხიდებზე ეტლით გავლის დროს დაწესებული იყო ბეგარა, ერთი შაური.

ერთხელ, მამა, სოსო ასლანიშვილი და მე (მათ წინ გადმოსაკეც სკამზე ვიჯექი) ძველ ვერის ხიდზე გადავდიოდით. ხიდზე ბეგარის გადამხდელები იდგნენ. ჩვენმა მეეტლემ, შაური რომ გადაერჩინა, ეტლი გააქანა. ამ დროს დაუბერა ქარმა და მამას კანოტიე (ჩალის ქუდი) მტკვარში აღმოჩნდა. ხიდი გავიარეთ და აღმართს რომ ავდიოდით, ტიტლიკანა მოცურავე ბიჭი დაგვეწია და მამას ქუდი გადასცა. მეეტლემ გადარჩენილი შაური ბიჭს აჩუქა, ერთი შაურიც მამამ დაუმატა.

სერგო ორჯონიკიძის სახელობის პარკის ტერიტორიას ძველად მუშტაიდი ეწოდებოდა. აქ ყველა შენობა: ვარიეტე (ახლა ვასო აბაშიძის სახელობის სახელმწიფო ქართული მუსკომედიის თეატრი), რესტორანი, ესტრადა და ყველა სხვა ნაგებობა, არისტოკრატიის წარმომადგენელთა და მდიდარ ვაჭართა ორგიებისა და გარყვნილების ბუდე, ქართველს, გორგიჯანაშვილს ეკუთვნოდა, რომელიც თავის გვარს „გორგიჯანოვად“ ნათლავდა.

მასთან რუსეთიდანაც ჩამოდიოდნენ სტუმრად ქალი თუ კაცი. თბილისში გამოდიოდნენ დროებით შენობებში მსახიობთა დასები: ძმ. გოდფრუასი, ა.ფიურერი, ვ.სურასი და სხვები.

90–იან წლებში ძმ. ნიკიტინები გოლოვინის პროსპექტზე აშენებენ (ახლანდელი რუსთაველის პროსპექტზე „ზარია ვასტოკა“–ს შენობის ადგილას) ცირკის ქვის შენობას, სადაც დროგამოშვებით გასტროლებზე ჩამოდიოდა დასი მათი ხელმძღვანელობით და სხვა ანტრეპრენიორების დასები.

მეოცე საუკუნის ათიან წლებში ნიკიტინების ცირკი დაიწვა. მალე, ძმები ეფიმოვები, მტკვრის მარჯვენა მხარეს, ვერის ხიდთან (ახლანდელი ელბაქიძის) აშენებენ ხის ცირკს.

1914 წელს ესიკოვსკიმ აღმართა ცირკის ახალი შენობა მტკვრის მარცხენა მხარეს (ახლანდელი რკინიგზის სახლის ადგილას, პლეხანოვის პროსპექტზე).

რამდენიმე წელი ორივე ცირკი ერთდროულად მუშაობდა. ოციან წლებში ესიკოვსკების ცირკს ხელმძღვანელობდნენ ძმები ტანტები.

გარდა ამისა, ზაფხულის პერიოდში, მუშაობდა ცირკი შაპიტო, ერთ–ერთ შაპიტოს ხელმძღვანელი იყო გამყრელიძე, კამოს ქუჩაზე, ალექსანდროვის საავადმყოფოს გვერდით. ორი ცირკი ერთდროულად ასეთ პატარა ქალაქში, ეს უკვე აღარ ვიცით რით ავხსნა. მოსკოვში რამდენიმე წლის წინათ ააშენეს მეორე ცირკი. ევროპაში, დღესაც ბევრ სახელმწიფოს დედაქალაქებში არ არის ცირკი. ესეც თბილისის თავისებურებაა.

ტანტეების შემდეგ ცირკს რომან გამსახურდია და სხვები ხელმძღვანელობდნენ. ეს უკვე ერთადერთი ცირკი ელბაქიძის დაღმართზე, ხალხს ვერ იტევდა. როდესაც ჭიდაობის ჩემპიონატი მიმდინარეობდა. იქ მოხვედრა არც ისე ადვილი იყო.

მე არ მიჭირდა ცირკში შესვლა. აქ „თავისი“ კაცი ვიყავი. ერთხელ მამა და ბიძია პეტიაც დავპატიჟე. საერთოდ, ვის არ შეხვდებოდით აქ, იმდროინდელი ინტელიგენციიდან, რომელი ერთი დავასახელო.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა კლიმენტი ბულის და კონრად პლიჩის ჭიდაობა.

კონრად პლიჩს, როგორც წესი, სახლამდე მე ვაცილებდი (კალინინის ქუჩაზე ცხოვრობდა). როდესაც ხიდზე გადავდიოდით, პლიჩი თავის პატარა ჩემოდანს მე მომაწოდებდა და ისე იხსნიდა წითელ ნიღაბს.

დოღი დიდუბეში იმართებოდა. შეჯიბრებას არ ვტოვებდით. ჟოკეებიდან ხაინდრავა გამოირჩეოდა. ტოტალიზატორს მერაბ ვაჩნაძის კონსულტაციით ვთამაშობდით.

ფეხბურთის მოედანი, ახლანდელი რკინიგზის სახლის ადგილას, პლეხანოვის პროსპექტზე იყო. ერთადერთი აღმოსავლეთის „ტრიბუნა“ 3–4 რიგისგან შედგებოდა, ქვებზე დაწყობილი ფიცრებით. ვესწრებოდით, როგორც ვარჯიშს, ისე შეჯიბრებებს. ბილეთების და აბონემენტების საჭიროება არ იყო. დასწრებაც სურვილისამებრ იყო. ასე იწყებოდა დიდი ფეხბურთი. ასე იწყებოდა ბორის პაიჭაძისა და სხვა მოთამაშეების აღმავლობა.

ახლანდელი ახალი უნივერმაღის ადგილას ქართული კლუბი მდებარეობდა. ეს ქართველი ინტელიგენციისა და მოწინავე, რჩეული საზოგადოების თავშეყრის ადგილი იყო. მამა ახალი დაქორწინებული იყო. როგორც იქნა დაითანხმა დედა, რომ ქართულ კლუბში წაჰყოლოდა. დედას უჭირდა ჩვენი დატოვება, ეშინოდა მე და არჩილი ისე არ დავწოლილიყავით, რომ ხელპირი არ დაგვებანა, ან საღამური პერანგები არ ჩაგვეცვა, ან „მამაო ჩვენოს“ გარეშე არ გადაგვეწერა პირჯვარი.

ქართულ კლუბში რაღაც საზეიმო საღამო იყო, დედა „ლეკურის“ საცეკვაოდ გამოიწვიეს, საზოგადოება აღტაცებული იყო დედას ცეკვით, მისი სილამაზით.

გოგირდის აბანოების ერთ–ერთი მფლობელი, მამუკა ორბელიანი, დედას საპატივცემულოდ ვახშამს მართავს. ვახშმის შემდეგ ორბელიანი მამას მოჰგვრის ეტლს, მამა ორბელიანს თავის მეუღლეს აცნობს და მადლობას უხდის მომსახურებისთვის.

ვაკის სახლიდან ალექსანდროვის საავადმყოფოში გადავდივართ საცხოვრებლად, სადაც პროფესორმა ალადაშვილმა მამას სამოთახიანი ბინა გამოუყო.

ჩვენი სახლის მყიდველებს (სიძე–ცოლისძმას, მაყაშვილს და მაჩაბელს) მამა უდებს პირობად, რომ კოლია ქარცივაძემ, თავის ბინაში იცხოვროს, ქირის გარეშე, სანამ მოისურვებს.

ალბათ, ხატვის ნიჭი პატარაობიდანვე დამყვა. ეს გოგუცა მამიდამ ჩამინერგა. გიმნაზიაში მე და სოლიკო ვირსალაძე ერთად ვისხედით და ერთმანეთს ბალერინების ხატვაში ვეჯიბრებოდით. ერთხანს ხატვის მასწავლებლად ელენე ახვლედიანი გვყავდა, რომელიც დაფაზე ცარცით გვიხატავდა (განსაკუთრებით დამრჩა მეხსიერებაში ბურთით მოთამაშე ბავშვი).

სკოლის დამთავრებამდე სამხატვრო სკოლაში შევედი, სკლიფასოვსკისთან (სამხატვრო აკადემიის შენობაში), აქვე წავიყვანე სასწავლებლად პეტია ოცხელი, რომელიც ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. შემდეგ მე მოსე თოიძის სტუდიაში შევედი.

მოსე თოიძემ სწავლის საფასურისგან გამანთავისუფლა, თავისი ხელით დამიწერა ცნობა – განთავისუფლდეს სწავლის ფულისგან, როგორც უნიჭიერესი მოსწავლე.ჯიბიდან მრგვალი ბეჭედი ამოიღო და დაარტყა. მოსე თოიძეს არ ჰქონია ცალკე კაბინეტი, არც პირადი მდივანი და მემანქანე ჰყოლია.

როდესაც ბატონი მოსე თოიძე თავის მოწაფეებს ჩამოუვლიდა (როდესაც ჩვენ ნატურიდან ვხატავდით), ზოგიერთს გვერდით მიუჯდებოდა და რაღაცას უსწორებდა. ჩემს გვერდით არასოდეს დამჯდარა. ჩამივლიდა და თავზე ხელს გადამისვამდა. გვიან გავიგე ეს რას ნიშნავდა.

ჩემი ზეთის საღებავებით ნატურიდან დახატული, ჯოხზე დაყრდნობილი მოხუცი კაცის პორტრეტი, ბატონ მოსეს იმდენად მოეწონა, რომ ჯერ გამოფინა, მერე კი თავისთვის დაიტოვა.

ალექსანდროვის საავადმყოფოში დააწვინეს სიმონ ჯუღელი. მამას დავალებით ლოგინში ბალიშებზე მიწოლილი სიმონ ჯუღელი, ფანქრით უცებ დავხატე. საავადმყოფოდან გამოწერის შემდეგ მან ნახატი სახლში წაიღო. სამწუხაროდ სურათი დაიკარგა, თუმცა სურათს ვინ დაეძებდა, ნეტავ მისი პატრონი გადარჩენილიყო.

ეს ჩემი უცხოეთში სასწავლებლად გაგზავნის წინ მოხდა, მამამ მოისურვა ჩემ ხატვის ნიჭში დარწმუნებულიყო და შალვა ელიავასთვისაც ეჩვენებინა, მისი მოადგილე იყო სიმონ ჯუღელი.

უკვე მოგვიანებით, დიდი მონდომებით დავხატე ზეთის ფერებში მოცეკვავე ქართველი ქალი, რომელიც ანიკო ლორთქიფანიძეს, პეტრე ქავთარაძის მეუღლეს დაბადების დღეზე მივუძღვენი. ანიკომ სურათი სასტუმროში ყველაზე საპატიო ადგილას, სახელოვანი ქართველი მხატვრების სურათებს შორის ჩამოკიდა.

სამწუხაროდ ეს სურათიც დაიკარგა, მეხსიერებით აღვადგინე აკვარელში და ჩემს ოთახში მიკიდია.

უნდა გავიხსენოთ უჩა ჯაფარიძის ახლახან ნათქვამი სიტყვები: „ირაკლი, შენ რომ ნატურიდან ხატავდი, მე შენ ზურგს უკან ვიდექი და გიყურებდი“. საინტერესოა, ასე გვიან რატომ მითხრა ამის შესახებ? ან რატომ დავანებე ხატვას თავი?.. ერთი რამ მინდა გულდასმით გითხრათ, რაც შეიძლება ზოგიერთ ადამიანს ახასიათებდეს, არასდროს მწამდა ჩემი თავის და ჩემი შესაძლებლობებისა. ეს თანდაყოლილი თვისება დღემდე იჩენს თავს.

რას ვიზამ, თურმე ვცდებოდი, ამას იმისთვის ვწერ, რომ არავინ იფიქროს, რომ მე ამისთვის არ მეცალა. ყველაფერს ვასწრებდი, მუშაობასაც არასდროს არაფერს ვაკლებდი. ეს ასეც უნდა იყოს, ვინაიდან მხოლოდ მუშაობაშია ცხოვრების აზრი. უსაქმოდ არასოდეს ვყოფილვარ და ყოველთვის ვცდილობდი და ვცდილობ, რაც შემიძლია და როგორც შემიძლია, მეტი გავაკეთო. გამიგრძელდა ჩემს თავზე ლაპარაკი, მაგრამ, რომ იტყვიან, სიტყვამ მოიტანა.

საავადმყოფოში ცხოვრების პერიოდში „არტო“–ს ხშირი სტუმარი ვიყავი. ეს იმ დროისთვის მეტად პოპულარული ბაღი–კლუბი იყო, სადაც საღამოობით მთელი ქალაქის ინტელიგენცია იყრიდა თავს. გამოდიოდნენ საგასტროლოდ ჩამოსული, იმ დროის სახელოვანი მსახიობები, ესტარდის ყველა ჟანრის წარმომადგენლები.

როგორც ცნობილია, თამარა წერეთელმა, როგორც მომღერალმა, მოსკოვში დაიწყო მოღვაწეობა. თამარა თბილისის კონსერვატორიიდან მოსკოვში ბორის პრაზაროვსკის რჩევით გადავიდა, მამამისის, ბიძია პეტიას, სანდრო ახმეტელისა და ირაკლი წერეთლის დახმარებით. ის ძალზე იშვიათად სტუმრობდა თბილისს. ჩვენი მიწა–წყლის შვილს ადვილად ვერ იმეტებდა ჩვენთვის მოსკოვი. მისი პირველი კონცერტი ამ ბაღში შედგა. ეს ნამდვილი ტრიუმფი იყო. ხელოვნების გამოჩენილმა წარმომადგენლებმა და საერთოდ მოწინავე საზოგადოებამ, თამარას „ნოი“–ში (ნოე სიხარულიძის სასტუმრო და რესტორანი „არტო“–ს გვერდით) დიდი ბანკეტი გადაუხადეს. თამარა მე გვერდიდან არ მიშორებდა და აქაც, სუფრაზე, გვერდით მომისვა. ამ საღამოზე ბორის პროზოროვსკიმ დამასაჩუქრა – მის მიერ დაწერილი, მისივე სიტყვებზე შემდეგში მეტად პოპულარული რომანსის ნოტები „Вам девятнадцать лет“ მაჩუქა ავტოგრაფით.

პაოლო იაშვილმა თამარას ექსპრომტი მიუძღვნა:

Будет Тома Церетели
Шарабана петь
Плавно так польются трели,
что растает медь.

А гитары Яровских
Моисев экстаз
У рояля Прозоровский
Значат весь Парнас.

სადღეგრძელოში მიმართა ოლია სვანიშვილს:

Дикий взгляд ангорской
кошки, прелесть Иверской
Мадонны но все манеры
Говорят, что вы мадам
Из Зестафони.

თბილისს ესტუმრა ანდრე ჟიდი. უკან დაბრუნებისას პაოლო იაშვილმა და სხვა პოეტებმა ჟიდი ფასანაურამდე გააცილეს. იმ ზაფხულს ფასანაურში ისვენებდნენ ელენე, თამარა და 6 წლის გურამი.

სუფრაზე პაოლო იაშვილმა თამარას მიმართა:

Молодая сине окоя Грузинка
И танцует и поёт
с восхищением на неё глядит
Наш друг поэт Андре Жид.

თამარა წერეთელი დროგამოშვებით, ქუთაისსა და თბილისში, ჩვენთან ცხოვრობდა. თამარა დიდი პატივისცემითა და სიყვარულით იხსენებდა დედას და მამას. თვალცრემლიანი მეტყოდა:

„ბოშო, როგორ გავხარ ვიქტორს ლაპარაკითო“.

თამარა მე „არტო“–ში კონცერტის დამთავრებისთანავე გავიცანი, გავბედე და მოკრძალებით შევედი, უფრო სწორად, ძლივს შევძვერი მასთან. თამარას გამოვეცხადე და გავეცანი, მან მაგრად ჩამიკრა გულში (ალბათ, ჩემი ბავშვობა გაახსენდა).

მამა, ბორის პრაზაროვსკის ნაჩუქარი ნოტები რომ ვუჩვენე, ცოტა გაოცდა. მე მაშინ 16 წლისაც არ ვიყავი. ნოტები მალე „დაიკარგა“.

თამარა გულთბილი, ალერსიანი, ტკბილი ადამიანი იყო, მის გულკეთილობას საზღვარი არ ჰქონდა.

თამარამ ძალზე შემიყვარა და მანებივრებდა. უხაროდა ჩემი დანახვა, რით არ მასაჩუქრებდა. მოსკოვში ჩემი პირველი ჩასვლისას, ძვირფასი ნაცრისფერი საკოსტიუმე მიყიდა, მოდაში ახლად შემოსული პატეფონითაც დამასაჩუქრა. რამდენი საჩუქარი გავიხსენო... სტუმართმოყვარე და გულუხვი იყო. მეც ყოველთვის ვცდილობდი მისთვის პატივი მეცა.

არაერთხელ ვყოფილვარ მოწმე იმ დიდი დაფასებისა, რასაც მის მიმართ მოსკოვის საზოგადოება იჩენდა. ჩემი თვალით მინახავს მოსკოვის სცენის კორიფეები როგორ ეცილებოდნენ ერთმანეთს მისთვის ქურქის მიწოდებაში, ზოგი ბოტებსაც კი აცმევდა.

განსაკუთრებით დამამახსოვრდა თამარას კონცერტი სტუდენტთა ქალაქში, კონცერტის დამთავრების შემდეგ სტუდენტებმა თამარა ხელში აიტაცეს და ასე გამოიყვანეს ქუჩაში.

თამარა ბრწყინვალედ ფლობდა რუსულ ენას, თავისიანებთან კი მეტწილად ქართულად ლაპარაკობდა და თანაც იმერული კილოთი.

თამარა „ორერას“ კონცერტზე უნდა წამეყვანა, როდესაც ტელეფონზე დავურეკე, მითხრა, რომ შეუძლოდ იყო. მეორე დღეს სანახავად მივედი, მწოლიარე დამხვდა. ბევრი ვისაუბრეთ, არაფრით არ მიშვებდა. გამომშვიდობებისას კარიდან მომაბრუნა, შევეკითხე, რამე ხომ არ უნდოდა, თვალზე ცრემლი შევნიშნე, თურმე უკანასკნელად შევხვდით ერთმანეთს...

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე კოწიას ომარიამ მაცნობა თამარას გარდაცვალება.

მე მომიხდა მოსკოვში გამგზავრება, სხვა ვინ წავიდოდა, კოწია ავად იყო.

თამარ წერეთლის ცხედარი დასვენებული იყო მოსკოვის ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში. დარბაზი სავსე იყო ყვავილებით. თამარას სიმღერების ჩანაწერები ისმოდა.

საქართველოდან ჩამოვუტანეთ მისი საყვარელი ცოცხალი იები და ერთი მუჭა ქართული მიწა... გულითადი სიტყვებით ემშვიდობებოდნენ შესანიშნავ მომღერალს. ივან კოზლოვსკი გამოემშვიდობა ძვირფას მეგობარს: „მადლობას გიხდით იმისთვის, რომ შენ, შთაგონებული მომღერალი, მომხიბვლელი ადამიანი და მეგობარი, ჩვენ შორის ცხოვრობდი, დაბლა ვხრით თავს“.

გარდაცვალებიდან ერთი წლის თავზე, თამარ წერეთლის ნეშტი მოსკოვიდან თბილისში გადმოასვენეს.

თამარის განუყრელმა კონფერანსიემ ალექსი ალექსეევმა გამოგზავნა დეპეშა: „თამარ, შენთვის უკვე სულერთია, მაგრამ კარგია, ძალიან კარგი, რომ შინ ხარ“.

ქართველმა ხალხმა დიდუბის პანთეონში დაკრძალა თამარ წერეთლის ნეშტი.

დიდი ღვაწლი დასდო თამარ წერეთლის სახელის უკვდავყოფას მერაბ თაბუკაშვილმა. ქვემოთ ჩამოთვლილი კურიოზები ყოველგვარი „შელამაზების“ გარეშე იწერება.

პლეხანოვის პროსპექტზე ცხოვრობდა მარტოხელა კბილის ექიმი ფოი (ალბათ, ებრაელი), რატომღაც ჩვენი უბნის ბიჭებმა, ვახტანგ კერესელიძემ, კოლია ლორთქიფანიძემ, გუგული დიდიძემ და სხვებმა. ეს მოხუცი გასართობად გავიხადეთ. მოგვწონდა მისი მოკლე გვარი. ნაშუადღევს, არტოდან დაბრუნებისას შევჩერდებოდით მის აივანთან და ერთხმად, ხმამაღლა ვყვიროდით მის გვარს. ფოი საცვლებისამარა გამოვარდებოდა თავის აივანზე და უშვერი სიტყვებით გვლანძღავდა. ერთხელ, გათენებამდე შევრჩით „არტო“–ში, მის აივანთან შევჩერდით, შევნიშნეთ, რომ ფოის ჩვენს

ლოდინში, აივნის მოაჯირზე, საცვლებისამარა ჩამოსძინებოდა. ჩვენს საზარელ ყვირილზე შეშინებული მოხუცი თავის ოთახში შევარდა. ასე ვერთობოდით მთელ ზაფხულს.

ბიჭები რუსთაველის პროსპექტზე დავსეირნობდით. მე და კოსტია კობიევი შევრჩით ერთმანეთს (კოსტია ცალი ფეხით კოჭლობდა, ყოველი მესამე ნაბიჯის გადადგმისას ოდნავ შეხტებოდა ხოლმე მარცხენა ფეხზე). ჩვენ ეტლების საქორწინო კორტეჟი შევნიშნეთ. კოსტას წინადადებით კუდში მოქცეული თავისუფალი ეტლი დავიკავეთ. ქორწილი ავლაბარში იყო. კოსტიამ თამადობა ვერ გაბედა (კაციშვილი არ იყო ნაცნობი, ჩვენ კი ზოგიერთმა გვიცნო), მაგრამ სუფრა მაინც „აიყვანა“ ხელში. ლხინი გათენებამდე გაგრძელდა, შემდეგ მასპინძელმა ახალი სუფრის გაშლა მოისურვა. კოსტია არ დათანხმდა – უცხო ხალხი რომ წავლენ, „შინაურები“ უფრო კარგ დროს გავატარებთო. ნაშუადღევს დავიშალეთ. მე და კოსტია ჩვენი ეტლით საკუთარ სახლებში დავბრუნდით. მასპინძელმა გულით დაგვპატიჟა სადილად, მაგრამ წასვლა ვეღარ გავბედეთ. ადვილად შეეძლოთ დაედგინათ, რომ ჩვენ ამ ქორწილთან არავითარი კავშირი არ გვქონდა.

ამ წლის 3 მარტს მამას გარდაცვალებიდან 50 წელი შესრულდა (46 წლისა გარდაიცვალა).

ალექსანდროვის საავადმყოფოს გახსნიდან გარდაცვალებამდე მამა ამ საავადმყოფოს აფთიაქის გამგედ მუშაობდა.

უნდა აღინიშნოს ის დიდი კოლეგიალობა, რაც იმ დროს ამ პროფესიის მუშაკებს ახასიათებდათ. ეს გასაოცარი რამ იყო. ისინი ჭირშიც და ლხინშიც ერთად იყვნენ.

მამა მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა, ის ახალგაზრდა კოლეგების შესანიშნავი აღმზრდელი იყო.

ახლახან, ხანდაზმულმა ქალმა იცნო არჩილი და თავი გაახსენა (მამასთან ყოფილა პრაქტიკაზე), მეც კი მომიკითხა. იყო დრო, როდესაც მამასი და ზოგიერთ მისი თაობის პროვიზორების განთავისუფლება დააპირეს. მათ სანდრო კოპალაძე გამოექომაგა (მათივე კოლეგა) და უშველა კიდეც, თავის თავს კი ვერ უშველა, არ ვიცი რას შეეწირა ეს უმწიკვლო ადამიანი.

ალექსანდრე ალადაშვილმა მამას გარდაცვალების შემდეგ განიზრახა, მისი სახელის უკვდავსაყოფად, საავადმყოფოში მისი სურათი დაეკიდებინა. ეს ერთადერთი შემთხვევა იქნებოდა, რომ ექიმების სურათებს შორის პროვიზორის სურათი დაეკიდათ (მამა ხშირად რეცეპტებსაც უწერდა ავადმყოფებს).

განზრახვა ვერ განახორციელა, მაგრამ ეს არაფერია, მთავარია, რომ მან ეს განიზრახა.

მამას პროვიზორების (ესენი იყვნენ: ალექსანდრე მეძმარიაშვილი, სანდრო კობალაძე, კოწია ელიაშვილი და სხვა) გარდა ექიმთა შორისაც ჰყავდა მეგობრები, ათწლეულების მანძილზე საავადმყოფოში მათთან ერთად უწევდა მუშაობა. ქირურგებიდან: ალექსანდრე მაჭავარიანი, კლავდი ტყემალაძე, კოლია ორლოვსკი,

გიორგი ხეჩინაშვილი, სერგო ხუნდაძე, სოსო ასლანიშვილი (მათ შორის ყველაზე უმცროსი), თერაპევტებიდან: შალვა მიქელაძე (გიგუცა დიდებულიძე, ვალოდია გერსამია, აგრეთვე ყველაზე უმცროსი) და სხვა. მამას და კლავდის შორის კი ძმური სიყვარული იყო, თუ ხედავთ ექიმების რა პლეადა იყო! მამა მეგობრობდა პავლე საყვარელიძესთან, მისი მეუღლე ტასო გუნია არჩილის ნათლია იყო.

დასახელებულ ექიმთა შორის განსაკუთრებით გამოსაყოფია ივანე გომართელი. ამ კაცის ირგვლივ, ქალაქადაც და სოფლადაც, პირდაპირ ლეგენდები იქმნებოდა. საქართველოს რომელ სოფელშიც უნდა მისულიყავით, თუ მძიმე ავადმყოფს შეხვდებოდით, მისი ნატვრა მხოლოდ ის იყო, რომ თბილისამდე ჩაეღწია და გომართელთან მოხვედრილიყო. დედაქალაქისკენ ვისაც როგორ შეეძლო ისე მოდიოდა, ზოგი მატარებლით, ზოგი ჩარდახიანი ურმით, ცხენით ან ქვეითად, მოდიოდნენ იმედითა და სასოებით, შინ, უმეტეს შემთხვევაში, განკურნებულნი ბრუნდებოდნენ.

კარგად მახსოვს, მისი სახლის წინ, ყორღანოვის ქუჩაზე გამწკრივებული ჩარდახიანი ურმები. ერთ პირად წერილში ივანე გომართელი აღნიშნავს: „თბილისში ახლა ექიმები ძალიან ცოტანი არიან და მთელი ამოდენა ხალხი მე მომაწყდა... დილის შვიდი საათიდან საღამოს რვა საათამდე მოცდა არა მაქვს“. ხალხის ასეთი მოზღვავება მარტო ექიმების სიმცირით არ აიხსნებოდა. აქ მეორე მიზეზიც იყო – ხალხში გასული ხმა მის სასწაულებრივ მარჯვენაზე და შეუცდომელ თვალზე.

გომართელი ნიშნავდა მხსნელს, ჭირისა და სატკივარის უებარ განმკურნებელს.

იყო შემთხვევები, როდესაც გომართელთან გადადებული ავადმყოფები ჩამოუყვანიათ და რაკი მას თავის წამოწევაც არ შეეძლო, საკაცით შეუყვანიათ კაბინეტში. რამდენიმე ხნის შემდეგ ავადმყოფი თავის ფეხით დაბრუნებულა შინ.

ჩვენი ოჯახი ძალიან ახლოს იყო ივანე გომართელის ოჯახთან. მე ვმეგობრობდი მის შვილებთან: თამარასთან, არჩილთან, თინასთან და ირასთან.

ივანე გომართელის მეუღლე შვილებთან ერთად პარიზში გადავიდა საცხოვრებლად, საიდანაც არჩილმა პირველი წერილი სურათით მე გამომიგზავნა.

ჩვენი ოჯახის მწუხარება მამას გარდაცვალების გამო, ლოლა გომართელმა პარიზიდან დეპეშით გაიზიარა.

* * *

ძველი თბილისის უბნებიდან აღსანიშნავია მეტეხის გასწვრივ განაშენიანება, კლდეზე გადმოკიდებული აივნებით, რაც ერთ კოლორიტულ სურათს ქმნის. დღემდე შემორჩენილ ამ ისტორიულ გარემოში ერთ დროს მეტეხის ციხე იდგა (იხილეთ სურათი). ეს ციხე განსაკუთრებით დამამახსოვრდა, რადგან აქ გავიცანი პირველად ბიძია სერიოჟა. ათი წლისაც არ ვიყავი ანიკომ რომ ეტლით წამიყვანა.

ჩემს მოგონებებში ბიძია სერიოჟას (ისევე, როგორც ბიძია პეტიას) სპეციალური თავი მივუძღვენი, სადაც ვიხსენებ ამ გაცნობას და საერთოდ, მის შესახებ ვლაპარაკობ. მხოლოდ ერთ ამბავს ვუმატებ, რომელიც ახლახან შევიტყვე. როგორც ჩემს მოგონებებში ვიხსენებ, ბიძია სერიოჟამ სთხოვა ანიკოს – რამდენიმე დღით თავდებით გამოეშვათ მეტეხის ციხიდან, რათა ანიკოს დღეობას დასწრებოდა (ანიკოს წერილი ნოე ჟორდანიასთან მე წავიღე).

ციხის უფროსად ითვლებოდა ბიძია სერიოჟას და მისი თანამებრძოლების მიერ დანიშნული გვათუა (შალვა გვათუას მამა). ეს ფაქტიც ბევრის მეტყველია მენშევიკური მთავრობის დასახასიათებლად.

* * *

როდესაც გურამმა ჩემი მოგონებები წაიკითხა, სრულიად მართებულად მომცა ერთი შენიშვნა – როგორ მოგონებებს წერ, როცა კოწია ქავთარაძეს არ იხსენებო.

ამ სიტყვებმა გულში გამკრა (კოწია რომ ცოცხალი ყოფილიყო თვითონ რა დღეს დამაყრიდა!) მინდა ეს ხარვეზი გამოვასწორო, გასახსენებელი ბევრი მაქვს.

კოწია მამას ბიძაშვილი იყო. კოწიას ბებია ოლღა, დავით წერეთლის ასული და ბებიაჩვენი დარო (დაბო) ივანეს ასული აბაშიძე ბიძაშვილ–მამიდაშვილები და ერთმანეთის რძლები იყვნენ. ე.ი. ბებია ოლღას მეუღლე, ბაბუა ფარნავაზი და ჩვენი ბაბუა ბაგრატი – ძმები. ამ ორი ძმის აღმზრდელი და გზაზე დამყენებელი იყო მათი ბიძა, ივანე ხოსიას ძე ქავთარაძე (ბიძია პეტიას მამა). კოწია დედას ნათლული იყო.

კოწიას უფროსი და, გოგუცა მამიდა, ღვაწლმოსილი მასწავლებელი იყო. მე და არჩილს გოგუცა მამიდა გვასწავლიდა ქართულ ენას. მე სათავადაზნაურო გიმნაზიაში შესასვლელად მამზადებდა. სწორედ მამიდა აღვივებდა ჩემში ხატვის სურვილს.

კოწია მეტად ხალისიანი იყო, თავისებური იუმორი ჰქონდა. მისი ყოველი ხუმრობა სიკეთით, სიყვარულით და იუმორით სავსე იყო. კოწიას ასეთს იცნობდა არამარტო თბილისი, მთელი საქართველო.

არ ყოფილა ადამიანი, რომ კოწიას ხუმრობით ნაწყენი დარჩენილიყო. მისი ხუმრობა მხოლოდ სიამოვნებას და სიცილს იწვევდა. გარეთ თუ სახლში, განსაკუთრებით კი სუფრაზე.

ერთ ზაფხულს ჭალიდან ივანწმინდაში კოწიას ცხენით გავუარე, არგვეთში უნდა წავსულიყავი. ჩვენ დიდხანს ვივაჭრეთ იმაზე, თუ ვინ დაჯდებოდა უნაგირზე და ვინ უკან შემოუჯდებოდა. ბოლოს კოწია მოახტა ჩემს ცხენს და მომაძახა – გამოართვი ბაბუა სევასტის ჯორი და ისე ამოდი არგვეთშიო.

(ივანწმინდაში ცხენი არავის ჰყავდა) მოვაჯექი ჯორს და გავუდექი გზას. ივანწმინდის ეკლესიასთან ვიღაც ნაცნობი გამომელაპარაკა, გამომშვიდობებისას ჯორმა მიცნო, აყარა ტლინკები, გადმომაგდო და დაეშვა სახლისკენ (ნაცნობ კაცს, ჩემთვის,

როგორც მღვდლისთვის უნდა ეკოცნა. ბაბუა სევასტი იყო მღვდელი, წირავდა თავის სოფელ ივანწმინდაში. მისი ორი შვილიშვილი გიორგი და არჩილი სტოკჰოლმში ცხოვრობდნენ. ჩემი მათთან შეხვედრა არ მოხერხდა, რაზეც დაწვრილებით ვწერ მოგონებებში), აღმართს ფეხით ავუყევი. აბა, რას ვიზამდი, პაოლო იაშვილთან შეხვედრას ხომ არ გამოვაკლდებოდი.

კოწია ფრთხილი და წინდახედული იყო. მას სტალინის სურათი საპატიო ადგილას ეკიდა. ერთ დღეს სურათი ჩამოხსნა და მის ადგილას ბაბუა ფარნაოზის სურათი დაკიდა – სტალინზე რაღაც ხმები დადის, მამაჩემზე კი ვერაფერს მეტყვიანო.

ბიძია სერიოჟა ავად გახდა. მაიამ, მე და კოწიას დაგვავალა „უტკის“ ყიდვა (საშარდე ჭურჭელი) კოწიამ დამასწრო დავალების შესრულება, მე კი დაგვიანებით მოვიტანე.

ბიძია სერიოჟამ გვითხრა, მე ეგ აღარ მჭირდება და თქვენ კი შეიძლება სუფრაზე გამოგადგეთო („უტკა“ ფორმით ყანწს წააგავდა).

ნუგზარის დღეობაზე ვართ, კოწიამ საზოგადოებას გააცნო, ვინ რა საჩუქარი მოიტანა, თან მათ შეფასებას მოჰყვა. ბოლოს ხელში სკოლის ჩანთა აიღო და მე შემომხედა – ამას ირაკლის მეტი ვინ მოიტანდაო. ჩანთა იატაკზე მიაგდო. მერე აიღო, გაწმინდა, აკოცა, აქაც თავისებურად გამოხატა ჩემდამი სიყვარული.

ნუგზარი ერთ–ერთ ნათლიას, აკაკი ხორავას, მადლობას უხდის მობრძანებისთვის. შემდეგ სუფრას შემოვუსხედით. კოწიამ თამადად დამნიშნა. კიდევ ბევრი რამ დამრჩა სათქმელი კოწიაზე.

ვიხსენებ ვანო სარაჯიშვილის დასაფლავებას.

ვანო სარაჯიშვილი ხელოვნების სახლიდან გამოასვენეს. კუბო ვარდ–ყვავილთა ტბაში მოცურავდა. მე ზღვა ხალხში გავიჭედე. ისე აღმოვჩნდი ოპერის თეატრთან, რომ მიწაზე ფეხიც არ დამიდგამს. შემეშინდა. ხალხიდან გამოძრომა შეუძლებელი იყო.

თეატრის აივანზე ორკესტრი ასრულებს ნაწყვეტს „აბესალომ და ეთერი“–დან. ამ დიდებულ ჰანგებს უკანასკნელად ისმენს ახლა აბესალომი...

მიწყდა „აბესალომის“ ჰანგი... გაისმა „დაისი“–ს მელოდია „მწუხრი დაიწყო“. მომღერალი პოპოვა ასრულებს მაროს ტირილს... ის ახლა სამუდამოდ ეთხოვება საყვარელ მალხაზს... კუბო საფლავში ჩაუშვეს. ხალხმა დაიჩოქა, ყვავილების ზვინმა დაფარა მიწა. საფლავზე გადატეხილი სალამური დაადეს.

ვანო სარაჯიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად კოტე მარჯანიშვილმა „აბესალომი“ უაბესალომოდ დადგა. კაპელნიცკი აბესალომის პარტიას ჩელოზე ასრულებდა. ტანჯვის სპექტაკლი დაიწყო. აბესალომის ნაცვლად სცენაზე სინათლის შუქი დადის... კარგად მახსოვს პარტერში ქვითინი. მე ამ წამებას ვეღარ გავუძელი და ძლივს გამოვძვერი დარბაზიდან, რამდენადაც მახსოვს, ასეთი წამებისთვის კოტე მარჯანიშვილს კიდევაც უსაყვედურეს.

* * *

იყო დრო, როცა თბილისში გათბობის მხრივ დიდი გაჭირვება იყო. როგორც საცხოვრებელი სახლები, ასევე დაწესებულებები კედლის ან თუნუქის ფეჩებით თბებოდნენ. შეშის შოვნა ჭირდა. შეშა ქალაქში ურმებით ან ვირებით შემოჰქონდათ. შეშის დახერხვაც ჭირდა. ახლანდელ კოლმეურნეობის მოედანზე იყო მხერხავების ბირჟა. ეს გარემოება მე და ჩემმა მეგობრებმა გასართობად გავიხადეთ. მხერხავებს მისამართებს ვაძლევდით და ბინებში ვაგზავნიდით.

ერთხელ, ჩვენი გაგზავნილი შეშის მხერხავი გამთენიისას მიადგა დათიკო ბურჭულაძის დედას, რომელმაც დიდი ჩხუბით, მხერხავი უკან გაისტუმრა. ეს რამდენიმეჯერ რომ გავიმეორეთ, დათიკოს დედასთან უსიამოვნება მოუვიდა. ჩვენმა იონბაზობამ შედეგი მაინც გამოიღო. დათიკო იძულებული გახდა შეშა შეეძინა.

მე და პეტრე დიასამიძე ერთად ვმუშაობდით საქვაჭრობაში. ერთხელ, ბაქოში მივლინებაში გამგზავრება მოგვიხდა. მასპინძლები სადგურში დაგვხვდნენ. სასტუმროში მოვეწყვეთ და რესტორანში წავედით. სასტუმროს სახელწოდება დაგვავიწყდა და შუაღამისას ეტლით მოგვიხდა ქალაქის ყველა სასტუმროს შემოვლა. მხოლოდ დილით, როდესაც გამოვფხიზლდით, მივაგენით ჩვენს სასტუმროს. პეტრემ მორიგეს უთხრა, – შენ გამოდექი ერთადერთი კაცი მთელს ქალაქში, რომელმაც ჩვენი ნომერი გამოგვიჩინეო.

* * *

მგონი თბილისს არ სჭირდება ჩემი რეკომენდაცია ზურია ჭაჭიაშვილზე.

ერთხელ, მე და ზურია სახლიდან გავდივართ, ზურია შუშიკოს უბარებს – ჩვენ, ალბათ, მალე დავბრუნდებით, თუ მეგობრები მოვლენ, ჩვენს მოსვლამდე არ გაუშვაო. დაბრუნებისას შუშიკო გვეუბნება – იყვნენ, გიცადეს. მე სამოვარი დავადგიო. ამაზე ზურია პასუხობს, – შე მამაცხონებულო, ადუღებული წყალი „პარაოზს“ (ორთქლმავალი) მიარბენინებს და იმათ რა გააჩერებდათო.

დათო ჭიჭინაძესთან გოგის ქორწილია. ზურიას ნიშნავენ თამადად, ზურია თავის მოადგილედ მე მნიშნავს.

მართლაც გავუმართლე იმედი. კარგად დავეხმარე.

* * *

რუსთაველის პროსპექტზე, ლაღიძის წყლების მაღაზიასთან (ეს ერთადერთი მაღაზიაა თბილისში, რომელიც დღესაც თავის ადგილზეა და ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობას) გამოეფინებოდნენ ჩვენი სახელოვანი ბრწყინვალე ადვოკატები – პეტრე ქავთარაძე, შალვა მესხიშვილი, ოსიკო ბარათაშვილი, მიშა ღვამიჩავა, ისაი

დოლუხანოვი და სხვა. ისაი დოლუხანოვს სომეხ ღვამიჩავას ეძახდნენ. მიშა ღვამიჩავას კი ქართველ მაკლაკოვს.

* * *

ძველი თბილისის განახლებაში, მის მშენებლობაში მეც მიმიძღვის პატარა წვლილი. ის რაც მოვასწარი.

საკურორტო სამმართველოში მიხეილ ბუზოღლისთან მუშაობის შემდეგ, თბილისის საბჭოში გადავდივარ სამუშაოდ, უფროს არქიტექტორად. მე იმ დროს, არქიტექტორ კოლჩინის მადლიერი ხელმძღვანელობით გარკვეული გამოცდილება მქონდა მიღებული, როგორც მშენებელს და არქიტექტორს. ჩემი აქ მუშაობა ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი აღმოჩნდა და მეც, რაც შემეძლო არაფერს ვაკლებდი (სულ ათიოდე არქიტექტორი ვიქნებოდით), ყველა კონკურსში ვმონაწილეობდი, ერთში გავიმარჯვე კიდეც. ჩემი პროექტით აშენდა სკოლა, ახლანდელი ფილარმონიის პირდაპირ (იხ. პროექტის ფოტო).

როდესაც ახლანდელი ლენინის მოედნის რეკონსტრუქციის პროექტი საბოლოოდ დამტკიცდა (კონკურსზე წარმოდგენილი ყველა პროექტები გულისხმობდა მოედანზე არსებულ ქარვასლის დანგრევას. ჩემი პროექტის მიხედვით, ეს ისტორიული ნაგებობა, უნდა დარჩენილიყო), შევუდექით ქარვასლის შენობის ნგრევას. სამუშაო მეტად შრომატევადი გამოდგა. აბა, რა იქნებოდა, შენობის ორჯერ მეტი მიწაში იყო. მუშაობა რამდენიმე თვეს გაგრძელდა. აფეთქებებს ღამით ვაწარმოებდით, რათა გამვლელი ხალხი არ დაზიანებულიყო (იხ. ქარვასლის ფოტო).

იმავე დროს გაჩაღებული იყო საცხოვრებელი სახლების პროექტირება. მეტად საპასუხისმგებლო სამუშაო იყო. ჩემმა პროექტმა მოწონება დაიმსახურა (იხ. სურათი) ძალზე მონდომებით ვიმუშავე ფასადზე.

ჭარბად გამოვიყენე ქართული ორნამენტები და ჩუქურთმები, მგონი, გადავაჭარბე კიდეც (მაგრამ რუსული ანდაზა ხომ ამბობს, ფაფა ერბოთი არ გაფუჭდებაო). წინასწარ ვიცოდი, რომ ამ ფასადის მიხედვით სახლს არ ააშენებდნენ, მაგრამ მინდოდა, ჩემი ჩანაფიქრი და გადაწყვეტა ქაღალდზე მაინც დარჩენილიყო.

პროექტი მიიღეს და მშენებლობა კახეთის ქუჩაზე, აეროდრომის მიმართულებით დაიწყეს (მისი მშენებლობა, ვაკეში ახლანდელ ჭავჭავაძის პროსპექტზე იყო განზრახული). მე იმდენად ნაწყენი დავრჩი ამ გადაწყვეტილებით, რომ ამ სახლის მშენებლობით საერთოდ აღარ დავინტერესებულვარ. უფრო მეტიც, შევატყვე, რომ ჩემს შემოქმედებას არქიტექტურაში პერსპექტივა არ უჩანდა, დამამუხრუჭეს.

რამდენიმე ხნის შემდეგ, სანდრო კალანდაძის რჩევით, საქ. მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტში, აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასთან დავიწყე მუშაობა.

არქეოლოგიას არმაზში ვეზიარე. აქ შევხვდი გოგი ლომთათიძეს (მე და გოგიმ გაცნობისთანავე შევიყვარეთ ერთმანეთი, დავმეგობრდით), ანდრო აფაქიძეს, გერმანე გობეჯიშვილს.

ერთდროულად ვმუშაობდი ეთნოგრაფიაში. აქ კი შევხვდი ჩემს უკვე ნაცნობ ალიოშა რობაქიძეს, რომელთანაც დღემდე ვმეგობრობ.

ჩვენგან ადრე წასულმა, მაგრამ უკვე ღვაწლმოსილმა ეთნოგრაფმა რუსუდან ხარაძემ თავისი ნაშრომი მიძღვნა, ავტოგრაფით: „არქეოლოგების შვილს, ეთნოგრაფების შვილობილს, ირაკლი ქავთარაძეს“, სადღაც მართალი იყო ჩვენი საყვარელი რუსიკო. ერთი სიტყვით, გულახდილად უნდა ვაღიარო: მე მოვნახე ჩემი თავი, მოვნახე ჩემი ადგილი, ჩემს სტიქიაში მოვხვდი.

ცეკვებისთვის თავის დანებება ვერ შევძელი. მამისთვის მიცემული პირობა ვერ შევასრულე, როდესაც შალვა ელიავამ ხელი მოაწერა ჩემს ვიზაზე, მამამ უარი მითხრა წასვლაზე – ჯერ მე დავრწმუნდე, რომ შენ კალაპოტში ჩადექიო.

მამა შორსმჭვრეტელი იყო. მან იცოდა, რომ პარიზი უფრო დიდი ასპარეზი იყო „ფოქსტროტისთვის“ და არამარტო ცეკვისთვის.

სწორი იყო მამა. ვინ იცის როგორ დატრიალდებოდა ჩემი ცხოვრება. მეღირსებოდა თუ არა ჩემი თბილისის ნახვა.

ამისთვის დიდ მადლობას ვუხდი მამას.

მე ფოქსტროტს თავი დავანებე და „კალაპოტშიც ჩავდექი“, მალე დავქორწინდი კიდეც, მამა კი ამას ვერ მოესწრო.

46 წლის დედისერთა შვილი სამუდამოდ გამოეშვიდობა თავის საყვარელ ოჯახს, ბიძია პეტიას ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს და ახლობლებს. ყველას მოუკლა გული...

მამას დაკრძალვის დღეს კლავდი ტყემალაძემ გამოსათხოვარი სიტყვის დამთავრება ვერ შეძლო, გული შეუწუხდა, დაეცა.

* * *

მე და სანდრიკამ (ანდრონიკაშვილმა) დავამთავრეთ მეორე შრომის სკოლა. გაკვეთილებს ერთად ვამზადებდით.

მათ ბინაში ქუჩაში მოსიარულენი ფანჯრიდან იყურებოდნენ, რათა ნატაშასთვის (ნატო ვაჩნაძე) მოეკრათ თვალი. მართლაც, ნატაშას და მერაბის ყურებას არაფერი სჯობდა. უკეთესს რას იხილავდა თვალი, ისინი ახლად დაქორწინებულები იყვნენ.

ხშირად ვიკრიბებოდით ცნობილ პედიატრ მიხეილ კილასონიძის ოჯახში.

გამოჩენილი სტომატოლოგის თედორე ცხომელიძის ბინაში დამამახსოვრდა შალიაპინის მთელი ტანით გადაღებული დიდი პორტრეტი ავტოგრაფით.

მონასელიძეების ოჯახში გავიცანი სტალინის უფროსი ვაჟი იაკობი, რომელიც რეზოს და დორას დეიდაშვილი იყო.

რუსთაველის თეატრში რაღაც პრემიერა მიდის, ამ პრემიერაზე იაშას მეშვეობით მოვხვდით. იაშა სანდრო ახმეტელს გავაცანი, რომელმაც თავისი ლოჯა დაგვითმო. თვითონაც შუაში ჩაგვიჯდა. იაშა ძალიან მორიდებული იყო.

ხშირად ვიკრიბებოდით რაჟდენ დუმბაძის, იასონ მენაბდის, ხარაშვილების ოჯახში.

ოპერის თეატრის ხშირი სტუმრები ვიყავით. პრემიერას ან გასტროლიორების გამოსვლას არ ვტოვებდით.

აბა, როგორ შეიძლებოდა იმ ოპერის გამოტოვება, სადაც ერთდროულად გამოდიოდნენ: სტეპანოვა, მიგაი, კოზლოვსკი. გასტროლიორები ხშირად სასტუმრომდე ხელში აყვანილი მიგვიყვანია.

არამარტო თეატრში, რუსულ გამოთქვას თუ ვიხმარებთ, საერთოდ ამინდსაც ჩვენ ვქმნიდით. ეს ნამდვილად ასე იყო. თეატრში ჩვენთვის განკუთვნილი იყო მეორე იარუსის ქანდარაზე ათადგილიანი ლოჟა. აბა, პარტერს ჩვენ ვინ გვაღირსებდა. ბეღურა ჩიტებივით გადმოვყურებდით ზემოდან, პარტერში მჯდომ მაღალსაზოგადოებას. ბინოკლით ვეძებდით ნაცნობებს.

გოგო–ბიჭები ერთად დავდიოდით, მე და თამარა, სანდრიკა და ნუნუ ერთად. ლელო (ქავთარაძე) თითქმის ყოველთვის ჩვენ შორის იჯდა.

ერთ ზაფხულს ბორჯომ–ბაღში ჩანჩქერთან გადავიღეთ სურათი. ლელო აქაც ჩვენ შუა არის წამოწოლილი. ეს მგონი ჩვენი დაქორწინების წელი იყო.

მე და შალიკო ხარაშვილი კარგა ხანს ვხატავდით ბილეთებს, რომლითაც თეატრში შევდიოდით. ეს კონტროლიორებმაც იცოდნენ. ბოლოს ვიღაცამ გაგვცა. ალბათ, იმ პირმა, ვისაც თეატრში მოხვედრა უჭირდა. ბილეთები ხელიდან გამოგვგლიჯეს.

ერთხელ, ძალიან გაგვიჭირდა თეატრში მოხვედრა. მე, შალიკო კილოსანიძე შევისვი მხრებზე. ამ დროს გაღებული ფანჯრიდან მეხანძრემ შალიკოს თავში ჩაარტყა. სალიკო მიწაზე გაიშხლართა.

ოპერის პირდაპირ ძმებ კაციტაძეებს საკონდიტრო ჰქონდათ, განთქმული „სლაიონი პერაჟკით“. სწორედ ამ „პერაჟკების“ ჭამაში შევეჯიბრეთ ერთმანეთს. ფინალში გავიდნენ შალიკო და ლიოვა ელიავა.

უკანასკნელი „პერაჟკი“ შალიკოს პირში შერჩა, ცუდად გახდა და ხელით მოგვიხდა მისი წაყვანა სახლში. სიცხეც კი მისცა (შეიძლება ლიოვამ მოწამლა) ბატონმა მიხეილმა ჩვენც ცხელი დღე დაგვაყენა.

თბილისში ჩხუბის შემთხვევებიც იყო. „ორიანტში“ ბოშა ქალს ეცეკვა. ციგანმა მეუღლემ იეჭვიანა და ჩხუბი ამიტეხა. ციგანი მაგრად ვცემე. მიწაზე დაეცა. რა ბედი ეწია ვერ გეტყვით. მე გავიპარე. ამის გარდა, კიდევ ორჯერ ვიჩხუბე.

ბორჯომში გალახული მყავს მშენებლობის ათისთავი ანდრეი გავრიკოსი, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა დედის გინება. ანდრეი საავადმყოფოში მოვათავსე. „პერედაჩები“ დამქონდა. ათისთავი გამოსწორდა. ყოველთვის ასე მომმართავდა – ირაკლი ვიქტოროვიჩ.

მცხეთაში, ტარიელას რესტორანში გაჩაღდა დიდი ჩხუბი (ისევ ქალის გამო, ეჭვიანობის ნიადაგზე). მაგრად შემომელახა თბილისის რომელიღაც რაიკომის მდივანი (ეროვნებით სომეხი). ჩხუბში გოგი ლომთათიძეც მონაწილეობდა. რაიკომის მდივანმა „პერედაჩებზე“ უარი თქვა. ჩემი დანახვისაც კი ეშინოდა.

ერთხელ, სრულიად უდანაშაულოდ, ვიღაც გამკას გულისთვის მეც მაგრამ მჟეჟეს. მეორე დღეს შევჩივლე ჟორა მელიას, რომელიც იმ დღეებში ისვენებდა. ვთხოვე ჩემი ჯავში ამოეყარა. ჟორამ სიამოვნებით შემისრულა თხოვნა და მეც მაყურებინა.

ერთხელ, თვითონ ჟორამ ატეხა ოპერის თეატრში ჩხუბი. ჩავვარდი გასაშველებლად. ჟორას გამოქანებული თავი მე „ვიგემე“. ახი იყო ჩემზე, რას ვერჩოდი.

* * *

გასაბჭოების პირველ წლებში თბილისის კომენდანტად ლადო აბაშიძე დაინიშნა. მისი რეზიდენცია კოლონებიანი ანტიკური სტილის შენობა, ახლანდელი სახელმწიფო მუზეუმის ადგილას იმყოფებოდა, პიონერთა სასახლის პირდაპირ. ლადო აბაშიძის გამოჩენა თეთრი ცხენივით ხიბლავდა თვალს.

იმ დროს თბილისი ეგზოტიკურ ქალაქად იყო აღიარებული. მხიარულ, კარგად ჩაცმულ ქართველთა შორის, თეატრის ფოიესა თუ რუსთაველის გამზირზე, ხშირად გამოჩნდებოდა ხოლმე არწივისებური გამომეტყველების კაცი.

თანამედროვე ტანსაცმელი კი არ ეცვა, არამედ სადა, მაგრამ მაინც სადღესასწაულო ჩოხა, წელზე კი ძველებური ქართული ხანჯალი ეკიდა. ეს გახლდათ კონსტანტინე გამსახურდია. მასაც გაუვლია ხანდახან ცხენით რუსთაველის პროსპექტზე. ვარძიის დირექტორად მუშაობის გამო, ბატონი კოწია ვარძიელს მეძახდა.

დიდი სიამოვნების გრძნობით ვიხსენებ, რომ თბილისში მისი კოშკური სახლის მშენებლობაში მეც გარკვეული წილი მიმიძღვის.

შრომის სკოლაში ყოფნისას ქსენია ჯუღელმა ჩამოაყალიბა მოსწავლეთა დრამწრე. დავდგით „პატარა კახი“, სადაც მე ვასრულებდი ლევან ქვაბულიძის როლს. ჩემმა თამაშმა მოწონება დაიმსახურა, რაც სკოლის გაზეთშიც აღნიშნეს.

სათავადაზაურო გიმნაზიაში გალობის მასწავლებლად გვყავდა ჯერ ზაქარია ფალიაშვილი, შემდეგ ია კარგარეთელი. მეორე შრომის სკოლაში ლიტერატურულ წრეს განაგებდა პეტრე მირიანაშვილი, რომელიც ჩემს წერილებს უკეთებდა რედაქციას და სკოლის გაზეთში ათავსებდა.

ჩემმა ვეფხისტყაოსნის რომელიღაც თემაზე დაწერილმა წერილმა ჯილდო დაიმსახურა.

თეატრით ვიყავი გატაცებული. ოპერის თეატრში, ალექსანდრე წუწუნავას რეჟისორობით, გაიმართა წარმოდგენა, იდგმებოდა გედევანიშვილის „მსხვერპლი“.

პირველ მოქმედებაში სცენა წარმოადგენს სოფლის პეიზაჟს. წინა პლანზე დუქანია, გარიჟრაჟია, შემოდიან გლეხები და მედუქნეს ესალმებიან, რომელსაც თამაშობდა ჩვენი სცენის კორიფე ვასო აბაშიძე.

პირველი გლეხი, რომელიც მედუქნეს ესალმება, მე ვიყავი. წარმოდგენას ესწრებოდნენ მამა და სოსო ასლანიშვილი, რომელმაც უმალვე ამომიცნო. მამა კი ვერაფრით დააჯერა. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი დებიუტი დიდ სცენაზე.

თბილისში ჩამოდის მეიერხოლდის თეატრი. მე და კოტიკა გედევანიშვილი სტატისტებად ვეწყობით. ერთ წარმოდგენაში მე და კოტიკას დაგვავალეს სცენაზე ხის ფარის გაწევ–გამოწევა. კოტიკას წაუცდა ფეხი და ფარი ჩამოგვექცა. ჩვენი ბედი, რომ მსახიობს არ დაეცა. ფარდა მგონი ჩამოუშვეს. ჩვენ ქუჩაში გავვარდით. თეატრში საერთოდ აღარ გამოვჩენილვართ.

ჩემი სამსახიობო კარიერის ასეთი „წარმატებებით“ გავთამამდი (თუმცა ლევან ქვაბულაძის როლი, ხომ კარგად შევასრულე).

კოტე მარჯანიშვილი იღებს ფილმს გოგი რატიანის და... შურა დადეშკელიანის მონაწილეობით.

კინოში მე გარკვეული გამოცდილება მქონდა. ეპიზოდურ როლებში მიღებდნენ ივანე პერესტიანი, ალექსანდრე წუწუნავა, შაქრო ბერიშვილი და სხვა. მაგრამ ეს კოტე მარჯანიშვილია.

ავუტყდი ბიძია პეტრეს, რომ მას წერილი მიეწერა ბატონი კოტესთვის.: ბიძია პეტრე ჯერ თავს იკავებდა, შემდეგ თხოვნა შემისრულა. წერილი ასე იწყებოდა – ჩემი კოტე, გიგზავნი ჩემს ძმისშვილს. წერილი ბატონ კოტეს წავუღე, რომელიც ძერჟინსკის ქუჩაზე ბიძია პეტიას სახლის ახლოს ცხოვრობდა.

ბატონმა კოტემ მიცნო – მე თქვენ არაერთხელ შემიმჩნევიხართ პეტრეს სახლის ფანჯარასთანო.

მეორე დღეს დიდი აღელვებით გამოვცხადდი კინოსტუდიაში ბატონ კოტესთან, რომელმაც გასცა განკარგულება ჩემთვის გაეკეთებინათ წვერ–ულვაშიანი პარიკი, ჩამოეცვათ ვიზიტკა, დაეხურებინათ ცილინდრი, ხელებზე თეთრი ხელთათმანები. ხელში ტროსტი. მე ასე გაშეშებული წარვდექი ბატონი კოტეს წინაშე. გარეგნულად მოვეწონე. გადაღებები დაიწყო. ბატონი კოტე ბობოქრობს. აქვე არიან კოტე მიქაბერიძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვა. ნატამ რომ დამინახა გაოცდა. მე დიმიტრის მივმართე – ასე ჩაცმული რომ გავიქცე რა მოხდება–მეთქი.

შენი ჯავრი არა მაქვს, მე თვითონ როგორ ვუშველო თავსო ამ სურათში დიმიტრიც იყო დაკავებული, როგორც ბატონმა კოტემ ამიხსნა, მე ვთამაშობ ექიმს. შევდივარ ავადმყოფის ბინაში. ტროსტს მივაყუდებ, პალტოს ვიხდი, ვიძრობ ხელთათმანებს და ვყრი ცილინდრში. მივდივარ ავადმყოფთან. გამოვკითხავ და ვიღებ ფონენდოსკოპს, ვიწყებ გასინჯვას. თითქოს არაფერია, მაგრამ ვის წინაშე ხარ, ავადმყოფთან ძლივს მივედი და ენა დამება, ლოგინზე დავეცი. ბატონმა კოტემ ბევრი იწვალა „დურბალაიც“ მიწოდა, მაგრამ ბიძია პეტიას ხათრით მაინც დამტოვა ექიმად ამ სურათში.

* * *

უშანგი ჩხეიძე რამდენიმე წელს ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა, აბაკელიას ქუჩაზე.

ვერ წარმოიდგენთ, ეს ჩემთვის რა ბედნიერება იყო. როგორ მომქონდა თავი, მედიდურად ვაცხადებდი – უშანგი ჩემი მეზობელია.

უშანგი ჩემზე ათი წლით უფროსი იყო. 18 წლისაც არ ვიყავი, როცა მისი ჰამლეტი ვნახე (რა თქმა უნდა, პრემიერაზე). სახლში გაოგნებული დავბრუნდი, მისმა ხმამ, თამაშმა და, რაც მთავარია თვალებმა, გამთენიამდე არ დამაძინა.

მე და უშანგის შორის გაცნობისთანავე მეგობრული განწყობილება დამყარდა. მე ვერ დავძლიე ჩემი თავი და მის მიმართ მორიდებული ვიყავი. უშანგი ამას გრძნობდა და ცდილობდა ჩვენ შორის უშუალო, უბრალო დამოკიდებულება ყოფილიყო.

უშანგიმ თავისას მიაღწია. მე მასთან შენობით დავიწყე ლაპარაკი. ესეც დიდი მიღწევა იყო ჩემთვის. მისი და ნინა კი ამას ვერ ბედავდა. თავის ძმას თქვენობით მიმართავდა.

მარჯანიშვილის თეატრში გადის ურიელ აკოსტა, პიერ კობახიძე ყოველი შემთხვევისთვის გამოწყობილია გრიმით ურიელის კოსტიუმში. დარბაზი ხალხით არის გადაჭედილი. წარმოდგენის დაწყებისას უშანგი არ მოვიდა. თეატრის დირექციამ გამონახა გამოსავალი. სინათლე გამორთეს.

რომელიღაც მსახიობთან ერთად უშანგის სახლში წავედით, როგორც მახსოვს, „სინათლე მოვიდა“ ორი საათის შემდეგ. პიერს მოუხდა თამაში.

ერთი ზაფხული (ეს მგონი, უკანასკნელი ზაფხული იყო უშანგისთვის) ბორჯომში გავატარეთ. უშანგისთან თბილისიდან დიდი საზოგადოება ჩამოდიოდა. მე მომიწია ფოტო–კორესპონდენტობა. ბევრ სურათს ვიღებდით. უშანგი გადავიღე აივანზე, ჩვეულ პოზაში, ჰამაკში წამოწოლილი, მომღიმარი სახით. ეს სურათი მის სახლ–მუზეუმშია გამოფენილი და დღესაც ამშვენებს ჩემს სამუშაო ოთახს.

ვასო გოძიაშვილი ჩემი კლასის ამხანაგი იყო სათავადაზნაურო გიმნაზიაში. ვინაიდან ვასო ყოველ კლასში რჩებოდა, მე მას დავეწიე და მგონი, გავასწარი კიდეც. აბა, ვასოს სწავლისთვის სად ეცალა. ის ბავშვობიდან სცენით იყო გატაცებული.

როგორღაც ისე გამოვიდა, რომ მე ვასოს ნათლიმამა გავხდი. რა თქმა უნდა, ეკლესიისა და მღვდლის გარეშე, ვასომ ახალშობილი გურამი მონათლა.

ალბათ, წარმოიდგენთ, მე და ვასოც როგორ „მოვინათლებოდით“ იმ დღეს. ვასოს შესახებ უფრო დაწვრილებით ვწერ ჩემს მოგონებებში.

გურამი ისე წამოიზარდა, რომ ვასო მას ვერ ნახულობდა. შევხვდი ვასოს და ვუსაყვედურე, შენ დაგავიწყდა ჩვენი ნათელ–მირონობა, გურამი რომ შეგხვდეს ვეღარ იცნობ (მანამდე კი ვასო ჩვენი ხშირი სტუმარი იყო).

ვასო იმ ხანებში ძალზე გადატვირთული იყო სცენაზე, ესტრადითაც გაერთო. დღედაღამ თეატრში იყო. ვასოს ვპატიჟებ სახლში გურამის გასაცნობად.

„შე ბემურაზო, რა კარგი აზრი მოგსვლია. თუ ძმა ხარ, დათოსაც დაუძახე, დიდი ხანია არ მინახავს“.

ვასო ავად გახდა. საავადმყოფოში დააწვინეს. მე დამაგვიანდა მისი ნახვა, გადმომცეს – ვასო გკითხულობსო.

სანახავად წასვლის წინ ტელეფონით დავრეკე. მიპასუხეს – ვასო გოძიაშვილი ეს წუთია გარდაიცვალაო...

* * *

თბილისს იმპორტული საქონლით, განსაკუთრებით ამერიკული ნაწარმით პავლიკა აბარევიჩი ამარაგებდა.

ასეთი კაცი სჭირდებოდა თბილისს, რომლის მოსახლეობასაც უყვარდა მოდურად, ელეგენტურად ჩაცმა. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ კოლია გვახარია და ალიკა მიქაძე. შეძლებისდაგვარად მეც ვცდილობდი მათ მიბაძვას.

პავლიკასგან ამერიკული ჯემპრი ვიყ იდე, ახალივით იყო. მეორე დღეს ვხვდები – ირკა, თვალები სად გქონდა მაგ ჯემპრს რომ ყიდულობდი, ეგ ჯემპრი მე გავცვითე და მერე შენთვის „გავიმეტეო“.

პავლიკა მიამბობს, თუ როგორ დაასაფლავა მამა: ნაყიდი კუბო დიდი გამოდგომია, გაუყიდია და ძალიან პატარა უყიდია. იძულებული იყო მიცვალებული მუხლმოკეცილი, მხართეძოზე წამოწოლილი ჩაეტენა კუბოში. მამას ასე უყვარდა ძილიო.

პავლიკას, როგორც „ტროცკისტს“, ათი წლით ასახლებენ თბილისიდან. გადასახლებიდან დაბრუნებისას ეწყობა საამშენებლო ტრესტში მომმარაგებლად. კირი, სილა და ცემენტი რა მისი საქმე იყო?

პავლიკას ოთხი ვაჟი ჰყავს, ყველა ქართული სახელებით. ერთი პავლიკამ სამხატვრო აკადემიაში მომაწყობინა. ძალით დამარეკინა. ჩემი დარეკვით ბიჭი ჩაირიცხა, თითქოს კულტურის მინისტრის განკარგულებით.

ამასწინათ პავლიკა შემხვდა და ისევ ირკა დამიძახა, გადამკოცნა...

* * *

ვიხსენებ ჩემს მეგობარს, ლაზარე ყაზაიშვილს. ჩვენ პოკერის სათამაშოდ ვიკრიბებოდით ვალიკო სოლოღაშვილთან. მალე ლაზარეც შემოგვიერთდა, პოკერიც მალე აითვისა, თან იმდენად კარგად, რომ ჩვენთან თამაშს აღარ კადრულობდა.

ლაზარეს ნარდის თამაშიც უყვარდა, დიმიტრი ყიფიანთან ვიმყოფებით, რომელიც მაშინ ფოტოგრაფ ჟვანიას მეზობლად ცხოვრობდა. ნარდს ვთამაშობთ. დიმიტრიმ მთელი ფული წააგო, წააგო ერთ–ერთი ცოლის მზითევი – ძველებური სარკიანი „შიფანერკა“. ლაზარემ კურტნიანი მუშებით „შიფანერკის“ წაღება დააპირა. ხელჩართული ბრძოლა შეიქნა. (ეს ხდება დღისით) ბოლოს შევათანხმე, რომ „შიფანერკა“ ღამე წაეღოთ.

ლაზარემ ჩემთანაც გაიმარჯვა. ფული, რომ გამომელია, საათი წამაძრო ხელიდან. შემდეგ, თამარას ხათრით, საათი თავისივე ხელით გამიკეთა მაჯაზე.

ლაზარეს დაკრძალვისას გიგა ლორთქიფანიძემ, რომელიც ჭირის სუფრას ხელმძღვანელობდა, თქვა – ძნელი წარმოსადგენია თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, ლაზარე ყაზაიშვილის გარეშეო. გიგა მართალი იყო.

* * *

ომის დაწყება არმაზში გავიგეთ, შევწყვიტეთ გათხრები და თბილისს მივაშურეთ. დამჯავშნეს. ზურგში დამტოვეს.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში კიდევ უფრო გაიშალა მუშაობა.

ჩამოყალიბდა „ოპოლჩენიის“ რაზმი. თოფების მაგივრად ხის კეტები დაგვირიგეს. ერთ–ერთი ჯგუფის მეთაურად ამირჩიეს. დაგვირიგეს აირწინაღები. სავარჯიშოდ კომკავშირის ხეივანში დავდიოდით.

ზოგს უჭირდა აირწინაღის ხმარება. ბატონი გიორგი ახვლედიანი განსაცდელში ჩავარდა. ძლივს ჩამოვხსენი აირწინაღი, რომელიც მგონი მაკრატლით გავჭერი.

ბატონმა გიორგიმ, ცოტა შეშინებულმა, მაგრამ ღიმილით, ჩვეული იუმორით მითხრა, – ბატონო ირაკლი! ამაზე მეტი შეიძლება ფრონტზეც არ მომსვლოდაო. გაგუდვას ძლივს გადამარჩინეო.

ერთმანეთისადმი დიდმა სიყვარულმა და პატივისცემამ გადამაწყვეტინა ამის გახსენება.

ინსტიტუტში მუშაობა უფრო მეტი შემართებით მიმდინარეობდა. მეტად საპასუხისმგებლო, სახიფათო ექსპედიცია მოეწყო დაღესტანში (კახეთსა და დაღესტანში ყაჩაღობა იყო), რაც ასევე აღწერილი მაქვს ჩემს მოგონებებში.

მეტად ნაყოფიერი ექსპედიცია გამოვიდა. უამრავი, მეტად საინტერესო ექსპონატები ჩამოვიტანეთ, მაგრამ ფეხებიც ძლივს ჩამოგვყვა.

აკადემიაში გაგვიჩინეს საზოგადოებრივი დატვირთვა, მე და ალიოშა რობაქიძეს დაგვევალა დახურულ გამანაწილებელს ჩავდგომოდით სათავეში. ჩვენდამი პატივისცემა კიდევ უფრო გაიზარდა. მუშაობას კარგად ვართმევდით თავს. უკმაყოფილო არავინ დაგვრჩენია. დახურულად ან მიკერძოებით არაფერს ვანაწილებდით. თუ „ვობლას“ მივიღებდით, ახალგაზრდებს შორის ვანაწილებდით. „ვობლა“ ხომ ლუდთან დელიკატესია. უფროსებს ამას ხომ არ ვკადრებდით.

ყარაიაში მიწის ნაკვეთები დაგვირიგეს. ვთესავდით სიმინდს, მაგრამ მოსავლის რა მოგახსენოთ. მე გამოვნახე გამოსავალი. მთელი ნაკვეთები თათრებს გადავეცი. მოსავლის ნახევარს პირნათლად ვიღებდით, თივასაც კი გვიყოფდნენ.

აკადემიაში შემოღებული იყო ღამის მორიგეობა (ზოგჯერ ქალებიც მორიგეობდნენ).

ერთი მორიგეობის დროს ვიქტორ კუპრაძე ძალიან გაიტაცა მუშაობამ. ბატონმა ვიქტორმა მთხოვა – არ შემეწუხებინა, ხელი არ შემეშალა მისთვის მუშაობაში.

ომის დაწყებისთანავე მოსკოვიდან ევაკუირებული იქნა სამხატვრო აკადემიური თეატრის წამყვანი მსახიობები. თბილისმა ამ საპატიო სტუმრებს გულღიად გაუღო კარი.

მათ შორის იყო ვლადიმერ ივანეს ძე კაჩალოვი.

განსაკუთრებული სითბოთი და სიყვარულით იყო განწყობილი თბილისისადმი ნემიროვიჩ–დანჩენკო. რამდენიმე ძვირფასი მოგონება აკავშირებდა მას ამ ქალაქთან.

გიმნაზია, პირველი გატაცება თეატრით, სცენისმოყვარულთა სპექტაკლები, მეგობრობა ა.ი. სუმბათაშვილთან, პირველი გამოსვლები მასთან ერთად სცენაზე.

ნემიროვიჩ–დანჩენკომ ინახულა გიმნაზია (ახლანდელი პირველი შრომის სკოლა რუსთაველის პროსპექტზე), სადაც იგი სწავლობდა.

ევაკუირებულთა შორის იმყოფებოდა ჩემი უკვე კარგი ნაცნობი, მწერალი ირაკლი ანდრონიკაშვილი.

მე გადავწყვიტე ორგანიზება გამეკეთებინა ირაკლის საღამოებისთვის საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სხდომათა დარბაზში.

ირაკლის საღამოები ტარდებოდა კვირაში ორჯერ. ყოველდღეც რომ გამემართა, დარბაზი მსურველებს ვერ დაიტევდა. ბილეთების ფასი დავაწესე – ათი მანეთი. ძალიან მიჭირდა ყველა მსურველის ბილეთით დაკმაყოფილება. მარტო ნიკო მუსხელიშვილის ბილეთებით მომარაგებას ვერ აუვედი.

ერთი სიტყვით, კარგი საქმე გავაკეთე. ირაკლისაც დავეხმარე და ხალხსაც ვასიამოვნე.

თამარა წერეთლის რეკომენდაციით დედას ერთი ოჯახი შევუსახლე – ცნობილი კონფერანსიე ევგენი მურადოვი მეუღლით. ძალიან დავმეგობრდით.

ევაკუირებულთა შორის თბილისში იყვნენ გიორგი მდივანი და მისი მეუღლე ტაისა სავა, რომლებიც დედას ხშირი სტუმრები იყვნენ.

სამამულო ომმა დაწყებისთანავე იმსხვერპლა ჩემი უახლოესი მეგობარი ვალიკო სოლოღაშვილი.

ომი დამთავრდა. თბილისი თანდათან შეუდგა ომისგან გამოწვეული ჭრილობების მოშუშებას. მშვიდობიან ცხოვრებას.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვიწყებ მუშაობას კინემატოგრაფიის კომიტეტის კაპიტალური მშენებლობის განყოფილების უფროსად,სადაც მეტად ნაყოფიერი გამოდგა ჩემი მუშაობა, როგორც თბილისისთვის, ისე მთელი საქართველოსთვის. ამ მუშაობას მთელი თავი მივუძღვენი ჩემს მოგონებებში. მუშაობაში დახმარების მაგივრად ხელს მიშლიდნენ.

პოკერის თამაშიც განვაახლეთ. ამჯერად, მამას უმცროსი მეგობრის და ჩემი უფროსი მეგობრის, ექიმ ზალიკო ხუსკივაძის ოჯახში ვიკრიბებოდით. კარგი შემადგენლობა იყო, ესენი იყვნენ: პეტია ბოკერია, ჟორა ჩიკვაიძე, ემანუელ აფხაიძე, ატუა ლორთქიფანიძე, მიშა საყვარელიძე, შალვა ბეჟუაშვილი, ოთარ ჩიჯავაძე.

ხუთი კაცი ვთამაშობდით. დანარჩენი მეტწილად ჩასაფრებულები იყვნენ, რათა შეეცვალათ „ტრავმირებული“ მოთამაშე. ესენი თითქმის ყველა ჩემზე უფროსები იყვნენ. ე.ი. მე, როგორც შედარებით ყველაზე ახალგაზრდას, მეტი „გოლები“ გამქონდა. ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და მართლაც კარგი „თავდამსხმელი“ ვიყავი. ჩემი „პლუსის“ ყველას ეშინოდა და უმალვე გარბოდნენ.

ზოგიერთი ჩემი მეგობარი სხვადასხვა დროს გახდა რეპრესიების მსხვერპლი.

მიჭირს მათი დასახელება. რეპრესიები მეც შემეხო, დაბოსთან ვიმყოფებოდი სოფელში, აქ ჩემი გაჩერება აღარ შეიძლებოდა, დაბომ ევაკუაცია გამიკეთა, დედასთან ბორჯომში გამაგზავნა. საჩხერიდან მატარებელში ერთი ახალგაზრდა ჩეკისტი გადამეკიდა, რომელსაც შორაპანთან დავუძვერი ხელიდან.

ხაშურში თბილისიდან ევაკუირებულ ვალიკო სოლოღაშვილს შევხვდი. შუაღამისას, ბორჯომში ჩასვლისას რუსმა პატრულებმა დაგვაპატიმრეს. მხოლოდ დილით გამოგვიშვეს, როდესაც დარწმუნდნენ, რომ ვალიკო ქაქუცა ჩოლოყაშვილი არ იყო.

დედამ რომ დამინახა, მომვარდა, გულში ჩამიკრა, თან ტიროდა და თან მკოცნიდა.

მამამ, ფოქსტროტისთვის რომ თავი დამენებებინა, ჟორჟიკას დახმარებით ასეთ ხერხს მიმართა, გოგი გუგუნავამ დამიბარა და დამემუქრა, ათი წლით გადაგასახლებო. თუმცა მერე დამიმეგობრდა და თვითონ გახდა ამ რეპრესიების მსხვერპლი. რუსთაველის თეატრიდან წაიყვანეს, სადაც დირექტორად მუშაობდა.

ჟორჟიკამ ეს რომ გამიმჟღავნა, ვუსაყვედურე მას: კი მაგრამ, ათი წლით გადასახლებას პარიზში გამგზავნე, არ ჯობია–მეთქი.

მამამ მიპასუხა, – ჟორჟიკა შენი დეიდაშვილია და ვენდეო. ჟორჟიკას ნდობა მართლა შეიძლებოდა, მათ ძალიან უყვარდა მამა.

ერთ სუფრაზე სტუმართა შორის ჩეკისტი აღმოჩნდა, რომელიც ჩემით „მოხიბლული“ სადღეგრძელოში მეუბნება: – შენ რა კაცი ყოფილხარ, აქამდე როგორ გადამირჩიო, თუმცა არც ახლა არის გვიანო. ამ დამუქრებამ ძალიან შემაშინა, მაგრამ მას ეს არ დასცალდა... თვითონ წაიყვანა უფალმა და სავარაუდოდ ჯოჯოხეთში გაამწესა.

საბოლოოდ კიდევ ერთი მეტად სევდიანი ამბავი უნდა გავიხსენო. მოსკოვში მოულოდნელად გარდაიცვალა ჩემი ყრმობის მეგობარი, ყველასთვის საყვარელი ადამიანი, საყვარელი მომღერალი, დაუვიწყარი დათიკო გამრეკელი.

ვინც მას იცნობდა და მისთვის მოუსმენია, არასდროს დაივიწყებს ამ შეუდარებელ მომღერალს. ვინც არ იცნობდა, არსებობს ტელევიზია, რადიო, გრამჩანაწერები.

დავით გამრეკელი მოსკოვიდან თბილისში გადმოასვენეს. დიდუბის პანთეონს ჩვენი ერის კიდევ ერთი საამაყო შვილი შეემატა.

დაკრძალვის შემდეგ დათიკოს მეგობრებმა და ახლობლებმა სუფრასთან მოვიყარეთ თავი.

გიგა ლორთქიფანიძეს გაუჭირდა, მაგრამ მაინც ჩინებულად გაუძღვა სამგლოვიარო სუფრას.

თბილისის დარჩენილი მკვიდრებისგან დიდი მადლობა გიგას, რომელსაც სცოდნია მათი დაფასება.

ფოქსტროტის „ეპიდემია“ თბილისში

დავით ნიკოლოზის ძე მაჭავარიანმა („ტუზიკა“) სალონური ცეკვები, ნოტების საშუალებით, ქალაქ ჭიათურაში შეისწავლა, სადაც შავი ქვის (მარგანეცი) კონცესიონერებად ამერიკელები მუშაობდნენ.

„ტუზიკა“ რომელიღაც ამერიკელს დაუკავშირდა და მისგან გადმოიწერა, როგორც ცეკვის, ისე ჯაზური მუსიკის ნოტები და მათ შესწავლას შეუდგა.

როგორც ცნობილია, თბილისი ყოველთვის მოდურ ქალაქად ითვლებოდა და ამაშიც როგორ ჩამორჩებოდა. ამ ცეკვის სწავლის უამრავი მსურველი გამოჩნდა, განურჩევლად წლოვანებისა, წარმოშობისა და მდგომარეობისა. დიდი თანამდებობის პირნი და პასუხისმგებელი მუშაკნი. მსურველთა რიცხვი დღითი დღე იზრდებოდა.

„ტუზიკა“ გარკვეულ ჯგუფებს ქმნიდა და ოჯახებში ამეცადინებდა. ჯგუფები ყველა თეატრში ჩამოყალიბდა და ცეკვის სწავლა მსახიობებისთვის სავალდებულო გახადეს.

ერთი ადამიანისთვის ამ საქმის გაძღოლა ძნელი აღმოჩნდა. „ტუზიკამ“ დამხმარე პირნი გაიჩინა, ერთ–ერთი მათგანი იყო გოგი ჭიჭინაძე, რომელიც მალე უცხოეთში გაემგზავრა.

მე, იმ დროს, ვალიკო სოლოღაშვილთან ვმეგობრობდი, რომელმაც ერთ დღეს გამიმხილა, რომ ცეკვებზე სიარული დაიწყო. ვალიკომ მართლაც მალე დაიწყო ჩინებულად ცეკვა. რამდენიმე დღის შემდეგ, „ტუზიკას“ მოთხოვნით, ვალიკომ მეც ჩამაბარა ამ საქმეში.

თავიდანვე უნდა გითხრათ და ნუ დამძრახავთ, მე ძალიან გამიტაცა ამ ცეკვებმა და მალე ჩემს მეგობარ ვალიკოს გავუტოლდი.

მე და ვალიკო „ტუზიკას“ ძირითადი დამხმარე პირნი გავხდით. ცეკვებით ჩვენც ძალიან გავერთეთ, ორივეს თავისებური მანერა გვქონდა და ორივე მოწონებას ვიმსახურებდით. ეს ყველაფერი ძალზე მომქანცველი იყო, მაგრამ არა მოსაბეზრებელი. აქ არ იყო მარტო ცეკვებით გართობა, ჩვენ კარგ საზოგადოებაში ვტრიალებდით (ამ სიტყვის პირდაპირი და არაპირდაპირი გაგებით), მათთან ახლობლობა გვქონდა, ხშირად ვმონაწილეობდით სხვადასხვა მეჯლისებში, რიგით ვახშმებსა და წვეულებებს ვერ ავუდიოდით. ზოგჯერ ვარჩევდით, სად წავსულიყავით. მიპატიჟებას წერილობითაც ვიღებდით.

რომელ ახალგაზრდას არ გაიტაცებს ეს? მაგრამ შეიძლება ჩვენ გადავაჭარბეთ, ძალზე დიდი დრო ვანაცვალეთ ამას.

გაკვეთილების ჩატარება ოჯახებში ხდებოდა, გარკვეულ ჯგუფებთან. ერთ–ერთ ჯგუფს განათლების კომისარ დავით კანდელაკის ოჯახში ვამეცადინებდით.

ბატონ დავითს მეუღლედ გერმანელი ქალი ჰყავდა. გამიჭირდება იმის თქმა, რომელი უფრო იყო ცეკვით გატაცებული.

ასევე ვიკრიბებოდით სახელოვან ქირურგ–უროლოგის ალეკო წულუკიძის ოჯახში, აქ დადიოდა გამოჩენილი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე.

ბატონი ანდრია ყოველთვის ძალზე სერიოზული იყო. ცეკვებით კი ძალზე გართული, მაგრამ წარმატებას ვერ აღწევდა.

ალეკო ბიძიას ცეკვის მიმართ გულგრილი იყო, მას გაკვეთილის დამთავრება ეჩქარებოდა, რომ მის გულუხვ, პურმარილიან სუფრას შემოვსხდომოდით და დათიკო გამრეკელის მომაჯადოებელი ხმით დავმტკბარიყავით. ალეკო ბიძიას მეუღლე, ცეკვების გარდა, არანაკლებ იყო გატაცებული ოპერით.

ასევე ვიკრიბებოდით ჩვენი დროის სახელოვანი ფსიქიატრის, პროფესორ მიხეილ ასათიანის ოჯახში.

ბატონი მიხეილის სტუმართა შორის ყოველთვის ისხდნენ სუფრასთან მისი პაციენტები, ქალი თუ კაცი. მათ შორის იყვნენ ერუდირებული, საინტერესო, კარგი მოსაუბრენი. მე მათ ვერიდებოდი – ვინ იცის, ვის რა მოეპრიანებოდა.

ერთხელ რაღაცაზე პოლემიკა გაიმართა, მეც გამოვთქვი ჩემი აზრი, ერთი ავადმყოფი ძალზე აგრესიულად შემეკამათა, ბოთლსაც წაავლო ხელი, უმალვე „გავიზიარე“ მისი აზრი და ყველაფერი დავუთმე, სუფრასაც სიამოვნებით დავთმობდი, მასპინძლებისთვის რომ არ გამეწია ანგარიში.

ბატონი მიხეილი უმალვე ჩაერთო ამ ინციდენტში და გვერდზე მჯდომი პაციენტი მოათვინიერა.

ვახშმის დამთავრების შემდეგ მის მეუღლეს გავუბედე და ვკითხე: – რა აუცილებელია ამ გიჟების სუფრაზე მოწვევა? მან მიპასუხა: – ეს, ბატონი მიხეილის მკურნალობის მეთოდიაო. მაგრამ ჩვენ რა დავაშავეთ? ბატონი მიხეილი მეტად საინტერესო პიროვნება, შესანიშნავი მოსაუბრე, ძალზე სიმპათიური ადამიანი იყო. თავისი მკურნალობის მეთოდებით ხშირად თავს საფრთხეში იგდებდა. ერთხელ, მეოთხე სართულზე, პაციენტებთან პალატაში შესულა, მათ ხელში ჩაიგდეს და ფანჯრიდან ეზოში ჩახტომა შესთავაზეს, თუ არ გადახტებოდა, მაშინ გადააგდებდნენ. ბატონი მიხეილი განსაცდელში ჩავარდა. მაგრამ გამოსავალი მოძებნა, უთხრა მათ, რომ ეს ძალიან იოლია, ბევრად ძნელია, ქვემოდან ფანჯარაში ამოხტომა, თუ გამიშვებთ, დაინახავთ როგორ გავაკეთებ ამასო. როგორც იქნა დაითანხმა პაციენტები და დაუძვრა ხელიდან.

ბატონი მიხეილი კიდევ ერთ შემთხვევას გვიამბობს: „ერთი პაციენტი ყველაფრისგან განვკურნე, მხოლოდ ერთი რამ აიკვიატა, კისერგაშეშებული დადიოდა, რათა არ გადავარდნილიყო ჩაიდანი, რომელიც თითქოს თავზე ედგა. ბოლოს გამოსავალი ვნახე; უკნიდან მივეპარე და ჩაიდანი წინ გადავუგდე. პაციენტი შეწუხდა, ნამტვრევები აკრიფა და დიდი გლოვის შემდეგ ამ „უბედურებას“ შეურიგდა და გამართულად და რიხიანად დაიწყო სიარული“.

ერთხელ საავადმყოფოს დასათვალიერებლად, ბატონ მიხეილთან, ჯანმრთელობის მინისტრი გრიგოლ კუჭაიძე მოვიდა. როგორც შემოვიდა (ეს არ უნდა გაეკეთებინა მხლებლების გარეშე), გიჟები შემოესიენ და დაუწყეს გამოკითხვა: რაზე მოვიდა? ვის სანახავად? ბატონ გრიგოლს უპასუხია – „როგორ თუ რაზე, მე ხომ ჯანმრთელობის მინისტრი ვარ და თქვენს სანახავად მოვედიო“. (კუჭაიძე შესახედავად დიდად წარმოსადეგი არ იყო, დაბალი და მსუქანი გახლდათ). გიჟებმა სტაცეს ხელი და ეუბნებიან: „ჩვენ ვიცით რაღაც მინისტრებიც ხარ, ჩვენც ასე გვეგონა ჩვენი თავი, როცა აქ მოვდიოდითო. წამოდი ჩვენთან და იქ გამოჩნდება შენი მინისტრობაო“. აიტაცეს ხელში და თავიანთ პალატაში შეაგდეს. ეს რომ ბატონმა მიხეილმა გაიგო, საგონებელში ჩავარდა. ბოლოს პალატაში შევარდა (სადაც მინისტრი ფეხქვეშ ჰყავდათ დაგდებული და სცემდნენ, უნდოდათ მინისტრობაზე ეთქმევინებინათ უარი) და თავის პაციენტებს ეუბნება: „რის მინისტრი, რა მინისტრი? მაგ კაცს დიდი ხანია აკვიატებული აქვს ეს. დადის და ყველას თავს მინისტრად აცნობს. ძალიან მიხარია, რომ თვითონ მოვიდა აქ, ჩამაბარეთ და მე ვუჩვენებ მაგას მინისტრობასო“.

ასე დაიხსნა ამხანაგი კუჭაიძე ბატონმა მიხეილმა. რამდენიმე ხნის შემდეგ ამხანაგი კუჭაიძე საავადმყოფოს მანქანით მოადგა, გიჟებმა ფანჯრებიდან გადმოიხედეს და ყვირილი მორთეს – „ნახეთ, ნახეთ, ეს კაცი მართლა მოურჩენია ჩვენს პროფესორს და მინისტრიც გაუხდიაო“.

სხვადასხვა ოჯახებშიც ვიკრიბებოდით. მარუნია აღნიაშვილის ხშირი სტუმრები ვიყავით (იმ ხანს ცკ მდივნის პეტრე აღნიაშვილის მეუღლე). ალექსანდრე (საშა) ჯაყელის ოჯახში (ბატონი ალექსანდრე იმ ხანებში ინგლისში იყო და აღარც დაბრუნებულა. უცხოეთში გარდაიცვალა). ჩვენი მასპინძელი მისი მეუღლე ქალბატონი ნინო იყო, რომელიც შვილებთან ერთად საკუთარ სახლში ცხოვრობდა (რუსთაველის პროსპექტზე, სადაც ახლა იმელის შენობა დგას). ერთხანს ამ სახლის პირველ სართულზე მამას საკუთარი აფთიაქი ჰქონდა.

აქაც დიდებული საზოგადოება იყრიდა თავს. ამ ოჯახის ხშირი სტუმრები იყვნენ ჩვენი ოჯახის ახლობლები: ლილია სვანიშვილი (შავი ქვის მრეწველის აკაკი სვანიშვილის მეუღლე), ლოლა გომართელი (სახელოვანი ექიმისა და საზოგადო მოღვაწის ივანე გომართელის მეუღლე). მათ ოთხი შვილი ჰყავდათ: თამარა, არჩილი, თინა და ირა. ჩემი თანატოლები და მეგობრები იყვნენ (პეროვსკაიას ქუჩაზე საკუთარ სახლში ცხოვრობდნენ). ჯერ კიდევ ბიძია ვანოს სიცოცხლეში, ლოლა შვილებთან ერთად საზღვარგარეთ წავიდა და აღარც დაბრუნებულან.

ასევე, უცხოეთში შვილებთან ერთად გადასახლდა ქალბატონი ნინო, თავის მეუღლესთან, ბატონ საშასთან.

რამდენიმე წლის წინათ სამშობლოში დაბრუნდა მათი ვაჟი, ოთარი, ოჯახით. ოთარი ახლა ჩემთან ერთად მუშაობს და იგონებს ჩემს მონაწილეობას მათ ოჯახში გამართულ მეჯლისებზე (მაშინ 9 წლის ყოფილა). სიტყვა მეჯლისი ოთარმა იხმარა. მეც სიამოვნებით ვხმარობ. კიდევ ბევრი ოჯახი იყო, არ ვიცი, რომელი ერთი ჩამოვთვალო.

„ტუზიკა“ მაჭავარიანი (საერთოდ, მე და ვალიკო ყოველთვის დავით ნიკოლაევიჩით მივმართავდით), როგორც ზემოთ მოგახსენეთ, თბილისში ამ ცეკვების დამნერგავი იყო, გარდა ამისა, ცნობილი ბალეტმეისტერი, ძირითადად მარჯანიშვილის თეატრში დგამდა, ბატონი კოტეს დიდი მეგობარი იყო, ისიც ძალიან აფასებდა და პატივს სცემდა მას.

ყველა სპექტაკლის ცეკვები, როგორც ექსცენტრული, ისე სამეჯლისო, „ტუზიკას“ დადგმული იყო (ხშირად სხვა თეატრებშიც დგამდა). მე და ვალიკო ამ შემთხვევაშიც მისი დამხმარეები ვიყავით. შემდეგ სპექტაკლში მონაწილე მსახიობებს უნდა განეხორციელებინათ სცენაზე ჩვენს მიერ დამუშავებული ცეკვები.

ერთ–ერთ სპექტაკლში „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“ (კოტე მარჯანიშვილის დადგმა), ერთი მოქმედება ღამის კაბარეში მიმდინარეობდა. ამ ცეკვებს რეპეტიციაზე ვალიკო მედეა ქორელთან, მე ივლიტა ჯორჯაძესთან ერთად ვამზადებდით.

ეს ცეკვები განსაკუთრებით სრულყოფილად და მისი გემოვნებით განახორციელა „ტუზიკამ“. შემდეგ შემოგვთავაზა, სცენაზე (პრემიერაზე მაინც) მედეას და ივლიტას პარტნიორები ვყოფილიყავით. ამ სპექტაკლს საზოგადოება განსაკუთრებული ინტერესით ელოდა. მე და ვალიკომ ბევრი ვიყოყმანეთ და ბოლოს მაინც უარი ვთქვით. ვერ გავბედეთ მაყურებლის წინაშე გამოსვლა. მგონი ცოტა ვაწყენინეთ ჩვენს მასწავლებელს.

როგორც დაინახეთ, ჩვენ ძალზე გაგვიტაცა ცეკვებმა. ჩვენი მშობლები, განსაკუთრებით მამები (ვალიკოს დედა აღარ ჰყავდა), დიდად ნასიამოვნები არ იყვნენ ჩვენი საქციელით, მაგრამ, რა ექნათ. იმას უცდიდნენ, რომ ჩვენ ეს მოგვბეზრდებოდა და ჭკუაზე მოვიდოდით, მაგრამ ცეკვისადმი ინტერესი და გატაცება არ ცხრებოდა, პირიქით, დღითი დღე ღვივდებოდა, როგორც ჩვენში, ისე ქალაქში.

რესტორან „ორიანტში“ წესად შემოვიდა: კვირაში ორჯერ, საღამოობით უკრავდა ჯაზი ნაუმ ელინის ხელმძღვანელობით. (მაგიდებს შორის ცეკვავდნენ).

პირველ საღამოს ცეკვები მე და ვალიკომ გავხსენით (რამდენადაც მახსოვს, მე პუსია მალჩანოვასთან ვცეკვავდი), რომ დავამთავრეთ, იგრიალა ტაშმა და შეძახილებმა.

ესტრადაზეც გვაცეკვეს. დარბაზი ყოველთვის გაჭედილი იყო. აქ მოხვედრა სულ ადვილიც არ იყო. ჩვენი მშობლების ნაცნობ–მეგობრებიც იყვნენ. კიდევ კარგი, რომ აქ მამას არასოდეს შეხვედრივარ.

სამხატვრო აკადემია

სანამ მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია გაიხსნებოდა, ხატვის სწავლა ვინმე სკლიფასოვსკისთან დავიწყე, რომელსაც თავისი საკუთარი სკოლა ჰქონდა სამხატვრო აკადემიის შენობაში.

ამავე სკოლაში წაყივანე სასწავლებლად პეტია ოცხელი, რომელსაც ხატვის დიდი ნიჭი აღმოაჩნდა (მომავალში სახელოვანი, თვალსაჩინო მხატვარი მარჯანიშვილის თეატრში). მე სკოლიდან მოსე თოიძის ახლად გახსნილ სტუდიაში გადავედი, სადაც ჩემი დროის ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდების მთელი პლეადა სწავლობდა, რომელთაგან ბევრი სახელოვანი მხატვარი გახდა.

მოსე თოიძემ ჩემში ხატვის დიდი ნიჭი შენიშნა და სწავლის გადასახადისგან გამანთავისუფლა. სტუდიის დამთავრების შემდეგ სამხატვრო აკადემიაში შევედი. დიდი წარმატებით ჩავაბარე გამოცდები ფერწერის ფაკულტეტზე. რატომღაც ხატვას არ გავყევი და თავი ქანდაკების ფაკულტეტზე მოვსინჯე, იაკობ ნიკოლაძესთან. ერთი წლის განმავლობაში რამდენიმე ნამუშევარი შევასრულე და ბატონი იაკობის მოწონება დავიმსახურე. შემდეგ არქიტექტურულ ფაკულტეტზე გადავედი და საბოლოოდ იქ

დავრჩი, თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი ფაკულტეტი პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გადაიყვანეს.

ბატონმა იაკობმა, რომელიც იმ დროს აკადემიის რექტორად ითვლებოდა, არც სულ ხუმრობით მითხრა: „ირაკლი, ჩვენთან გრაფიკის ფაკულტეტი იხსნება და ხომ არ დარჩები“?

აკადემიაში არქიტექტურულ ფაკულტეტზე გვასწავლიდნენ: კალგინი, ბრინევსკი, სევეროვი, მაჭავარიანი და სხვა ბრწყინვალე პროფესორები და პედაგოგები.

ჩვენი კურსიც ძალიან ძლიერი სტუდენტებით იყო სავსე. ჩვენ გვიყვარდა და ვაფასებდით ერთმანეთს. ამიტომ ძალიან გაგვიჭირდა დაშორება.

თეატრით გატაცება

თეატრით ბავშვობიდან ვიყავი გატაცებული, როგორც ჩანს, 14 წლისას არ ვყოფილვარ, რომ თეატრში სიარული დამიწყია.

კარგად მახსოვს კოტე მარჯანიშვილის პირველი დადგმა რუსთაველის თეატრში. ეს იყო „ცხვრის წყარო“. ამის შემდეგ, შეიძლება ითქვას, არც ერთი პრემიერა არ გამომიტოვებია რუსთაველის თეატრში, ასევე ოპერის თეატრშიც. თანდათან იზრდებოდა და ღრმავდებოდა თეატრისადმი ინტერესი და სიყვარული. მე არ მაკმაყოფილებდა ის, რომ მარტო მაყურებელი ვყოფილიყავი. სცენაზე თამაშის სურვილი აღმეძრა. არ ვიცი, ამის მონაცემები მქონდა თუ არა, მაგრამ მოწაფეობის დროს, „პატარა კახში“ ჩემმა ლევან ქვაბულაძის როლის შესრულებამ დიდი მოწონება დაიმსახურა. რა თქმა უნდა, მსახიობობას არ ვაპირებდი და ვერც გავბედავდი. უბრალოდ, თეატრთან ახლოს ყოფნა მინდოდა.

ერთხანს, თბილისში, ალექსანდრე წუწუნავას ხელმძღვანელობით, ძველი მსახიობებისგან შემდგარი დასი ჩამოყალიბდა. სპექტაკლები, ორშაბათობით ოპერის თეატრში იმართებოდა. მე ამ დასში სცენის მოყვარულად ჩავეწერე და დაკავებული ვიყავი გედევანიშვილის პიესაში „მსხვერპლი“.

სპექტაკლი ასე იწყებოდა, სოფლის პეიზაჟი, გარიჟრაჟი, დუქანთან ჩაივლიან გლეხები, რომლებიც მედუქნეს ესალმებიან (თამაშობდა ჩვენი სცენის კორიფე ვასო აბაშიძე), ერთ-ერთი გლეხი მე ვარ. თეატრში იმყოფებიან მამა და სოსო ასლანიშვილი, რომელმაც დანახვისთანავე მიცნო.

რამდენიმე დღის შემდეგ მხვდება სოსო და მეუბნება, რომ სცენაზე მიცნო, მამამ კი არაფრით დაიჯერაო. ეს იყო ჩემი პირველი და უკანასკნელი გამოსვლა წუწუნავას დასში.

საგასტროლოდ ჩამოსულ მეიერჰოლდის თეატრში რაღაც სპექტაკლში ვიყავი დკაავებული და ამით დამთავრდა ჩემი სამსახიობო კარიერა...

გუგული ბუხნიკაშვილის თეატრში, შოთა დედაბრიშვილთან ერთად, მხატვრად ვმუშაობდი.

კოტე მარჯანიშვილის დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი. როგორც ცნობილია, დიდმა რეჟისორმა თავისი ნიჭი კინოშიც გამოსცადა.

ერთ დროს ბატონი კოტე რაღაც საბავშვო სურათს იღებდა, რაშიც პატარა შურა დადეშქელიანს უნდა ეთამაშა (შემდგომში ცირკის ცნობილ მსახიობს, რომელიც უხელოდ დაიბადა).

ბიძია პეტრეს შევუჩნდი, დავაწერინე წერილი კოტესთან, რომ მე ამ სურათში სათამაშოდ ავეყვანე.

წერილი ბატონ კოტეს სახლში წავუღე. ყურადღებით წაიკითხა, დაკვირვებით ამათვალიერა და მეორე დღეს კინოსტუდიაში დამიბარა, სადაც მე უკვე შინაური კაცი ვიყავი, რადგან სხვადასხვა კინოსურათებში, მასიურ და ეპიზოდურ სცენებში ვმონაწილეობდი.

კინოსტუდიაში ბევრი ნაცნობი დამხვდა: ნატა ვაჩნაძე, კოტე მიქაბერიძე, დიმიტრი ყიფიანი და სხვა. მათ განვუცხადე, რომ გადაღებებზე ბატონ კოტეს მოწვევით მივედი. ისინი დაინტერესდნენ და დარჩნენ, რათა ეყურებინათ ჩემი გაჭირვებისთვის (ბატონი კოტე ძალიან მკაცრი და დაუნდობელი იყო, როგორც თეატრში, ასევე კინოში). მაშინ ვიგრძენი რა ხიფათში ჩავიგდე თავი.

ბატონმა კოტემ დამიძახა და ძალზე ალერსიანად ამიხსნა თუ რა მევალებოდა. ექიმის როლი მომანდო.

ასეთი ეპიზოდია: ექიმი პაციენტს აკითხავს ბინაზე, რეკავს ზარს, შედის, ცილინდრს მოიხდის, პალტოს გაიხდის, გაიძრობს თეთრ ხელთათმანს და გადის ბინიდან.

თითქოს არაფერია, მაგრამ ვის წინაშე აპირებ ამის გაკეთებას? გამომაწყვეს, გამიკეთეს გრიმი. გადაღებები დაიწყო, ბატონი კოტე ბობოქრობს, ლანძღავს მსახიობებს, რაღაც არ მოსწონს, ჩემი ეპიზოდი ახლოვდება... გაქცევაზე ვფიქრობ. დიმიტრი ყიფიანს მივმართავ (რომელიც ამ სურათშია დაკავებული), ბიჭო მიშველე (საერთოდ რა მინდოდა?). დიმიტრიმ უფრო შემაშინა: „თავი დამანებე, შენ რა გიშველო, მე ჩემს თავზე ვფიქრობ“. ჩვენი გადაღებები ერთად დაიწყო. მე საერთოდ დავკარგე გონება, არ ვიცი სად ვარ, რისთვის ვარ და რა უნდა გავაკეთო?.. მუხლები მიკანკალებს, აღარ მახსოვს მივედი, თუ მიმიყვანეს ავადმყოფთან... რაღაცას ვბოდავ... ავადმყოფს რა უნდა ვუშველო, როდესაც თვითონ ვარ საშველი. ავადმყოფს რა ენაღვლება? მე კი ნამდვილად სიცხე მაქვს...

ბატონმა კოტემ შეწყვიტა გადაღება და მთხოვა, დაწყნარდიო. ვიღაცას გაეხუმრა: „ამას თვითონ სჭირდება ექიმიო“. მე მინდა დავუჩოქო და ვთხოვო, საერთოდ გამანთავისუფლოს, ვერ ვბედავ ამის თქმას, მრცხვენია. თავი ხელში ავიყვანე. დაიწყო ხელმეორე გადაღება. ბატონმა კოტემ ყოველგვარი ყვირილის გარეშე, დიდი დროის

ხარჯზე, (სხვა ხერხს მიმართა) ყველაფერი ისე გამაკეთებინა, როგორც მას უნდოდა (ეტყობა, ბიძია პეტიას გაუწია ანგარიში).

როგორც მოგახსენეთ, მე და ჩემი მეგობრები პრემიერას არ ვტოვებდით. ერთხელ ძალიან გაგვიჭირდა ოპერაში მოხვედრა (რომელიღაც ოპერაში ერთად მღეროდნენ, იმ დროის საოპერო სცენის დიდი ოსტატები: სტეპანოვა, მიგაი და კოზლოვსკი), თეატრთან რაღაც საშინელება ხდებოდა. სხვა რომ ვერაფერი მოვიფიქრე, სალიკო კილოსანიძე შევისვი მხრებზე და ისე შევაძვრინე მეორე სართულის ფანჯარაში, შემდეგ მეც ავბობღდი.

ერთხელ, რეზო მონასელიძის სახლში ვართ შეკრებილნი, რუსთაველის თეატრში პრემიერაა. ბილეთი არც ერთს არ გვაქვს. რეზოსთან სტუმრად არის სტალინის შვილი, რეზოს დეიდაშვილი - იაკობი (იაშა). ყველას ძალიან გვინდა თეატრში წასვლა. იაშამაც გამოთქვა ამის სურვილი. მე შევთავაზე, იმ იმედით წავსულიყავით, რომ თეატრთან ვიშოვიდით ბილეთებს (იაშა ძალიან მოკრძალებული ყმაწვილი იყო). თეატრთან რომ მივედით, კონტროლიორს საშა ახმეტელთან შესვლა ვთხოვე. კაბინეტში საშას ვუთხარი, რომ უბილეთოდ დავრჩით და ჩვენთან ერთად არის სტალინის შვილი იაშა.

საშა წამოდგა, გამომყვა. იაშას გამოეცნაურა და ყველანი შეგვიყვანა. სპექტაკლი დაწყებული იყო. დირექციის ლოჟა, რომელიც დაკავებული იყო, გაანთავისუფლებინა და ყველანი მოგვათავსა. იაშა შუაში ჩავისვით. ანტრაქტზე იაშას ვუთხარი, რომ მან დიდი პატივი გვცა და გაგვიადვილა ამ სპექტაკლზე დასწრება. იაშა ბევრ საინტერესოს გვიამბობდა თავის არც ისე დალხენილ ცხოვრებაზე.

ძალიან უმადლოდა სერგო ორჯონიკიძეს, რომელიც მის მიმართ დიდ მზრუნველობას იჩენდა, ასევე მადლობას გამოთქვამდა ნადეჟდა ალილუევას მიმართ.

იაშა იხსენებდა: - ერთხელ ნადიამ შენიშნა, რომ ფეხზე დაგლეჯილი ფეხსაცმელი მეცვა, მამაჩემის ნახმარი ჩექმა გამომიტანა და მისაჩუქრა. მამას ეს რომ გაუგია ძალიან განრისხებულა მეუღლეზე და უთქვამს: „შენ ხომ იცი, რომ ეგ ჩექმა ჩემი პირველი ხელფასით მაქვს ნაყიდი, ძალიან მიყვარს, ამიტომ აუცილებლად დააბრუნებინე უკან“ (კი მაგრამ, მაგ სულგანათლებულს თავისი შვილი არ უყვარდა?). მაგრამ სად ეცალა მისთვის? რუსეთს ხომ უნდოდა მოვლა-პატრონობა და უპატრონა კიდეც. საერთოდ განადგურებისგან იხსნა, მაგრამ ვინ დაგიფასა? ამის შესახებ ისტორიამ უნდა თქვას თავისი სიტყვა, ობიექტურად, სამართლიანად უნდა თქვას მისი ავი და კარგი. სხვანაირად არ შეიძლება. ის, უდაოდ, ამის ღირსია. ეს, სიტყვამ მოიტანა. ისევ თეატრს დავუბრუნდეთ.

თეატრის სიყვარულმა ჩემს თანატოლ საყვარელ მსახიობებთან დამაახლოვა, რომლებიც ჩემი და თამარას მეგობრობები გახდნენ. ესენი იყვნენ: უშანგი ჩხეიძე, ვასო გოძიაშვილი, ვანო ლაღიძე, ვანიკო აბაშიძე, სტეფანე (სტეპკო) ჯაფარიძე, გიორგი საღარაძე, ლაზარე ყაზაიშვილი, პიერ კობახიძე, კაკო კვანტალიანი, ელგუჯა ლორთქიფანიძე. აქედან, განსაკუთრებით მინდა გამოვყო ვასო გოძიაშვილი, რომელთანაც მე ჯერ კიდევ სათავადაზნაურო გიმნაზია მაკავშირებდა. ვასო

დაახლოებით ორი წლით იყო ჩემზე უფროსი, იმდენჯერ დარჩა კლასში, რომ მე დავეწიე და გადავასწარი კიდეც. აბა, ვასოს სად ეცალა სწავლისთვის, ის დიდი ნიჭით იყო დაჯილდოებული. იმისთვის იყო დაბადებული, რომ დიდი მსახიობი გამხდარიყო, ასეც მოხდა. განუმეორებელი იყო. ჩვენ ძალიან გვიყვარდა ერთმანეთი. ერთხელ ვუსაყვედურე: „ერთხელ მოდი და ნახე შენი ნათლული“, ამაზე მიპასუხა: „ძალიან კარგი, აუცილებლად მოვალ და თუ ძმა ხარ, ბარემ, დათოც მაჩვენეო“. არიან ადამიანები, რომლებსაც, ალბათ, ზოგი რამ, უნდა აპატიო.

უშანგი ჩხეიძე სიცოცხლის უკანასკნელ წლებში ჩემს მეზობლად ცხოვრობდა. რამაც კიდევ უფრო განაპირობა ჩვენი დაახლოება. ისიც რამდენიმე წლით იყო ჩემზე უფროსი, ძალიან მიყვარდა და მოჯადოებული ვიყავი მისი სამსახიობო ოსტატობით. პირველად, ჰამლეტის როლში რომ ვნახე, არ ვიცი რა მოხდა ჩემში, რადგან მთელი ღამე ვერ დავიძინე. უშანგი იყო მოვლენა, რომელმაც, როგორც ამბობდნენ, მეტეორივით ჩაიქროლა სცენაზე და უაღრესად დიდი კვალი დატოვა.

გატაცებული და მოხიბლული ვიყავი აკაკი ვასაძის თამაშით, რომელიც ასევე დიდ მსახიობად არის აღიარებული. ამის დამადასტურებელია მის მიერ შესრულებული და განსახიერებული სახეები, რომლებიც უდავოდ შეიძლება შედევრებად ჩაითვალოს. განსაკუთრებით მიტაცებდა მისი ფრანც გიომი (შილერის „ყაჩაღები“), კლავდიუსი (შექსპირის „ჰამლეტი“).

როგორღაც დავესწარი აკაკის 60 წლის იუბილეს ქუთაისში, სადაც იმ დროს მოღვაწეობდა.

შესანიშნავი ზეიმი გაიმართა. სუფრაზე დიდი მოლხენა იყო, კარლო კალაძე თამადობდა, რომელმაც განსაკუთრებულად, ჩვეული ოსტატობით ჩაატარა სუფრა. როგორც ერთ-ერთმა რიგითმა თეატრის მოყვარულმა, მოვისურვე სიტყვით მიმემართა იუბილარისთვის.

გავკადნიერდები და ვიტყვი, რომ სიტყვა იმდენჯერ მარჯვედ და გულწრფელად გამომივიდა, რომ იუბილარმა დამასწრო და მადლობის ნიშნად გადამეხვია და მაკოცა.

ოპერის მსახიობებიდან ვანო სარაჯიშვილი მახსოვს, აბესალომის პარტიაში. ასევე კარგად მახსოვს მისი დაკრძალვა. ეს დიდი საერთო გლოვა. კარგად მახსოვს, მაროს ტირილი პოპოვას შესრულებით, ოპერის თეატრის აივნიდან. ეს იყო 1924 წელს. მოხიბლული ვიყავი სანდრო ინაშვილის სიმღერით და გარეგნობით.

რაც შეეხება დავით გამრეკელს, მე რა უნდა ვთქვა? მიჭირს მეგობარზე ლაპარაკი, რომელმაც ახლახან სამუდამოდ მიგვატოვა. მეგობრებმა და მთელმა ქართველმა საზოგადოებამ გულმხურვალედ დავიტირეთ ჩვენი საყვარელი დათიკო, რომელიც მოსკოვიდან ჩამოასვენეს და დიდუბის პანთეონში მივაბარეთ სამშობლოს მიწას.

უბრალოდ, მინდოდა, ძალზე მოკლედ, რამდენიმე სიტყვა მეთქვა ჩემს დამოკიდებულებაზე თეატრთან, ამიტომ გავიხსენე ჩემი საყვარელი მსახიობები. თხრობა შეიძლება გაგრძელებულიყო, გასახსენებელიც ბევრი მაქვს, მაგრამ, ეს შორს წაგვიყვანს.

მე და ცირკი

ვიზიარებ ნათქვამს, რომ არ შეიძლება ცირკი არ გიყვარდეს. ყოველ შემთხვევაში, ჩემი აზრით, არ შეიძლება ცირკისადმი გულგრილი იყო. სინამდვილეში, ეს ალბათ, ეს ასე არ არის.

მე კი, ბავშვობიდან, განსაკუთრებით შემიყვარდა ცირკი. არ ვიცი, რით ავხსნა ის, რომ თბილისში ერთხანს, ერთდროულად სამი მოქმედი ცირკი იყო.

ეს იყო: „ნიკიტინის ცირკი“ რუსთაველის პროსპექტზე, ახლანდელი „ზარია ვოსტოკას“ შენობის ადგილას (რომელიც შემდეგში დაიწვა), ეიმოვის ცირკი პლეხანოვის პროსპექტზე, ახლანდელი რკინიგზის კულტურის სახლის ადგილას, ძმები ესიკოვსკების ცირკი, ვერის დაღმართზე, მტკვრის ნაპირად (რომელიც ქალაქს ახალი ცირკის აშენებამდე შემორჩა). ერთხანს საკუთარი ცირკი ჰქონდა ვინმე გამყრელიძეს, პასტერის ქუჩაზე.

ამ დროს მოსკოვში ერთადერთი ცირკი იყო, „ცვეტნოი ბულვარზე“, ხოლო მეორე ცირკი ახლახანს აშენდა („ლენინსკიე გორი“).

ამჟამად, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებში არ არის ქალაქი, რომ ცირკი არ იყოს. მათი საერთო რაოდენობა კი ბევრად აღემატება ევროპაში და ამერიკაში არსებულ ცირკებს. არიან ისეთი სახელმწიფოები, სადაც დღემდე არ არის ცირკი.

ცირკი საერთაშორისო მოვლენაა და ჯერჯერობით დაუდგენელია თუ სახელდობრ რომელ მხარეში წარმოიშვა იგი პირველად.

თავისებური ცირკი, გართობა-სანახაობები თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობდა. მაგალითად, საქართველოში ძველთაგანვე გავრცელებული იყო ყაზახი, ბერიკაობა, ყეენობა, ჩოგბურთი, ჯირითი და სხვა.

ჩემი დროის ცირკი, ძმებ ესიკოვსკების მიერ, ვერის დაღმართზე იყო აშენებული. საბჭოთა პერიოდში ამ ცირკს რომან გამსახურდია განაგებდა, ხოლო შემდეგ ძმები ტანტები.

ცირკმა და მისმა ხელოვნებამ განსაკუთრებით იმ პერიოდში გამიტაცა, როდესაც მის მანეჟზე ფრანგული ჭიდაობის ჩემპიონატი იმართებოდა, რაც თბილისში დიდ აჟიოტაჟს ქმნიდა.

იმდროინდელი მოწინავე საზოგადოებიდან ვის არ ნახავდით აქ. ხშირი სტუმრები იყვნენ: მამაჩემი, იურისტებიდან - ბიძია პეტია, შალვა მესხიშვილი, ოსიკო ბარათაშვილი და ბევრი სხვა. მწერლებიდან: პაოლო იაშვილი, ტიციან ტაბიძე, და სხვა რამდენი ერთი ჩამოვთვალო.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ერთი სეზონის ჩემპიონატი, მასში მონაწილეობდნენ ისეთი სახელოვანი ფალავნები, როგორც: ივანე ჰოდდუბნი, კლიმენტი ბული, ალბერტ რააგო, კონრად პლიჩი („კრასნაია მასკა“), პავლე ზაგორუიკო, შულცი, ჩვენი გოლიათი, სანდრო კანდელაკი, მიშიკო მაჩაბელი და სხვა.

ცირკში მოხვედრა ძალიან ძნელი იყო, რა თქმა უნდა, მეც მიჭირდა, მაგრამ ყოველთვის ვახერხებდი, ხშირად დავყავდი ჟორჟიკას, რომელსაც იმ დროს რესპუბლიკის მილიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის პოსტი ეჭირა.

განსაკუთრებით დიდ ინტერესს იწვევდა ბული და პლიჩის ჭიდაობა, ჩემპიონატი პირველობაზე.

ბული სახელმოხვეჭილ ფალავნად ითვლებოდა, მაგრამ მას არც პლიჩი ჩამოუვარდებოდა, რომელიც მე უფრო მომწონდა. პლიჩი როგორღაც გავიცანი, ჭიდაობის დამთავრების შემდეგ ხშირად ვუცდიდი და სახლამდე ვაცილებდი (კალინინის ქუჩაზე ცხოვრობდა), ვერის ხიდს რომ მივუახლოვდებოდით, ნიღაბს იხსნიდა და ისე ვაგრძელებდით გზას. წარმოშობით ლატვიელი იყო, რუსულად გაჭირვებით ლაპარაკობდა.

ცირკის დახურვის უკანასკნელი დღეებია. ბულის და პლიცჩის ფინალური შეხვედრები მიმდინარეობს, ჩემპიონატის პირველობაზე. მე და ჟორჟიკა პირველ რიგში ვართ გამოჭიმული, კლიმენტი ბულის პლიჩის მიმართ სპორტულად რაღაც დაუშვებელმა ხერხმა, გამაბრაზა და მანეჟზე გადავხტი, არ ვიცი, რას ვაპირებდი?.. ჟორამ ძლივს გამომათრია და გვერდით მომისვა.

ერთ საღამოს, ჭიდაობის მსვლელობისას, გადმოვიდა ვიღაც მოჭიდავე, შავი ნიღბით და გამოუცხადა არბიტრს, რომ ის პლიჩს შეჯიბრში იწვევს.

მეორე დრეს აფიშები მათ შეხვედრას გავუწყებდა. ბილეთის შოვნა ძალიან გამიჭირდა. ჩემი ნაცნობი შუშების ჩამსმელი შემხვდა („სტეკოლშჩიკი“), ყოფილი მოჭიდავე, რომელმაც ბილეთი მაჩუქა.

ცირკი ისევ გაჭედილია ხალხით. წითელი და შავნიღბიანი მოჭიდავენი ერთმანეთს ეტაკნენ. პლიჩმა თავიდან საყვარელი ილეთით (ბრარულე) მაშინვე დააზღნართა მიწაზე მეტოქე. გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ლაჩრულად დამარცხებული „სტეკოლშჩიკი“ ლიტოვჩენკო ვიხილე.

ჯერი ჩვენს სახელოვან გოლიათ სანდრო კანდელაკზე დადგა. იმ დღეს განსაკუთრებული მძვინვარებაა. ჩვენი გილიათი მანეჟზე ფეხშიშველი გამოვიდა. სანდრომ პლიჩს სანდრო ქვეშ მოიგდო, რომელსაც „მოსტი“-ს გაკეთება დასჭირდა. პლიჩმა „მოსტი“ ჩაანგრია, სანდრო უშნოდ გაიშხლართა მიწაზე.

როდესაც ცირკიდან გამოვდიოდით პაოლო იაშვილმა მიმართა სანდროს: „შე კაცო, როგორ შეგვარცხვინე, მოხდენილად მაინც „დამარცხებულიყავიო“. ამაზე სანდრომ უპასუხა: „რას იზამ? სამაგიეროდ ერთ ფურ-კამეჩს ვიყიდიო“.

ცირკის დახურვის დღეა. ბულის და პლიჩის გადამწყვეტი შეხვედრაა. საბოლოოდ უნდა გამოვლინდეს გამარჯვებული.

ისევ ეძგერნენ ერთმანეთს ორი ბრწყინვალე ათლეტი. ძალზე ვღელავ, თითქოს ვგრძნობ, რომ რაღაც უნდა მოხდეს, ვერ მოისვენებს ცირკის დირექცია, რომ კიდევ რაიმე არ ჩაიდინოს ხალხის მოსაზიდად.

ჭიდაობა კარგა ხანს გაგრძელდა. დაკვირვებით ვადევნებ თვალყურს მათ ყოველ ილეთს.

ამ დროს ბული, ხალხისგან შეუმჩნევლად, ხელზე კანიფოლს იყრის და პლიჩს თავით წამოიკიდებს. დაუშვებელი ხერხით აღწევს „გამარჯვებას“.

ხალხში საშინელი ყვირილი ატყდა. მე განსაკუთრებით ვღრიალებ. პროტესტის ნიშნად გავიძახით: რომ ეს იშკილია. ცირკს, როგორც ყოველთვის, რესპუბლიკის მილიციის უფროსი ხმალაძე ესწრება. (რომლის დანახვა საერთოდ თავზარდამცემი იყო). ჩემს პირდაპირ ლოჟაში იჯდა მეუღლესთან ერთად (წარსულში მოჭიდავე ქალთანი). ხმალაძე, თავის მოადგილეს, შალვა კიღურაძეს ავალებს ჩემს დაპატიმრებას. მილიციაში მაგზავნიან დილით, ჩემი ადმინისტრაციული წესით დასჯას დაჯერდნენ. რაც ხუთი მანეთით დაჯარიმებას გულისხმობდა. მეორე დღეს სიმონ ხმალაძესთან მომიხდა წასვლა, რათა ეპატიებინა ჯარიმა.

როდესაც მან ჩემი ვინაობა დაადგინა, პატიების ნაცვლად, ყურმილი აიღო და ინსტიტუტში დარეკვა გადაწყვიტა, რათა ხულიგნური საქციელისთვის გავერიცხე. ბოლოს შეიწყნარა ჩემი თხოვნა. პირობა ჩამომართვა, რომ წესიერად მოვიქცეოდი და ცირკში სიარულის ნებაც დამრთო. ეს ძალზე უხეში და დაუნდობელი ადამიანი ჩემს მიმართ კეთილად განეწყო. ალბათ, სადღაც გამიგო. თვითონაც არანაკლები „ბალელშჩიკი“ იყო. მას ხომ მეუღლეც მოჭიდავე ჰყავდა (რომელიც ამავე ცირკში ჭიდაობდა), რომელსაც იმდენად მოუხიბლავს ჭიდაობით, რომ ცოლადაც შეურთავს.

ცირკის ხელმძღვანელები იყვნენ ძმები ტანტები, ლეო და კონსტანტინე. ეს ორი მსახიობი განსაკუთრებით მომწონდა. განუმეორებელი კლოუნები, დონატო და ალფონსო, ულამაზესი ღერძზე ტანმოვარჯიშეები ალექსანდრე შირაი და მისი მეუღლე მარია, გასაოცარი და ძალზე ორიგინალური კლოუნი ალექსანდრე ცხომელიძე თავისი ფინია ძაღლით, ბუფონადური კლოუნები, ჟაკონი და ანჟელო, დები კოხები, სახელოვანი კლოუნი ვლადიმერ დუროვი, თავისი ცხოველებით და რკინიგზით, მოჯირითე ცხენები, ბაგრი კუკუ (ზანგი) და მისი მეუღლე ანეტა პერვილი, ველოსიპედისტები ჰოლდი, აკრობატები მანიონი, ილუზიონისტი კიო და სხვა.

მიუხედავად საბჭოთა ცირკის დიდი წარმატებისა, ასეთ მსახიობებს ვეღარ ვხედავ.

ერთ ოჯახში გავიცანი დონატო. მისი პატარა, რაღაც უნიკალური ჯიშის ძაღლი აქაც გაოცებას იწვევდა.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ იგი მხოლოდ ლაპარაკს ვერ ახერხებდა, ისე კი, თავისი პატრონის ყველა სიტყვა ესმოდა და ყველა მოთხოვნილებასა და სურვილს

უსრულებდა. შუაღამისას დონატო თავის სახლამდე მივაცილე. ძლივს დავცილდით ერთმანეთს. (ძაღლის სახელს ვერ ვიხსენებ). რამდენიმე დღის შემდეგ ისევ ცირკში ვარ.

დონატო მანეჟზე გამოდიოდა, როგორც კლოუნი, თავის პარტნიორ ანატოლისთან ერთად. აგრეთვე, როგორც ერთ-ერთი ბრწყინვალე მონაწილე საჰაერო ტანმოვარჯიშეების ოთხი ეშმაკის ატრაქციონში.

იმ საღამოს ვერ ვიცანი, ძალზე სევდიანი იყო, მაგრამ რა ექნა, იგი ხომ კლოუნი იყო და თავს ძალას ატანდა. წარმოდგენის დამთავრების შემდეგ მასთან კულისებში შევედი. საზარელი ამბავი მიამბო, მე რომ სახლთან დავემშვიდობე, ის ძაღლით ხელში ადიოდა კიბეზე, ფეხი დაუცურდა, დაბარბაცდა და დაგორდა, ძაღლი ქვეშ მოიყოლა, რომელიც თავისი აღმზრდელისა და პატრონის მსხვერპლი გახდა. ერთად წამოვედით. რესტორან „ჟიზნში“ შევედით, ბევრი ვიტირეთ. დანაღვლიანებულნი დავშორდით ერთმანეთს.

ოდესაში ყოფნის დროს, ლეო ტანტე და მისი მეუღლე ოლია ვინახულე, ისინი ქალაქის განაპირას, ცირკის პენსიონერ მსახიობთა სახლში ცხოვრობდნენ.

მომდევნო წელს მისგან წერილს ვიღებ, სადაც მთხოვს, დავესწრო მისი 75 წლის დაბადების აღსანიშნავ იუბილეს. მე და თამარა წავედით. ზეიმი აღნიშნულ აგარაკზე ბაღებში იყო. ძირითადად ცირკის ხელმძღვანელები და სახელოვანი მსახიობები ესწრებოდნენ. ამ დაუვიწყარ დღეს, მე ჩემს სტიქიაში ვიყავი.

საქართველოს სამუზეუმო კოლექციების ჩამოტანა პარიზიდან თბილისში

როგორც ცნობილია, 1921 წელს, საქართველოს სამუზეუმო კოლექციები სხვადასხვა მუზეუმებიდან და საცავებიდან, მენშევიკური მთავრობის მიერ, ევაკუირებულ იქნა საზღვარგარეთ.

როდესაც ყოფილი მენშევიკური მთავრობა ჩავიდა საფრანგეთში, სამუზეუმო კოლექციები ჩააბარეს საფრანგეთის მარსელის ბანკის განყოფილებას. 39 შეფუთული ყუთი, სადაც 1935 წლამდე ინახებოდა.

ყოფილი მთავრობის „ლეგაციი“-ს შემდეგ მთელი ქონება გადატანილი იქნა პარიზში, სადაც ყუთები გააღეს. კოლექციები დახსნეს და დასაცავად ჩააბარეს სპეციალურად დანიშნულ ფრანგ ჩინოვნიკს. საფრანგეთის ხელისუფლებამ სამუზეუმო კოლექციები უპატრონო ქონებად გამოაცხადა. აი, სწორედ ამის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილმა ატეხა განგაში და წერილების გზავნა საქართველოში, როგორც ბიძია სერიოჟამ მიამბო, სტალინმა ჩემი თანდასწრებით დაითანხმა დე გოლი, რათა მთელი სამუზეუმო ქონება დაბრუნებულიყო სამშობლოში, საქართველოში. ამის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებას დაევალა: შეერჩიათ კაცი აღნიშნული განძის წამოსაღებად საქართველოში. საქ. კომ. ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა

გასაგზავნი პირის კანდიდატთა სია, ეს მეტად საპატიო მისია შალვა ამირანაშვილს დაევალა.

(კანდიდატთა სიაში საქ. საზ. მუზეუმიდან წარდგენილი ვიყავით მე და დავით კაპანაძე) შალვა ამირანაშვილი პარიზში გაემგზავრა და იქიდან, ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, განძი ორი თვითმფრინავით თბილისში ჩამოიტანა.

ექვთიმე თაყაიშვილს ბატონმა შალვამ სათითაოდ გააცნო მუზეუმის ახალგაზრდა ხელმძღვანელები და მუშაკები. ძალზე ამაღელვებელი იყო, როდესაც ბატონმა ექვთიმემ სათითაოდ გამოგვკითხა ვინაობა და გადაგვკოცნა. ყველას ცრემლი ჩამოსდიოდა.

მოკლედ გვიამბო პარიზში მყოფი ქართველი ემიგრანტების ამბავი, ძალზე საინტერესო ამბავი მოგვაწოდა მათზე. ჩიტო შარაშიძეს (თაგუნას და) პარიზში ძმის წარმატებები მიულოცა.

საქართველოს დაუბრუნდა უდიდესი სიძველეთა კულტურული ფასეულობა. ისტორიულ-არქეოლოგიური კოლექცია, უნიკალური მნიშვნელობის უძველესი ქართული ხელნაწერები, მინიატურები, სურათები, ემალი (მინანქარი), ჭედური ხელოვნების ძეგლები, კრებული ნუმიზმატიკური ფასეულობისა და სხვა.

ეს კოლექციები გატანილი იქნა მუზეუმებიდან, საცავებიდან, მონასტრებიდან, ხაზინებიდან, ბანკებიდან, ზუგდიდის და ბორჯომის სასახლეებიდან.

გატანილი ქონება 1927 წელს შეფასებულ იქნა 10.471.770 მ ოქროდ (ათი მილიონ ოთხასსამოცდათერთმეტიათას შვიდასსამოცდაათიათას მანეთად) აქ არ შედის ხელნაწერების კოლექცია გელათის საცავიდან.

როდესაც მთელი კოლექციები ჩაგვაბარეს დაგვევალა აღნიშნული კოლექციების შედარება საქართველოში დატოვებულ სიებთან. ამ შედარების დროს ბევრი ნივთი სიის გარეშე აღმოჩნდა, ბატონმა ექვთიმემ განგვიმარტა, ყველა ეს ნივთი შეძენილია მისი საკუთარი ფულით, გვიამბო ყოველი ნივთის შეძენის ისტორია.

ამრიგად, არ დადასტურდა ის ჭორები, რომელსაც საქართველოში ავრცელებდნენ, ამ ქონების განიავების შესახებ.

მე მგონი ყველა ქართველს ესიამოვნება ამ ჭორის გაბათილება. ქართველი იმდენად პატრიოტია თავისი სამშობლოსი და ერის, რომ არასოდეს იკადრებს ამას, რომ არაფერი ვთქვა ისეთ გაჭირვებულ ქართველზე, რომელიც საკუთარი ფულით იძენს და უმატებს ერის კუთვნილებას,

კომისიამ, რომ დაამთავრა მუშაობა, სეიფებში, დარბაზებში მთავრობისთვის მოვაწყვეთ ჩამოტანილი ნივთების გამოფენა, შემდეგ გამოფენა ოფიციალურად გავხსენით.

დასასრულს მშობლებზე

ამ ბოლო დროს მე და არჩილი ხშირად ვიხსნებთ ჩვენს მშობლებს. ვიხსენებთ მათ ამაგს და მზრუნველობას.

დარო (ბებია) და ბაგრატი (ბაბუა) თავის ერთადერთ შვილს ვიქტორს (მამა) საშუალო განათლებას ქ.ქუთაისში მიაღებინებენ. სწავლის გასაგრძელებლად ქ.ხარკოვში აგზავნიან, სადაც 1903 წელს ამთავრებს ხარკოვის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტს, პროვიზორის წოდებით.

როდესაც ოლინკა დეიდა მემნოს ძიაზე დაქორწინებულა, თავისი უმცროსი დაიკო სოფიო თბილისში თავისთან წამოუყვანია.

ვიქტორი 19 წლისაც არ ყოფილა, როდესაც თავისი მეგობრის მემნოს ჩხიკვაძის ოჯახში სოფიო გაიცნო და ნახვისთანავე მოიხიბლება მისი გასაოცარი სილამაზით. უმალვე გაიფიქრებს მასთან დაქორწინებას, აღარც მალავს თავის განზრახვას. დიდი წინააღმდეგობა შეხვდება, ამის მიზეზი სოფიოს მცირეწლოვანება გახდა (16 წლისაც არ იყო). ვიქტორს არაფრის გაგონება არ უნდა, მტკიცედ დგას თავის გადაწყვეტილებაზე. ყველას დაითანხმებს. სხვა რა გზა ჰქონდათ. იმუქრებოდა: თავს არ ვიცოცხლებ, თუ ჩემს საწადელს არ მივაღწევო.

ჯვრისწერა ქაშვეთის ეკლესიაში მოხდა, რასაც დიდი ქორწილი მოჰყვა, მემნოს ჩხიკვაძის მეთაურობით. საქორწილო რიტუალის შესრულებისას პატარა ჟორჟიკას ხელში ხატი დააჭერინეს.

სოფიოს, მზითევთან ერთად, თავისი საყვარელი თოჯინები მიაქვს. რამდენიმე დღის შემდეგ თავის გამზრდელ დას მიმართავს საყვედურით: „განა ასეთი რა დაგიშავე, რომ გამიმეტე და ამ უცხო კაცს გამაყოლეო“. ერთის მხრივ, იმ დროისთვის ეს შეიძლება არც იყოს გასაკვირი, მაგრამ იშვიათია ადამიანები, რომელთაც რაღაც გულუბრყვილობა, სპეტაკი და ფაქიზი ბუნება დიდხანს შერჩენოდეთ, ეს თვისებები დედას მთელი სიცოცხლე გაჰყვა.

ოჯახის შექმნა

მშობლები ერთხანს ქუთაისში, ნაქირავებ ბინაში, მოსე ქიქოძის სახლში ცხოვრობდნენ. მამას (ვარლამ ახვლედიანთან ერთად) საკუთარი აფთიაქი ჰქონდა. პირველ ხანებში და შემდეგაც დიდ დახმარებას უწევდა დედამისი, რომელსაც ამის შესაძლებლობა ჰქონდა.

მე რომ დავიბადე, თბილისში ყოფილ ვარანცოვის ხიდის მახლობლად, სასტუმროში ვცხოვრობდით. ეს 1909 წლის 22 აპრილი იყო. იმავე წლის 20 ოქტომბერს, სოფელში დაბოს მამა (ბებია დაროს, ენა ამოვიდგი თუ არა, დაბო დავარქვი) გარდაიცვალა. ე.ი. ჩემი დიდი ბაბუა ივანე. მე იმავე დღეს მომნათლეს და ეს თარიღი მეტრიკაში ჩემ დაბადების

დღედ ჩაიწერა, თვისა ვიყავი). ნათლიები იყვნენ თაფლო წერეთელი (ვარდენ ყიფიანის მეუღლე სოფელ ღვანკითიდან, ის ღვანკითელის ფსევდონომით წერდა და ბეჭდავდა ლექსებს) და პეტრე აბაშიძე, რომელსაც მეუღლედ წერეთლის ქალი (დიდი მამულების პატრონი) ჰყავდა. ნათლია პეტრე მეტად წარმოსადგენი, ახოვანი ვაჟკაცი იყო, ყველგან ყურადღებას იპყრობდა. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო, როცა მედიდურად ჩაივლიდა რუსთაველის პროსპექტზე. გრიგოლ რობაქიძე ნათლობას ვერ დაესწრო. რა მეთქმის ამ კაცზე, მხოლოდ შემიძლია ვიამაყო მისი ნათლიობით.

ბავშვობიდან მოხიბლული ვიყავი მისი გარეგნობით, მისი პარიკით, „კატელოკით“. 15 წლისაც არ ვიყავი, მისი პორტრეტი რომ დავხატე, ის, დღესაც ამშვენებს ჩემს მოკრძალებულ შემოქმედებით გამოფენას.

ჩვენი ოჯახი თბილისში სხვადასხვა ადგილას ცხოვრობდა. ერთხანს ქსენიევის ქუჩაზე (ახლანდელი შეროზიას ქუჩა) საავადმყოფოში, რომლის დირექტორიც მელიქიშვილი იყო. ამ მამა შეთავსებით მუშაობდა.

არჩილი აქ დაიბადა. მე 5 წლისაც არ ვიყავი. ეს დღე ასე მახსოვს: კიბეებზე ავედი, მესამე სართულზე და დერეფნით მივბაჯბაჯებდი სამშობიარო ოთახისკენ, ამბის გასაგებად. გზაზე ბებიაქალი გადამეღობა, ხელში ამიყვანა, მაკოცა და ძამიკოს დაბადება მომილოცა.

მზადება სათავგადასავლო გიმნაზიაში შესასვლელად

ჩვენს ოჯახში გარკვეულ ხანს მამის ნათესავები ცხოვრობდნენ ხოლმე. იმ ხანებში კი ჩვენთან მამას ნათესავი გოგუცა ცხოვრობდა, რომელმაც მე და არჩილს დედა–ენა შეგვასწავლა.

იმხანად დიდი გულმოდგინებით მოკიდა ხელი ჩემ მომზადებას გიმნაზიაში შესასვლელად. გოგუცა მამიდა სწავლის მხრივ ძალიან მომთხოვნი იყო, თან ძალიან სათნო და კეთილი.

ექვსი წლისაც არ ვყოფილვარ გიმნაზიაში გამოცდების ჩასაბარებლად რომ წავედი. პირველ გამოცდაზე რომ შევსულვარ, გოგუცა მამიდას ნერვიულობისგან თურმე მუცელი ასტკივდა და ყოველ წუთს საპირფარეშოში დარბოდა.

შეიძლება ითქვას, რომ მე ჩემი მასწავლებლის იმედი გავამართლე, ყველაფერი ხუთზე ჩავაბარე, გარდა საღვთო სჯულისა, რაშიც სამიანი მივიღე.

გიმნაზიაში სიარული რომ დავიწყე, თუმანიშვილის ქუჩაზე ვცხოვრობდით. ამავე სახლში ცხოვრობდა ბიძია პეტია, ბიძია მემნოსი და ბაბო დეიდა, ოჯახით.

მამამ ჩემი გიმნაზიაში წაყვანა და მოყვანა ჩვენს გვერდით მცხოვრებ პეტრე მაჭავარიანის ძმისშვილს, ვანიჩკას დაავალა (რომელიც ჩემზე სამი წლით უფროსი იყო). ძალზე ადრე გვიწევდა ადგომა, რადგან საკმაოდ დიდი გზა გვქონდა გასავლელი.

ახლანდელი საბჭოს ქუჩის (ყოფილი ჩერქეზოვის) გადაკვეთით პლეხანოვის პროსპექტზე ჩავდიოდით, შემდეგ პასტერის ქუჩის გავლით, ბორნით, მტკვრის მარჯვენა მხარეს გადავდიოდით (ბორანი დაახლოებით ახლანდელ რესტორან „არაგვთან“ იყო). შემდეგ აღმართს ავუყვებოდით და ახლანდელ ვარაზის ხევზე მიხვეულ–მოხვეული ბილიკებით მივადგებოდით გიმნაზიას (ახლანდელი უნივერსიტეტი). ასე, ხელიხელჩაკიდებული დავდიოდით მე და ვანიჩკა.

თითოეულს დღეში სამი შაური გვჭირდებოდა. შაური გიმნაზიის ბუფეტში საუზმისთვის, ორი შაური კი ბორანზე გადასვლა–გადმოსვლისთვის.

დიდი წვიმების შემთხვევაში ჩერქეზოვის ქუჩაზე ისეთი ნიაღვარი მოდიოდა, რომ ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირზე გადასასვლელად არამარტო ბავშვები, დიდებიც, კურტნიან მუშებს ან ხელში აყვანილი, ან კურტანზე დასკუპებულები გადაჰყავდათ. მე, ამ უკანასკნელს ვამჯობინებდი, რის გამოც ერთხელ წყალში მოვადინე ზღართანი და ძლივს გადამარჩინეს. ესეც ერთი შაური...

ვინაიდან ჩემი გაკვეთილები უფრო ადრე მთავრდებოდა, თანამგზავრის ლოდინი მიწევდა. დროს არ ვკარგავდი, თანატოლებთან ვერთობოდი, ლახტის, „დრასტი ასიოლის“ და „ცალიკ–მალიკის“ თამაშით.

მოსამზადებელი კლასიდან ერთად ვიყავით: შალვა ყიასაშვილი, სოლიკო ვირსალაძე, შალვა ბერიტაშვილი, ალექსი ბუჩუკური, მერაბ ორახელაშვილი, გოგი ფარადაშვილი და სხვა. მასწავლებლებად გვყავდნენ: ვასო აბდუშელიშვილი მათემატიკაში, ნიკოლოზ ჩიგოგიძე ფიზიკაში, სოფო ქარცივაძე მათემატიკაში, თამარა ნიკოლოზის ასული ლომოური საქართველოს ისტორიაში, თამარა ყაზახაშვილი რუსულ ენაში, პელაგია მამინაიშვილი გერმანულ ენაში, ზაქარია ფალიაშვილი და ია კარგარეთელი გალობაში. კლასის დამრიგებელი ჩვენი უსაყვარლესი ქეთო ხარაძე ქართულს გვასწავლიდა. მე და სოლიკო ვირსალაძე მერხზე ერთად ვისხედით. მას უკვე ეტყობოდა ხატვის ნიჭი. ჩვენი მერხი ბალერინებით იყო მოხატული. ზაქარია ფალიაშვილი ძალზე ფაქიზი ადამიანი იყო. ჩოთქმა და ხავერდს ჯიბით ატარებდა. გაკვეთილის დროს ფეხს სკამზე შედგამდა და ფეხსაცმელებს იპრიალებდა. ერთხელ ვთხოვე, ჩემთვის მოეცა ამის უფლება, სიამოვნებით დამრთო ნება. ია კარგარეთელმა დაფასთან გამიძახა და ცარცით ნოტების დაწერა დამავალა. დავიწყე წერა. ბატონმა იამ მთხოვა, მარცხენა ხელით დამეწერა. მე უარზე ვიყავი (ჩემი დამორჩილება არც ისე ადვილი იყო). მაშინ განრისხებულმა მასწავლებელმა თავისი გაშეშებული მარჯვენა ხელი ისე ძლიერად გამარტყა შუბლში, რომ თვალებში დამიბნელდა.

ია კარგარეთელს თურმე ერთხელ ქუჩაში ყაჩაღები დახვდნენ, თოფი ესროლეს, ტყვია მარჯვენა ხელის გულში მოარტყეს, რის გამოც ხელს ვეღარ ხმარობდა და ამიტომ მარცხენა ხელით წერდა. თავისი საქციელი იმით გაამართლა, რომ ადამიანი ყოველი ხიფათისვის მზად უნდა იყოს და ორივე ხელს თანაბრად უნდა ფლობდესო.

სათავადაზნაურო გიმნაზიაში დავყავდით, სანამ ამ შენობაში უნივერსიტეტი გაიხსნებოდა. შემდეგ რუსთაველის პროსპექტზე კადეტთა კორპუსში გადავედით. ცოტა

ხნის შემდეგ ეს შენობა მენშევიკური მთავრობის საგარეო საქმეთა სამინისტრომ დაიკავა. ჩვენ წმინდა ნინოს ქალთა სასწავლებლის პირდაპირ მდებარე შენობაში, შიო ჩიტაძის აღმართის ბოლოს გადავედით, რომელიც შემდეგ მეთოთხმეტე შრომის სკოლად გადაიქცა.

საკუთარი სახლი ვაკეში

1918 წელს, ძირითადად დაბოს დახმარებით, მამამ ვაკეში სამსართულიანი სახლი შეიძინა (ახლანდელი უნივერსიტეტის შენობასთან). დასახლებული უბანი 24 პატარა საკუთარი სახლისგან შედგებოდა. წყნეთის მიმართულებით მეტი არაფერი იყო სასოფლო–სამეურნეო ინსტიტუტამდე (ახლანდელი მე–9 საავადმყოფო).

ჩვენ მთლიანად დავიკავეთ მესამე სართული, რომელშიც შედიოდა, ოთხი დიდი ოთახი, დიდი შუშაბანდი და ყველა დამხმარე სათავსო.

იმ ხანებში კოლია ქარცივაძე უბინაოდ იყო. მამამ ეს რომ გაიგო, ბიძია კოლიას ბინა გაუყო.

ამგვარად გავნაწილდით: მე, არჩილი და ანეტა ერთ ოთახში, მეორე ოთახში ჩვენი მშობლები, მესამეში ბიძია კოლიას ოჯახი, ხოლო მეოთხე საერთო სასტუმრო–სასადილო.

1924 წელს მამამ სახლი სიძე–ცოლისძმას მიჰყიდა. მაყაშვილს და ჩერქეზიშვილს პირობა დაადებინა, რომ კოლია ქარცივაძეს ოჯახით, უფლება ჰქონოდა ორ ოთახში ეცხოვრა, ქირის გარეშე, სანამ მოისურვებდა (სახლი 1977 წელს დაანგრიეს).

ჩვენ არაფერი გვაკლდა. ყველაფერი თავის დროზე გვქონდა, არც განებივრებულები ვყოფილვართ. დედა ზედმიწევნით იცავდა იმ დროს ოჯახში არსებულ ყველა ადათ–წესს.

დაწოლისას დაგვაბანინებდა ხელ–პირს, ჩაგვაცმევდა გრძელ საღამურ პერანგებს, გვათქმევინებდა „მამაო ჩვენოს“, პირჯვარს დაგვაწერინებდა და ისე დაგვაწვენდა. ეს იმ დროს არ იყო მოდა. ეს იყო წესი, რომელიც დედას სწამდა.

ჩვენ ვიყავით დედის მორჩილნი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ამას ყოველთვის სიამოვნებით ვასრულებდით.

დედა სადათ და გემოვნებით გვაცმევდა. არჩილი იგონებს, პატარა რომ ვიყავი, დედამ კოხტად გამომაწყო და ანიკოსთან წამიყვანა სტუმრად, სადაც ყველას მოვეწონე (რაც მთავარია, ანიკოს ჩათვლით).

კარგად მახსოვს, დედამ და მამამ როგორ მიყიდეს სოლოლაკში ორი „მატროსკა“, ჩემი გემოვნებით ამორჩეული, ყავისფერი და ლურჯი. დიდხანს ვატარებდი. შემდეგ არჩილს გადავულოცე.

გერმანულს და ფრანგულს გვასწავლიდა პოლონელი მასწავლებელი ანატოლი ივანიჩი ტროიცკი, რომელიც ამბობდა ხოლმე თუ არა ასო ო, ვიქნებოდი ტროცკი და ჩემი საქმე ცუდად იქნებოდაო. ის ჩვენთან ცხოვრობდა. (მე და არჩილს ცოტა ხანს კიდევ რომ გაგვეგრძელებინა მასთან სწავლა, კარგად ვიქნებოდით დაუფლებული ორივე ენას). იყო შემთხვევა, როდესაც არჩილმა გაკვეთილი კარგად ვერ უპასუხა, რაღაც შეეშალა, განრისხებულმა მასწავლებელმა ყური აუწია, უფრო სწორად, კინაღამ აადღლიზა, რაზეც მამა ძალიან გაბრაზდა.

ერთ ზაფხულს ანატოლი ივანიჩმა ჩვენ ჩაგვასწრო სოფელში და მთელი ზაფხული ერთად გავატარეთ. ის კარგად შეეგუა დაბოს ოჯახს. ერთხელ გვისაყვედურა: საჭმელთან სრულებით არ არის საჭირო ჭადი, როდესაც ხაჭაპურიაო, ამ კაცს ჰქონდა პირის გემო. პატარა კალათით დადიოდა, ხიდან ჩამოცვენილ, დამპალ ტყემალს აგროვებდა და გაურეცხავად მიირთმევდა.

ანატოლი ივანიჩი დიდი იუმორის პატრონი იყო.

ჩვენი წამოსვლის შემდეგ სოფელში დარჩა. თბილისში დაბრუნებული დააპატიმრეს.

1925 წელს მეორე შრომის სკოლა დავამთავრე. გამოსაშვები გამოცდები კარგად ჩავაბარე. პეტრე მირიანაშვილმა ჩემი ვეფხისტყაოსანზე დაწერილი თემა სკოლის მოწაფეთა ჟურნალში დააბეჭდვინა.

მე და სანდრიკა ანდრონიკაშვილი ყველა საგამოცდო საგანს ერთად ვამზადებდით, უმთავრესად მის ოჯახში. გამოცდების ჩაბარების შემდეგ მცხეთაში გავემგზავრეთ და სკოლის დამთავრება ცნობილ ზახარ ზახარიჩის დუქანში აღვნიშნეთ. დიდი ქეიფი გავაჩაღეთ, არღნით. ზახარ ზახარიჩმა, ჩვეულებისამებრ, თავზე ადუღებული წყლით სავსე სამოვარი დაიდგა და ისთე იცეკვა. კარგად მოვილხინეთ. ჩვენც ვიცეკვეთ და მასწავლებლებიც ავიყოლიეთ.

ივანე ქაიხოსროს ძე ქავთარაძე

ჩემი ბაბუის აღმზრდელი, ივანე, სამხედრო პირი იყო. იგი, ღრმა მოხუცებულობამდე რუსეთის არმიაში მსახურობდა. შემდეგ კი პოლკოვნიკის ჩინით დაბრუნდა მშობლიურ სოფელში და ხელი მიჰყო მყუდრო ცხოვრებას.

ივანე ქავთარაძე დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა სოფელში. მას იცნობდნენ, როგორც დიდად კაცთმოყვარეს, კეთილშობილსა და განსწავლულ ადამიანს. იგი შეძლებისდაგვარად მფარველობდა სოფელს. 1905 წლის რევოლუციის დამარცხების შემდეგ, როდესაც ალიხანოვ–ავარსკიმ ცეცხლს მისცა თითქმის მთელი დასავლეთ საქართველო, ივანე ქავთარაძემ გადაარჩინა სოფელი ზოვრეთი. პოლკოვნიკის მუნდირში, ცხენზე შემჯდარი გამოცხადდა ქვითკირის ხიდთან (თამარ მეფის დროის ხიდი) და ხალხის ასაწიოკებლად მომდგარი კაზაკთა ასეული თავის სახლში წამოიყვანა.

ერთ თვემდე გაგრძელდა კაზაკების ღრეობა სოფლებში. მოსახლეობამ გაწყვიტა საქონელი და ფრინველი. იცლებოდა ღვინის ქვევრები... ამგვარად, მეფის არმიის პოლკოვნიკმა სოფელი აწიოკებას გადაარჩინა. ივანე ქავთარაძის მეუღლე, ევდოკია ბიჭიას ასული ციბაძე, მეოჯახე ქალი იყო, რომლის უშუალო მეთვალყურეობით იზრდებოდა შვიდი შვილი, ოთხი ქალი და სამი ვაჟი. ანეტა, მარიამი (მაშა), ნატაშა და ლიზა, პავლუშა, პეტრე და სერგო.

პეტრე ქავთარაძე

პეტრე ივანეს ძე ქავთარაძე ქართველი ჰუმანიტარული ინტელიგრენციის საუკეთესო წარმომადგენელთა რიცხვს ეკუთვნოდა. ამ სიტყვებით იწყებს გერონტი ქიქოძე მოკლე ბიოგრაფიულ ცნობას ბიძია პეტიას შესახებ. ბიძია პეტია დაიბადა სოფელ ზოვრეთში, 1883 წელს. პირველი დაწყებითი განათლება დედ–მამის ოჯახში მიიღო. 1909 წელს წარმატებით დაამთავრა ქუთაისის კლასიკური გიმნაზია, შემდეგ შევიდა პეტერბურგის უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე. სტუდენტობის დროს დაქორწინდა. ცოლად შეირთო ცნობილი პედაგოგის ილარიონ ლორთქიფანიძის ასული, რომელიც ასევე პეტერბურგში სწავლობდა (ქალთა უმაღლეს სამედიცინო ინსტიტუტში). ეს ახალგაზრდა ოჯახი პატარა კულტურულ ცენტრად იქცა მოწინავე ქართველი ახალგაზრდობისთვის. უნივერსიტეტში კურსის დასრულების შემდეგ ბიძია პეტია სამშობლოში ბრუნდება და ნაფიც დამცველთა კოლეგიაში ეწერება.

ამ დროს, ჩვენი ოჯახი, ბიძია პეტიას ოჯახი, ოლინკა დეიდას და ბაბო დეიდას ოჯახები, ერთ სახლში, თუმანოვის ქუჩაზე ვცხოვრობდით. აქედან ჩვენი ოჯახი საცხოვრებლად მამას საკუთარ სახლში გადავიდა, ხოლო ბიძია პეტიას ოჯახი პეტრე დიდის ქუჩაზე №9–ში (ახლანდელი ძერჟინსკის ქუჩა). ამ სახლში ხუთოთახიანი, საკმაოდ დიდი ბინა დაიკავეს. ამ ბინას ერთი ნაკლი ჰქონდა, სასტუმრო ოთახიდან საპირფარეშოში რომ გასულიყავი მთელი ოთახები უნდა გაგევლო. ერთხელ ანიკომ ღამის გასათევად სასტუმრო ოთახში მომათავსა. შუაღამისას გავიღვიძე. საგონებელში ჩავვარდი. არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. ან აივანზე უნდა გავსულიყავი, ან ფანჯარა უნდა გამეღო. რაღაც გამოსავალი მოვნახე. კარგად მახსოვს, როგორ ეხმარებოდა მამა ამ ბინის მოწყობაში. საჩუქრად ფარდებიც კი უყიდა და თავისი ხელით ჩამოუკიდა ფანჯრებზე. ეს ბინა ნამდვილ ლიტერატურულ სალონად გადაიქცა, სადაც თავს იყრიდნენ ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები. მანანას დაბადება კარგად მახსოვს. მამამ ახალშობილი რომ ნახა, უფრო ამ ოჯახის შინამოსამსახურეს (ელენეს) მიამსგავსა. მანანა რომ წამოიზარდა, დამშვენდა, წარმოსადეგი გახდა, სადღაც თავის ლამაზ დედასაც კი გაუტოლდა. შეიძლება ითქვას, რომ მე ამ ოჯახში, არჩილთან ერთად, ჩემი ბავშვობის და სიჭაბუკის საუკეთესო წლები გავატარე. აქ ვიკრიბებოდით ჩემი და ლელოს ტოლ–ამხანაგები, როგორც ბიჭები, ისე გოგოები. შემდეგ არჩილთან ერთად ნათელაც შემოგვიერთდა. ამ ოჯახში დავუახლოვდი ლელოს ბავშვობის

მეგობარს, თამარას. უფრო რომ წამოვიზარდეთ, ბალმასკარადებს ვმართავდით (მახსოვს, როგორ იჭყიტებოდა ზაკრაიკომის ფანჯრებიდან ლ.ბ.) მე პირადად, ამ ოჯახის უფროს სტუმრებში ხშირად გავრეულვარ. შეიძლება ითქვას, რომ ანიკოს დღეობა არ გამომიტოვებია. ერთხელ, დიდის მონდომებით და შთაგონებით, ზეთის საღებავებით, ანიკოს მოცეკვავე ქალი დავუხატე და ერთ–ერთ მის დღეობაზე საჩუქრად მივართვი. სურათი მართლა კარგად გამომივიდა. ანიკომ ეს სურათი თვალსაჩინო ადგილას, ქართველ სახელოვან მხატვართა ნამუშევრებს შორის დაკიდა (სამწუხაროდ, სურათი დაიკარგა). ერთხელ, ბიძია პეტიამ თავის ამხანაგებთან ერთად შემიყვანა რესტორან „ქიმერიონში“, რომელიც რუსთაველის თეატრის შენობაში იყო (სადაც ახლა ამ თეატრის გასახდელია). რესტორნის კედლები იმ დროს დავით კაკაბაძისა და ლადო გუდიაშვილის მიერ იყო მოხატული. ბიძია პეტიამ თამადობაში გამომცადა, რისი გამოცდილებაც მე უკვე მქონდა, მაგრამ ისეთი თანასუფრელების შეფასება, როგორიც იყვნენ: ცაცა მდივანი, ვალიკო ხუსკივაძე, სერგია ერისთავი და სხვა, ჩემთვის ბევრს ნიშნავდა. გამოცდა ხუთზე ჩავაბარე. რესტორნიდან ნაშუადღევს ამოვედით. ბიძია პეტიამ ჩემთან გულახდილი ლაპარაკი წამოიწყო. ჩემს მიმართ დიდი გულისხმიერება გამოიჩინა (მამა აღარ იყო ცოცხალი). რუსთაველის გამზირზე გათენებამდე ვისაუბრეთ. დაუვიწყარია ეს საუბარი. რაც შეეხება ბიძია პეტიას დიდ სიყვარულს და ზრუნვას თავის ოჯახზე, ამაზე ნათლად მეტყველებს მისი წერილები ანიკოსთან. ერთი წერილის ასლი მომყავს, სადაც მამასაც იხსენიებს (წერილი ბოლოშია).

ბიძია პეტიას ძალიან უყვარდა წიგნები. მისი ბიბლიოთეკა განთქმული იყო. ამ წიგნების ექსლიბრისად ბიძია პეტიამ გემმის ანაბეჭდი გამოიყენა, რომელიც, როგორც ხედავთ, ცხვრის და თევზის სიმბოლური გამოსახულებაა. ამ გემმის ისტორია ასეთია: სოფელ ზოვრეთში ივანე ქავთარაძის მზარეულმა თევზის გამოშიგვნის დროს აღმოაჩინა ეს გემმა, რომელიც ივანემ ბუდეში ჩაასმევინა და ერთხანს ბეჭდად ატარებდა. შემდეგ ეს ბეჭედი ბიძია პეტიამ მამისგან საჩუქრად მიიღო. ბუდიდან ამოაღებინა გემმა და მისი უკანა მხრიდან ანაბეჭდი გააკეთებინა, რომელიც თავის წიგნებზე ექსლიბრისად გამოიყენა.

ბიძია პეტია ხშირად გამოდიოდა სასამართლოში დიდ პროცესებზე. ყოველთვის დიდ ყურადღებას იპყრობდა თავისი ცოდნით, ორატორული ნიჭით და რკინისებური ლოგიკით. ერთხელ მეც დამჭირდა მისი დახმარება. როდესაც საკონკურსო სკოლის პროექტებიდან, ჩემი პროექტი აირჩიეს (სკოლა აშენდა ახლანდელი ფილარმონიის პირდაპირ). პროექტით სკოლა სიმეტრიული გადაწყვეტით უნდა აშენებულიყო. მისი ნახევარი ააშენეს, ამის გამო, დამკვეთმა არ მოინდომა პროექტის ღირებულების მთლიანად გადახდა. ბიძია პეტიას დახმარებით ჩემი მოთხოვნა დააკმაყოფილეს.

ერთ ზაფხულს ივანწმინდაში ვიმყოფებით, სადაც ჩამოვიდნენ ბიძია პეტია და მამა, მათ პაოლო იაშვილმაც მოაკითხა არგვეთიდან. სტუმრების გადაპატიჟება რამდენიმე დღეს გაგრძელდა. მეც არ მიშორებდნენ. მენშევიკური მთავრობა საქართველოს დამოუკიდებლობის დღეს (26 მაისს) დღესასწაულობდა ვაკეში (იმ ადგილას, სადაც ახლა ლოკომოტივის სტადიონია). ანიკო, რომელიც თავისი სილამაზითა და წარმოსადეგობით

მართლაც თამარ მეფის განსახიერება იყო, თამარ მეფის სამოსელში გამოწყობილი, მანქანის კვარცხლბეკზე უნდა დამდგარიყო.

ზემელიდან მანქანა ვაკისკენ უნდა დაძრულიყო. მანქანა ვეღარ დაძრეს ადგილიდან. გაფუჭდა. ვაკეში ტრიბუნები ხალხითაა გაჭედილი. „თამარ მეფემ“ რომ დაიგვიანა, ნოე ჟორდანიას უთქვამს: „ეს ცუდის მომასწავებელიაო“. მართლაც, ამ მთავრობამ უკანასკნელად იზეიმა ეს დღე.

1933 წელს ბიძია პეტიას აპატიმრებენ. აბელ ენუქიძემ საქმე გამოითხოვა მოსკოვში. უდანაშაულო პატიმარს მალე ათავისუფლებენ.

მთავრობის გადაწყვეტილების თანახმად შედგა გამოჩენილ მეცნიერთა და ლიტერატორთა კოლექტივი, ახალი რუსულ–ქართულ ლექსიკონის შესადგენად. რედაქტორად პეტრე ქავთარაძე დაინიშნა. ბიძია პეტია დიდი შთაგონებით შეუდგა მუშაობას. იმდენად გაიტაცა ამ უდიდესმა, საპატიო საქმემ, რომ დღე და ღამეს ასწორებდა. ხშირად შემინიშნავს, ნაშუადღევს უნივერსიტეტთან გავლისას, ბიძია პეტიას განათებული სამუშაო ოთახი

ბიძია პეტიამ რედაქცია გაუკეთა მთელ ლექსიკოლოგიურ მასალას, ფრაზეოლოგიისა და მაგალითების დამატებით. ამის შემდეგ მთელი მასალა სტამბას გადასცა დასაბეჭდად. როდესაც რუსულ–ქართული ლექსიკონი გამოსაცემად გამზადდა, ბიძია პეტიასთან შუაღამისას სახლში მივიდნენ სტამბის მუშები და ეუბნებიან: „ბატონო პეტრე, უშველეთ თქვენს ლექსიკონს, ახლახან იყვნენ ჩვენთან ზემდგომი ორგანოების წარმომადგენლები და გვიბრძანეს: „ლექსიკონის თავფურცელის ამოღება. რედაქტორად სხვა პირი დაგვისახელეს“. ბიძია პეტიამ ძლივს გაათენა. დილასვე გავარდა (უფრო სწორად ძლივს მივიდა) ცეკაში, ერიკ ბედიასთან, რომელსაც თავისი უბედურება შესჩივლა. ერიკ ბედიამ უპასუხა: „ბატონო პეტრე, რით გიშველოთ, ხვალ, ალბათ, მეც თქვენთან ერთად დამაპატიმრებენო“. ბიძია პეტია ცეკას შენობიდან რომ გამოვიდა, ქუჩაში დაეცა. უცხო პირებმა მიიყვანეს სახლში (ცეკა ახლოს იყო სახლიდან). ბიძია პეტიას ნაწილობრივ სისხლის ჩაქცევა მოუვიდა. ლოგინად ჩავარდა. „ჩეკა“ მოუთმენლად ელოდა ავადმყოფის გამოჯანსაღებას. რომ გამოკეთდა, დააპატიმრეს და რამდენიმე ხნის შემდეგ ჩრდილოეთ რუსეთში გადაასახლეს. როგორ ტანჯვა–წამებაში გარდაიცვალა ბიძია პეტია, ამას მისი ცრემლებით დასველებული წერილები ადასტურებენ (მათი წაკითხვა აუტანელია) და ასევე, ჩემთვის ორი ქალის, თინა გოცირიძისა და ახლახან გადასახლებიდან დაბრუნებული ექიმი ქალის, სახოკიას (რომლის სახელს ვერ ვიხსენებ) ნაამბობი.

ლელო ძალზე ეშხიანი, გასაოცრად მომხიბვლელი, სათნო და ყველასთვის საყვარელი ადამიანი იყო. მშობლებს მასზე მზე და მთვარე ამოსდიოდათ. ჩვენ კი და–ძმასავით გვიყვარდა ერთმანეთი.

ლელოს დაბადებიდანვე ცალი თირკმელი არ განუვითარდა, ამის გამო მეორე თირკმელმა ვერ შეძლო სრულყოფილად თავისი ფუნქციების შესრულება. ეს თანდათან მის ჯანმრთელობაზე უარყოფით გავლენას ახდენდა. ერთ ზაფხულს ლელო ზოვრეთში

ისვენებდა, დეპეშა მივიღეთ, მისი ავადმყოფობის შესახებ. მე და ანიკო უმალვე გავემგზავრეთ. ზესტაფონში ჩასვლისას ვიქირავეთ ცხენები და ზოვრეთისკენ გავწიეთ. გზაში ანიკო მეუბნება: „ირაკლი, თბილისიდან წამოსვლისას პერანგი ჩამიცვამს და მისი ამხანაგის ჩაცმა დამვიწყებიაო“. ამდენად იყო გამწარებული ლელოს ავადმყოფობით.

ერთ საბედისწერო ზაფხულს ლელოს ქალაქიდან გაყვანა გახდა საჭირო. ნიკო მუსხელიშვილისგან ვითხოვე მანქანა „ზიმი“ და ლელო ოქროყანაში ავიყვანეთ. დაქირავებულ სახლს რომ მივადექით, ლელო მანქანიდან გადმოვსვით და მისი ხელში აყვანა დავაპირე. ამის უფლება არ მომცა. მთელი სახლი დავიკავეთ, ბაღით. მე და დათო სურათებს ვიღებდით. ლელოს უნდოდა ხშირად ყოფილიყო ჩემს გვერდით. ძალზე დაძაბული დღეები იყო. ყველა ვცდილობდით, რომ ერთმანეთისთვის არაფერი გვეგრძნობებინა. თავს ვიყავებდით. ვატყობდით, რომ დიდი უბედურება ახლოვდებოდა. ეს ჩვენი ლელოს უკანასკნელი, ოცდამეთხუთმეტე გაზაფხული იყო...

ძალიან გამიჭირდა ამის გახსენება. ცრემლები წერას მიშლიდნენ. ადამიანს ყველაფერი შეძლებია.

1962 წელს, როგორც იქნა, გამოვიდა წიგნი: პეტრე ქავთარაძე. თარგმანები, ბერძენი და რომაელი ავტორები. პ. ბერიძის რედაქციითა და შენიშვნებით. გერონტი ქიქოძის მოკლე ბიოგრაფიული ცნობით პეტრე ქავთარაძეზე.

იმავე წლის 30 დეკემბერს (იმ დღეს ლევანი ორი წლის შესრულდა), ანიკომ ეს წიგნი შემდეგი წარწერით მისახსოვრა: „მე და პეტიას საყვარელ ვიქტორის შვილს, ძვირფას ირაკლის, ბიძია პეტიას ოჯახისაგან“.

როგორც ცნობილია, ბიძია პეტია ბრწყინვალე მთარგმნელად ითვლებოდა. ბერძნული და ლათინური ენებიდან თარგმნა: სოფოკლეს, პლატონის, ციცერონის სიტყვები, აგრეთვე, სალუსტიუსის და ოვიდიუსის ნაწერები, რუსი კლასიკოსები.

ჩემთან ინახება ბიძია პეტიას ხელნაწერი ევგენი ონეგინის თარგმანისა. (ნაწყვეტებით) მომყავს ტატიანას წერილი.

არ გასულა დიდი დრო. სამი დღის ავადმყოფობის შემდეგ ანიკო გარდაიცვალა. დაკრძალვისას ზოვრეთიდან ჩამოსულები მოდიოდნენ ჩემთან და მეუბნებოდნენ: „ანიკო ყოველთვის დიდი სიყვარულითა და მადლიერებით გახსენებდაო“.

ამას წინათ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიიდან გამოვედი. სახლი, სადაც ბიძია პეტია ოჯახით ცხოვრობდა, ვეღარ ვიხილე (რაღაც მშენებლობასთან დაკავშირებით დაუნგრევიათ). დიდხანს ვიდექი გაოგნებული. ვეცდები, თუ ძალიან არ დამჭირდა, ამ ქუჩაზე არ გავიარო.

კარი 111

ტატიანას წერილი

მე თქვენ წერილს გწერთ, ნუთუ არ კმარა?
ამაზე მეტი რა მაქვს სათქმელი...
ახლაკი, ვიცი თქვენ უფლება გაქვთ
პასუხად მიძღვნათ დაცინვა მწველი.

მაგრამ თუ ჩემი უბედო ბედის
ცოტაოდენი სიბრალული გაქვთ,
ზურგს ნუ შემაქცევთ... შველის ვედრებით
ხელს თქვენსკენ გაწვდილს გვერდს ნუ აუხვალთ.

მეც შევიძლებდი გრძნობის დაფარვას,
ვერ მიხვდებოდით მას ვერასოდეს
ზოგჯერ რომ მაინც თქვენი შეხვედრის
ცოტაოდენი იმედი მქონდეს...

რომ შემეძლება თქვენთან ბაასი
თქვენთან საუბრით გულისჯერება:
და მერმე ისევ ახალ შეხვედრის
კვლავ მოლოდინი ფიქრი, ოცნება.

მაგრამ ამბობენ, უკაცური ხართ,
ვერ შეეგუეთ ამ ჩვენ ყრუ მხარეს,
ჩვენ კი... ჩვენ აბა, რით მოგიზიდავთ,
თუმც თქვენი ნახვა გულით გვახარებს.

რად გავიცანით ჩვენ ერთმანეთი!
ამ მივიწყებულ ღარიბ სოფელში
მე თქვენ ვერასდროს ვერ შეგხვდებოდით,
არ ვიქნებოდი ამ სატანჯველში...

გამოუცდელი გულისთქმის ღელვას,
დრო თანდათანად შენელდება
მეც გავხდებოდი ნაზი მეუღლე,
მოსიყვარულე, ერთგული დედა.

სხვა ვინმე... არა, სხვას არასოდეს
ვერ შეითვისებს ბუნება ჩემი...
ეს თვით განგების განაჩენია –
ამიერიდან შენი ვარ, შენი!

ჩემი აქამდის მხოლოდ
იყო ლოდინი შენთან შეხვედრის,
შენ ჩემთვის ზეცით მოვლენილი ხარ
ჩემ მცველ–მფარველად თვით სამარემდის.

შენ მე ძილშიაც მესიზმრებოდი,
შენ უხილავიც ხიბლავდი გრძნობას,
შენი თვალები გულს მიჩქროლებდნენ
შენი ხმა ჩემში ჰბადებდა კრთოლვას...

რა წამს გიხილე გიცანი უმალ,
სჩანს ეს არ იყო მხოლოდ სიზმარი –
მთლად დავიბენი, ცეცხლად ავენთე
და გულმაც მითხრა – ეს ხომ ის არის!..

განა შენ მუდამ ჩემთან არ იყავ,
როს ღარიბ–საწყლებს ვეხმარებოდი,
როს გულის ღელვის, სევდის დაცხრობას
უფალს მხურვალედ ვევედრებოდი?...

ან თუნდაც ამ წუთს – გამჭვირვალ ბინდში
ვინ გაიელვა ლამაზ პირდილად,
ვინ დაეკონა ამ ჩემ სარეცელს
ტრფობის ნუგეშის სიტყვის სათქმელად?

ვინ ხარ... ვინ ხარ შენ? სული მაცდური,
თუ ანგელოზი ჩემი მფარველი...
მაკმარე ამ ხნის უზომო სევდა,
გთხოვთ გამიფანტო ეჭვი მტანჯველი.

იქნებ ყველა ეს მხოლოდ ბოდვაა,
გამოუცდელი სულის ცდუნება
და სინამდვილე სულ სხვას მიქადის
სულ სხვაა ბედის განკარგულება...

გინდ ასეც იყოს... ამიერიდან
ჩემ ბედის გამგედ შენღა იქნები
იყავ სულგრძელი, გთხოვ პატიებას
შენ წინ უშრომელ ცრემლით ვიცლები...

იცი რა არის სულით ობლობა?
არც თანამგრძნობი არც მეგობარი,
აზრი გონება წყვდიადს ვერ არღვევს
და ვიღუპები ჩუმი მდუმარი...

ხსნას შენგან ველი, ჯადოქარ სიტყვით
გამომიცოცხლე იმედით გული,
ან ეს ბურანი შემომიფანტე
დამსახურებულ მწვავ საყვედურით...

კმარა, მეკრძალვის გადაკითხვაც კი...
შიშით სირცხვილით გული დუნდება,
მაგრამ ჩემ სახელს, დე, მცველად ჰყავდეს
კეთილშობილი თქვენი ბუნება...

სერგო ქავთარაძე

ათი წლისაც არ ვიქნებოდი, ანიკომ რომ ეტლში ჩამისვა და მეტეხის ციხეში ბიძია სერიოჟას სანახავად წამიყვანა. ეს იყო ჩვენი პირველი გაცნობა. მანამდე აბა, სად გავიცნობდი? ანიკომ დიდხანს ისაუბრა თავის მაზლთან. მე კი მოკრძალებით ვუსმენდი მათ. როგორ გავბედავდი ხმის ამოღებას, ყურადღებით ვუსმენდი და საკითხავიც ბევრი მქონდა. მე უკვე, ჩემებურად ვერკვეოდი პოლიტიკაში. ბიძია სერიოჟამ გამომშვიდობებისას გადაგვკოცნა და ანიკოს მიმართა: „ჩემო ანიკო, შენი დღეობა ახლოვდება და ძალიან გთხოვ, მეც არ გამომტოვო. შენ ამას ადვილად გააკეთებ ნოე ჟორდანიას დახმარებით“. ანიკოს გაეღიმა და თხოვნის შესრულებას შეჰპირდა. მე ეს პირველად ხუმრობად მომეჩვენა. მეტეხის დაღმართს რომ დავუყევით, ბიძია სერიოჟა ციხის სარკმელიდან საცოდავად გვიქნევდა ხელს. მე შემეცოდა და შევუჩნდი ანიკოს, რომ მისთვის თხოვნა შეესრულებინა. მეორე დღეს ანიკომ ბარათი დაწერა და გამატანა ნოე ჟორდანიასთან, რომელიც შიო ჩიტაძის ქუჩაზე ცხოვრობდა (ახლანდელი ცეკას შენობის პირდაპირ). ბინაზე რომ მივედი, ბარათი გადავეცი პირადად ბატონ ნოეს, რომელმაც ის ჩემი თანდასწრებით წაიკითხა, ცოტა ხანს შეფიქრიანდა და თქვა: „ქალბატონ ანიკოს როგორ ვუთხრა უარი“. საპასუხო ბარათი დაწერა და გადმომცა. ბარათში ეწერა: სერგო ქავთარაძეს ვანთავისუფლებ ციხიდან, სამი დღით, ანიკოს თავდებქვეშ. (ვფიქრობ, რომ ნოე ჟორდანიას ლიბერალიზმს კომენტარი არ სჭირდება).

ოჯახში, ამ ტრადიციულ დღეს დიდი საზოგადოება შეიკრიბა. ესწრებოდნენ ქაქუცა ჩოლოყაშვილი, რომელიც ძალზე განცვიფრდა სერგო ქავთარაძის დანახვით. ქაქუცა ჩოლოყაშვილსა და სერგო ქავთარაძეს შორის სუფრაზე დიალოგი გაიმართა, რომელიც ცხარე კამათში გადაიზარდა. თავდებქვეშ გამოშვებული პატიმარი ძალზე განრისხდა. ქაქუცამ ყველაფერი აიტანა. ოჯახს სცა პატივი.

სამი დღის შემდეგ ბიძია სერიოჟა ფეხს ითრევს. გაუტკბა თავისუფლება. არ სურს ციხეში დაბრუნება. ბოლოს დაემორჩილა ანიკოს. ბიძია სერიოჟა გრძნობდა, რომ დიდხანს აღარ მოუწევდა საპატიმროში ყოფნა.

მართლაც, არ გასულა დიდი დრო. 1921 წელს, როდესაც მენშევიკური მთავრობა დასავლეთ საქართველოში გადავიდა, თან წაიყვანეს პოლიტიკური პატიმრებიც, მათ შორის სერგო ქავთარაძეც.

ქუთაისის ციხეში გაიგო სერგო ქავთარაძემ, რომ თბილისში უკვე ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ მენშევიკები ქუთაისიდან ბათუმში გადავიდნენ, და თან, გაძლიერებული ბადრაგით, 400 პატიმარი წაიყვანეს, მათ შორის სერგო ქავთარაძეც. აქ, სხვა ამხანაგებთან ერთად, სერგო ხელახლა განაცალკევეს, მაგრამ კავშირი სხვა კამერებთან მაინც ჰქონდა.

ერთ ღამეს სერგო ციხიდან გადაიყვანეს და მენშევიკური მთავრობის თავმჯდომარეს, ნოე ჟორდანიას წარუდგინეს, რომელმაც თავად ისურვა სერგო ქავთარაძესთან შეხვედრა.

ბიძია სერიოჟა ასე იგონებდა ამ შეხვედრას:

„წამიყვანეს ჩაბნელებული ქუჩებით და მიმიყვანეს აზიზიეს მოედანზე,სადაც გაუნათებელი პულმანის ვაგონი იდგა. როგორც კი ვაგონში ავედი, ღამის ნათურის მბჟუტავ სინათლეზე დავინახე ჟორდანია, რომელიც ტყავის დივანზე იჯდა. მან დაჯდომა შემომთავაზა.

– საქართველოს მთავრობა იძულებულია დატოვოს საქართველო. განთიადზე კრეისერზე გადავალთ, რომელიც რეიდზე გვიცდის. მე მოგმართავთ თქვენ, როგორც პასუხისმგებელ პარტიულ პირს. მიიღეთ ზომები, რომ თქვენმა ჯარებმა არ დაარბიოს ხალხი და ქვეყანა. მთავრობამ დაყარა იარაღი. თქვენი ჯარები საჩქაროდ უნდა შემოვიდნენ აქ. ქალაქში უკვე შემოდიან თურქები.

მე მივმართე ნოე ჟორდანიას: თქვენ კარგად გიცნობენ ლენინი და სტალინი და პარტიის სხვა მოღვაწეებიც. შევთავაზე საქართველოში დარჩენა. მან მიპასუხა: „არ შემიძლია... მე მთავრობის თავმჯდომარე ვარ. მთავრობა კი ტოვებს ქვეყანას“.

ამის შემდეგ მის წინ გამოიჭიმა სამხედრო მინისტრი გიორგაძე და ჰკითხა: – სად გვიბრძანებთ წაყვანას. მან მწარე ღიმილით შემომხედა: – ახლა იქვე, სადაც იყო. ხვალ კი, ვაგონიც და ყველაფერი მის განკარგულებაში იქნება.

„ნოე ჟორდანიამ თვალცრემლიანმა გადმომილოცა საქართველო. აბა, თქვენ იცითო“.

გამთენიისას, როდესაც მენშევიკების გემი გასცილდა ბათუმს, პატიმრები ციხიდან გამოგვიშვეს. თურქების შეიარაღებული ძალები ბათუმში იწყებდნენ პარპაშს. ჩამოყალიბდა ბათუმის ოლქის რევოლუციური კომიტეტი, რომლის თავმჯომარედ ერთხმად მე ამირჩიეს. ბათუმს საფრთხე ელოდა. თურქების წინააღმდეგ გადამწყვეტი ზომების მიღება იყო საჭირო. გვჭირდებოდა სარდალი, რომელიც იკისრებდა საბრძოლო მოქმედების მეთაურობას და ბათუმის განთავისუფლებას თურქებისგან. ასეთი პიროვნება იყო გენერალი მაზნიაშვილი, რომელიც თურქეთში გაპარვას აპირებდა. ჩემი ბრძანებით დააკავეს და რევკომში მომიყვანეს. საბჭოთა მთავრობის და რევკომის

სახელით მივმართე: „ახლა მაგის დრო არ არის, ვიფიქროთ, რომელი პარტიის გენერალი ბრძანდებით. ბათუმი საფრთხეშია. საჭიროა სარდალი, რომელიც განდევნის თურქებს ბათუმიდან. მეც თქვენს გვერდით ვიქნები, გპირდებით ყოველგვარ დახმარებას. გენერალმა უარი უთხრა, შემდეგი მიზეზით; შემორჩენილი ჯარების ნაწილი დაქსაქსულია, ვშიშობ, რომ უაზრო მსხვერპლს გავიღებთო. მე მაზნიაშვილს განმეორებით მივმართე: „ნახევარ საათს გაძლევთ მოსაფიქრებლად. უარის შემთხვევაში, ჩემი ხელით დაიხვრიტებით“.

არ ვიცი, ბიძია სერიოჟა გააკეთებდა თუ არა ამას? შეიძლება ამ შემთხვევაში გაეკეთებინა კიდეც, თუმცა ასეთი რამ მას არ ახასიათებდა. დამუქრებამ კი თავისი შედეგი გამოიღო.

„გენერალი მაზნიაშვილი დავიმორჩილე. ჩემთან გამოცხადდნენ ქართველი ოფიცრები, რომლებმაც ქალაქიდან თურქების გასადევნად სამსახური შემომთავაზეს. მთელი დღის განმავლობაში ქალაქში სროლის ხმა ისმოდა. მეორე დღეს, განთიადისას, მაზნიაშვილმა სძლია მტერს“.

ამრიგად, აჭარის რევკომმა ყველაფერი გააკეთა, რომ საქართველოს აჭარა არ დაეკარგა.

დამთავრდა სერგო ქავთარაძის მოღვაწეობის გარკვეული პერიოდი, რის შემდეგაც იწყება მისი მოღვაწეობის დიდი გზა.

სერგო ქავთარაძეს, სხვადასხვა დროს, პატიმრობების შუალედებში, სადაც მან საერთო ჯამში ათ წლამდე დაჰყო, შემდეგი პოსტები ეკავა: 1921 წელს საქართველოს სსრ რევკომის თავმჯდომარის მოადგილე. იმავე წელს ინიშნება საქართველოს სსრ იუსტიციის სახალხო კომისრად (ამასთანავე რევოლუციური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი). მისი უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავებულ იქნა საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის, პროკურატურისა და ადვოკატურის პროექტები. 1922 წელს სერგო ქავთარაძე დაინიშნა საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარედ. ხოლო შემდეგ საბჭოთა საელჩოს მთავარ მრჩევლად თურქეთში. 1924 წელს გაიწვიეს მოსკოვში და დაინიშნა სსრ კავშირის უზენაესი სასამართლოს მთავარი პროკურორის პირველ მოადგილედ. ამ თანამდებობაზე ოთხი წელი მუშაობდა. ეს მის ცხოვრებაში მნიშვნელოვან პერიოდად უნდა ჩაითვალოს.

1925 წელს, ქალაქ ბაქოში მიმდინარეობდა ბაქოს 26 კომისრის დახვრეტის ორგანიზატორის ფუნტიკოვის გასასამართლებელი სასამართლო პროცესი. სერგო ქავთარაძე სახელმწიფო ბრიალმდებლად იყო დანიშნული. მან, თავის ორსაათიან გამოსვლაში ამხილა ფუნტიკოვი, როგორც 26 კომისრის ჯალათი და ხალხის მტერი. მისი წინადადებით ფუნტიკოვს სასამართლომ სასჯელის უმაღლესი ზომა – დახვრეტა მიუსაჯა.

1927 წელს სერგო ქავთარაძე გარიცხულ იქნა პარტიიდან, როგორც ტროცკისტული ოპოზიციის მონაწილე. უფრო გვიან, იგი აღდგენილ იქნა პარტიის რიგებში. 1940 წლის იანვარში სერგო ქავთარაძე დანიშნეს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო

კომისარიატის ახლო და შუა აღმოსავლეთის განყოფილების გამგედ. ხოლო 1942 წელს დაინიშნა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილედ (კომისარი მოლოტოვი იყო). ამ ხნის განმალობაში სერგო ქავთარაძე მონაწილეობდა, მოსკოვის, იალტის, პოტსდამის და პარიზის საერთაშორისო კონფერენციების მუშაობაში.

სერგო ქავთარაძე 1945 წელს დაინიშნა საბჭოთა კავშირის სრულუფლებიან ელჩად რუმინეთში. 1946 წელს მან მონაწილეობა მიიღო პარიზის საერთაშორისო კონფერენციის მუშაობაში (პირველად იყო 1906 წელს პარტიის საპასუხისმგებლო დავალებით). კონფერენციის მსვლელობის დროს პარიზში ყოფნისას სერგო ქავთარაძე შეხვდა იქ მცხოვრებ ქართველ ემიგრანტთა წარმომადგენლებს.

სერგო ქავთარაძე სტალინის დავალებით ესტუმრა ნოე ჟორდანიას, რომელიც მაშინ ძალზე მოხუცებული იყო. სამშობლოში დაბრუნებაზე მას უარი უთქვამს. შვიდი წელი ითვლებოდა სერგო ქავთარაძე სრულუფლებიან ელჩად რუმინეთში. მან, თავისი დაუღალავი შრომით, ხალხთან ახლო ურთიერთობით, რუმინელი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. აგრეთვე დაიმსახურა ახალგაზრდა მეფის, მიხაის პატივისცემა, რომელიც შემდეგ სერგო ქავთარაძემ ძალზე დელიკატურად და თავაზიანად გაისტუმრა თავისი სახელმწიფოდან.

რუმინეთის მთავრობამ სერგო ქავთარაძე დააჯილდოვა რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის პირველი ხარისხის ოქროს ვარსკვლავის ორდენით. 1952 წლიდან 1955 წლამდე მუშაობდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველად.

ძალიან ბევრი რამ მაქვს მოსაგონარი ბიძია სერიოჟაზე, როგორც მისი და მისი ოჯახის მოსკოვში ცხოვრებაზე, ასევე, თბილისში ყოფნისას, თუნდაც ბიძია სერიოჟას ოჯახთან ერთად სტუმრობაზე ვარძიაში, თუმცა ისინი ასპინძის რაიონის სტუმრები აღმოჩნდნენ. აბა, მე და არჩილი როგორ შევძლებდით მათ მასპინძლობას ასეთ მასშტაბში.

ახლა მინდა, რომ გაკვრით შევეხო ბიძია სერიოჟას ცხოვრების უკანასკნელ ათ წელს, რომელიც მან, პენსიაზე ყოფნისას, თბილისში, თავის ოჯახში გაატარა.

აქ ბიძია სერიოჟას ხშირად ვხვდებოდი. ერთხელ, ჩემს ახალ ბინაში სადილად მოვიწვიე. მან, მთელი სუფრის წევრები ისე დაიპყრო თავისი წარსული ცხოვრების მოგონებებით, რომ მე და არჩილი საცოდავად ვუყურებდით ერთმანეთს. ყველა იმდენად მოგვხიბლა, რომ ჩვენებურად ღვინის დალევაც ვეღარ მოვახერხეთ.

დ.ლ. რომელსაც მე კარგად ვიცნობდი, დაჟინებით მთხოვდა ამისთვის ბიძია სერიოჟა გამეცნო. იძულებული გავხდი დ.ლ.–ს თხოვნა შემესრულებინა. დ.ლ.–მ ბიძია სერიოჟას ბევრი ვერაფერი გაახსენა წარსულიდან, მაგრამ თავის თავის გახსენება კი მაინც მოახერხა. სამაგიეროდ „კარგად“ გაეცნო, როგორც პიროვნება.

ერთხელ ბიძია სერიოჟა ავად გახდა. მის სანახავად მივედი. ლოგინთან დ.ლ. ეჯდა. ბიძია სერიოჟამ მთხოვა კარადიდან რაღაც დაბეჭდილი მასალა გამომეღო და მისთვის მიმეტანა. ეს აღმოჩნდა ბიძია სერიოჟას მოგონებები, რომელიც 26 კომისრის დახვრეტის

პროცესს ეხებოდა. მოგონებები ოთხ ეგზემპლარად იყო დაბეჭდილი, მანქანაზე. კარადაში დაბრუნებისას ამ მოგონებების ერთი ეგზემპლარი დავკეცე და ჯიბეში ჩავიდე.

გავიდა დრო. როდესაც ბიძია სერიოჟამ ეს მოგონებები მოიკითხა, შეატყო, რომ ერთი ეგზემპლარი აკლია. უმალვე ჩემზე აიღო ეჭვი და განგაში ატეხა. მე იძულებული ვიყავი მისთვის ასეთი წერილით მიმემართა:

ძვირფასო ბიძია სერიოჟა!

ბევრჯერ დავაპირე მომეწერა თქვენთვის და ვერ ვბედავდი, ვშიშობდი რა, რომ თქვენ არასწორად გაიგებდით ჩემს გულისწადილს, ახლა კი, თქვენი თანაგრძნობის იმედით, მაინც გადავწყვიტე მოგმართოთ.

ამ ხნის განმავლობაში ბევრს ვფიქრობდი, ვეჭვობდი, ვიმედოვნებდი! ვეძებდი გამოსავალს, რათა გამექარვებინა ის გაუგებრობა, რასაც ჩვენს შორის ჰქონდა ადგილი. როგორც ხედავთ, მე ამას ჩხუბს არ ვეძახი, იმდენად დიდია ჩემი თქვენდამი პატივისცემა. და ყველა ბრალს ჩემს თავზე ვიღებ. ამ წლების განმავლობაში რამდენჯერაც უკან მოვიხედე, ვფიქრობდი, ვიგონებდი და ვერ ვიპოვე ისეთი ადამიანი, რომელთან ურთიერთობაც ასე გაამდიდრებდა და გაალამაზებდა ჩემს ცხოვრებას, როგორც თქვენთან ურთიერთობა. ამას ჩვენი ნათესაური კავშირიც ემატება, რომელსაც მე, როგორც„ძველი მოდების“, ტრადიციების ადამიანი, დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ.

ახლა კი მინდა აგიხსნათ, რით იყო გამოწვეული ჩემი არაკეთილსახიერი მოქმედება, რომელმაც თქვენი სამართლიანი გულისწყრომა გამოიწვია.

როგორც ხშირად ხდება ხოლმე ცხოვრებაში, პირველად არ დავფიქრდი და ვერ გავითვალისწინე ის შედეგები, რაც შეიძლება ამას მოყოლოდა და თქვენი მემუარული წერილები ჩემთან შევინახე. მინდოდა რა, კიდევ ერთხელ გადამეკითხა ისინი, იმდენად საინტერესო და ძვირფასი იყო ჩემთვის.

მერე, როდესაც ამის გამო განგაში ატყდა, დავიბენი და ჩემი სულმოკლეობის გამო ვერ გავბედე მეღიარებინა სინამდვილე.

აღარ მინდა იმის გამეორება, რომ მე სხვა არავითარი მიზანი არ მქონდა, და ჩემი შეცდომა იმდენად უმნიშვნელოა იმ დიდ გრძნობასთან, სიყვარულთან და პატივისცემასთან, რომელსაც მე განვიცდიდი და განვიცდი თქვენდამი.

მე მინდა და მჯერა, რომ თქვენ გაიგებთ რა ამოძრავებს ჩემს გულს.

მიიღეთ ჩემი ბოდიში, ველი თქვენგან პასუხს, რა ფორმითაც ამოირჩევთ და მოისურვებთ.

28.3.69. პატივისცემით ირაკლი.

პირველი შეხვედრისთანავე ბიძია სერიოჟამ გამიგო. ჩვენს შორის უწინდელი ურთიერთობა აღდგა. უფრო კარგად გავუგეთ ერთმანეთს.

ბიძია სერიოჟა უკანასკნელად ძალზე აღშფოთებული იყო ჩვენი რესპუბლიკის მდგომარეობით. იგი თავშეკავებული გახდა, ყველაფერს გულახდილად ლაპარაკობდა, არავის ინდობდა, ვინც ნამდვილად არ იყო დასანდობი.[1]

როდესაც დარწმუნდა, რომ ამას ბოლო არ უჩანდა, გამოსავალი ვეღარ ნახა და მოსკოვში გაემგზავრა, სადაც დაწვრილებით ილაპარაკა ყველაფერზე, რასაც თავის თვალით ხედავდა და რაც თავის ყურით ესმოდა. არაფერი დაუკლია და არც არაფერი მიუმატებია (მისამატებელი არც არაფერი იყო). ბიძია სერიოჟას ორსაათიანი საუბარი ფირზე ჩაიწერეს. მერე მოხდა ის, რისი მოწმეც დღეს ვართ. თავისთავად არაფერი მოდის.[2]

„ბატონი სერგო აქ ბევრს ცუდად იხსენიებსო“.

ბიძია სერიოჟა არასოდეს მისცემდა თავს უფლებას, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ცუდად მოეხსენებინა, ან გაეკიცხა, თუ ღირსი არ იყო და არ მოეხსენებინა სიყვარულით, დაფასებით, პატივისცემით ისინი, ვინც ამის ღირსნი იყვნენ. ამის გარჩევის დიდი უნარი ჰქონდა. ეს ნამდვილად ასე იყო. ასეთი ადამიანები კი ვფიქრობ, იშვიათია.

ბიძია სერიოჟა სხვანაირად ვერ მოიქცეოდა. მას სხვანაირი ბუნება ჰქონდა. დაუნდობელი იყო. ის, ხომ წარსულშიც ასე იქცეოდა. ამჟამად კი, როგორც თვითონ ამბობდა, ვალი მოიხადა თავის წინაშე. და შეეწირა კიდეც ამას. მას შეეძლო კიდევ ეცოცხლა. მხნედ იყო. ბედმა არგუნა, რომ მშობლიურ მიწას მიბარებოდა. დაკრძალულია დიდუბის პანთეონში.

კონსტანტინე გამსახურდიას გახსენება

ბატონი კონსტანტინე პეტია ბიძიას ოჯახში გავიცანი. მახსოვს, სახელმწიფო მუზეუმში ჩემთან კაბინეტში შემოდის ბატონი კონსტანტინე, სვანური კოშკის მშენებლობა დავიწყე, აბა, „ვარძიელო“ თქვენ რითი შეგიძლიათ დამეხმაროთო? მისი მომართვა სიამოვნებით მივიღე და შევპირდი დახმარებას, რითიც შევძლებდი. მუზეუმში მყავდა საბარგო მანქანები, რომლებსაც ხშირად ვახმარდი მშენებლობაზე. სამშენებლო მასალების შოვნაშიც ვეხმარებოდი.

ერთ ზაფხულს ქვიშხეთში ლიტფონდის მშენებლობას ვხელმძღვანელობდით (ყოველ ზაფხულს აქ იკრიბებოდნენ ქართველი მწერლები შემოქმედებითი მუშაობისთვის და დასვენებისთვის), იმ ზაფხულს ბატონი კონსტანტინეც აქ იყო. იყო აგრეთვე გერმანიიდან ჩამოსული ცნობილი ქართველოლოგი გუპერტი, რომელიც ვეფხისტყაოსნის გერმანულ თარგმანზე მუშაობდა. ჩვენ ხშირად ვხვდებოდით

[1] ეს კი ერთმა პირმა (რომელსაც ყოველთვის თანაუგრძნობდა) ბიძია სერიოჟას საზიანოდ და თავის სასიკეთოდ გამოიყენა.

[2] ახლახან ბიძია სერიოჟას მემუარების გასაცნობად მივედი „იმედ“–ში, ვინახულე ქალი, რომელმაც ბიძია სერიოჟა გაიხსენა დიდი პატივისცემით. მემუარები კი არ წამაკითხა.

ერთმანეთს. სუფრაზე დანახარჯს გერმანული ანგარიშით ვიხდიდით. ერთხელ მაინც მოვახერხე მათი ქართული წესით გამასპინძლება.

ზაფხული მიიწურა. გუპერტმა მთხოვა თბილისში გამგზავრებაში დავხმარებოდი. ვინაიდან იმ დღეს ბატონი კონსტანტინეც თავისი მანქანით აპირებდა თბილისში გამგზავრებას, ვთხოვე დახმარებოდა გუპერტს. ბატონმა კონსტანტინემ ცივი უარი მითხრა, იმ მოტივით, რომ მას ბევრი წიგნი ჰქონდა წასაღები. თუ გინდათ, რომ გუპერტს პატივი სცეთ, თქვენი მანქანით წაიყვანეთო. მეც ასე მოვიქეცი. ჩემი ძველი მარკის მოსკვიჩი – „კაბრიოლეტი“ შევთავაზე გუპერტს, რომელმაც ჩემი მანქანა წიგნებით აავსო, თვითონ გვერდით მომიჯდა და ასე გავემგზავრეთ თბილისისკენ.

ბატონმა კონსტანტინემ, არ ვიცი თავის პატივსაცემად თუ ჩვენს პატივსაცემად, წინ გამიშვა. ჩვენი საპატიო სტუმარი მშვიდობით ჩამოვიყვანე თბილისში.

მივლინებით ვიმყოფები მოსკოვში. სასტუმროში ბატონ კონსტანტინეს, მის მეუღლეს მირანდას და პატარა ზვიადს შევხვდი. თბილისში დაბრუნება ერთად მოგვიხდა. სადგურზე რომ გამოვედი, ზვიადმა, რომელიც ქალბატონ მირანდას ეჭირა ხელში, სათამაშოების კიოსკს შეხედა და ტირილი მორთო. მირანდამ ტირილის მიზეზი ამიხსნა. პატარა ზვიადი დაჟინებით ითხოვდა, რომ მისთვის რაღაც სათამაშო ეყიდათ. მე ვთხოვე, ნება მოეცათ პატარა ზვიადი სათამაშოთი დამესაჩუქრებინა.

კუპეში ერთად ვიყავით. მგზავრობის მეორე დღეს ბატონმა კონსტანტინემ გამახსენა, დღეს მირანდას დღეობაა (მირანდა მე მენათესავებოდა), მგონი თვითონაც იმ დღეს გაიხსენა, მირანდას დღეობა აღვნიშნეთ.

გალაკტიონის გახსენება

ირაკლი აბაშიძეს გავუკეთე იმერული ორსართულიანი პატარა ოდა–სახლის პროექტი. ირაკლისთან ვიმყოფებოდი წყნეთში. ამ სახლის მშენებლობაში ვეხმარებოდი. იმ დღეს ოპერის თეატრში გალაკტიონის საიუბილეო საღამო იყო დანიშნული. დღის მეორე ნახევარში თბილისში გამოვეშურეთ. მე და ირაკლი რომელიღაც რესტორანში შევედით, თათარიახნად ვისადილეთ, ირაკლიმ მომმართა: „ხომ ამოვიყორეთ, ახლა თეატრში წავიდეთო“. ოპერის თეატრში რომ შევედით ხალხი უკვე იკრიბებოდა. იუბილარი კი არსად ჩანდა. ირაკლი ძალზე შეშფოთებული მეუბნება: ჩავჯდეთ მანქანაში და წავიდეთ გალაკტიონის საძებნელადო. მე საძებნად მტკვრის მარცხენა სანაპირო ავირჩიე, ხოლო ირაკლის მარჯვენა შევთავაზე.

ბატონი გალაკტიონი და ვარლამ ჟურული უმალვე მოვნახე იმ ადგილას სადაც მეგულებოდა. ორივენი მანქანაში ჩავსვი და თეატრში წამოვიყვანე. დიდის გაჭირვებით გავარღვიე ხალხი და იუბილარი თეატრში შევიყვანე. რაც შეეხება ვარლამ ჟურულს, მისი თეატრში შეყვანა ვერ მოვახერხე. არ შემოუშვეს. ვარლამს ეს სრულებით არ სწყ ენია და

მითხრა: „ჩემო ირაკლი, მე იუბილარი უკვე დავლოცე, ახლა კი თქვენთვის მომინდვიაო“. ირაკლიმ გამონახა გამოსავალი; ბატონი გალაკტიონი ზოგიერთ მწერალთა შორის ჩასვა, დირექციის ლოჟაში, მე კი ყოველი შემთხვევისთვის, გალაკტიონის ზურგს უკან დამსვა, ისე, რომ არ გამოვჩენილიყავი.

საღამოს დამთავრებისას იუბილარი წამოდგა ლოჟიდან და მადლობით მიმართა საზოგადოებას დარბაზში და პრეზიდიუმს სცენაზე.

ირაკლის მეთაურობით, იუბილე ბრწყინვალედ, თავისებურად ჩატარდა.

იოსებ გრიშაშვილის გახსენება

ვზივარ ბორჯომის პარკში, პაპანაქება სიცხეა, თამარამ ამოიოხრა და სოსოს შესჩივლა: „ნამეტანი სიცხეა“, – შენც ჩაჯექი წყალში და ნამე ტანიო. თამარა გახდას შეუდა. მე და კაკო ძიძიგურმა კი გასაგრილებლად ცემში გადავწყვიტეთ გასეირნება.

როგორც კი დავძარი მანქანა, ხეს დავეჯახე. სოსომ შენიშნა და თქვა: ეს ირაკლი რა კაცია, აკაცია წააქცია. გამოცხადდა მილიცია, ისენი კი გააქცია.

ამ ინციდენტის მოსაგვარებლად კურორტის მთავარ ექიმს ვახტანგ გოკიელს მივმართეთ. მან გვიპასუხა: მე „ტყის მეგობარი“ ვარ, ვერაფრით დაგეხმარებითო.

ჩემი და არჩილის ბავშვობის სურათი იოსებ გრიშაშვილს გამოურთმევია მამასთვის ჟურნალ „ნაკადულში“ დასაბეჭდად (ესეც არჩილმა გამახსენა).

გვარის წარმოშობა

ქავთარაძეების გვარი ერთ–ერთი უძველესია. ეს გვარი ჯერ კიდევ დავით აღმაშენებლის დროს მოიხსენიება. ერთ–ერთი ქავთარაძე მეფე დავითისგან გარკვეულ დავალებას იღებს, რასაც პირნათლად ასრულებს.

ხელნაწერთა ინსტიტუტი ფონდი №3729

(იოანე ბატონიშვილი „აღწერა“) გვ. 429.

„აზნაური ქავთარაძე არის ძირით იმერელი, მოსრული დროსა მეფისა გიორგისასა ქ.წ. აქე 1587“. ქართველი ქავთარაძე მუხრან ბატონის აზნაურები არიან.

„აზნაური ქავთარაძე: ამათნი წინაპარნი არიან იმერეთიდან მოსული და ზემოცა მოვიხსენეთ ქავთარაძის შვილი და ამათგანი და არიან (ასეა: და არიან) მიღებულნი დროსვე ლუარსაბ მეფისასა და მოხსენებული ტრახტაკსა (ასეა) შინა რომელნიმე სახლობენ ამათნი გუარნი იმერეთს და იწინამძღვრეს ქავთარ ტბელი, მოეგებინოს ბრძოლად და თავსაბედა მოლრისასა.

დოკუმენტი საქარ. სოც. ისტორიის, I ტომი,

ბერძენიშვილის რედაქციით თბილისი, 1940, გვ. 518:

ქ.ნებითა და შეწევნითა ჩუენ აღმატებულმან ძლიერმან და უძლეველმან, ჩუენ, თივ–გვირგვინოსანმა მეფეთ მეფემ ბატონმა შაჰნავაზ და თანამეცხედრემან ჩუენმა დედოფალთ–დედოფალმან პატრონმა მარიამ და ძემან ჩუენმა პირმშობმან და სასურუემან პატრონმა არჩილ, გიორგიმ და ლევან ესე წყალობის საბოლოო გასათავებელი სამკვიდრო წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ თქვენ, წერეთლის ქაიხოს (როს) და პა(ა)ტასა და სხვათა თქვენთა შვილთა და მომავალთა სახლისა თქუენთა შვილთა და მომავალ სახლისა თქვენისათა და ყოველთავე მას ჟამსა ოდეს მიგვადექ კარსა და მამულის თხოვნასა დაგუაჯენით და ჩუენ ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი და შეგიწყალეთ და გიბოძეთ „ქავთარაძე გიორგი და იონათამ მათის ცოლშვილითა და მამულითა სახლ–კარითა და ვენახითა, ჭურ–მარნითა და ეკლესიითა და სასაფლაოთა, სახნავ–სათესითა, ტყითა და ველითა, მთითა და ბარითა, საძებრითა, უძებრითა და დღეს რისაც მამულისა და ალაგის მქონებელი იყვნენ მართლის სამართლიანის საქმით სამკვიდროთ თქვენთვის გვიბოძებიათ და ამას. გარეთ კიდევ შეგიწყალეთ და გიბოძეთ ორი კვამლი და ა.შ.

როგორც ვხედავთ, ქავთარაძეები ყოფილან წარმოშობილი იმერეთიდან.

უმეტესად გვარი წარმოსდგება სახელიდან ე.ი. ქავთარაძის შვილი ღებულობს ქავთარაძის გვარს, ხოლო ამ გვარის პირველი წარმომადგენლები არიან გიორგი და იონათამალბათ ძმები).

ქავთარაძის მეგრული ფორმაა ქანთარია. ე.ი. ამჟამად ყველა მეგრელი ქავთარაძე წარმოშობილა ქანთარიებისგან.

წინაპრები: ივანწმინდელი ქავთარაძეები.

ჩვენი გვარის დიდი წინაპარი ივანე მეთხუთმეტე საუკუნის დასაწყისში ჩამოსულა საჩხერეში და მისგან 2–3 კილომეტრის დაშორებით ივანე ნათლისმცემლის სახელობის ეკლესია აუგია. თვითონაც აქ დასახლებულა და სოფლისათვის ივანწმინდა დაურქმევია.

ქავთარაძის გვარი მალე გამრავლებულა, გაძლიერებულა.

შედარებით ადრე ჩამოსულ წერეთლებს თავადობა მიუღიათ.

ბაბუაჩემის (ბაგრატის) ბიძა ივანე, გრიგოლ ორბელიანს მოუნათლავს, სოფლიდან წამოუყვანია და სამხედრო განათლება მიუცია.

ივანეს შეძლებული მამულიშვილი ცაბაძის ქალი შეურთავს (სოფელ ბოვრეთიდან, ზესტაფონის რაიონი) და იქვე დასახლებულა. მალე ძლიერი და დიდი ოჯახის პატრონი და სახელოვანი სამხედრო პირი გახდა.

ერთხანს რაჭის მაზრის უფროსი იყო. მასთან მუშაობდა და ცხოვრობდა მისი გაზრდილი ძმისშვილი, ბაბუაჩემი ბაგრატი.

ივანემ ჯერ კიდევ ახალგაზრდობაში მიაკითხა თავის სოფელს. ინახულა თავისი ძმის ნიკოლოზის ოჯახი. მისი სამი ვაჟიშვილიდან აღსაზრდელად წამოიყვანა ბაგრატი და ფარნაოზი, რომლებიც ხურჯინში ჩასვა, ცხენზე შემოიგდო და ისე გაემგზავრა. ძმებს ბელურა ჩიტებივით ამოეყოთ თავები ხარჯინიდან, სოფელში უფროსი ძმა ვლადიმერი დარჩა.

თუ როგორ ზრუნავდა ივანე თავის ძმისშვილზე, ნათლად მეტყველებს მისი ერთ–ერთი წერილი (წერილი იხილეთ ბოლოში). როგორც ჩანს, ბიძის თვალყურის დევნებას, ყურადღებას და მუქარას კარგი შედეგი გამოუღია. ბაბუა ბაგრატი ამართლებს მზრუნველი ბიძის იმედებს. წარმატებით ამთავრებს, როგორც გიმნაზიას, ასევე კადეტთა კორპუსს.

დაბოს ჩემი ბებიის (ბაგრატის მეუღლე) მამას, ივანეს ცოლად მეგრელი წერეთლის ქალი ჰყავდა (ჩვენი სახელოვანი მომღერლის თამარა წერეთლის მამიდა). მათ ექვსი შვილი შეეძინათ: სამი ქალი და სამი ვაჟი. ვაჟები ახალგაზრდობაში უცოლოდ გარდაცვლილან. დარო ბაგრატ ქავთარაძეზე თხოვდება. შეეძინებათ ერთადერთი ვაჟი, რომელსაც ვიქტორს დაარქმევენ (მამაჩემი).

დაღესტნელი ჭაბუკის თავგადასავალი

ჭაბუკს მამა უეცრად გარდაეცვალა.

ბიძამ მამულების გაყოფისას ძალიან შეავიწროვა და დაჩაგრა თავისი ძმისშვილი, უფრო მეტიც, თავის რძალს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

ჭაბუკმა ეს ვეღარ მოითმინა და ბიძა ხანჯლით გამოასალმა წუთისოფელს.

სისხლის აღების წესი ჭაბუკის სიცოცხლეს საფრთხეში აგდებს. იძულებულია გასცილდეს სამშობლოს, სოფელ ნუხას.

კახეთზე გამოვლით თბილისში ჩამოდის.

დიდი მთავარი რომანოვების გვარის შთამომავალი მიხეილ ნიკოლოზის ძე თავის სასახლის ფანჯრიდან (სასახლე თათრის მოედანზე მდებარეობდა) ამჩნევს თეთრ ცხენზე ამხედრებულ ლეკურ ქულაჯაში გამოწყობილ ჭაბუკს.

დანახვისთანავე იხიბლება მისი გარეგნობით. უმალვე მოიხმობს. გამოჰკითხავს ვინაობას. ჭაბუკი გულახდილად უამბობს თბილისში ჩამოსვლის მიზეზს.

დიდი მთავარი მფარველობას ჰპირდება, იმ პირობით, თუ ის რჯულს შეიცვლის. ჭაბუკს უჭირს რწმენის შეცვლა, დიდხანს ყოყმანობს. ბოლოს თანხმდება.

დიდ მთავარს ჭაბუკი სიონის ტაძარში მიჰყავს, არსებული რიტუალით ნათლავს და მისი ნათლია ხდება.

ამგვარად, ფაშას შთამომავალი, 18 წლის სამედ–ქერიმ–ბეგი ალექსანდრე ივანეს ძე სამადბეგოვი ხდება. ფაშას შთამომავალი, როგორც თავის სამშობლოში, ისევ ბრწყინვალე თავადად რჩება. დიდი მთავარს თავის სასახლეში მიჰყავს და მცველთა რაზმში რიცხავს. მალევე იმსახურებს თავისი მფარველის ნდობას და სიყვარულს, დიდი მთავრის პირად მცველად ინიშნება და მის ოჯახში ცხოვრობს.

როგორც ცნობილია, მიხეილ ნიკოლოზის ძე ჭლექით იყო დაავადებული. ამის გამო ხშირად უწევდა ბორჯომსა და აბასთუმანში თავის სასახლეში ცხოვრება.

ბორჯომი იმ დროს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან გადმოხვეწილ ხალხისა და ყაჩაღების თავშესაფარს წარმოადგენდა. მათგან უმეტესი მეფის წინააღმდეგ იყო ამხედრებული. რაც უფრო ზრდიდა ახალგაზრდა მცველის პასუხისმგებლობას.

ალექსანდრე ყოველმხრივ ცდილობდა მშვიდობიანი დამოკიდებულება დაემყარებინა დიდ მთავარსა და ამხედრებულ პირთა შორის. თუ ამას ვერ აღწევდა, სათანადოდ უმკლავდებოდა ურჩ და თავხედ პირებს.

ყველაფერს გონივრულად და წინდახედულად აკეთებდა. თუმცა იყო შემთხვევები, როდესაც ის თავს საფრთხეში იგდებდა. დიდი მთავარი ყველაფერს უფასებდა. ოჯახმა ის შეიყვარა. გადიოდა დრო... მიხეილ ნიკოლოზის ძე ფიქრობდა, რომ ძალიან მძიმე იქნებოდა მისთვის ასეთი თავდადებული და ერთგული ადამიანის გარეშე ცხოვრება,მაგრამ მისი პირადი ცხოვრებაც აღელვებდა. ამიტომ ეს ფიქრები გაუმხილა და უთხრა, შეერჩია ადგილი სადაც მოისურვებდა დასახლებას. ალექსანდრემ გულისტკივილით მიიღო რჩევა.

მათ სამსახურებრივ საქმეებზე ხშირად უხდებოდათ ცხენით მოგზაურობა. ერთხელ სურამში მოხვდნენ.

სწორედ ეს ადგილი აირჩია მან საცხოვრებლად.

დიდმა მთავარმა მას 20 ჰექტარი მიწა მიუზომა (რაც იმ დროს თითქმის სურამის ნახევარს უდრიდა).

ალექსანდრე ჯერ კიდევ დიდი მთავრის ახლობლად ითვლებოდა, როდესაც ეს სამსახურებრივი ურთიერთობა შეწყდა, მიხეილ ნიკოლოზის ძემ თავდადებული მუშაობისთვის გიორგის ჯვრით და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა. დიდი პენსიაც დაუნიშნა.

მიხეილ ნიკოლოზის ძე ზრუნავს და მფარველობს ოჯახს. ოჯახის ხშირი სტუმარი, მისი მეუღლე, ნათლავს უფროს ქალიშვილს და თავის სახელს ოლღას არქმევს. ალექსანდრე სურამელების პატივისცემასა და სიყვარულს იმსახურებს. არც სამშობლო ივიწყებს მას.

ერთ დღეს ცხენით მოაკითხეს ძმამ და ნათესავებმა. სამშობლოში დაბრუნება სთხოვეს, მაგრამ ვერაფრით დაითანხმეს. მას ვეღარ წარმოედგინა, გასცლოდა თავის მეორე სამშობლოს, საყვარელ სურამს.

ალექსანდრე კარგად გაუმასპინძლდა თანამემამულეებს, კარგადაც დაასაჩუქრა და სთხოვა, არ დაევიწყჩებინათ და კიდევ სწვეოდნენ სტუმრად. ასე დაემშვიდობა გულდაწყვეტილებს.

ალექსანდრე ძლიერ ოჯახს ქმნის. ზრუნავს შვილებზე.

ბაბუა ალექსანდრე ოდნავ მახსოვს.

კარგად მახსოვს, მოზრდილი, ჩარჩოიანი სურათი, სადაც ბაბუა მუხლმოკეცილი, მუთაქაზე ხელებდაყრდნობილი ლეკურ ქულაჯაში გულზე გიორგის ჯვრით ზის ტახტზე (როგორც ჩანს, რჯულს და ადათს მაინც ვერ გაექცევი), მის გვერდით კი, ჩიხტი–კოპით, ბებია ქანა. სხედან მათიქალები და რძლები ქართულ კაბებში. უკან დგანან ვაჟები ლეკურ ქულაჯებში და სიძეები. ერთი მათგანი, გულზე ჯვრებდაკიდებული, სამხედრო ფორმაში.

ეს ერთადერთი უნიკალური სურათი ბაბუას ოჯახიდან უგზო–უკვლოდ დაიკარგა.

ბაბუას და ბებიას კარგი შთამომავლობა დარჩა, როგორც ვაჟების, ისე ქალების მხრიდან. როგორც შვილები ისე შვილიშვილები ვაჟების მხრიდან, კარგა ხანს ატარებდნენ სამადბეგოვის გვარს. მერე კი, თანდათანობით, ყველანი სამადბეგიშვილები გახდნენ.

რაც შეეხება ქალიშვილებს, ყველანი ისეთი ლამაზები იყვნენ, რომ მათ სახლში დიდხანს არ გაუჩერებდნენ. ასეც მოხდა. ყველანი 15–18 წლის ასაკში დათხოვდნენ. ყველა ბედნიერად დააბინავა.

ქალიშვილებმაც გაუმართლეს და თვალსაჩინო ოჯახები შექმნეს. ალექსანდრემ ძალზე შეიყვარა სიძეები, მათით ამაყობდა. თითოეული იმდროინდელი მოწინავე საზოგადოების შესანიშნავი წარმომადგენელი იყო.

ნინას მეუღლე – (წარმომავლობით ბერძენი) თომა თამაზოვი, ერთხანს ორი სასტუმროს მფლობელი იყო ბაქოში („ევროპა“, „გრანდ–ოტელი“).

ოლინკას (ოლღას) მეუღლე – მემნოს ჩხიკვაძე გამოჩენილი მოსამართლე, უმაღლესი სასამართლოს წევრი იყო.

ბაბოს მეუღლე – ევგენი ვუნდერი (წარმოშობით გერმანელი) სახელოვანი სამხედრო პირი იყო.

15 წლის სოფიოს (დედაჩემს) ცოლად ირთავს ვიქტორ ქავთარაძე – პროვიზორი (დამთავრებული ჰქონდა ხარკოვის სამედიცინო უნივერსიტეტი).

ეხლა კი მინდა მოგითხროთ ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვან და საინტერესო ეტაპზე

15 წელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში

1938 წლის განმავლობაში **სანდრო კალანდაძის** მიწვევით მონაწილეობას ვღებულობ მცხეთის არქეოლოგიურ ექსპედიციაში არმაზში, როგორც არქიტექტორი – მხატვარი.

ექსპედიციას ხელმძღვანელობდა **ივანე ჯავახიშვილი** /რაც 1937 წელს დაიწყო ახლად დაარსებული „ენიმკის“ მეშვეობით/. არმაზის ხევის შესართავთან, მტკვრის მარჯვენა მხარეს აღმოჩნდა ერისთავ–პიტიახშების ნამოსახლევი. ექსპედიციის შემადგენლობაში შედიოდნენ არქეოლოგები – **სანდრო კალანდაძე, გიორგი ლომთათიძე, გერმან გობეჯიშვილი, ანდრო აფაქიძე, ფოტოგრაფი იური პახომოვი.**

აღმოჩნდნენ სამარხეული ძეგლები, ე.ი. სამარხები /ხშირად ნაგებობანი/ და მათში დაცული ინვენტარი.

აღმოჩნდა ხუროთმოძღვრული და სამშენებლო საქმის მეტად მნიშვნელოვანი ძეგლი ქვიტკირით ნაშენი აბანო, რომელსაც ერთი პირველი ადგილთაგანი უჭირავს ქართული ხუროთმოძღვრების ადრინდელ, წინაქრისტიანულ ძეგლთა შორის.

ერთ–ერთ სამარხში აღმოჩენილი იქნა ორი წარწერიანი ქვა. ერთი მათგანი ნაწერია არამეული ასოებით. მეორეზე, არამეულის გარდა, ბერძნული ტექსტიც არის მოთავსებული, ისე, რომ იგი ბილინგვას /ორენოვან წარწერას/ წარმოადგენს. ქვები სამარხის უბრალო საშენ მასალად /ქვაყუთის ასაგებად ყოფილა გამოყენებული.

წარწერების ამოშიფრვა არცთუ ისე ადვილი საქმე გამოდგა. ბაზალტის ქვის სტელა ოდნავ დაზიანებული აღმოჩნდა და ასოები გადაგლესილი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ გამოქვეყნდა წიგნი: არმაზის ბილინგვა. გიორგი წერეთელი გადმომცემს თავის ნაშრომს შემდეგი ავტოგრაფით: „ძვირფას ი.ქავთარაძეს. გულწრფელი მადლობით გ.წერეთელი 1942 წ. 8.IV“.

ეს იყო ჩემთვის დიდი საჩუქარი (არაერთი წიგნი მაქვს მიღებული ავტოგრაფებით დავალებულ მეგობარ დისერტანტებისგან, რომელთაც აგრეთვე ვეხმარებოდი როგორც შემეძლო). ბ–ნ გიორგის დავეხმარე რითაც შემეძლო და როგორც შემეძლო, რათა სხვადასხვა ხერხით გამეადვილებია მისთვის წარწერის ამოშიფვრა.

სტელის წარწერა მეტყველებს შემდეგს:

1. მე /ვარ/ სერაფიტი, ასული
2. ზევახისა, მცირისა პიტიახშისა ფარსმან
3. მეფისა, მეუღლე იოდმანგანისა – ძლევამოსილისა
4. და მრავალი გამარჯვების მომპოვებელი ეზოს

5. მოძღურისა ხსეფარნუგ მეფისა – ძისა
6. ფარმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის
7. რაც – ის ვინც /იყო
   არა დასრულებული/ ე.ი. ახალგაზრდა?/ და იმდენად
8. კეთილი და მშვენიერი იყო, რომ არა–
9. ვინ. იყო /მისი/ მსგავსი
10. სილამაზით და გარდაიცვალა 21 წლისა.

ჩვენმა პოეტებმა უძღვნეს ლექსები სერაფიტას სილამაზეს. არმაზში მუშაობის შემდეგ ჩვენმა ექსპედიციამ გაშალა სამუშაოები სამთავროს ველზე.

როგორც ცნობილია, მცხეთა უხსოვარი დროიდან არსებობდა, ამას ადასტურებს იქ აღმოჩენილი სამარხები, უძველეს დროინდელიც და მერმინდელიც, თითქმის ყველა დროისა და ეპოქის. გავიხსენოთ ბავშვის სამარხი, მცხეთელი მწყემსი ბიჭია. ოთხიათასამდე წლის წინათ დაღუპულმა პატარა მწყემსის გახსენებამ ბევრს მოსწყვიტა ცრემლი.

პატარა მცხეთელი ბიჭის ძველისძველ სამარეში აღმოჩნდა ჩატანებული ხარი (ჩონჩხი) და უენო სალამური.

წავაწყდით ერთ საინტერესო საფლავის ქვას, რომ აქ ქვის ქვეშ განისვენებს მცხეთის არქიტექტორი და მხატვართუხუცესი!...

„აქ განისვენებს მხატვართუხუცესი და ხუროთმოძღვარი **ავრელი არქოლისი.** ჩემი მეუღლითურთ, ბევრაზურიათურთ, ვთხოვ მეგობრებსა და გამოვლელებს ყური უგდონ, რათა არავინ დააზიანოს“ და ა.შ. წარწერა გაშიფრა სიმონ ყაუხჩიშვილმა. ეს ჩანს იმ პირად, რომელიც ჩამოსულა საბერძნეთიდან რომაული სახელის მატარებელი, /რომელსაც მხატვართუხუცესის და ხუროთმოძღვრის თანამდებობა სჭერია/.

ერთ სამარხში აღმოჩნდა იშვიათი გემოვნებით და ნატიფი ოსტატობით შესრულებული ნივთი. თასი ქალ–ღმერთის გამოსახულებით.

იშვიათი ოსტატობით და ხელოვნებით გამოჭედილი, ძვირფასი ქვებით ოქროს სამკაულები, გულსაკიდები, ყელსაბამები, სამაჯურები, სამკლაურები, საწვივეები, თავსაკრავები, დიადემები, ქამრები, საყურეები, ქინძისთავები, მძივები, ბეჭდები, სხვადასხვა ზომის განსხვავებული სტილით მედალიონები.

პატარა მწყემსის სამარხის აღმოჩენასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილი სწერდა: „ყმაწვილის ჩონჩხთან ერთად, – ხარისა და ცხვრის თავ–ძვლებიც აღმოჩნდა და რაც ყველაზე უფრო საყურადღებოა, ძვლისაგან გაკეთებული, გალიპული და კარგად დაცული სამთვლიანი ჟენო სალამურიც. ცხადი ხდება, რომ აქ დაცული გვაქვს ბრინჯაოს ხანის პატარა მწემსის საფლავი, მთელი მისი კუთვნილებითურთ“.

სამთავრობო ექსპედიცია უფრო გაიზარდა: შემოგვემატენ ახალი წევრები: **მიხეილ ივაშჩენკო, შალვა ხიდაშელი, ვახტანგ ჯაფარიძე, სტეფანე მენთეშაშვილი, დავით კაპანაძე, ირაკლი ქასაშვილი**. მცხეთაში მთლიანად ვიკავებთ **მრევლიშვილების** სახლს საცხოვრებლად და სამუშაოდ, აგრეთვე არქეოლოგიურ მონაპოვარ ნივთების შესანახად. განსაკუთრებით დიდ ადგილს იკავებდა უამრავი კერამიკული ნაწარმი, ქვევრები, ქილები, ჯამები, ფიალები და სხვა. მახსენდება: ბ–ნ ივანეს განსაკუთრებით მოეწონა ერთი ფიალა და რატომღაც ეჭვით შემოგვხედა, შემდეგ ოდნავ გაიღიმა. მე ძალზე შევკრთი, რადგან ეს ფიალა წინა დღეს სუფრაზე გამოვიყენეთ ღვინოში.

„ენიმკი“–ს დირექტორად იყო **სიმონ ჯანაშია,** რომელმაც ყველა ახალგაზრდებთან მუშაობის, მათი ერთსულოვნად დარაზმვის დიდი უნარი გააჩნდა. ყველას ჩაგვინერგა დიდი სიყვარული და პასუხისმგებლობა საქმისადმი, მასთან ერთად იყო ჩვენი უფროსი მეგობარი, ყველას გამგები, ჩვენც ძალზე შევიყვარეთ ბ–ნი სიმონი და ვიყავით მისი დიდი პატივისმცემელი.

ჩვენც ერთმანეთში დავმეგობრდით, ძალზე გატაცებით და შემართებით ვმუშაოდით. ყველაფერს ამას უწყობდა ხელს დიდი შედეგები ამ გათხრებისა. რამაც მიიპყრო ყურადღება მთელი მეცნიერებისა, საზოგადოებისა, როგორც საქართველოში ისე მის ფარგლებს გარეთ.

დიდ ყურადღებას იჩენდა რესპუბლიკის ხელმძღვანელობა გათხრების მიმართ. ყოველი განსაკუთრებული აღმოჩენის დროს იყვნენ ჩვენი სტუმრები. ხშირად ჩამოდიოდნენ აგრეთვე გათხრებზე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა კუთხიდან, მოძმე რესპუბლიკიდან, უცხოეთიდან.

ერთ მათ სტუმრობის დროს ბაგინეთში, გათხრების დათვალიერების შემდეგ დავაპირეთ ჩამოსული ხალხის არმაზში წაყვანა და იქ გამასპინძლება. **ეს მთავრობის თავმჯდომარემ ვალერიან ბაქრაძემ** არ მოისურვა და შემოგვთავაზა მას გავყოლოდით.

მანქანების კორტეჟი დაიძრა საგურამოს მიმართულებით. ჩავედით წინამძღვრიანთკარში, სადაც მთავრობის დამხმარე მეურნეობას განაგებდა **პეტია ბოკერია.** მიუხედავად იმისა, რომ პეტრე არ იყო გაფრთხილებული. უმალ გაგვიშალა სუფრა მოლზე მუხების ქვეშ. მთელი სოფელი ფეხზე დააყენა, გაახურეს თორნეები, სადაც იწვოდა გოჭები და ცხვებოდა შოთები. რომ იტყვიან ჩიტის რძეც არ გვაკლდა.

სუფრას სათავეში ჩაუდგა ჩვენი მასპინძელი პეტია. პირველ სადღეგრძელოში ძალზე მოხდენილად და ჩვეული მისი /ამჟამად თავშეკავებული/ იუმორით შესვა: „ამხანაგებო! ისტორია მეორდებაო, იყო დრო როდესაც ერეკლე მეფემ ერთ–ერთ საბრძოლად გამგზავრების წინ ნადიმი ამ მუხების ქვეშ გადიხადაო“. შემდეგ წარმართა სუფრა მარჯვედ და მოსწრებულად. კარგად მოვილხინეთ. პეტიას სტუმარმა **პლატონ ლეჟავამ** დაგვატკბო თავის სიმღერებით გიტარაზე.

რამდენი სახელოვანი ადამიანი არ ყოფილა ჩვენთან არმაზში, როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე უცხოეთიდან, რომ აღარაფერი ვთქვა საქართველოზე.

ერთხელ მე, გოგიმ და სანდრომ ჩვენი საყვარელი სტუმრები, მსახიობები და მწერლები /გვარებს ვერ ვიხსენებ/ წავიყვანეთ ტარიელას დუქანში.

უკვე სუფრაზე ვზივართ. შემოდიან ორი ქალი და ორი კაცი, რამოდენიმე ხნის შემდეგ ერთი ჩემი ნაცნობი ქალი მიგზავნის ბარათს, მიხმობს თავის კაბინეტში, შევდივარ და მაცნობს თავის თანასუფრელებს, რაში დავჭირდი ვერ გავიგე! ფეხზე ვდგავარ ჭიქით ხელში. ერთ–ერთი მამაკაცი მომმართავს ძალზე უხეშად. მის სიტყვის დამთავრებამდე გადავატრიალე სუფრა და ყველას დავამხე თავზე. ხმაურზე შემოვარდა გოგი, რომლის დახმარებით სუყველანი გამოვათრიეთ საერთო დარბაზში, სადაც მოხდა დიდი ორომტრიალი, ვინ ვის ურტყავდა და რისთვის გაუგებარი იყო. დაილეწა მაგიდები და ჭურჭელი. მაჯის საათის დაკარგვამ ძალზე გამამწარა.

საჭირო გახდა მილიციის ჩარევა. მოაყენეს „შავი ყორანი“. მე და გოგის თოფიც კი დაგვიმიზნეს. ბოლოს დაგვიმორჩილეს და წაგვიყვანეს მილიციაში. შეგვიყენეს ოქმი. დილით თავდებქვეშ გამოგვიშვეს.

ჩვენ ვცდილობთ საქმე არ გახმაურდეს, რაც მთავარია ივანე ჯავახიშვილის ყურამდე არ მივიდეს.

მილიცია კარგად გვცნობდა და პატივსაც გვცემდა. ამ შემთხვევაში ვერაფერს გვეხმარებიან. მხოლოდ მპირდებიან; თუ თქვენი გალახული პიროვნება, საერთოდ გადარჩება და ცოცხალი გამოვა საავადმყოფოდანო და თქვენს წინააღმდეგ არ აღძრავს საქმეს, ჩვენ გაძლევთ სიტყვას საქმეს არ გადავაგზავნით თბილისშიო.

მილიციამ სიტყვა შეასრულა, ჩემი გალახული პიროვნება გადარჩა, /რომელიც აღმოჩნდა თბილისის ერთ–ერთი რაიკომის მეორე მდივანი სომეხი/. მან საქმე ჩემს წინააღმდეგ არ აღძრა, სომეხმა გამოიჩინა ჭკუა; ამჯობინა დარჩენილიყო დამტვრეულ–გალახული.

სამაგიეროდ ჩემი ნაცნობი ქალი თ.ჭ. დამემუქრა. შემომითვალა მოუკლავი ვერ გადამირჩებიო.

მას არ გაუჭირდებოდა ამის შესრულება. რამოდენიმე ხნის შემდეგ ვხვდები **თამარა ჭავჭავაძეს** /მსახიობი არ გეგონოთ/, მოდის ჩემთან, მკოცნის, თან დასძენს: „ჩემო ირაკლი მართალია დიდი საქმე ჩამიშალე, მაგრამ სასიკვდილოდ მაინც ვერ ვიმეტებო, ნეტავი ის მოგეკლაო“.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ არმაზის გათხრა და შესწავლა ექსპედიციამ ძველი აბანოს ნანგრევთა ამომზეურობით დაიწყო.

ეს აბანო წარმოადგენს მოზრდილ შენობას, აგებულს რომაული ხანის ხუროთმოძღვრების ყველა წესების დაცვით. ბუნებრივია ამ ობიექტის შესწავლამ ძალზე გამიტაცა.

არმაზის არქეოლოგიური გათხრები ყოველმხრივ შეისწავლა **გოგი ლომთათიძემ.**

აბა მის ნათქვამს და დაწერილს მე რა უნდა დავუმატო?

როგორც ზემოთ მოგახსენეთ ერთი ბერძნული წარწერა **სიმონ ყაუხჩიშვილმა** გაშიფრა.

ბერძნული ტექსტი

ავრელის აქოლის არხი მოგრაფოს კაი არქიტექტორ ენთადე კიმე.

მეტა ტეს სინევნუ მუ ბევრაზურიას აქსით დე ტუს ფილუს კაი პაროდიტას ეპიბელეფსეინ...

ეი ტის თელეს... მეთ, ემონ ეიტე გენიოს ეიტე ალლოს ქსენოს დოსეი აპოლოგიან ენ ტე ანასტასი ტუ.

ქართული თარგმანი

ავრელია აქოლისი, მხატვარი უხუცესი და ხუროთმოძღვარი, აქა განვისვენებ.

მე და ჩემი მეუღლე ბევრაზურია გთხოვთ მეგობრებისა და გამვლელებს ყურადღება მიაქციოთ...

თუ ვინმემ მოინდომებს ჩვენთან ერთად დაკრძალვას, იქნება ის ჩვენი ტომისაგანი თუ სხვა უცხო ვინმე, პასუხს აგებს თავის აღდგომის დროს.

რა რომანტიზმია. ვის არ მოხიბლავს ეს. წიგნი გამოიცა აკად. ს.ჯანაშიას რედაქტორობით.

გოგიმ მიძღვნა ეს წიგნი შემდეგი წარწერით: ირაკლის ძმური სიყვარულით და მრავალი „არმაზული დღეების“ მოსაგონრად გოგისგან. 12/IV–45 მართლაც რა დრო იყო. რა დღეები იყო!

აკად. ივ. ჯავახიშვილის სამთავროს გათხრების შესახებ

„უკვე სჩანს, თუ რაოდენად დიდია მცხეთა–სამთავროს სასაფლაოს არქეოლოგიური კვლევა–ძიებით მოპოვებული შედეგი მეცნიერებისათვის, საზოგადოდ მეტადრე კი საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიისათვის... ძნელად წარმოსადგენია, თუ რამდენად დიდი შენაძენი ექნება მეცნიერებას, რაც მთელი ეს ფართობი მთლიანად გათხრილი და შესწავლილი იქნება. უკვე გამოკვლეულმა არემ ცხადჰყო, რომ მცხეთაში ძალიან მჭიდრო მოსახლეობა ყოფილა... უეჭველია, ეს ძველი მცხეთის მხოლოდ ერთი, სახელდობრ, არაგვის–კარის უბნის სასაფლაო უნდა იყოს. ამ მოსალოდნელი უამრავი არქეოლოგიური მასალით მეცნიერება საქართველოს და მსოფლიოს ამ ერთი უძველესი ქალაქთაგანის მთელი მატერიალური კულტურის ისტორიის აღდგენას შესძლებს. დიდი და ფართო სამეცნიერო პერსპექტივები იშლება“.

აკად. ს. ჯანაშია, არმაზის 1940 წ.აღმოჩენათა შესახებ

„ყველაზე მდიდარი მასალა მოგვცა არმაზის ნეკროპოლმა. ესაა დიდი საგვარეულო აკლდამა 9 სამარხით...

„არმაზის ძეგლები მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის აღმოსავლეთ საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების გასაშუქებლად... ისინი თვალსაჩინოდ მოწმობენ, რომ ჩვენს თვალწინაა განვითარებული, კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო. სახელმწიფოს სათავეში დგას ძლიერი, თვითმპყრობელი მეფე, რომელიც ატარებს ტიტულს – „მეფე ქართველთა, მეფე დიდი“... მეფეს რთული ადმინისტრაციული აპარატი ჰყავს, კერძოდ ერისთავების მთელი იერარქია.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ არმაზის და სამთავროს არქეოლოგიურ გათხრების დროს აღმოჩენილი ძეგლები და საერთოდ ჩვენი მუშაობა მეტად პოპულარული შეიქმნა. ინტერესი ამ გათხრებისადმი არცერთი წუთით არ შენელებულა. ზოგიერთისთვის კი მცხეთის გათხრები პოეტური შთაგონების წყაროდ იქცა.

ფართო საზოგადოება კარგად იცნობს სახელგანთქმული პოეტების ლექსებს, მიძღვნილს ამ აღმოჩენებისადმი.

მინდა გავიხსენო მოსწავლე გოგონას ლექსი, რომელიც მოკრძალებით მიუძღვნა მცხეთის გათხრების ხელმძღვანელს, აკად. ს. ჯანაშიას:

არმაზის სამარხებთან

ფრთაშესხმული წინ წამოდგა წარსული:
საქართველო, თავთავი და ვენახი...
აკლდამიდან მონარნარობს ასული
და აჩრდილი პიტიახშის ძევახის.

თავდახრილი გადავცქერი სარკოფაგს
ასე ყველგან დამატარეთ, მანახეთ!
არ ვინანებ, სულ ამ მხარეს მამყოფა,
თვით გადავთხრი ჩუმის ღელვით სამარხებს.

მომაწოდეთ სერაფიტის ქამარი,
რომ გადავწვდე საუკუნის კამარებს!
იქნებოდა ის მეორე თამარი,
ნაადრევად არ ემსხვერპლა სამარეს.

ალბად იყო ბევრი ტრფობის საგანი,
მაინც წმინდა მიებარა უკუნეთს.
მეფეთაგან ბოძებული ლანგარი
გმირის ძვლებით კვლავ სინათლეს უყურებს.

აქ სიკვდილიც კი ყოფილა ლამაზი,
აქ სიჩუმე წარწერებით ღაღადებს
და მე მათრობს სურნელება არმაზის,
ვეტრფი ქვაზე ამოკვეთილ ნახატებს.

ფრთაშესხმული გამოცოცხლდა წარსული,
საქართველო, თავთავი და ვენახი...
და რაც ერქვათ ჩვენს წინაპრებს, წასულებს,
ჩვენც დავირქვათ: სერაფიტი, ძევახი...

22/IV–1944 მცხეთა. ექსკურსია. ქალთა მე–6 საშუალო სკოლის —— კლ. მოსწავლე **ნაზი კილასონია.**

1940 წლის შემდგომაზე ერთ ძველ კოლმეურნეს ვაჟი შეეძინა. ნათლიამ – რკინიგზელმა ჩვენმა ხშირმა სტუმარმა – ახალშობილს **ასფაგური** დაარქვა სახელად.

ამჟამად არმაზიდან ხუთიოდე კილომეტრის მანძილზე ახალი „ასფაგური“ ბინადრობს.

ექსპედიციამ გარშემოიკრიბა არქეოლოგიური გათხრების პატრიოტები „არქეოლოგიური აზარტით“ გამსჭვალულნი.

ერთ–ერთი ასეთი პატრიოტი იყო **გოგი იაშვილი,** რომელიც 1937 წლიდან უწყვეტლივ მუშაობდა გათხრებზე. მას ემარჯვებოდა ლექსის წერა, როგორც მოსალოდნელი იყო, მისი ლექსების თემად არმაზის აკლდამებიც სათანადო ადგილს იკავებდნენ.

პიტიახშის აკლდამა

აქ პიტიახში მდუმარედ იწვა,
გარინდებული იყო მარადჟამ,
არმაზის ცივი ეხურა მიწა
და ზედ წყვდიადი ედგა დარაჯად.

ქარტეხილებმა გადაირბინეს,
დრო მიდიოდა ფერისცვალებით,
ცა უნაზესი ედგა გვირგვინად,
იყო მოცული იდუმალებით.

ორი მხრით ერტყა ქვის სამარხს მთები,
ქვევით დუდუნით დიოდა მტკვარი,
ბუნება ჩქეფდა ლაღად და შვებით...
პიტიახში კი კვლავ დუმდა მკვდარი.

განვლო მრავალმა წელმა და ბოლოს
მეცნიერებმა დაუწყეს ძებნა;
მიაგნეს შუქი იხილა მხოლოდ
სამკაულებმა, ოქრომ და ძვლებმა.

20/V–1944 წ. დ. მცხეთა.

არმაზის არქეოლოგიური ექსპედიციის დამთავრების შემდეგ /1938 წლის სექტემბრის დამლევს/, სადაც მე მივიღე პირველი ნათლობა ეთნოგრაფიაში.

ეხლავე მინდა ჩამოვთვალო ყველა ექსპედიციები /აგრეთვე მივლინებები/. რომლებიც ჩემი მონაწილეობის გარეშე არ შემდგარა. /ექსპედიციები იგეგმებოდა ამის გათვალისწინებით/.

1. 1938 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია ლენინგორში.
2. 1938 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია ქსნის ხეობაში.
3. 1939წ. არქეოლოგიური ექსპედიცია ქიზიყში. ხელმძღვანელი **სტეფანე მენთეშაშვილი.**
4. მივლინება კახეთში ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლად. 1939წ.
5. 1939წ. მივლინება ბობოყვათში და კულაშში, ლაზური ორნამენტული მასალების შესაგროვებლად და არქიტექტურულ ძეგლების შესასწავლად.
6. 1939 წ. მივლინება კახეთში ალავერდობასთან დაკავშირებით.
7. 1939 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია ერწო–თიანეთში.
8. 1940წ. კომპლექსური ეთნოგრაფიული ექსპედიცია დიდოეთში /დაღესტანი/.
9. 1940 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია ქსნის ხეობაში.
10. 1940წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია ხევსურეთში, ხელმძღვანელი **რუსუდან ხარაძე.**
11. 1940 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია ივრის ფშავლებში.
12. 1940 წ. მივლინება ქსოვრისში **ალექსი რობაქიძესთან** ერთად.
13. 1941 წ. არქეოლოგიური ექსპედიცია კოლდეეთში.
14. 1942 წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია საგარეჯოს რაიონში.
15. 1943წ. ეთნოგრაფიული ექსპედიცია ჩემი ხელმძღვანელობით კლუხორში.
16. 1944 წ. მივლინება ახალსოფელში.
17. 1943 წ. აკად. **ნ. ბერძენიშვილის** დავალებით მივლინება თეთრიწყაროს რაიონში.
18. 1949 წ. ექსპედიცია დავით გარეჯში.

აკად. გ.ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით 1938 წლის სექტემბერში შესდგა ეთნოგრაფიული ექსპედიცია ლენინგორში გრ.ჩიტაიას ხელმძღვანელობით

მე ერთი დღით ჩამოვრჩი. მატარებლით ჩავედი კასპში. იქიდან კი ავტობუსით ლენინგორში. აქედან გზის უვარგისობის გამო მანქანის მაგივრად მომიხდა ცხენით მოგზაურობა. ძალზე გამიჭირდა ექსპედიციის მონახვა, ხშირად მიხდებოდა ფეხით სიარული. მივადექი სოფ. მონასტერს, სადაც დაბინავდა ექსპედიცია, მაგრამ ვეღარ მოუსწარი, აქედან მომიხდა სოფ. ცხავატში წასვლა ვერც აქ მიუსწარი, აქედან სოფ. სუხაანში, გამასწრეს სოფ. ღაროეთში, აქედანაც გამასწრეს ბოლოს ჩაუსწარი სოფ. მონასტერში. უამბე ჩემი გაჭირვება. მეორე დღეს დაიწყო ჩვენი ერთობლივი სიარული სხვადასხვა სოფლებში. ექსპედიციის მუშაობა გამოდგა ძალზე ნაყოფიერი და საინტერესო. ერთი თვის შემდეგ დავბრუნდით თბილისში. /დაწვრილებით დღიურში/.

1939 წლის 1 ივლის ენიმკის საბარგო მანქანით ეთნოგრაფიული ექსპედიცია გ.ჩიტაიას ხელმძღვანელობით გაემგზავრა ერწო–თიანეთში. გზა ძირითადად ტყეშია. ერწო მდებარეობს გაშლილ ადგილას, ყოველ მხრიდან მთებით შემოზღუდული. თიანეთში ჩასვლისას დავბინავდით სასტუმროში. კაცები ერთ დიდ ოთახში, ქალები გვერდით.

ამ დღეს მოუნდით თიანეთის გაცნობას და ადგილობრივ ორგანიზაციებში საჭირო ცნობების შეკრებას. მეორე დღეს მანქანის უქონლობის გამო წავედით მახლობელ სოფელში – ჟებოტაში. მდინარე იორი ურმით გავიარეთ. ავედით გორაკზე ამაღლების ეკლესიაზე, დავზომეთ და გადავიღეთ, ნასადილევს დავბრუნდით თიანეთში.

12 ივლისი. 3 საათამდის ვიმუშავეთ სამჭედლოში და საფლავის ქვების ოსტატთან. შემდეგ მანქანით წავედით სოფ. არტანში. დავბინავდით საავადმყოფოში. შეუდექით სოფლის გაცნობას. ძალზე მყუდრო და მოსაწყენი სოფელია ბუნებით ძალზე მომხიბლავი.

13 ივლისი. მზიანი დღეა, დავზომე ახლობმდებარე წისქვილი /ბუცულა/, შემდეგ ვისაუზმეთ. რძის ნაწარმი უხვად იყო. ვიშოვეთ გამყოლი და გაუდექით გზას სოფელ ქუშხევისკენ, ვიარეთ აღმართით. მთებზე მდებარეობს სოფ. ქუშხევი 20–22 კომლის შემადგენლობით. მთლიანად ფშავები. მივადექით ერთ კარმიდამოს, დავზომე და ჩავხატე სახლი, გუთანი, მარხილი და სხვა. გავეშურეთ ტყეში, სადაც იმყოფება სალოცავი ხატი. საინტერესო მასალები შევაგროვეთ, აქვე დავნაყრდით. მზის ჩასვლისას დავბრუნდით. თვალწარმტაცი ბუნებაა. გადავიღეთ და ჩავხატეთ არყის გამოხდის პროცესი. გემო გაუსინჯეთ. გადავიღეთ კიდევ ერთი სახლ–კარი და გამოვეშურეთ არტნისკენ, გზაში დაგვაღამდა, გამოვიარეთ ერთ ოჯახში, სადაც შევიძინეთ ძალზე საინტერესო დაჭრელებული დედაბოძი. ჩამოვედით ღამით. ნავახშმევს მოვამზადე მასალები შემდეგ დღისათვის.

14 ივლისი. მზიანი დღე გათენდა, ვეძებთ საქირავო ცხენებს სოფელში გასამგზავრებლად. ცხენების შოვნა გაჭირდა. დავრჩით ისევ არტანში. დრო, რომ არ დაგვეკარგა წავედით უკვე ნაცნობ ხუმარა ბურდულის სახლში, სადაც დავყავით სადილობამდე. ავზომე ყველა ნაგებობანი. გავაკეთე კარმიდამოს გეგმა. გადავიღე ჩარდახიანი ურმები. სადილად მივედით ჩვენს ძველ ბინაზედ. გზაში შეგვხდნენ ფშავები ხურჯინში მოთავსებული ბავშვებით. ნასადილევს წავედით ქვემო არტანში. შევაგროვეთ სხვადასხვა საჭირო მასალა და შემდეგ იორზე გასვლით გავედით სოფ. სახევში, არაფერი არ აღმოჩნდა საინტერესო. საღამოთი დავბრუნდით სახლში.

15 ივლისი. შეუდექით ცხენების შეგროვებას სახატოთ გასამგზავრებლად. მანამდის მე და ბ–ნი გიორგი წავედით ქვედა არტანში. ერთ ოჯახში იქიდან დაბრუნებისას ვიშოვეთ კიდევ ორი ცხენი. ამჟამად ვსაუზმობთ, რის შემდეგ გავეშურებით ხატობას, რასაც მოუთმენლად ველით. ხატობას გავემგზავრეთ 9 კაცი ცხენებით. გავიარეთ თამარის ხატი და ცოტახნის შემდეგ მივედით ლაშას ხატზე. გასაოცარი ამბები ვნახეთ, რაზეც ცალკე უნდა დაიწეროს.

იხილეთ ვ.ბარდაველიძე ივრის ფშავლებში. /დღიური/ ინახება ჩემს ნაჩუქარ წიგნებში. საღამოთი გამოვიარეთ ლაშას ხატზე, მოგვისწრო წვიმამ, ვერაფრის გაკეთება მოვასწარით. ვისაუზმეთ. ჟიპიტაურიც გიახელით. ღამით დავბრუნდით სახლში.

16 ივლისი. ძლიერ დაინტერესებული ხატობით გავემგზავრეთ თამარის ხატისკენ, სადაც დავრჩით, სანამ მთელი მლოცველები არ გადავიდნენ ლაშარის ხატზე. ბევრი საინტერესო ვნახეთ. საღამოთი წავედით ხევსურების სოფელ ბაჩალში. შევისწავლეთ – ავზომეთ ორი ხევსურის სახლი, საღამოთი დავბრუნდით.

17 ივლის გავეგზავრეთ სოფ. კორსავში ფეხით, წავიმუშავეთ, საღამოთი დავბრუნდით.

18 ივლისი. სოფ. არტანში ვიმუშავეთ საღამომდის.

19 ივლისი. ვართ მანქანის მოლოდინში. ვმუშაობს თოფ. ტებოტში. ხატობა გრძელდება. ღამის 2 საათია. წვიმამ უმატა. მლოცველები არ იშლებიან. სანთლები და ჭრაქები ძუნწად ანათებენ სუფრაზე დარჩენილ პურმარილს.

20 ივლისი. ვესწრებით დღეობას იხინჭობას. აქაც ბევრი საინტერესოა.

21 ივლისი. ქვემო თიანეთი. დილიდანვე ვეწვიეთ 51 წლის **მარტია მიხეილის ძე მეჯიშიაშვილს.** საფლავის ქვების პირველ ოსტატს. თიანეთის რაიონში 33 წელიწადი ის ამ ხელობას ეწევა. შევაგროვეთ მასალები ამ ხელობასთან დაკავშირებით.

22 ივლისი. სოფ. ზემო–თიანეთი, ტუშურები, აქაც ფრიად საინტერესო მასალა აღმოჩნდა.

23 ივლისი. ვმუშაობთ იხინჭობის დღეობასთან დაკავშირებით.

24 ივლისი. დღეს ვინახულეთ დიდებული ძეგლი კვეტერა. ეს განსაკუთრებით მეტად საინტერესო და შეუსწავლელი ძეგლი აღმოჩნდა. გულმოდგინედ ავზომე და ჩავხატე.

ეს ციხე–სიმაგრე, ოდესღაც მრისხანე ფეოდალის საბრძანებელი, გრანდიოზულ შთაბეჭდილებას ახდენს თავისი გალავნით და კოშკებით, სასახლითა და ეკლესიით.

სჩანს ფეოდალის პირადი სარგებლობისათვის აგებული საკულტო ძეგლი ხალხის ფართო მასებისათვის დახშული ყოფილა.

ამჟამად კვეტების კომპლექსი, ნანგრევებად ქცეული, დრო–ჟამის გამანადგურებელ გავლენას განიცდის თუ სასწრაფოდ არ იქნა მიღებული ზომები, სასახლე ქართული სამოქალაქო ხუროთმოძღვრების ეს იშვიათი ძეგლი, მალე სულ დაინგრევა, კოშკებიც დაიქცევა და ეკლესიაც დაირღვევა.

კვეტერიდან გამობრუნებისას ვინახულეთ თიანეთის ქვის მთლელების საექსპლოატაციო ადგილი ილდაკანში, ქვემო თიანეთში ვართ. დამთავრდა ჩვენი ექსპედიცია. სასტუმროს წინ ენიმკის ავტომანქანა გველის.

1940 წელს რუსუდან ხარაძე, გერცელ ჩაჩაშვილი და მე გავემგზავრეთ პირიქით ხევსურეთში.

წამოვედით თბილისიდან 8 ივნისს დილის 9 საათზე. მივდივართ ენიმკის მანქანით. /მძღოლი ისევ რუბენა/. ჩვენთან მოდიან მწერალი ჟუკოვი და ოჩიაურის ოჯახი.

ჟინვალთან გადაუხვიეთ და 20 კილომეტრის გავლის შემდეგ მიუახლოვდით ხიდს, სადაც ფშავის არაგვი ერთვის ხევსურის არაგვს.

ამ ადგილს ეწოდება ირწყალი, აქედან გადაუხვიეთ ფშავეთისკენ და 5 კილომეტრის გავლის შემდეგ მივედით სოფ. შუაფხოში, სადაც დავტოვეთ ოჩხაურის ოჯახი. ჩვენ კი შეუდექით ხევსურეთის გზას. ჩავედით ბარისახოში, რომელიც დასახლებულია ფერდობზე. დავბანაკდით ახლად გაშენებულ კეთილმოწყობილ სახლში. ჩინებულად მოვეწყვეთ. თბილისიდან წამოღებული სურსათით ვისადილეთ კონიაკით.

აქ სამ დღეს ვიმუშავეთ. მეორე დღეს ცხენებით გავემგზავრეთ სოფ. გუდანში, აქ მუშაობის დამთავრების შემდეგ გადავინაცვლეთ სოფ. ბაცალიგოში, შემდეგ სოფ. ზეისტეჩოში. სოფ. ბისო–ხახშატში, სოფ. ბისოში, სოფ. ლებაისკარში. ველკეთილის /4.000 მეტ. სიმაღლეზე ზღვის დონიდან/ გადავლით მივაშურეთ შატილს, ის რაც ჩვენ ვიხილეთ თვალწარმტაცია და დაუვიწყარი. განუმეორებელი შატილი. / ამ ექსპედიციის დღიური ინახება ჩემთან/.

დიდოეთის /დაღესტანის/ ეთნოგრაფიული ექსპედიცია 1940 წელს

ამ ექსპედიციაზე მაქვს დაწვრილებითი დღიური შედგენილი. რაც შეეხება ნარკვევს მონოგრაფიას დღემდის გამოუქვეყნებელია. ეს კი უდავოდ დაუშვებელია და უნდა გააკეთოს იმან, ვისაც უფრო ევალება. მე კი დღიურების მიხედვით მსურს ზოგადად გიამბოთ ამ ექსპედიციაზე.

ექსპედიციის შემადგენლობა

1. გიორგი ჩიტაია – ხელმძღვანელი
2. ქერა ბარდაველიძე – უფ.მეც. მუშაკი
3. რუსუდან ხარაძე – უფ. მეც. მუშაკი
4. ალექსი რობაქიძე – უმ. მეც. მუშაკი
5. მიხეილ გაგოშიძე – ასპირანტი
6. ირაკლი ქავთარაძე – არქიტექტორი
7. ვლადიმერ წილოსანი – არქიტექტორი
8. ნინო ბრაილაშვილი – მხატვარი
9. დავით გველესიანი – მხატვარი
10. მიხეილ ქიქოძე – მნე

1940 წლის 10 ივლის ექსპედიციის ყველა წევრი შევიკრიბეთ „ენიმკი“–ს შენობასთან. დილის 8 საათზედ საბარგო მანქანით /მძღოლი ისევ რუბენი/ გავემგზავრეთ თელავისკენ. გავიარეთ გომბორი, სადაც შევისვენეთ და დავათვალიერეთ უჯარმა. 4 საათისთვის სოფ. ვარდისუბნის გავლით მივადექით ქ.თელავს. მივაკითხეთ მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დირექტორს ალექსანდრე მამულიშვილს.

მასთან ერთად გავეგზავრეთ წინანდალში. დავბინავდით საბჭოთა მეურნეობის სახლში /ალექსანდრე ჭავჭავაძის ყოფ. სასახლე/.

დაწოლამდის ბევრი ვისეირნეთ დიდ და ლამაზ ბაღში. ვნახეთ ეკლესიის ნანგრევი, სადაც გრიბოედოვმა ჯვარი დაიწერა ნინო ჭავჭავაძეზე.

შესანიშნავად მოვისვენეთ ჭავჭავაძისეულ კომფორტაბელურ სახლში. დაწოლის წინ აბაზანაც კი მივიღეთ.

დილით კიდევ უფრო დავტკბით ამ კარმიდამოს სილამაზით. 8 საათზე დავბრუნდით თელავში. შევიძინეთ ფქვილი, მთელი ექსპედიციის მარაგი ერთი თვის განმავლობაში.

შუადღისას გავემგზავრეთ სოფ. საბუეში, გზად შევჩერდით სოფ. გრემთან. გულმოდგინეთ დავათვალიერეთ ყველა ძეგლი, აბანო, სავაჭრო ნაგებობანი, ეკლესია და სხვა. მივადექით სოფ. ენისელს. მივაკითხეთ ჩვენ ძველ ნაცნობს, თიანეთის ექსპედიციიდან დარიკოს.

სოფ. ენისელიდან გავემგზავრეთ ყვარელში, გზაზე გავლით ვინახულეთ **შურა ჯორჯაძის** მამა.

ვტკბებით ამწვანებულ ყვარლის მთების სილამაზით.

ყვარელში გამოვცხადდით შინსახკომის უფროსთან. კატეგორიულად გვიკრძალავენ წასვლას, გვიხსნიან, რომ ეს ძალზე სახიფათოა, ვინაიდან გზაზე თარეშობენ ყაჩაღების დიდი ბრბო. მინსახკომი იხსნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. ჩვენი გადაწყვეტილება მტკიცეა, დაბრუნებას უხერხულად ვთვლით. მასთან ერთად მივდივართ დიდ რისკზე. ყველაზე მეტად მე ვარ წასვლის მომხრე /აქაც ვიჩენ ჩემს ხასიათს/. დავითანხმე ბ–ნი გიორგი და ალიოშა. გადავწყვიტეთ ქალებს არ გაუმხილოთ თუ რა რისკზე მივდივართ. ვინახულეთ ილია ჭავჭავაძის მემორიალური სახლ–მუზეუმი, თეატრი, რომელიც ატარებს კოტე მარჯანიშვილის სახელს. ვნახეთ აგრეთვე სახლი, სადაც დაიბადა დიდი რეჟისორი.

შესანიშნავად ვივახშმეთ მწვადებით და ყვარლის წითელით. ღამე გავათიეთ ბაღლინჯოებიან სასტუმროში.

მეორე დღეს გათენებისას გავემგზავრეთ სოფ. საზუეში. გავიარეთ ისევ სოფ. ენისელი. შუადღისას ვიყავით სოფ. საბუეში. დავბანაკდით სკოლის ეზოში. ნასადილევს **ალექსანდრე მამულაშვილი** გვლოცავს პირჯვრის გადაწერით ყველა წევრს და ბრუნდება უკან.

13 ივლისი. დილიდანვე შეუდექით გამგზავრების თადარიგს. ფიქალების წარმოებამდე მივედით მანქანით. რუბენა ბრუნდება თბილისში. ექსპედიციის ყველა წევრი ვატანთ წერილებს ჩვენს ოჯახებში. მამაკაცები არ უმხელთ თუ რამხელა რისკზე მივდივართ /ქალებმა კი არაფერი იციან/.

ვქირაობთ ცხენებს. დავადექით მეტად სახიფათო გზას. გამყოლებად არიან ფიქალების წარმოების დაცვის რაზმი. კბილებამდის შეიარაღებული კახელები. ორი წინ მიგვიძღვის და ორიც უკან.

ცხენებზე აკიდებულია ჩვენი ბარგი და სურსათ–სანოვაგე, ფქვილი, შაქარი, ბრინჯი, მაკარონი, ტკბილეული და სხვა. ერთი თვის მარაგი 10 კაცისათვის /აგრეთვე კარვები/. კაცები მივდივართ ფეხით. ქალები ცხენებით რიგრიგობით /ყველას არ ყოფნის ცხენი/.

მივადექით ყოდორის გადასავალს. დავბანაკდით ცივ წყაროსთან. შევისვენეთ. გემრიელად ვისაუზმეთ კონიაკებით. მოვიკრიფეთ ძალ–ღონე. მამაკაცებმა პირჯვარი გადავიწერეთ, გადავწერეთ ქალებსაც /მათ შეუმჩნევლად/.

შეუდექით გადასავალს ძალზე დიდ აღმართს. როგორც იქნა მოვხვდით მწვერვალზე. მიუახლოვდით ყოდორის ციხეს, სადაც დაგვიხვდნენ მეცხვარეები ცხვრის ფარით და უზარმაზარი დაგეშილი ძაღლებით. შევისვენეთ. ცოტა წავიმუშავეთ. განვაგრძეთ გზა. ჯერ შუა გზაზეც არ ვართ. ვჩქარობთ. არავითარ შემთხვევაში გზაზე არ უნდა დაგვაღამდეს. ეს მეტად სახიფათოა. გავიარეთ ყველაზე საშიში და სახიფათო ხეობა. ყაჩაღების ბუდე, სადაც უმთავრესად ამ ადგილას ხდება მათი თავდასხმა. გავედით მდინარეში. გაღმით შეგვხვდნენ დიდოეთიდან მომავალი მგზავრები. ცოტა შევშინდით. ჩვენ გამმყოლი მცველები გამოელაპარაკნენ. როგორც გაირკვა მათ ჩვენზე უფრო შეშინებიათ. არ ვიცი რატომ? ჩამოვარდა ლაპარაკი ამ ადგილას ღამის გათევაზე. ჩვენ ცივ უარზე ვართ. ვამჯობინებთ გზის გაგრძელებას. თანაც გვაღამდება. დიდოეთის პირველი სოფელი კი არ ჩანს. სიარული ჭირდება. სახიფათო ადგილებში ვეხმარებით ქალებს. განსაკუთრებით რუსიკოს.

როგორც იქნა გამოჩნდა სოფელი. ოდნავ მოჩანს ჭრაქით განათებული სახლები.

ამ პირველ უცნობ სოფელში შევედით ნაშუაღამევს. /გავიარეთ დაახლოებით 40–45 კილომეტრი/.

დავბანაკდით მეჩეთში. არაქათგამოლეული დავეყარეთ ძირს და წამსვე დავიძინეთ.

14 ივლისი. გავიღვიძეთ. ვულოცავთ ერთმანეთს მშვიდობით ჩამოსვლას. ქალებს ეხლა უკვე ვუმხელთ თუ რა საფრთხეს გადაურჩით.

ადგილობრივმა მოსახლეობამ მოიყარა თავი მეჩეთთან. გვიყურებენ გაკვირვებით – ალბათ ფიქრობენ ვინ არიან? საიდან და რა უნდათ ჩვენგანო? რისთვის ჩამოსულანო? ჩვენც არანაკლებ ინტერესით ვათვალიერებთ მათ.

ეს იყო დიდოეთის პირველი სოფელი ხუფრი, რომელიც გავიცანით, მივიღეთ პირველი შთაბეჭდილება დიდოეთზე და დიდოელებზე. აქ ვიმუშავეთ 5 დღე.

სამუშაო თავიდანვე ყოველმხრივ ძალზე საინტერესო აღმოჩნდა. გავიკითხე ბაბუაჩემის ალექსანდრეს ამბავი. სამწუხაროდ ვერაფერს მივაკვლიე.

ჩვენი მცველები დაბრუნდნენ უკან, როგორც მერე გავიგეთ ძლივს გადაურჩნენ ყაჩაღებს.

ვემშვიდობებით ხუფრელებს და მივემგზავრებით /ბარგი ცხენებზე ჩვენ ფეხით/ სოფ. ხუტრასში, სადაც ვმუშაობთ 4 დღე. დილიდანვე შეუდექით სოფ. ასახოში გამგზავრებას. შევაგროვეთ 12 ცხენი. გზაზე ვისაუზმეთ. წამოღებულ სანოვაგიდან კიდევ ბევრი გვქონდა. ხიზილალაც არ გვაკლდა. ცხენებიც კარგად დავაძღეთ. ალიოშა ცხენმა გადმოაგდო და გაიქცა, გამოუდექი, დიდი დევნის შემდეგ დავიჭირე ტბასთან. დავეწიე ჩვენებს და მივედით სოფ. ქიმიატლში. მუშაობის შემდეგ, ჩვენებს მოუწყვეთ ფიცრის ნარები. მე და ალიოშა მოვთავსდით

კარავში. მთვარის შუქზე ცოტა ბაასის შემდეგ ჩაგვეძინა. ღამით წვიმდა და სასიამოვნოდ უშხაპუნებდა კარავზე.

24 ივლისი. ყველამ კარგ გუნებაზედ გავიღვიძეთ. შეუდექით მუშაობას. ყველამ თავის საქმეს მოკიდა ხელი. მე და ბ–ნი გიორგი ვმუშაობთ ადგილობრივ მცხოვრებლების კარ–მიდამოს სახლების გაზომვა–ჩახატვაზე. ნასადილევს ფეხით გავემგზავრეთ სოფ. ასახოში. ვმუშაობთ ციხის დაზომვა–ჩახატვაზე.

25 ივლისი. რაიონიდან გამოგზავნილ ადმინისტრაციულ პირების თანხლებით მივდივართ სოფ. შაურში /რაიონის ცენტრი/. რაიკომის მდივანმა დიდი ყურადღება გამოიჩინა.

26 ივლისი. გამოცხადდა დასვენების დღედ. შევამოწმედ და მოვიყვანეთ უამრავი მასალა წესრიგში. /რაღაში გამოიხატებოდა დასვენება?/ შედარებით მართლა დავისვენეთ. რადიოსაც მოუსმინეთ. ორი კვირაა არ ვიცით რა ხდება ქვეყანაზე.

27 ივლისი. მთელი დღე მოვანდომეთ შაურში მუშაობას.

28 ივლისი. გავემგზავრეთ სოფ. მაყოყში. გვიტაცებს ამ ხეობის განსაკუთრებული სილამაზე.

29 ივლისი. ზოგი აქვე ვმუშაობთ. ზოგი სოფ. ციხოყში.

30 ივლისი. მთელი ექსპედიცია ხაჯი–მურატის მეთაურობით გავემგზავრეთ ფეხით სოფ. ამოტლახში. მიშა ქიქოძე კლავს კურდღელს. მუშაობის შემდეგ დაქანცულები ვბრუნდებით სოფ. შაურში მიშა კიდევ კლავს კურდღელს.

31 ივლისი. მივდივართ სოფ. შატილში. დავბინავდით **ხაჯი მურატის** სახლში, რომელიც გამოირჩევა სისუფთავით. ალბათ იმიტომ, რომ მისი მეხუთე ცოლი თუშია. კარგად გაგვიმასპინძლდნენ. კაცები ვწვებით ბანზე, ქალები აივანზე.

1 აგვისტო. დილიდანვე ვმუშაობთ ვბრუნდებით სოფ. შაურში.

2 აგვისტო. ცხენებით მივემგზავრებით სოფ. სახადაში. დავბანაკდით მეჩეთში. ავდივარ მაღლობზე. ეს ხომ გასაოცარი სანახაობაა. ორივე მხრიდან უზარმაზარი ხეობაა და სალი კლდეები. ამას ნახვა უნდა. აღწერა შეუძლებელია.

3 აგვისტო. დავბრუნდით შაურში.

4 აგვისტო. გავეგზავრეთ ს. ბეჟიტაში. გზაში გვაღამდება. მივაღწიეთ ულამაზეს ადგილს. გზის გაგრძელებაც საშიშია. დარჩენაც. იძულებული ვართ დავრჩეთ. ვანთებთ დიდ ცეცხლს, ვწვამთ წვადებს, გემრიელად შევექცევით, მაგრამ გემოს ვერ ვატანთ. განვიცდით შიშს. იხტიბარს არ ვიტეხავთ. ერთმანეთს არ ვამჩნევინებთ. ვიძინებთ ტომრებში.

5 აგვისტო. ვიღებთ და ულოცავთ ერთმანეთს ცოცხლად გადარჩენას არც სულ ხუმრობით. ისევ ცეცხლს ვანთებთ, ცხვრის წვადები. საღამოს მივაღწიეთ სოფ. ბეჟიტას.

6 აგვისტო. დილიდანვე ვმუშაობთ. საინტერესო სოფელია და ბევრი საინტერესო მასალაც განსაკუთრებით ჩემთვის.

7 აგვისტო. ალიოშა გვტოვებს და მიდის თბილისში. ჩვენ კი ვეძებთ ცხენებს მეორე დღეს გასამგზავრებლად. გავიცანით თოკზე მოსიარულე ჯამბაზი. გვიმართავს საბალახოდ წარმოდგენას. შეიკრიბა მთელი სოფელი. ბრწყინვალე ოსტატია.

8 აგვისტო. ვკაზმავთ ცხენებს, მაცილებს ჯამბაზი. ვემშვიდობებით ბეჟიტელებს. დავადექით გრძელ და მეტად სახიფათო გზას. მე დავწინაურდი. გზაში გადავეკიდე დიდ ხიფათს. მეცხვარეებმა მოინდომეს ჩემი გაძარცვა. ამ დროს ჩვენებიც მომიახლოვდნენ და ვეღარ გაბედეს.

დაღამებისას მივადექით სოფ. გავაზას /ახალი სოფელი/. ეს უკვე კახეთია და ჩვენც თავისუფლად ამოვისუნთქეთ, ყველა შეპყრობილია დიდი განცდებით.

მოვეწყვეთ სკოლაში. გზაზე კახელები გვიყვიროდნენ, „ნახეთ ლეკები აყრილანო“. გავეშურეთ სასადილოში. ერთი თვის შემდეგ ვიგემეთ მადლიანი კახური და ბევრი სასიამოვნო და ამაღელვებელი სადღეგრძელო გიახელით. საკმაოდ შევთვერით. შუაღამისას დავიძინეთ.

9 აგვისტო. დილაა. საკმაოდ დიდი და ლამაზი სოფელია გავაზი. უკვე თამამად დავსეირნობთ მშობლიურ მიწაზე. ვგებულობთ ალიოშას წასვლას თბილისში.

საღამოს ვახშმობთ სკოლაში. სრულიად მოულოდნელად და ჩვენ გასახარებლით მოგვანათა ჩვენმა „შამილამ“, შუქზე შევამჩნიეთ კარგად ნაცნობი №60–08, ეს იყო ჩვენი ერთგული მძღოლი რუბენა. ვესალმებით და ვეკითხებით თბილისის ამბებს – ჩვენ რა გვიშავს საკითხავი თქვენა ხართო.

10 აგვისტო. ვემზადებით თბილისში წასასვლელად. ვეწყობით მანქანაზე და მოვქრით თბილისისაკენ, რომელიც ძალზე მოგვენატრა. გამოვიარეთ წნორზე, შევჩერდით სიღნაღში. გავიარეთ გურჯაანი. საღამოს ვიყავით საგარეჯოში. ღამით შევედით თბილისში და მივადექით „ენიმკი“–ს შენობას. დავაბინავეთ ჩვენი ნადავლი. შემდეგ რუბენამ დაგვარიგა ჩვენს სახლებში.

ასე დამთავრდა ეს ფრიად საინტერესო, ნაყოფიერი, ძალზე გაბედული და სამუდამოდ დასამახსოვრებელი ექსპედიცია.

სოფ. ქსოვრისში

რამოდენიმე ხნის შემდეგ იმავე წელს მე და ალექსი რობაქიძე ერთ თვეს ვმუშაობდით სოფ. ქსოვრისში, რომელიც მდებარეობს ქსნის ხეობაში, მუხრანსა და ლენინგორს შორის.

სამუშაო რომ დავამთავრეთ გამოვედით შარაგზაზე, მაინც მანქანის სამშოვნელად თბილისში წასასვლელად. არაფერი არ გამოჩნდა. ალიოშამ გადაწყვიტა სოფელში შესვლა რაიმე ტრანსპორტის საშოვნელად.

მე დავრჩი გზაზე მთელი ბარგით. დიდხანს დამჭირდა ლოდინი, ბევრმა მანქანამ ჩამიარა, მაგრამ რას ვიზამდი? ალიოშა არსად ჩანდა. ერთხანს ვბრაზობდი. შემდეგ შემიპყრო მღელვარებამ. აღარ ვიცოდი რა მექნა? შებინდებული იყო, რომ მომადგა ცხენიანი ტაჩკა, კოზლაზე იჯდა /უფრო სწორად ქანაობდა/ ალიოშა, რომელმაც მომაყენა თავის მასპინძელი. რა უნდა მეთქვა? ან რას გაიგებდა? იძულებული ვიყავი მასპინძელი დამესვა კოზლაზე. მე და ალიოშა ჩვენი ბარგით მოვთავსდით ტაჩკაზე და ჩავედით კასპში, რათა აქედან მატარებლით წავსულიყავით თბილისში.

მატარებელში ალიოშა გამოფხიზლდა და დაიწყო თავის მართლება, უდავოდ ანგარიშგასაწევი მოტივებით, რომ იჯდა მოხდილ ქვევრთან და ვერაფრით ვერ დაახწია თავი სტუმართმოყვარე მასპინძელს. ბოლოს იძულებული გახდა თავისი მასპინძელი მოეთავსებია ტაჩკაზე და ისე მოეყვანა ჩემამდის.

მე ყველაფერი კარგად გავიგე და არც მისაყვედურია და არც დავმუქრებულვარ, რადგან შეიძლება ასეთი ამბავი მეც შემხვედროდა.

კლდეეთის არქეოლოგიური ექსპედიცია

მეტად მნიშვნელოვანი არქეოლოგიური ძეგლის შემთხვევით აღმოჩენასთან დაკავშირებით 1941 წლის 30 დეკემბერს არქეოლოგიური ექსპედიცია გაეგზავრა ზესტაფონში.

ექსპედიციის შემადგენლობა:

დავით ლომაძე – კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების გამგე

მეცნიერ თანამშრომლები:

გერმან გობეჯიშვილი
გიორგი ლომთათიძე — საქ.მეც. აკადემიის ისტორიის
ირაკლი ქავთარაძე — ინსტიტუტიდან
დავით კაპანაძე

სტეფანე მენთეშაშვილი — საქ. სახ. მუზეუმიდან.

ოთარ ანდრონიკაშვილი – მხატვარი } მოწვეულნი

ნიკოლოზ ღამბაშიძე – ტოპოგრაფი

/აღმოჩენის ამბავი დეპეშით აცნობა კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილებას მისმა რწმუნებულმა, კლდეეთის სკოლის მცხოვანმა მასწავლებელმა **ილია ჭანკვეტაძემ.** ამ უკანასკნელისათვის კი მის მოწაფეს, 9 წლის **ანდრო /ბაჭუჭი/ ახრახაძეს** შეეტყობინებია/.

31 დეკემბერს დილის ათ საათზე ექსპედიცია ჩავიდა ზესტაფონში მატარებლით.

დ.ლომაძე, გ.ლომთათიძე, დ.კაპანაძე და მე წავედით რაიკომის მდივანთან. ამხ. წვერავას გავაცანით ჩვენი თავი და გადავეცით ც.კ. წერილი. დაგვპირდა ყოველივე დახმარებას. გვაცნობა კერჩის და ფეოდესიის აღება ჩვენი ჯარების მიერ.

საღამოს დავლაგდით მანქანაზე და გავემგზავრეთ სოფ. კლდეეთისკენ, რომელიც დაშორებულია ზესტაფონიდან 6 კილომეტრით. მანქანამ ვეღარ გააკვლია გზა ტალახში და გადავლაგდით ურმებზე. უკვე დაღამებული იყო, როდესაც ილია ჭანკვეტაძე შეგვხვდა ცხენით. მივედით სკოლაში, სადაც დავალაგეთ ჩვენი ბარგი.

ილია გაგვიძღვა წინ და მიგვიყვანა თავის სახლში სოფ. თვირში. მივუსხედით აგიზგიზებულ ბუხარს, ზოგი ნარდს მიუჯდა. ცოტა ხნის შემდეგ გაიშალა გულუხვი სუფრა. (ილია მომზადებული იყო წინასწარ. დეკეულიც დაუკლავს). **დ.ლომაძის** თამადობით ხურდება ქეიფი. ეს იყო ახალი წლის შეხვედრა. ყველასთვის დაუვიწყარი. კარგად მოვილხინეთ, იცლებოდა სოლომონ მეფის ნაქონი ვერცხლის თასი და სხვა მრავალი სასმელები. დავამთავრეთ ლხინი და მოვისვენეთ. დილით ისევ სუფრას შემოუსხედით. საღამო ხანს ილიას რეკომენდაციით დავბინავდით **ილიკო ახრახაძის** სახლში, გასათხრელ ადგილის გვერდით. სოფელი ძლიერ დათოვლა. გათენდა მზიანი დარი. თოვლი მოტყდა. გათხრებს შეუდექით 2 იანვარს. მიწის მუშებად ექსპედიციას კლდეეთელთა გარდა ჰყავდა კოლმეურნეები უახლოეს სოფლებიდან.

მათ საქმისადმი უანგარო ინტერესი და ერთგულება გამოიჩინეს და არქეოლოგიური გათხრისათვის ესოდენ უჩვეულო /თოვლში, ტალახსა და სუსხში/ დაუზარელად იმუშავეს.

დადგა 1–ლი თებერვალი ჩვენი დამშვიდების, გამოთხოვების და მადლობის გადახდის დღე.

მოვილაპარაკეთ ერთმანეთში, რომ ამ დღეს უკვე ჩვენი ხარჯით, გაგვემართა სადილი ჩვენი მასპინძლების და მუშების /რომლებიც აგრეთვე თითქმის ყოველდღე იყვნენ ჩვენი მასპინძლები/ საპატივსაცემოთ. ჩაუდექი სათავეში ამ საქმის ორგანიზაციას. დილიდანვე დავაპირეთ სანოვაგის შეძენას ადგილობრივ მოსახლეობიდან. რომელ ოჯახსაც არ მივადექით, არავის არაფრის მოყიდვა არ უნდა სხვადასხვა მიზეზებით. /ზესტაფონში წასვლის დრო კი აღარ იყო/.

ჩვენს მასპინძლებს, მუშებს გაუგიათ ჩვენი განზრახვა და გაუფრთხილებიათ მთელი სოფელი, მათ შორის ჩვენი მასპინძელი **ილიკო ახრახაძე,** რომ ჩვენთვის არაფერი მოეყიდათ. დავრჩით სახტად. ჩავარდით საგონებელში, არ ვიცოდით რით აგვეხსნა მათი მოქმედება. ნაშუადღევს ყველაფერი გაირკვა, როდესაც ილიკოს კარმიდამოს მოადგა ჩვენი მუშების აჩაჩა ურმები დატვირთული ღვინიანი ჩაფებით და უამრავი უკვე გამზადებული სანოვაგით. ეხლა კი მართლა განცვიფრებაში დავრჩით ექსპედიციის ყველა წევრები. განსაკუთრებით **სტეფანე მენთეშაშვილი,** /მაჩხაანიდან/ რომელიც გაოგნებული მიყურებდა და მახსენებდა ჩემს სიტყვებს, თქმულს თბილისში გამგზავრების წინ: „შენ წამოდი და დაინახავ როგორ ახალ წელს შევხვდებით და გაიგებ იმერლების სტუმართმასპინძლობას საერთოდ“. ერთი სიტყვით ჩვენ მხოლოდ მოვახერხეთ დავხმარებოდით სუფრის გაშლაში. აქ უკვე თამადობა ვეღარ ავიცილე, მეგობრებმა ჩათვალეს, რომ მეც სადღაც მასპინძელი ვარ, როგორც ჩემი საყვარელი იმერეთის წარმომადგენელი.

ნადიმი შუაღამემდის გაგრძელდა. მიჭირს აღწერა როგორ მოვილხინეთ. ასე დამთავრდა ეს დაუვიწყარი ექსპედიცია. /დავწერე შემოკლებით დღიურების მიხედვით/ რაც შეეხება ექსპედიციის მუშაობის მეცნიერულ მნიშვნელობას და მის მიღწევებს, ეს ყველაფერი გამოაქვეყნა გოგი ლომთათიძემ წიგნში: კლდეეთის სამაროვანი /ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნისა/.

წიგნი მიძღვნა ავტოგრაფით: „თამარსა და ირაკლის სიყვარულით, ირაკლის – კლდეეთის აყალო მიწისა და იქ გატარებულ ტკბილი დღეების სახსოვრად“, გოგისგან 15.I.1958 წ.

მეც მინდა უძღვნა ეს მოგონება მას, რომელიც აღარ არის ჩვენს შორის, აღარ არის ჩემთან ჩემი დაუვიწყარი გოგი.

ეთნოგრაფიული ექსპედიცია საგარეჯოს რაიონში

1942 წლის 10 სექტემბერი. მე და გურამი მოვემზადეთ, გაუარეთ არჩილს, შემდეგ **გიორგი ჩიტაიას,** რომელსაც სახლში ვეღარ მოუსწარით /სადგურზე ფეხით წასულიყო/. მანქანით გავედით სადგურზე; რომელიც შენიღბულია. სადგურში შეგვხვდა გიორგი ჩიტაია. გავედით პერონზე. შევედით ვაგონში. მოვისვენეთ. დილით ჩავედით წნორში, ორი საათის ლინეიკით მგზავრობის შემდეგ ჩავდივართ მაჩხაანში. ჩვენებს ვაცნობ გიორგი ჩიტაიას. დედა თავისებურად დაფაცურდა, ვსაუზმობთ მაჭრით და ძველი ღვინით. შემდეგ ცოტა წაუძინეთ. დედა გულუხვად გვიმასპინძლდება სადილით. დაიწყო სადღეგრძელოები. საღამოს გავისეირნეთ სოფელში. ღამით აივანზე გვეძინა. მეორე დღეს ადრე ვდგებით. მოვემზადეთ წასასვლელად. შემდეგ ვსაუზმობთ. დედა გვატანს საგზალს, ცხელ ჭადებს, ყველს კვერცხებს და სხვა. მე და გიორგი ვემშვიდობებით

და ლინეიკით ვბრუნდებით წნორში, საგარეჯოში ჩასვლისას /მატარებლით/ ვეწყობით სასტუმროში. ვიმუშავეთ საგარეჯოში 16 სექტემბრამდე. შემდეგ გამზირზე გავლით ვბრუნდებით თბილისში.

ეთნოგრაფიული ექსპედიცია ქლუხორში 1943 წელს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დავალებით გავემგზავრე ქლუხორში. /მიკოინ–ნახარ/ ჩემთან ერთად მოდიან **ილია ჭყონია** და **შალვა ინალიფა.**

ექსპედიციის ძირითადი მიზანი იყო: ყარაჩაელების საყოფაცხოვრებო ეთნოგრაფიული ნივთების და სამეურნეო იარაღების შეძენა და თბილისში ჩამოტანა, მუზეუმში გამოცემის მოსაწყობად.

21 დეკემბერს, ღამის I–ლ საათზე მოსკოვის მატარებლით გავემგზავრეთ. ჩვენთან ერთად იმგზავრა **ოთარ რჩეულიშვილმა,** რომელიც ბადრაგით /მცველი– რამოდენიმე დღე იმყოფებოდა თბილისში და ეხლა ბრუნდებოდა უკან ფრონტზე. ვაგონში შეგვხვდნენ აგრეთვე **ბორია ხუხუნეიშვილი** და **ვოვა წიკლაური.** ატყობთ, რომ კარგი კამპანიაა და მიხვდებით როგორც ვიმგზავრებდით.

გზაში დაიცალა უამრავი ღვინის ბოთლები სხვადასხვა მარკის იარლიკებით /ღვინო კი, ერთი იყო თეთრი ან წითელი/, ეს რათქმაუნდა ბორიას იონბაზობა იყო, ძალზე ბევრი ვიცინეთ და ვისიამოვნეთ. ბორიასთან აბა სხვანაირად როგორ შეიძლებოდა.

არმავირში დავემშვიდობეთ ბორიას და ვოვას. ოთარს ვუსურვეთ სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნება.

ჩვენ კი სადგურ ნევინომიშაკიდან სპეციალური მატარებლით ჩავედით ქ.ჩერკასკში. მეორე დღეს კი მანქანით გავემგზავრეთ ქლუხორში. სამი საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით კლუხორში. თვალწარმტაცი ადგილმდებარეობა გადაიშალა თვალწინ, მცირე მოსახლეობით. /იყო 25 დეკემბერი/. გამოვცხადდით რაიკომში. პირველ მდივანს **ამხ. იმნაძეს** გავაცანი ჩვენი თავი, მიზანი ჩასვლისა.

ამხ. იმნაძე შეგვპირდა ყოველგვარ დახმარებას. მოვეწყვეთ სასტუმროში დიდი „კომფორტი"–თ. ჟესტის ფეჩიც კი დაადგმევინეს. ძლივს გავთბით. საღამოს ვესტუმრეთ ექიმ ს.ჟღენტს ოჯახში. იმდენად კარგად მიგვიღეს და გაგვიმასპინძლდნენ ღამის გათევაც კი მოგვიხდა.

მეორე დღეს შეუდექით მუშაობას. ყველა სოფლებში ჩამოსახლებულია **რაჭველები, გობეჯიშვილები, გავაშლები, ლობჟანიძეები** და სხვა.

31 დეკემბერს საღამოს წავედით საპარიკმახეროში. ქალმა „პარიკმახერებმა“ გაგვალამაზეს და წაგვიყვანეს ახალწლის შესახვედრად. შემდეგ წვეულებები რაჭველებთან.

3 იანვარს, ზემო ტებერდიდან განვაგრძეთ მუშაობა.

4 იანვარი. მთელი დღის განმავლობაში ძალზე ინტენსიურად ვიმუშავეთ. საღამოს გვპატიჟობენ რაჭველები. დაგვიკლეს თხა და გვასვეს არაყი. გაგრძელდა გათენებამდე.

5 იანვარი. დილიდანვე ჩვენი თანამგზავრ ალის თანხლებით, ცხენებით გავემგზავრეთ ყოშებში, ქვემო–ტებერდის მიმართულებით. ავედით 1800 მეტრის სიმაღლეზე. შესანიშნავი სანახაობაა. ვბრუნდებით ღამით. ვმუშაობთ ვიძინებთ.

6 იანვარი. კურორტზე წასვლა გადავიფიქრეთ. დავბრუნდით ქლუხორში. საღამოს ვესტუმრეთ ჩვენს ნაცნობებს.

7 იანვარი. კვირა დღეა. მთელი დღე გავატარეთ ქლუხორში. ვესტუმრეთ ს.ჟღენტს. შემდეგ წავედი წმინდა ჭების დასათვალიერებლად. საღამოს ვახშამს შევექცევით.

8 იანვარი. დილიდანვე შეუდექით უჩკულში გამგზავრების თადარიგს. ვინახულეთ ამხ. იმნაძე, რომელიც დიდ მზრუნველობას იჩენს ჩვენს მიმართ. დიდხანს ვესაუბრეთ.

9 იანვარი. მიუხედავად ყველა დახმარებისა გამგზავრება უჩკულში ვერ ხერხდება. გაჩნდა ხანძარი ერთ-ერთ სოფელში. მთელი მანქანები მობილიზირებული იქნა.

10 იანვარი. გავემგზავრეთ უჩკულში ამხ. ნიჟარაძის თანხლებით. 2 საათის შემდეგ ჩავედით. დავიარეთ სოფელი.

11 იანვარი. მთელი დღე ვიმუშავეთ უჩკულში /ნაბდის ხევი/.

12 იანვარი. მე და ილია წავედით სოფ. ხურზეზში ანუ ზედა ვაკე. ვინახულეთ კოშკი. განთქმულ **სულთან იმამჯნიევთან** ვიმუშავეთ. საღამოს დავბრუნდით უჩკულში. შალვა, რომელიც ზედა უჩკულში მუშაობდა დაბრუნდა 2 ბოთლი არყით.

13 იანვარი. მთელი დღე უჩკულში გავატარეთ.

14 იანვარი. დილიდანვე წავედით კარტჯურთში. დღის 2 საათზე დავბრუნდით კლუხორში. საღამოს აბანო: საპარიკმახერო. ვახშამი.

15 იანვარი. მთელ დღეს ვატარებთ ქლუხორში.

16 იანვარი. მანქანით წავედით სოფ. ხუმრაში. 15 კლ. მანძილზეა. ცხოვრობენ აბაზები (40-მდე კომლი) ვიყავით **ჯიგუტნოვის კაითაგუს** ოჯახში. კარგად გაგვიმასპინძლდნენ. საღამოს დავბრუნდით.

17 იანვარი. დღის 2 საათზე გავემგზავრეთ კურორტ ტუბერდაში. ვინახულეთ ნაკრძალი (დირექტორი: პაპუაშვილი). დაბრუნება ვეღარ მოვახერხეთ და ღამე გავათიეთ კურორტის დირექტორ **ჩიქვინიძის** ოჯახში.

18 იანვარი. დილით ადრე წამოვედით ქლუხორში. საშინელი ყინვაა. გვხვდება ჩვენი ძველი ნაცნობი ექიმი ს.ჟღენტი (სამწუხაროდ სახელს ვერ ვიხსენებ, მას შემდეგ ვხვდებოდი თბილისში, იყო ერთ-ერთ რაიჯანგანის მთავარი ექიმი). გვიამბობს ბევრ საინტერესო ამბავს. მოგითხრობთ ერთ-ერთს: ერთი ყარაჩაელი დაბრუნებულა ქლუხორში და თავის სახლ-კარში უნახავს გადმოსახლებული რაჭველები. ძალზე გამწარებულა და გავარდნილა ყაჩაღად. ჰყოლია თეთრი ცხენი, რომლითაც უნდოდა გიტლერი შემოეყვანა ქლუხორში. ძალიან ბევრს სდევნიდა მილიცია, მაგრამ უშედეგოდ. ჩვენი ყოფნის დროს ქლუხორში დაკრძალეს მის მიერ მოკლული რაჭველი მილიციის მუშაკი. ბოლოს როგორც იქნა დაჭრილი ჩაიგდეს ხელში. ამხ. ჟღენტი გვეუბნება: უნდა წაგიყვანოთ და გაჩვენოთ ეს „მხეციო“, რომელიც საკანში ჰყავთ გამოკეტილიო. ჩვენ სიამოვნებით დავეთანხმეთ. მაგრამ მისი ნახვის ღირსი ვერ გავხდით. საკანი დაგვხვდა ცარიელი. ყაჩაღს რკინის სარკმელი გაუღუნია, თავი გაუყვია და გაქცეულა. როდესაც დაუჭერიათ ამხ. იმნაძე და ჟღენტი წასულან სანახავად. ამ ყაჩაღს მიუმართავს იმნაძისთვის, შენ თუ ცოცხალი ხარ ჟღენტს უმადლეო. (ერთ დღეს იმნაძე და ჟღენტი ერთად მიდიოდნენ მანქანით. მას უნდოდა იმნაძის მოკვლა, მაგრამ არ უსვრია ვაი თუ ჟღენტი შემომაკვდესო).

19 იანვარი. დღის 3 საათზე მე და შალვა გავემგზავრეთ ჩერქეზში, ილიას ვტოვებთ კლუხორში სამუშაოს დასამთავრებლად (ეს დღე იყო საბედისწერო).

გამგზავრების წინ როგორც იქნა ვიშოვე მანქანა, რომელიც დავტვირთეთ ჩვენს მიერ შეძენილი სამუზეუმო ექსპონატებით სხვადასხვა ტიპის სახნავი გუთნები, ჯარები, ფიწლები და უამრავი საყოფაცხოვრებო ავეჯი და ნივთები. ძლივს მოვათავსეთ სამტონიან მანქანაზე.

გავიარეთ ბაზარში, სადაც შემხვდა და გამომეცნაურა თბილისელი **შალვა ბარქაია** (აქ საერთოდ ბევრი თბილისელი მუშაობდა). დახლზე თათარიახლათ გავშალეთ სუფრა. არაყი ძალზე მეტი მოგვივიდა. სამივენი ჩავეჭედეთ კაბინაში მძღოლის გვერდით. **შალვა ინალიფა** მუხლებზე მეჯდა. დაღამებისას ჩამოვედით ჩერკასკში. მივადექით რკინიგზის სადგურს, სადაც გვინდოდა ჩვენი ექსპონატების გადმოცლა. (გახსენებთ 1943 წელია). სადგურთან დაგვიხვდა შეიარაღებული პატრული - სადგურის მცველი, რომელმაც კატეგორიულად უარი გვითხრა მანქანის დაცლაზე. (ამ დროს ადამიანის ჭაჭანება არ არის. ქალაქი შენიღბულია). ჩვენ მას არ დავემორჩილეთ და შევუდექით მანქანის დაცლას. მცველი გვიწევს წინააღმდეგობას. **შალვა ბარქაიამ** დაუწყო ხელჩართული ჩხუბი. ძალზე მიბეგვა. მცველი წამოდგა ფეხზე, მოიმარჯვა თოფი და დაუმიზნა შალვას. ამ დროს ვეტაკე და აუკარი ხელი თოფს, რომლის გასროლა მაინც მოასწრო, შალვა გადარჩა სიკვდილს. ამ ამბავმა შალვა კიდევ უფრო გააცოფა. ისევ მივარდა მცველს და დაუწყო ცემა. მცველი უგონოთ დაეცა. შალვამ დააპირა მისი მოკვლა. ეს ვეღარ მოვითმინე და მაგრად მოვარტყი შალვას - მოვიყვანე გონზე. გაოგნებული და გაბოროტებულები ჩავსხედით მანქანაში და წავედით სასტუმროში. შალვა გამოგვემშვიდობა. მე და შალვა ინალივა

მოვეწყვეთ სასტუმროში. მთელი ღამე არ მეძინა, აბა რა დამაძინებდა? აღარ ვიცი როგორ მოვიქცე? მთელი ქონება ხომ სადგურში ყრია. როგორ გამოვჩნდე სადგურში? როგორ დამხვდება მცველი? ვფიქრობ კლუხორში დაბრუნებას, რომ ყველაფერი უამბო ამხ. იმნაძეს. მერე ვაითუ დაგვიანდეს მასთან დაკავშირება. ველი დაპატიმრებას. ამ ფიქრებში დამათენდა. შალვამაც გაიღვიძა. მისგან ნუგეშს არ მოველი, თავის ჭკუაზე არ არის. ჩავიცვით და წავედით სადგურისკენ. თუ ამას წასვლა ჰქვიან? ფეხები გვიკანკალებს. შევედით სადგურში. ბარგს ხომ ვერ დავტოვებ? მივადექი ფანჯარას ბარგის გასაგზავნად გაფორმებისათვის. უმალვე გვიცნეს და წარგვადგინეს დაცვის უფროსთან. შემოიყვანეს ჩვენი გალახული მცველი. თავი მთლიანად შებინტული ჰქონდა. ოდნავ უჩანდა თვალები. გვიპირებენ დაპატიმრებას. დაგვჩხრიკეს და მიგვიღეს საეჭვო პირებად. აპირებენ სამხედრო ტრიბუნალზე გადაცემას. მე მოვახერხე დარწმუნება, რომ კაცი რომელმაც ჩვენ მანქანით მიგვიყვანა ამ ამბის ჩადენის შემდეგ გამექცა ხელიდან. ბევრი თხოვნის და მუდარის შემდეგ, გასჭრა ფოტოაპარატმა, რომელიც „უძღვენი“ დაცვის უფროსს. გადავრჩით დაპატიმრებას. ექსპონატებიც გამოვაგზავნე. ჩვენც მოვასწარით დაძრულ მატარებელში შეხტომა. დიდხანს შევყურებდით მე და შალვა ერთმანეთს გაოგნებულნი. გამახსენდა ბ-ნ სიმონის სიტყვები: აბა ირაკლი შენ გაბარებ ამ ახალგაზრდა აფხაზსო. (შალვა ასპირანტი იყო). მივემგზავრებით თბილისში შეძენილი ეთნოგრაფიული ექსპონატებით - გუთნებით. რა დროს გუთნები იყო ამ გაგანია ომის დროს?

ხუთი წელი საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში

1943 წელს საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის დირექტორად ნიშნავენ **ანდრო აფაქიძეს.** იმავე წელს **სიმონ ჯანაშიას.** ერთ-ერთი რეკომენდაციით შევდივარ სკკ პარტიის რიგებში; შემდეგ მისივე წარდგინებით მნიშნავენ საქ. სახ. მუზეუმის დირექტორის მოადგილედ. დიდი პასუხისმგებლობით და გულმოდგინებით შევუდექი საპატიო მოვალეობის შესრულებას. ერთ-ერთ ზაფხულს მივლინებით წავედი ახალსოფელში (მანგლისის რ-ნი). არქეოლოგიური დაზვერვის და ეთნოგრაფიული მასალების შესაგროვებლათ. (ოჯახიც თან მყავდა). ეს სოფელი ძირითადად დასახლებულია მთიელი **ქავთარაძეებისაგან.** ჩემსა და აქაურ ქავთარაძეებს შორის დამყარდა სადღაც ნათესაური კავშირი. აქაურ ქავთარაძეებს არც აინტერესებთ სადაური ქავთარაძე ხარ. მათი გაგებით ქავთარაძე-ქავთარაძეა. მე მაინც ჩავთვალე საჭიროდ მათთვის ამეხსნა, რომ ქავთარაძეები წარმოშობით იმერლები არიან.

ეს იყო პირველი ჩემი დამოუკიდებელი მუშაობა არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ხაზით, რომელიც ნაყოფიერად დავამთავრე და ჩამოვიტანე ბერი საინტერესო მასალა.

როგორც ჩამოვიტანე ჩუკულის კარები სვანეთიდან

საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა მიიღო ცნობა, რომ ჩუკულის კარებს მოელის დაღუპვა და სასწრაფოდ საჭიროა მისი გადარჩენა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიამ ეს საკითხი დააყენა მთავრობის წინაშე, რომელმაც ჩათვალა საჭიროდ სასწრაფოდ კარები გადმოტანილ იქნეს თბილისში. ეს დავალება მე დამაკისრეს. მთავრობის თავმჯდომარემ **ვალერიან ბაქრაძემ** გამომიძახა და გადმომცა, რომ რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილება გაფრთხილებულია, ადგილზე აღმოგიჩინონ ყოველგვარი დახმარება. შემდეგ დაუმატა: მოვქცეულიყავი ფრთხილად, წინასწარი საუბრის ჩატარებით. მოსახლეობასთან, სადღაც ნახევრად ხუმრობით დაუმატა: „თუ ძალიან გაგიჭირდება თავს ნუ შეაკლავო“. ამ სიტყვებმა თან დამაფიქრა, თან მივიღე გადაწყვეტილება, რადაც არ უნდა დამჯდომოდა ეს დავალება შემესრულებინა. ამხ. ბაქრაძემ მისურვა წარმატება და დამილოცა გზა.

დილით ადრე გავემგზავრე მუზეუმის საბარგო მანქანით, მძღოლად მომყვება ჩვენი უფროსი მეგობარი **კლიმენტი ხუნწარია,** ყოველ საქმეში საიმედო ადამიანი.

ლენტეხში ჩასვლისას გამოვცხადდი შინაგან საქმეთა განყოფილების უფროსთან, ამხ. **ჟორჟოლიანთან,** რომელიც გამოდგა ჩემი ნაცნობი, მან ჩასვლისთანავე დაგვახვედრა ამბავი: გუშინ სვანის ბიჭმა ორიანის დაწერისათვის მოკლა თავისი მასწავლებელიო, მე არ დავაყოვნე და ვუთხარი: „მაგით რისი თქმა გინდათ, რომ დავბრუნდი უკან?“ ჟორჟოლიანმა მისი ჩვეული ენამახვილობით მიპასუხა: „შენ რაც გინდა გააკეთე, მე კი გამხვიე ხლაფორთშიო“. ღამე გავათიე კონსპირატიულ ოჯახში კოლმეურნეობის თავმჯდომარესთან. გარიჟრაჟზე ჩემი მანქანით გავემგზავრე სოფელ ჩუკულისკენ. ეკლესიას, რომ მივადექით დავინახეთ მისი შემონგრეული ქვის გალავანი გაჭედილია ხალხით. აქ იყო ქალი, კაცი, მოხუცნი, ახალგაზრდები, ბავშვები. ზოგიერთებს ძუძუმწოვარა ბავშვებიც კი ეჭირათ ხელში.

ეკლესია რათქმაუნდა უმოქმედოა, გალავანში სარეველა ბალახია წელამდე ამოსული. გაჭირვებით მივუახლოვდით ეკლესიას, ვხედავთ ამ უნიკალურ კარებზე, ყველა მამა წმინდანის გამოსახულებაზე (22 წმინდანის 3 მწკრივად) მირჭობილია ანთებული სანთლები (სწორედ ამისგან მოელოდა კარებს დაღუპვა ე.ი. დაწვა), რა საშინელი რელიგიური ფანატიზმია, მე დავიწყე საუბარი მოსულ მოსახლეობასთან, გავაცანი ჩემი ჩამოსვლის მიზანი, ვპირდები, რომ კარები იქნება დაცული მუზეუმში, როგორც ძველი ქართული ხუროთმოძღვრების და სახვითი

ხელოვნების უნიკალური ძეგლი, რათა ყველას შეეძლოს მისი ნახვა. ამაზე შეძახილები: „ჩვენც კარგად ვიცავთ, ვისაც აინტერესებს მისი ნახვა აქ ჩამოვიდესო“, არავითარი ჩემი ლაპარაკი მათზე არ მოქმედებს, პირიქით, ხდებიან ჩემს მიმართ ძალზე აგრესიულები. ჟორჟოლიანი დგას ჩემს გვერდით, ხმას არ იღებს, მაშინ მე მივმართავ ხალხს, ჩემი გადაწყვეტილება უცვლელია და ურჩევ გაიგონ მთავრობის გონივრული გადაწყვეტილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩემს გადაწყვეტილებას მაინც შევასრულებ, ხალხი ბობოქრობს, ახალგაზრდები, რომელთა იმედი მქონდა, უარესად იქცევიან, როდესაც ვერავინ ვერ დავიმორჩილე მივმართავ კლიმენტის, რათა ჩამოხსნას კარები, შეიქმნა საშინელი ამბავი, ხალხი წამოიმართა ჩემსკენ წყევლა-კრულვით, ვერ ვგებულობ რას მიპირებენ. კარები ჩამოვხსენით და დიდის ძალადობით ვდებთ მანქანაზე, ძლივს ჩავჯექი მანქანაში, წყევლა გრძელდება, ქვების სროლა კი გაბედეს. კარები ჩავიტანეთ ლენტეხში. ჟორჟოლიანმა როგორღაც ფარულად, ჩემს უვნებლად კარები ჩამატანინა ცაგერში, სვანები აპირებდნენ გზაში დახვედრას, ვეღარ გაბედეს. ჩემი თბილისიდან გამომგზავრებისას სვანეთში, ამ კუთხის მკვიდრმა, მუზეუმის თანამშრომელმა **ფაფალა გარდაფხაძემ (მიშა ქოქოძის** მეუღლე) გამომატანა ვიღაცასთან წერილი ლენტეხში. როგორც ჩანს სვანებმა ვერ გაიგეს, ჩემი კრულვა-წყევლის დროს ფაფალასაც იხსენიებდნენ, კარების ჩამოტანის შემდეგ ქ-ნი ფაფალა მალე გარდაიცვალა, დაკრძალვისას ბევრი ცრემლმორეული სვანი შევნიშნე ჩამოსული სვანეთიდან, რათა დაეტირათ თავისი სასიქადულო თანამემამულე, ჩამოსული სვანები შემირიგდნენ, გაიგეს ჩემი კეთილგანზრახული მოქმედება, რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩემივე მონაწილეობით გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა შემდეგი წერილი:

„ქვემო სვანეთის მოსახლეობის საჩუქარი საქართველოს მუზეუმს“

როგორც ქვემო ისე ზემო სვანეთი მდიდარია ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და სახვითი ხელოვნების პირველხარისხოვანი ძეგლებით, რომელნიც შედარებით კარგად არიან შემონახული დღემდე, ამას ხელს უწყობდა, ერთი მხრივ სვანეთის ბუნებრივი პირობები - ძნელმისავალი და გარეშე მტერთაგან დაცული მდებარეობა, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობის შეუნელებელი მზრუნველობა ამ ძეგლისადმი, სვანეთი დიდიხანია იქცევს ისტორიკოსების ყურადღებას.

ცხრაასიან წლებში, წიგნი „Поездка в Пшавию, Хевсуретию и Сванетию“ რუსი არქეოლოგი **უვაროვა,** ხელოვნების სხვა ნიმუშთა შორის, დაწვრილებით აღწერს და ასურათებს სვანეთის ზოგიერთი ძველი ეკლესიის ჩუქურთმებიან კარებს, განსაკუთრებული ადგილი აქვს დათმობილი ამ აღწერაში ქვემო სვანეთის სოფელ ჩუკულის მთავარანგელოზის ეკლესიის ჩუქურთმიან კარებს.

გაცილებით უფრო ადრე, ამავე კარს როგორც განსაცვიფრებელი ოსტატობით მოჩუქურთმებულს, აღნიშნავდა ფრანგი ავტორი **ბერნოვილი,** რომლის აზრითაც ეს კარი რომელიღაც სხვა ეკლესიიდანაა მოხსნილი, მოტანილი და შემდეგ ჩუკულის ეკლესიაზე შებმული.

ჩუკულის ეკლესიის ხის კარს „მშვენიერი ჩუქურთმებით დამშვენებულს“, ეხება აგრეთვე პროფესორი ე.თაყაიშვილი თავის წიგნში „არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში 1910 წ.“.

ეს კარი დღესაც მშვენივრადაა შენახული, იგი შედგება ურთხელის სქელი ფიცრისაგან, რომლის მთელი ზედაპირი დაფარულია მოხდენილი და მრავალფეროვანი ორნამენტებით, მათ შორის მოქცეულია 22 წმინდანის გამოსახულება (3 მწკრივად), ისე, რომ ჩუქურთმები ამ გამოსახულებათა შემამკობელ ჩარჩოებს ქმნიან, წმინდათაგან ზოგი მთელი ტანითაა გამოხატული, ხოლო ზოგი მხოლოდ წელამდე. (კარების ფოტო ბოლოში).

მიმდინარე წლის ივნისში საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმმა სოფელ ჩუკულში მოავლინა მეცნიერ-მუშაკი ი.ქავთარაძე, რომელმაც ადგილობრივი ხელისუფლების და მოსახლეობის დახმარებით, გადმოიტანა ხელოვნების ეს უშესანიშნავესი ძეგლი თბილისში.

ამჟამად კარი ინახება საქართველოს სსრ სახელმწიფო მუზეუმში ძველი ქართული ხელოვნების, ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო დარგის ხის მოჩუქურთმების ამსახველ სამუზეუმო მასალას, ქვემო სვანეთის მოსახლეობამ ერთი მეტად საინტერესო ექსპონატი შემატა.

ჩემი მონაწილეობა ამ წერილის დაწერაში ეხებოდა კარის ღირებულების და მისი აღწერილობის ამბავს, ეხლა კი საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ გაზეთში ზოგიერთ შემთხვევაში სინამდვილის დაწერა ყოველთვის მიზანშეწონილი არ არის, უდაოდ ასეც უნდა დაწერილიყო.

1948 წლის 31 აგვისტოს ნიკო ბერძენიშვილის დავალებით მანქანით გავემგზავრე თეთრწყაროს ხელიანი ქვების ჩამოსატანად, ძალიან გამიჭირდა მისი აღმოჩენა, დავიარე სოფლები, კოდა, ასურეთი, ჩხიკვთაში აღმოვაჩინე სამების ეკლესიაზე. ქვა ჩავუბი კამეჩებს და ჩამოვიტანე დაბლა.

ფერდობზე ჩამოტანისას ქვა დაცურდა და კამეჩს მოატეხა ფეხი. როგორც იქნა მოვაგვარე ეს მეტად არასასიამოვნო ინციდენტი. მეორე დღეს დავბრუნდი თბილისში.

ბატონი ნიკო ძალზე კმაყოფილი და მადლობელი დამირჩა.

1949 წლის 26 აპრილს ექსპედიცია აკადემიკოს გიორგი ჩუბინაშვილის ხელმძღვანელობით გავემგზავრეთ დავით გარეჯში. შემდეგი შემადგენლობით: **1. სარა ბარნაველი, 2. თინა ვირსელაძე, 3. ბაბო აღნიაშვილი, 4. ლეო რჩეულიშვილი, 5. ირაკლი ქავთარაძე, 6. ნელი ვოლსკაია, 7. გიორგი მასხარაშვილი, 8. რენე შმერლინგი, 9. რუდა**

მეფისაშვილი, 10. ვახტანგ ცინცაძე, 11. ლილა, 12. გაიანე, რომელთა გვარებს ვერ ვიხსენებ, ასპირანტები, **13. ნათელა ალადაშვილი, 14. ვახტანგ დოლიძე, 15. ლევან შერვაშიძე.** (მუშაობა აღწერილია დღიურში).

საქართველოს სამუზეუმო კოლექციების ჩამოტანა პარიზიდან თბილისში

როგორც ცნობილია 1921 წელს საქართველოს სამუზეუმო კოლექციები სხვადასხვა მუზეუმიდან და საცავებიდან მენშევიკური მთავრობის მიერ ევაკუირებული იქნა საზღვარგარეთ.

როდესაც ყოფილი მენშევიკური მთავრობა ჩავიდა საფრანგეთში, სამუზეუმო კოლექციები ჩააბარეს საფრანგეთის მარსელის ბანკის განყოფილებას (39) შეფუთული ყუთი, სადაც ინახებოდა 1935 წლამდე.

ყოფილი მთავრობის „ლეგაციი"-ს შემდეგ მთელი ქონება გადატანილი იქნა პარიზში. სადაც ყუთები გააღეს, კოლექციები დახსნეს და დასაცავად ჩააბარეს სპეციალური დანიშნულ ფრანგ ჩინოვნიკს. საფრანგეთის ხელისუფლებამ სამუზეუმო კოლექციები უპატრონო ქონებად გამოაცხადა, აი სწორედ ამის შემდეგ **ექვთიმე თაყაიშვილმა** ატეხა განგაში და წერილების დააგზავნა საქართველოში, როგორც ბიძია სერიოჟამ მიამბო, სტალინმა ჩემი თანდასწრებით დაითანხმა დეგოლი, რათა მთელი სამუზეუმო ქონება დაბრუნებულიყო სამშობლოში, საქართველოში. ამის შემდეგ საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებამ დაავალა: შეერჩიათ კაცი აღნიშნული განძის წამოსაღებად საქართველოში. საქ. კომ. ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა გასაგზავნი პირის კანდიდატთა სია, ეს მეტად საპატიო მისია დაევალა **შალვა ამირანაშვილს.**

(კანდიდატთა სიაში საქ. საზ. მუზეუმიდან წარდგენილი ვიყავით მე და **დავით კაპანაძე) შალვა ამირანაშვილი** გაემგზავრა პარიზში და იქედან **ექვთიმე თაყაიშვილთან** ერთად განძი ჩამოიტანა თბილისში ორი თვითმფრინავით.

ექვთიმე თაყაიშვილს ბ-ნ შალვამ სათითაოდ გააცნო მუზეუმის ახალგაზრდა ხელმძღვანელები და მუშაკები. ძალზე ამაღელვებელი იყო როდესაც ბ-ნ ექვთიმემ სათითაოდ გამოგვკითხა ვინაობა და გადაგვკოცნა, ყველას ცრემლი ჩამოსდიოდა.

მოკლედ გვიამბო პარიზში მყოფ ქართველ ემიგრანტთა ამბავი, ძალზე საინტერესო ამბავი მოგვაწოდა მათზე. **ჩიტო შარაშიძეს** (თაგუნას და) მიულოცა ძმის წარმატებები პარიზში.

საქართველოს დაუბრუნდა უდიდეს სიძველეთა კულტურული ფასეულობა. ისტორიულ-არქეოლოგიური კოლექცია, უნიკალური მნიშვნელობის უძველესი ქართული ხელნაწერები,

მინიატურები, სურათები, ემალი, ჭედური ხელოვნების ძეგლებში, კრებული ნუმიზმატიკური ფასეულობისა და სხვა.

ეს კოლექციები გატანილი იქნა მუზეუმებიდან, საცავებიდან, მონასტრებიდან, ხაზინებიდან, ბანკებიდან, ზუგდიდის და ბორჯომის სასახლეებიდან.

გატანილი ქონება 1927 წელს შეფასებული იქნა 10.471.770 მ. ოქროდ (ათი მილიონ ოთხასსამოცდათერთმეტი და შვიდასსამოცდაათ მანეთად) აქ არ შედის ხელნაწერების კოლექცია გელათის საცავიდან.

როდესაც მთელი კოლექციები ჩაგვაბარეს, დაგვევალა აღნიშნული კოლექციების შედარება საქართველოში დატოვებულ სიებთან. ამ შედარების დროს აღმოჩნდა ბევრი ნივთი სიის გარეშე. ბ-ნ ექვთიმემ განგვიმარტა, ყველა ეს ნივთი შეძენილია მისი საკუთარი ფულით, გვიამბო ყოველი ნივთის შეძენის ისტორია.

ამრიგად, არ დადასტურდა ის ჭორები, რომელსაც საქართველოში ავრცელებდნენ, ამ ქონების განიავების შესახებ.

მე მგონი ყველა ქართველს ესიამოვნება ამ ჭორის გაბათილება, ქართველი იმდენად პატრიოტია თავის სამშობლოსი და ერის, რომ არასდროს იკადრებს იმას, რომ აღარაფერი ვთქვა ისეთ გაჭირვებულ ქართველზე, რომელიც საკუთარი ფულით იძენს და უმატებს ერის კუთვნილებას.

კომისიამ რომ დაამთავრა მუშაობა, სეიფებში, დარბაზებში მოვაწყვეთ ჩამტანილი ნივთების გამოფენა მთავრობისათვის, შემდეგ გამოფენა გავხსენით ოფიციალურად.

ხუთი წელი ვარძიაში

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა 1948 წელს დამნიშნა ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის დირექტორად, რის შემდეგ პროფესორ **სერგი ჟღენტთან** ერთად გავემგზავრეთ ასპინძაში, რათა ასპინძის რაიკომის ბიუროს დავემტკიცებინე ზემოთ აღნიშნულ თანამდებობაზე.

შევუდექი ვარძიაში მუშაობას.

ვარძია ნამდვილად უნიკალური ძეგლია არა მარტო საქართველოში, მსოფლიოში, მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საქართველოს გამოქვაბულთა შორის (უფლისციხე, დავითგარეჯა და სხვა).

თამარის ერთ-ერთი ისტორიკოსი ვარძიის აგება-გამოკვეთის ამბავს ასე გადმოგვცემს:

„თამარმა კლდისაგან გამოკვეთა თვით პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანაც შეუვალ და უბრძოლველ იყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელისა მამას მისსა გიორგი, გარნა ვერ სრულ იქმნა და დაეტევა. რომელი დიდმან ამან აღასრულად და შეამკო ყოველთურთ და შესწირა მრავალნი და დიდროვანნი სოფელნი და შეუმზადა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი და პატიოსანნი, რომლისა ყოვლისა მოთხრობა ძნელ არს. თუ ვინმეს ნებავს ამის განცდა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი, ქმანულნი და ნაშენები ქუაბქმნილნი. ვინა მეფემან თამარს გულს ადგინა მსახურებად უბიწოსა და განსაკრთომელისა სასწაულთა მოქმედისა ვარძიისა ღმრთისმშობელისა“...

ერთი სიტყვით როგორც ისტორიკოსი ამბობს: ვარძიას უნდა ნახვა, რომ იგრძნო მისი სიდიადე. ალბათ ამ ისტორიკოსის სიტყვები ვარძიაზე ცნობილი გახდა მთელ მსოფლიოში და ამით იყო გამოწვეული, რომ ამ ძეგლს ეტანებოდა უცხოეთიდან ჩამოსული ტურისტი, ზოგი მათგანი როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა სპეციალურად ჩამოდიოდნენ ვარძიის სანახავად, რამდენი ასეთი საპატიო და სახელოვანი პირი მიმიღია ვარძიაში, რომელი ერთი გავიხსენო, რომ აღარაფერი ვთქვა ქართველებზე. ერთ ქართველს კი აღარ აღირსეს ვარძიის ნახვა.

სტალინის ვიზიტის მოლოდინში

საქ. მეც. აკადემიის პრეზიდენტმა **ნიკო მუსხელიშვილმა** სასწრაფოდ დეპეშით გამომიძახა ვარძიიდან თბილისში. ხაშურში გავლისას გადმომცეს სტალინმა გაიარა მატარებლით ბორჯომისკენო. ვზივარ კაბინეტში ნიკო მუხელიშვილთან, რომელიც გადმომცემს შემდეგს: გუშინ სტალინი გაეცნო, ბორჯომში დასვენების დროს თუ რა ადგილები უნდა ენახა მას (გეგმით პირველ რიგში, ვიზიტი თავის ამხანაგთან პეტრე კაპანაძესთან ხაშურში).

სტალინმა შენიშნა და თითქოს საყვედურით უთქვამს: „როგორ მე ვიყო ბორჯომში და არ ვისარგებლო შემთხვევით და არ ვნახო ვარძიაო? რომლის ნახვასაც ყოველთვის ვნატრულობდი“-ო. ნიკო მუსხელიშვილი მომმართავს: „ბ-ნო ირაკლი დღესვე უნდა გაბრუნდეთ უკან და ელოდოთ სტალინის მოსვლასო. ფეხი არსად მოიცვალოთ“-ო. მე იმ დღესვე გავბრუნდი. ბორჯომს, რომ გავცილდი გზაზე გახურებული მუშაობა მიმდინარეობდა, მეც ჩემის მხრიდან შევუდექი სამზადისს. რაიკომის მეშვეობით მოსახლეობას გავუკეთე მობილიზაცია, დაახლოებით ორასი კაცი თუ ქალი ფუტკრებივით შეესია ვარძიის გამოქვაბულების დასუფთავებას, სამასამდე გამოქვაბულია, ვინ იცის საპატიო სტუმარი სად მოისურვებდა შესვლას?

ჩემს ვარძიაში ჩასვლისთანავე ჩამოვიდა მონადირეთა კავშირის თავმჯდომარე ამხ. **ციმაკურიძე** (მგონი ამ დროს ფინანსთა მინისტრი იყო), თავისი ბრიგადით, რომელთაც

ევალებოდათ ხოხბებზე ნადირობა, ყოველდღე ბორჯომში უნდა გაგვეგზავნა არანაკლებ ათი ხოხობი, ჯიხვების მოკვლა არ გვევალებოდა. ამით ლიკანის სასახლე მარაგდებოდა ადგილობრივ ნაკრძალიდან. ერთხელ ჯიხვიც მოვკალით, შიგნეული ჩვენ დავიტოვეთ და სიე გავუგზავნეთ ამხ. სტალინს ძღვენად ვარძიისაგან. მეორე დღეს ჯიხვი უკან დაგვიბრუნდა, თურმე უნდა გაგვეყოლებინა შიგნეულიც ადგილზე ანალიზის ჩასატარებლად, „დაწუნებულ“ ჯიხვზე ანალიზის გარეშეც კარგად მოვილხინეთ, აღარ მახსოვს რამდენჯერ შევსვით სტალინის სადღეგრძელო, ძალიან კარგად შეგვერგო ჯიხვიც და ღვინოც, მოწამვლას ადგილი არ ჰქონია.

გადიოდა დღეები, სტალინი კი არსად ჩანდა, დადიოდა ხმები: აბასთუმნისკენ აიარაო, ზოგი ამბობდა უკვე წყალტუბოში წავიდაო. გამოგიცდიათ ალბათ მოლოდინი, მაგრამ მთავარია ვისი.

როგორც იქნა ერთ დღეს გამოჩნდა მანქანების კორტეჟი, შეგვიპყრო დიდმა მღელვარებამ, მანქანები გაჩერდნენ, გადმოდიან გენერლები, მათ შორის არის ერთი ქალი, რომელიც ორ გენერალთან ერთად წამოვიდა ჩემსკენ, მეც მივეგებე შესახვედრად. ქალმა მიცნო (გახლდათ ლ.ბ. მეუღლე **ნინო გეგეჭკორი**) სამივეს ჩამოვართვი ხელი, ნინომ გააცნო გენერლებს ჩემი თავი, დაიწყეს საუბარი, შეყურებენ ვარძიის გამოქვაბულებს, მე არაფერს მეკითხებიან, მაგრამ მეც მინდა „გავიდე საქმეში“ და დაბნეულობისაგან შეიძლება უადგილო ადგილას თავს უქნევ თანხმობის ნიშნად. გამოქვაბულებზე ასვლა არ მოისურვეს, ბოლოს გავარკვიე, რომ მათ გამოსვლას ჰქონდა დაზვერვითი ხასიათი, ჩამოეყვანათ თუ არა სტალინი? ამ დროს შენიშნეს გამოქვაბულების ფერდობებზე საფლავის სტელა, როდესაც ჩემგან გაიგეს, რომ ეს იყო საფლავი იმ ადგილას დაღუპული ვიღაც მღვდლისა (მე ხომ ამას ვერ დავმალავდი), სიტყვა აღარ ამოუღიათ, გადაწყვიტეს სტალინი არ ჩამოეყვანათ, მეც ზრდილობისათვის მკითხეს ჩემი აზრი. ამაზე ვუპასუხე: „თქვენ უკეთ მოგეხსენებათ, ჩვენ კი ძალზე გულს დაგვწყვეტავდნენ“ შეიძლება ასე სჯობდა, რომ ჩამოსულიყო და რამე შემთხვეოდა (თუმცა რა უნდა შემთხვეოდა ხომ ჩემს გვარს გაანადგურებდნენ).

საპატიო სტუმრების გამასპინძლება მაინც გავბედე და მოვახერხე, რათქმაუნდა შევსვით სტალინის სადღეგრძელო ყანწით.

ნინო გეგეჩკორმა მითანაგრძნო და შემპირდა სტალინის ჩამოყვანას, გენერლების დამორჩილებას. ეს ნინოს არ გაუჭირდებოდა, მაგრამ თავის მეუღლის დამორჩილება გაუჭირდებოდა. იგი „თავგამოდებით იცავდა“ სტალინს „ყოველგვარი ხელის შემართვისაგან - მკვლელობისაგან“, ამას ადვილად მიაღწია ბერიამ ყველა პირზე, ვინც „უპირებდნენ მოკვლას“ თვითონ დახვრიტა. ვერ მოახერხა მხოლოდ სერგო ქავთარაძის დახვრეტა. ვერაფრით ვერ მოახერხა ალბათ დაერწმუნებინა სტალინი ამაში. სტალინს სწამდა და სჯეროდა თავის სიყრმის მეგობრის. თუმცა ერთხელ მასზეც აიღო ეჭვი, ციხიდან ახალგამოშვებულ სერგო ქავთარაძეს

გაუჩერდა, ჩიბუხი გამოიღო პირიდან, თითი დაუქნია და უთხრა: „შენ აპირებდი ჩემს მოკვლასო?“ პასუხს არ დაელოდა ისე მოსცილდა თავზარდაცემულ სერგო ქავთარაძეს (ალბათ ლ.ბ კიდევ რაღაც „ჩაუწვეთა“ ყურში სტალინს“), სამაგიეროდ როგორც ამბობენ ამ ჯალათმა თვითონ მოახერხა სტალინის მოკვლა.

მაგრამ ისტორიას ნუ გავუსწრებთ. ამაზე იქნება ნათქვამი თავის დროზე, სხვანაირად არც შეიძლება, ისტორია უნდა დაიწეროს ჭეშმარიტი სიმართლით.

დავუბრუნდეთ ვარძიას. ბორჯომიდან წყალტუბოში წასვლისას სტალინმა დაიბარა, გადაიღეთ კინო-ფილმი ვარძიაზეო (ადრე მას ნახული ჰქონდა **შალვა გეგელაშვილის** მიერ გადაღებული ფილმი ვარძიაზე, რომელიც არ მოსწონდა). ჩემი სცენარით ფერადი დოკუმენტური ფილმის გადაღება დავავალე ჩემს მეგობარს, ოპერატორ დავით კანდელაკს, სასწრაფოდ შევუდექით ფილმის გადაღებას, დიდი დახმარება გაგვიწია სამხედრო ნაწილებმა, თავიანთი მანქანებით, დიზელებით და დანადგარებით, ძალზე დიდი შრომა გავწიეთ მე და დავითმა. გადაღებები ხშირად ღამითაც სწარმოებდა. ფილმი ვადისთვის დავამთავრეთ, მე და დავითმა „ვარძია“ წავუღეთ მოსკოვში სტალინს, რომელმაც ჩვენი ნამუშევარი ძალზე მოიწონა.

გრძელდება ჩემი ვარძიაში მუშაობა, ვიმსახურებ აკადემიის და მთავრობის ყურადღებას.

ბევრი საზრუნავი გამიჩნდა: ავაშენე პატარა სახლი მუზეუმის თანამშრომლებისათვის და ტურისტების ღამის გასათევად. ქ. რიგიდან ჩამოვიტანე და დავდგი საჰაერო ელექტროძრავი (განზრახული მქონდა საბაგირო გზის მოწყობა მტკვრის ნაპირიდან გამოქვაბულამდე). გამოვნახე თანხები ძეგლის დაცვისა და რესტავრაციისათვის, ამ საქმემ დიდძალი დრო და ენერგია მოითხოვა და რამდენადმე შეაფერხა კიდეც მუზეუმის მეცნიერული მუშაობა, მიუხედავად შემცირებული შტატისა, მუზეუმმა მაინც მოახერხა ისეთ ღონისძიებათა ჩატარება, როგორიც იყო ასპინძა-ახალქალაქ-ბოგდავნოკა-ახალციხე-ადიგენ ბორჯომის რაიონთა შემოვლა და ძეგლების აღრიცხვა და აზომვა, ვარძიის ფრესკების გაწმენა და ფიქსირება ბიბლიოგრაფიის შედგენა ვარძიაზე. მის ანალოგიური ძეგლების შესწავლა, თბილისში ვარძიის მუზეუმის 10 წლისთავის აღსანიშნავი დიდი გამოფენის მოწყობა, 3 საანგარიშო მოხსენების წაკითხვა და სხვა.

შეიძლება ითქვას, რომ ყოველივე ამის შემდეგ მოხდა, მკვეთრი გარდატეხა ვარძიის მუზეუმ-ნაკრძალის მუშაობაში და შეიქმნა პირობები შემდგომი მუშაობის უფრო ფართოდ გაშლისა და გაღრმავებისათვის.

ვარძიას ჰყავდა უამრავი მნახველი და საპატიო სტუმარები, საჭირო იყო მათი სათანადო მიღება-გაცილება, აღარაფერს ვამბობ ჩემს სტუმრებზე, რომელთა ჩამოსვლა ძალზე მიხაროდა ყოველთვის. ამას სჭირდებოდათ უკვე ჩემებური დახვედრა, ხშირი სტუმრები იყვნენ ვარძიის, ჩემი საყვარელი მწერლები, ჩემი მეგობრები: **ირაკლი აბაშიძე, სიმონ ჩიქოვანი, ლევან ასათიანი, ბესო ჟღენტი, სერგო კლდიაშვილი** აგრეთვე თეატრის და კინოს მსახიობები, აკადემიის მუშაკი,

რომელი ერთი გავიხსენო, ვარძიის ხშირი სტუმარი იყო **კონსტანტინე გამსახურდია,** რომელმაც მე შემარქვა: „ვარძიელი“.

ერთხელ მეწვია საქ. მინსაბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე, ამხ. ვასილ ჩხუბიაშვილი, მოიწონა ჩატარებული სამუშაოები.

ქართული ხელოვნების დეკადა მოსკოვში 1937 წ.

ჩემი სამსახურეობრივი მივლინება დაემთხვა ამ დეკადას. მოსკოვში დეკადის მონაწილეები გაემგზავრნენ მატარებლით. ერთ კუპეში მოვხვდით **ჩუტა ერისთავი, ტუფა ჯაყელი, ქეთო მიქელაძე და მე.** ქ. მოსკოვში ჩამოსვლისას დეკადის მონაწილეები მოთავსდნენ მათთვის გამოყოფილ სასტუმროში. მე კი, როგორც დეკადის „მიკედლებული“ მოვეწყვე **გიორგი ლორთქიფანიძის** ოჯახში. თუ როგორ ჩატარდა ეს დეკადა ამის თხრობით თავს არ მოგაწყენთ. ყველასათვის ცნობილია ის დიდი აღტაცება და აღიარება, რაც გამოიწვია ქართველი ხალხის ხელოვნებამ. მე რა თქმა უნდა ვესწრებოდი დეკადის ყველა სპექტაკლებს და კონცერტებს, რომლებიც იმართებოდა ოპერისა და ბალეტის დიდ თეატრში. (მე და გიორგი ლორთქიფანიძეს მუდმივად გვქონდა ადგილი პარტერის პირველ რიგში). დადგა დეკადის კრემლში მიღების დღე. მე შემეძლო ადვილად დავსწრებოდი ამ დარბაზობას, ეს არ გავაკეთე, ჩემს თავს არ მივეცი ამის უფლება.

შემდეგ კი მწყინდა, რომ ვერ ვნახე ჩემის თვალით სტალინის დიდი აღტაცება, რაც იყო გამოწვეული ქართველი ხალხის ხელოვნებით.

მეორე დღეს დაწვრილებით მიამბობდნენ სტალინზე, რომელიც დილამდის ესწრებოდა დარბაზობას. მას უკრძალავდნენ დიდხანს ყოფნას. სტალინს ერთი კარებიდან რომ გაიყვანდნენ მეორე კარებიდან „შემოიპარებოდა“. ასე ადვილად ვერ სცილდებოდა თავის თანამემამულეებს. სტალინმა ძალზე მოილხინა. **სანდრო კავსაძე,** რომელთანაც ოდესღაც ის მღეროდა გუნდში სიმღერაც კი გაუსწორა და თვითონ წამოიწყო თავის საყვარელი „ხასან ბეგურა“. სტალინმა თავის ყოფილ მასწავლებელს უთხრა: „სანდრო რა გინდა ჩემგან გქონდეს სახსოვრადო“. სანდრომ უპასუხა: „აი ეგ ჩუბუხი, რომლითაც თქვენ ეწევითო“. სტალინმა სანდრო გადაკოცნა და უბოძა მოკიდებული ჩიბუხი[3].

კირილე პაჭკორიამ სტალინს უსურვა დიდხანს სიცოცხლე. საჩუქრის თხოვნა ვერ გაუბედია.

---

[3] სანდრომ ეს ჩიბუხი მოსკოვში დაკარგა. შემდეგ იპოვა. სანდროს გარდაცვალების შემდეგ ჩემი მეუღლეს მუშაობისას ეს ჩიბუხი სანდროს სიძემ მოიტანა, რათა მე იგი შემეძინა როგორც რელიკვია.

ილიკო სუხიშვილმა მიიღო საჩუქრად სურათი შემდეგი ავტოგრაფით: „ილიკო სუხიშვილს იოსებ სტალინისაგან“.

დარბაზობის დროს სტალინს უცვნია **ლადო კავსაძე,** რომლისთვისაც უთქვამს: „აბა ოპერეტოჩნი არტისტო შენ რას იმღერო?“.

ნატა ვაჩნაძეს სტალინმა მიმართა: როგორც ნატოს.

სტალინი ვნახე დიდ თეატრში. მიდიოდა ვიქტორ დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“.

სტალინი იჯდა ლოჟაში მთელი მაშინდელი პოლიტბიუროს წევრებთან ერთად. მე მას თვალს არ ვაშორებდი. სცენაზე მაკარის სახლში ქეთოს ქორწილია. ბალეტის მსახიობი **სერგეი სერგეევი** (ცეკვების მასწავლებელი) აცეკვებს თავის მოწაფეს. სტალინს სიცილისაგან ცრემლები მოსდიოდა. სკამზე ძლივს მაგრდებოდა. სტალინი მეორედ თეატრში მოვიდა ლამარას სპექტაკლზეც. მოუსწრო მეორე მოქმედებას. **სანდრო ახმეტელმა** სპექტაკლი დააწყებინა თავიდან. როგორც გადმომცეს ეს ისტორიას არ ახსოვს. მეფეებსაც დაუგვიანებიათ სპექტაკლზე, ასეთი რამ კი არ მომხდარა. სპექტაკლის დამთავრების შემდეგ დარბაზი რომ დაცარიელდა, **ლელომ აბელ ენუქიძეს** სთხოვა: რათა **სტალინს სანდრო ახმეტელთან** და მსახიობებთან სურათი გადაეღო. სურათის გადაღების დროს მე და ლელოც შორიახლოს ვიდექით, მაგრამ სურათში არ გამოვსულვართ.

მოსკოვში დეკადის დამთავრების შემდეგ გავემგზავრეთ ლენინგრადში, სადაც დავყავით რამოდენიმე დღე. აქაც დიდი წარმატებით ჩატარდა დეკადის დღეები. მოსკოვში დაბრუნებისას ლიოლიას და გიორგისაგან მივიღე დიდი საყვედური. ლენინგრადში წავედი მოულოდნელად მათი გაფრთხილების გარეშე. დიდი მღელვარება გადაეტანათ. მორგებშიც კი მეძებდნენ. მე ბოდიში მოვიხადე და შევრიგდით. ამ ოჯახში ხშირად ვხვდებოდით მათთან ჩამოსულ თბილისელ სტუმრებს, ქართველს მწერლებს. ერთხელ მიხეილ ჯავახიშვილთან მომიხდა ღამის გათევა მათ გრძელ სავარძელზე „თავფეხშექცეული ვალეტომ“.

პეტრე ამირანაშვილის „რიგოლეტო“

ქ.ლვოვში ჩემ მივლინებაში ყოფნის დროს შევხვდი პეტრეს, რომელიც ჩამოსულიყო რათა ემღერა ოპერა „რიგოლეტოში“. ქ.კიევიდან იყო მოწვეული ოპერის სოლისტი **ელისაბედ ჩავდარი,** „ჯილდა“-ს პარტიის შემსრულებელი. პეტრემ დამპატიჟა თეატრში. სპექტაკლმა ჩაიარა დიდი წარმატებით, ოვაციებს არ ჰქონდა დასასრული. იყო ნამდვილი ტრიუმფი. სპექტაკლის შემდეგ ოპერის დირექციამ ჩამოსულ გასტროლიორებს გაუმართა დიდი ბანკეტი. სუფრაზე მე და პეტრემ ჩავდარი ჩავისვით შუაში. პეტრემ და ჩავდარმა სუფრაზეც მოაჯადოვა საზოგადოება დუეტებით. მე კი ჩავდარს უწევდი პარტნიორობას ცეკვაში.

სუფრის დამთავრებისას პეტრემ მოისურვა ცირკის მსახიობების (აკრობატი დედაშვილი) სახლში გაცილება, ხოლო მე ჩამაბარა „თავისი ჯილდა“.

რამოდენიმე საათის შემდეგ მე დავემშვიდობე ჩავდარს, რადგან მოვფრინავდი თბილისში. არ გასულა დიდიხანი და ჩავდარი ჩამოდის თბილისში საგასტროლოდ.

აქაც დიდი წარმატებით ჩატარდა მისი გასტროლები, რომლის დამთავრების შემდეგ მე და პეტრემ ჩავდარი გავაცილეთ აეროდრომზე. გამომშვიდობებისას „ჯილდას“ თავის მამის „რიგოლეტოსათვის“ არც შეუხედია.

ხრუ-ის ხმა კრემლში და ჩავდარის ხმა ოპერაში თითქმის ერთდროულად შეწყდა. რას ერჩოდნენ ჩავდარს? რომლის აყვავება ეხლა იწყებოდა და მისი აღმავლობა, როგორც მომღერლის.

სოფლის სიყვარული

როგორც გაზაფხულდებოდა გავემგზავრებოდით სოფელში. შოროპანში გადავჯდებოდით ვიწროლიანდაგიან მატარებელში „კუკუშკა“ ჩავდიოდით საჩხერეში. აქ დავბანაკდებოდით მამას უფროს მეგობრის და კოლეგის კოტე წულუკიძის სახლში. /აქვე ქონდა საკუთარი აფთიაქი/. ვისაუზმებდით და დავადგებოდით ჭალის გზას.

მე და არჩილი ჯერ კიდევ სულ პატარები ვიყავით, ბარგთან ერთად მოვთავსდებოდით ურემზე /ქართული და არა აჩაჩა/. დედა კი ცხენზე /ცხენს და ურემს დაბო საჩხერის სადგურში გვახვედრიდა/.

როგორც ზემოთ მოგახსენეთ დაბოს დარჩა მემკვიდრეობით დიდი მამულები და უზარმაზარი კარმიდამო.

ამის მოვლა–პატრონობისათვის მას მუდმივად ყავდა თავისთან ვასილ გურასაშვილის ოჯახი, ამის გარდა ერთი ან ორი შინა მოსამსახურე.

უნდა ითქვას, რომ მთელ ზაფხულს ვატარებდით განცხრომით, არაფერი არ გვაკლდა, უფრო მეტიც, მე და არჩილს, დაბო ძალზე გვანებივრებდა.

ცოტა, რომ წამოვიზარდე დამოუკიდებლად დავდიოდი სოფელში, სადგურში დამხვდებოდა დაბოს ცხენი, რომელსაც არ ჭირდებოდა აღვირის დაჭერაც, ისე უვნებლად მოგაყენებდათ კარმიდამოს. ეს ცხენი ემსახურებოდა მხოლოდ დაბოს. ერთხელ დავაპირე გამევლო ივანწმინდაში, რისთვისაც უნდა გადავსულიყავი ხიდით მარჯვნივ. ვერასგზით ცხენი ვერ დავიმორჩილე გადამეყვანა ხიდზე. ის იყო დაჩვეული სიარულს მხოლოდ საჩხერეს და ჭალას შორის. ასეთი ცხენი მე სრულებით არ მაწყობდა, მაგრამ რას ვიზამთ, სამაგიეროდ დაბოს აწყობდა, რომელიც ძალზე პატივნაცემი იყო ამ ცხენით, ჭიშკარსაც კი უღებდა თავის დრუნჩით.

ერთხელ ვთხოვე ჩემთვის ეყიდა სხვა ცხენი. რა უნდა მეთხოვა, რომ მას არ შეესრულებიოს, ამაზე კი უარით მიპასუხა: „ეგ მაკლია შენი თავი ცხენს დავამტვრევიო!“

ძალზე მიყვარდა ცხენის ჭენება, აბა რა ფასი აქვს მასზე ჯდომას. დაბო თავის თავს უძახდა უკლასოდ განათლებულს, ასეც იყო. იგი იყო თვითნასწავლი ადამიანი ე.ი. რომელიც თვითონ გარეშე პირის დახმარებით სწავლობს წერა–კითხვას.

ბევრი ტკბილად გატარებული ზაფხული შემიძლია გავიხსენო სოფელში. მინდა გავიხსენო არასასიამოვნო წელიც.

1919 წელს ოსები აჯანყდნენ მენშევიკური მთავრობის წინააღმდეგ. აჯანყებამ მიიღო სერიოზული ხასიათი. საჭირო გახდა მთავრობის წითელი გვარდიის ჩარევა. შეიარაღებული ბრძოლები მიმდინარეობდა ჭალას და საჩხერეს შორის.

წითელმა გვარდიამ ზარბაზნებიც კი გამოიყენა ოსების წინააღმდეგ. მენშევიკური ჯარის წარმომადგენელმა დაბოს სთხოვა თავისი სახლი დაეთმო შტაბის მოსაწყობად. რაშიც ვერ დაითანხმეს იმ მოტივით, რომ ეს დიდ საფრთხეს შეუქმნიდა მის ოჯახს, რომელსაც აკავშირებდა ნათელმირონობა ოსებთან.

ოსებმა საშინლად დაარბიეს და ააწიოკეს წერეთლების ოჯახები საჩხერეში. ჩემი თვალით ვიხილე ოსის ბიჭი ავლილი ჩვენ სოფელზე ნათლიაჩემის, პეტრე აბაშიძის ცხენზე, რომელზედაც არაერთხელ ვმჯდარვარ.

მე და არჩილი იმ დროს შევრჩით დაბოსთან. გავხდი ავად „ისპანკით“, მამამ გაიგო ჩემი ავადმყოფობა და ჩამოვიდა საჩხერეში. ივანწმინდაში გამოვლით აპირებდა ჭალაში ამოსვლას, აქ შეიპყრეს ოსებმა და აბდუშელიშვილებთან ერთად გაიყვანეს ყვირილის ნაპირზე დასახვრეტად. როდესაც ოსებმა დააპირეს თავიანთი ბოროტი განზრახვის სისრულეში მოყვანა, საიდანაც გაჩნდა აჯანყების ერთ–ერთი მეთაური, დაბოს მამის ნათლული ოსი, რომელმაც მამა იცნო და დაუყოვნებლივ გასცა განკარგულება მამის და აბდუშელიშვილების განთავისუფლებისა. როგორც გაირკვა მამა დააპატიმრეს გაუგებრობით. მამა ჩამოვიდა ჭალაში აბდუშელიშვილებთან ერთად, ცხენებით შემოჭენდნენ ეზოში, ოსებმა ფეხით მიაცილეს.

გაიშალა სუფრა – დაილოცა ღმერთი და განგება, რომლებმაც გადაგვირჩინა ეს ხალხი სიკვდილს.

დაბომ დასდო ფიცი: ფერისცვალობის ეკლესიის ღვთიშობელს შესწიროს ცხვარი.

მე რომ გამოვჯანსაღდი წამიყვანა ამ ეკლესიაზე – სოფლიდან მოშორებით მთაში, სადაც შეასრულა თავისი ფიცი. კარგად მახსოვს დაბო ფეხშიშველი მუხლებზე დაჩოქილი როგორ უვლიდა ეკლესიას და უხდიდა მადლობას ღმერთს, რომელმაც გადაურჩინა სიკვდილს პირმშო შვილი.

ახალგაზრდებმა ჩამოვაყალიბეთ დრამატიული წრე. სათავეში ჩაუდექით მე და შალიკო წერეთელი, რომელიც იმ დროს მუშაობდა რუსთაველის თეატრში რეჟისორის თანაშემწედ. წარმოდგენებს ვმართავდით მეზობელ სოფლებშიც.

ხშირი სტუმარი ვიყავი აგრეთვე ივაწმინდის. აქაც იმართებოდა წარმოდგენები კოწიას ხელმძღვანელობით, ტარიელ ქავთარაძის ეზოში. ჩემი ნათესავები საღამოობით ვიყრიდით თავს წყაროზე. ვიხსენებ ერთ საღამოს: წამოწოლილი ვართ მწვანეზე. მარგოსთან სტუმრობს **ვალია მშვიდობაძე.**

ვალიამ როგორღაც უნებლიედ თავის ფეხი დაადო ჩემს ფეხს.

მე არ დავიბენი და ნაზად აუსვი ხელი. მან წამოიძახა: „ერთი ამას უყურე გოჭი გაგვიბურაკდაო“. მისი ნათქვამი არ მწყენია „გაბურაკებული“ ვიყავი.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო არჩილის ნათლობა ჭალაში. ეს იყო დაბოს გადაწყვეტილება.

მამამ მოუყარა თავი ნათესავებს, მეგობრებს, ახლობლებს და ჩამოიყვანა ჭალაში.

მახსოვს როგორ შემოჯირითდნენ დაბოს კარმიდამოში სტუმრები. პეტია წერეთელმა თავის საკუთარი ეტლით ამოიყვანა საჩხერიდან; ბიძია პეტია და ბიცოლა ანიკო. იმ დროს საჩხერეში იყო ორი ეტლი /ორივე ებრაელების საკუთრება/. ამითაც ამოვიდენ საპატიო სტუმრები. სტუმრებს შორის იყვნენ: **პავლე საყვარელიძე** მეუღლით /ტასო გუნია/. **ცაცა მდივანიშვილი, ვალიკო ხუსკივაძე, კოწია ანდრონიკაშვილი, შაქრო გაბაშვილი** იყვნენ მამას კოლეგები, ფარმაცევტები, ყველას რა გამახსენებს 60 წლის წარსულია. ნათლობამ გასტანა სამ დღეს.

პირველ დღეს სუფრა გაიშალა კოლინდარში, სახლიდან მდ. შუშის პირამდის. მეორე და მესამე დღეს სტუმრების სურვილით ლხინი გრძელდებოდა კაკლებქვეშ მდ. შუშის ნაპირას წისქვილთან.

კალმახებს ეზიდებოდნენ ურმით.

არჩილი მონათლეს: **ვახტანგ მუსხელიშვილმა, თამარა აგიაშვილმა–წერეთელმა, პავლე საყვარელიძემ.**

ნათლობა, რომ დამთავრდა მთელი საზოგადოება ჭალიდან გაემგზავრა სოფ. ზოვრეთში ნათელას მოსანათლად.

1924 წელს საქართველოში დაიწყო პროვოკაციული აჯანყება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, ამან განსაკუთრებული ხასიათი მიიღო ზემო იმერეთში, კერძოდ, ჭიათურაში ბევრი უდანაშაულო ხალხი შეეწირა. ეს იყო ზაფხულში. მე ვიმყოფებოდი სოფელში. ჩემი გაჩერება დაბომ საშიშად ჩათვალა. მირჩია დამეტოვებია სოფელი და წავსულიყავი ბორჯომში, სადაც ისვენებდნენ დედა და არჩილი. მე ამ დროს 15 წლისაც არ ვიყავი. ჩააბარა ჩემი თავი ჩვენს

ნათესავს **ირაკლი აბაშიძეს** /ზედმეტ სახელად ჟულიკი/. ჩვენ მთებზე გადასვლით /გზით სიარული საშიში იყო/ ჩავედით საჩხერეში. გამცილებელმა დამილოცა გზა. ღამის მატარებლით გამოვემგზავრე. ჭიათურას რომ მიუახლოვდით ჩამოიარა კონდუქტორმა ახალგაზრდა ჩეკისტთან ერთად, რომელიც ძალზე დაინტერესდა ჩემი ვინაობით, დამიწყო დაკითხვა. როდესაც მოგვშორდნენ, გვერდზე მჯდომ მგზავრების რჩევით გადავედი მეორე ვაგონში, რომ დავბრუნდი ჩემს ადგილას იმავე პირებმა მითხრეს, რომ ჩეკისტმა მომაკითხა. ეხლა კი ჩემი თავი ვიგრძენი საფრთხეში. ძალზე შევშფოთდი. აღარ ვიცი როგორ ვუშველო თავს. შუაღამეს გადაცილებულია, კუკუშკა მიქრის შორაპნისაკენ. გავიფიქრე მეზობელ სადგურში ჩამოხტომა, მაგრამ ეს უფრო შესამჩნევი იქნება. სადგურებზე ხომ არც არავინ ჩამოდის და არც არავინ ამოდის, შეიძლება ჩამომყვეს კიდეც. მერე რაღას შვრები? არ ვიცი რამდენად საფუძვლიანი იყო ის შიში, რომელმაც მე შემიპყრო? შეიძლება იყო კიდეც. შოროპანს უახლოვდებით. გამოვნახე გამოსავალი. ჩავიკეტე საპირფარეშოში.

სადგურში შესვლამდე გამოვედი საპირფარეშოდან და ჩამოვხტი პერონის მოპირდაპირე მხარეს, დავწექი ფერდობზე. მოვკარი თვალი ჩეკისტს განათებულ პერონზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩამოდგა მატარებელი, ავედი კიბეებზე. ასე დაუძვერი ხელიდან და ასეთი გაჭირვებული მგზავრობით ჩამოვედი ხაშურში, სადაც შემხვდა თბილისიდან მომავალი ვალიკო სოლოღაშვილი, რომელმაც აგრეთვე თავშესაფარად მიაშურა ბორჯომს. შუაღამისას ჩავედით ბორჯომში, სადაც გამოცხადებულია საშიში მდგომარეობა. გზაში პატრულებმა გაგვაჩერეს, დაგვკითხეს. სოლოღაშვილის გვარი მიიღეს ჩოლოყაშვილად. წაგვიყვანეს მილიციაში, სადაც დილამდის გვაყურყუტეს. როდესაც დარწმუნდნენ, რომ ვალიკო იყო ნამდვილად სოლოღაშვილი გაგვანთავისუფლეს.

სამხატვრო აკადემია

სანამ მოსე თოიძის სამხატვრო სტუდია გაიხსნებოდა, ხატვის სწავლა დავიწყე ვინმე **სკლიფასოვსკისთან,** რომელსაც თავის საკუთარი სკოლა ქონდა სამხატვრო აკადემიის შენობაში.

ამავე სკოლაში წავიყვანე სასწავლებლად პეტია ოცხელი, რომელსაც ხატვის დიდი ნიჭი აღმოაჩნდა. /შემდეგში სახელოვანი თვალსაჩინო მხატვარი მარჯანიშვილის თეატრში/. სკოლიდან მე გადავედი მოსე თოიძის ახლად გახსნილ სტუდიაში, სადაც სწავლობდა ჩემს დროს ახალგაზრდების მთელი პლეადა, რომლებიც მომავალში გახდნენ სახელოვანი მხატვრები.

მოსე თოიძემ ჩემში შეამჩნია ხატვის დიდი ნიჭი და გამანთავსუფლა სწავლის ფულის გადახდისაგან. სტუდიის დამთავრების შემდეგ შევედი სამხატვრო აკადემიაში. დიდი წარმატებით ჩავაბარე გამოცდები ფერწერის ფაკულტეტზე, რატომღაც არ გავყევი ხატვას და

მოვიშინჯე ჩემი თავი ქანდაკების ფაკულტეტზე იაკობ ნიკოლაძესთან. ერთი წლის განმავლობაში შევასრულე რამოდენიმე ნამუშევარი და დავიმსახურე ბატონ იაკობის მოწონება. შემდეგ გადავედი და საბოლოოდ დავრჩი არქიტექტურულ ფაკულტეტზე. რამოდენიმე ხნის შემდეგ ჩვენი ფაკულტეტი გადაიყვანეს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში.

ბატონმა იაკობმა, რომელიც იმ დროს აკადემიის რექტორად ითვლებოდა, არც სულ ხუმრობით მითხრა: ირაკლი! ჩვენთან იხსნება გრაფიკის ფაკულტეტი, ხომ არ დარჩებოდიო?

არქიტექტურულ ფაკულტეტზე აკადემიაში გვასწავლიდნენ: **კალგინი, გრინევსკი, სევეროვი, მაჭავარიანი** და სხვა. ბრწყინვალე პროფესორები და პედაგოგები.

ჩვენი კურსიც ძალზე ძლიერი იყო სტუდენტთა შემადგენლობით ჩვენ გვიყვარდა და ვაფასებდით ერთმანეთს. ამისათვის ორივესთვის ძნელი იყო დაშორება.

ბორჯომში გატარებული წლები

ჩვენი ოჯახი ზაფხულობით დადიოდა ბორჯომში ან სოფელში წასვლამდე, ან სოფელში ყოფნის შემდეგ.

საქიმო ფაკულტეტზე, როდესაც ჩავაბარე გამოცდები, მამას ვთხოვე: ზაფხულის პერიოდში, რაიმე სამუშაო მოენახა ჩემთვის ბორჯომში. მამამ სთხოვა ჩემი მოწყობა **მიშა ტყემალაძეს,** რომელიც ზაფხულობით მუშაობდა ბორჯომში ფიზიო–თერაპიულ ინსტიტუტის დირექტორად. მიშამ მამას თხოვნის შესრულება ვერ მოახერხა. მაშინ მამამ შესთავაზა: „ირაკლისთან ნუ გამაწბილებ და ჩემს ხარჯზე აძლიე ხელფასიო“. დავიწყე მუშაობა. თვეში ვიღებდი 70 მანეთს. ეს იყო ჩემი პირველი სამსახური /მამას ხარჯზე/ და რა თავმომწონედ ვაწერდი ხელს უწყისში ხელფასის მიღებაზე. /რას ვიფიქრებდი თუ ეს მამას ფული იყო/ მანამდის მართალი გითხრათ მე მას არ ვაწუხებდი ფულის თხოვნით, არც მჭირდებოდა, ვინაიდან ხატვა მეხერხებოდა და ყოველთვის ვახერხებდი სამუშაოს შოვნას. ერთხანს ჟორჟიკამ მიშოვნა სარფიანი სამუშაო. **მხატვარ–ვანო ვეფხვაძესთან** ერთად ვხატავდით და ვწერდით დროშებზე.

ფიზიო–თერაპიულ ინსტიტუტში მისვლისას პირველად შევხვდი **ნინა კალანდაძეს,** რომლის დანახვამ იმდენად მომაჯადოვა, ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე.

უმალ ვიგრძენი მომედო მიჯნურობის ცეცხლი.

ბორჯომში ზაფხულობით იკრიბებოდა ბრწყინვალე საზოგადოება, იმ დროის ყველა სახელოვანი ქართველი ექიმები ოჯახებით. აქ იმართებოდა საქართველოს სიმფონიური ორკესტრის კონცერტები **ივანე ფალიაშვილის** დირიჟორობით. ორკესტრის შემადგენლობაში იყვნენ: **გრიშა კილაძე, იონა ტუსკია, ევგენი /ჟენია/ მიქელაძე.**

ბორჯომში ზაფხულობით გარდა სიმფონიური კონცერტებისა ხშირად იმართებოდა კონცერტები როგორც საქართველოს, ისე რუსეთის და უცხოეთის სახელოვანი მსახიობების მონაწილეობით.

ერთ ზაფხულს კონცერტის გასამართად ჩამოვიდნენ: **ნინო რამიშვილი, ილიკო სუხიშვილი, ნინო მესხიშვილი** /ლადო უმცროსი ქალიშვილი/ **დავით ბადრიძე, დინა ლინა და ლინევიჩი.**

მე ცოტა შეზარხოშებული მეგობრებთან დავსეირნობ.

მიხმობს ილიკო და მეუბნება: „ირაკლი თუ ძმა ხარ დავრჩით კონფერანსიეს გარეშე, გამოგვიყვანე მდგომარეობიდანო“. როგორც იქნა დამითანხმა. გავდივარ კურზალის ესტრადაზე და რას ვხედავ; დარბაზი გაჭედილია ყველა ნაცნობებით. წინა რიგებში სხედან ექიმები ოჯახებით, /კიდევ კარგი არ იყო მამა, რომელიც იმ ხანს სანატორიუმში მკურნალობდა/ ვუყურებ მათ გაკვირვებულ თვალებს, მუხლები მიკანკალებს, ენის ამოდგმას ვერ ვახერხებ. ბოლოს ავიღე ჩემი თავი ხელში და ვაცხადებ კონცერტში მონაწილეთა გვარებს, სახელი და გვარი აურიე ერთმანეთში, დათიკო გამოვაცხადე სუხიშვილად, ხოლო ილიკო ბადრიძედ. დარბაზში შეიქმნა სიცილ–ხარხარი. მე სადღაც მოვნახე ჩემი თავი და მივმართავ მათ: „ბატონებო, რომ იცინით რას იცინით, საერთოდ აქ რა შუაში ვარ, და ამათ გვარებს რა ჩემი გამოცხადება სჭირდებაო“ ალბათ ჩემს გასამხნევებლად იგრიალა ტაშმა, რამაც მე მართლა გამამხნევა. მეორე განყოფილება კი ისე ჩავატარე, როგორც შეეფერებოდა პროფესიონალ კონფერანსიეს. კონცერტმა დიდი წარმატებით ჩაიარა. რის შემდეგ პარკში გაიმართა დიდი ბანკეტი, ცეკვა და სიმღერები არც სუფრაზე დაგვკლებია. შალვა მიქელაძის წინადადებით მომიწია თანადობა.

ყველას ვთხოვდი, მამას ყურამდე არ მისულიყო ჩემი კონფერანსიობის ამბავი. რაც შეეხება თამადობას ამას არც თვითონ დამალავდენ და არც მე მქონდა არაფერი საწინააღმდეგო.

ბორჯომის შემდეგ გავემგზავრეთ კონცერტების გასამართავად ბაკურიანსა და ახალციხეში.

იმავე ზაფხულს ბორჯომში გავიცანი **ივანე პეტრეს ძე კოლჩინი.** უკვე სახელგანთქმული არქიტექტორი და მშენებელი, რომელიც თავისივე პროექტით აპირებდა სასტუმროს აშენებას აქ. მან შემომთავაზა დავრჩენილიყავი მასთან სამუშაოდ. მე უარი უთხარი, ვინაიდან ვიყავი სტუდენტი და არ მსურდა სწავლის შეწყვეტა. ივან პეტროვიჩმა მაინც დამიყოლია და დამაჯერა, რომ მასთან მუშაობა სარგებლობას მომიტანდა. (რაშიც მალე დავრწმუნდი).

ივან–პეტროვიჩი იყო შვილი სახელოვანი მხატვარ–არქიტექტორის, რომელმაც თავის დროზე მოხატა ფრესკებით სამხედრო კათედრალური ტაძარი თბილისში /რომელიც იდგა ეხლანდელი მთავრობის სასახლის ადგილას/.

თვითონ კი იყო ავტორი კინოთეატრ „აპოლო“–ს პროექტისა /ეხლანდელი „ოქტომბერი“/.

სასტუმრო უნდა აშენებულიყო არსებულ ბაზრის ადგილას. მე დამევალა ყველა საბაზრო ნაგებობის აზომვა, გამოხაზვა და შეფასება. /სამუშაო ძალზე შრომატევადი იყო/, რის შემდეგ შეუდგნენ ბაზრის ნგრევას. საგანგებოდ დავტოვეთ ერთი ორსართულიანი კაპიტალური შენობა, რომელიც მშენებლობას ხელს არ უშლიდა. ქვემოთ იყო სასადილო. მეორე სართულზე სამი ოთახი, რომლებშიც დავსახლდით ივან პეტროვიჩი, მე და ათისთავი ანდრეი გავრიკოვი.

მშენებლობისათვის განკუთვნილი მოედანი გავასუფთავეთ, მოვაშანდაკეთ და შეუდექით შენობის საძირკვლების დაკვალვას. გაჩაღდა მუშაობა. საკურორტო სამმართველოს დაკვეთით, ივან პეტროვიჩმა დამავალა წაღვერის სასტუმროს პროექტი, ვიგრძენი დიდი პასუხისმგებლობა, მაგრამ მისივე დახმარებით ადვილად გავართვი თავი საქმეს, პროექტმა მიიღო მოწონება, დაამტკიცეს და შეუდგნენ მშენებლობას.

ვღებულობთ ბევრ დაკვეთებს ადგილობრივ მოსახლეობიდან საკუთარი სახლების – კოტეჯების პროექტების შედგენაზე, აგრეთვე მათი მშენებლობის, ზედამხედველობაზე. სამუშაომ ძალზე გამიტაცა.

ივან პეტროვიჩი იყო მუშაობაში მომთხოვნი, მასთან ძალზე სათნო და კეთილი ადამიანი. ჩვენ შევეწყვეთ, დავმეგობრდით და შევიყვარეთ ერთმანეთი. მასთან მუშაობა დიდ სიამოვნებას მგვრიდა. მასთან მაძლევდა დიდ გამოცდილებას და სარგებლობას. ყველაფერს ვასწრებდით, არც ჩვენ თავს ვივიწყებდით, საქმესაც არაფერს ვაკლებდით. დილით უარყოთ არასდროს ვსაუზმობდით. ხანდისხან ზედმეტიც მოგვდიოდა. ერთხელ გაუბედე და უთხარი: მიგვეტოვებია დალევა და წავსულიყავით სამუშაოდ. მან მიპასუხა: რომ სამუშაო არსად არ გაიქცევა. მართლაც, ყველაფერი გამოგვდიოდა მოხდენილად. ივან პეტროვიჩი თავის მხრივადაც იყო ძალზე მომთხოვნი, უაღრესად კეთილსინდისიერი მუშაკი. იგი ვერ იტანდა პასუხისმგებელ მუშაკების „სტუმრობა“–ს, რომლებიც ხშირად მოდიოდნენ შემოწმებაზე. მათ მიმართ იყო მეტად მკაცრი, დაუნდობელი, პირში მთქმელი.

მე მისი მოქცევა არ მომწონდა ვგრძნობდი, რომ ეს არაფერ კარგს არ მოიტანდა. ერთხელ გაუბედე და ურჩიე კიდეც თავშეკავება. ჩვენ ვმეგობრობდით საკურორტო სამმართველოს დირექტორ **შალვა მაისურაძესთან,** რაიონის მთავარ მეტყევე **ნიკოლოზ უგრელიძესთან.** ჩვენთან ხშირად ჩამოდიოდა თბილისიდან მთავარ საკურორტო სამმართველოს მთავარი ინჟინერი **მიხეილ ვართანის ძე ბუზოღლი.** ერთხელ მისი სტუმრობის დროს ჩვეულებისამებრ თავი მოვიყარეთ სასადილოდ. სუფრაზე დაჯდომისას მივიწვიე ჩვენი მშენებლობის ათისთავი **ანდრეი გავრიკოვი,** რომელიც უკვე ნასვამი იყო და მადლობის მაგივრად დედა შეგვაგინა /რაც მას ჩვეულებად ქონდა/. მე ვეღარ მოუთმინე და ანდრეი შემომელახა, ალბათ ზედმეტი მომივიდა. გახდა საჭირო მისი საავადმყოფოში დაწვენა. ჩემი მოვლა–პატრონობის შედეგად მალე გამოკეთდა იმ მხრივადაც, რომ გადაეჩვია დედის გინებას.

ალალბედზე ნაპოვნი ნაქურდალი

ერთ ზაფხულს აბასთუმნიდან ლელომ გამოიარა ჩემთან. საღამოს გადავწყვიტეთ კინოში წასვლა. სახლში დაბრუნებისას ოთახის კარი ღია დაგვხვდა, ტანისამოსის კარადა მთლიანად დაცარიელებული, წაღებული აღმოჩნდა ჩემოდანი ლელოს ტანსაცმელით გატენილი. წარმოიდგინეთ რა მდგომარეობაში ვიქნებოდით, შევცქეროდით ერთმანეთს და არ ვიცოდით რით გვენუგეშებია. ჩემს თავს აღარ დავეძებდი, თუმცა დავრჩი იმაში რაც ზედ მეცვა. (ლელო ხომ ყველაფერს არ წამოიღებდა), მოვიკრიბე ძალ–ღონე და მთელი ბორჯომი ფეხზე დავაყენე. შევაწრიალე მთელი მილიცია, რომელმაც მიიღო ყველა ზომები, მაგრამ უშედეგოდ. ჩემმა მეზობლებმა ანდრეიმ აიღო ეჭვი – ჩვენ მშენებლობის ორ მუშაკზე, რომლებიც იმ დღეს ამოვიდნენ ჩემთან ოთახში, საბოლოო ანგარიშის ცნობის ასაღებად. /ჩამოსული იყვნენ რუსეთიდან/. მეც დამაეჭვა ამ ამბავმა. მატარებლის წასვლის წინ გავედით სადგურზე მილიციის მუშაკების თანხლებით. /იმ ღამეს ლელოსთან ერთად თბილისში მიემგზავრებიან ბუზოღლი და კოლჩინი/ აქაც ჩვენი დაზვერვა უშედეგოა.

მატარებლის გასვლის წინ მიხმობს მიხეილ ვართანიჩი და დაჟინებით მოითხოვს რათა გამოვყვე მატარებელს ხაშურამდე. რასაც ასაბუთებს შემდეგით: თუ მართლა ამ მუშებმა ჩაიდინეს ეს ქურდობა, ისინი ვერ გაბედავდნენ ბორჯომის სადგურზე გამოსვლას ამ ნაქურდალით. ისინი ჩაჯდებიან ამ მატარებელში სადმე ხაშურში ჩასვლამდე ან ხაშურში. არც სულ დაიმედებულმა გადავწყვიტე მილიციელების თანხლებით მატარებლის გაყოლა. ჩამოვდიოდით ყოველ გაჩერებაზე. მივადექით ახალდაბის სადგურს. ღამის 2 საათია. პლატფორმაზე ბჟუტავს ერთი ფარანი. დასეირნობს მხოლოდ სადგურის უფროსი. სადგურის შენობა შიგნით სუმთლად ჩაბნელებულია. მატარებლის წასვლის წინ, სადგურის შიგნით კარებში შევნიშნე ორი სილუეტი. კარებს, რომ მიუახლოვდი დავინახე ორი ადამიანი გამოწყობილი ტანსაცმელში, მომხვდა თვალში ერთზე ჩემი კოსტიუმი, მეორეზე პალტო ნაცრისფერ კარაკულის საყელოთი.

ჩვენი მემანქანე გაფრთხილებული იყო და, რომ შეამჩნია ეს სიტუაცია მატარებლის წასვლა შეაჩერა. მე მივადექი კარებს და ვაპირებ სადგურში შესვლას. ისენი კი შიგნიდან აწვებიან და არ მიშვებენ. ამ დროს მილიციელებიც გაჩნდნენ, შევამტვრიეთ კარები. ორივენი ფუთებით და ჩემოდნებით დაგრუზული გამოვათრიეთ პლატფორმაზე. ვეღარ მოვითმინე და ორივეს მაგრად უთაქე. ჩავსხედით ვაგონში, ნაცნობებს არ სძინავთ, ყველა მილოცავს. ამ დროს მუშებს ერთმანეთში მოუვიდათ ჩხუბი. იმის გამო, რომ ერთმა არ დაუჯერა მეორეს, რომელიც თხოვდა ხაშურამდე ფეხით ჩასვლას. /ისენი გაქურდვის შემდეგ ფეხით წამოსულან, ძალზე დაღლილან, ახალდაბაში მოუსწრია მატარებელს/ ხაშურში კი ჩვენ მათ გზაკვალს რათქმაუნდა ვერ მივაგნებდით.

გაირკვა ისიც ჩემთვის, რომ იმათმა მე დამინახეს პლატფორმაზე და აღარ აპირებდნენ გარეთ გამოსვლას.

გაკვირვებას იყვნენ როგორ შევამჩნიე ისენი დამალული ამ სიბნელეში. მართლაც გასაკვირია.

ხაშურში შესვლისას შევარდი რბილ ვაგონში გავაღვიძე ლელო და ყველაფერი ვახარე.

გაიღვიძეს ბუზოღლიმ და კოლჩინმაც.

დილით ხაშურიდან დავბრუნდით ბორჯომში, სადაც სადგურზე დაგვხვდა ბევრი ნაცნობები, მათ შორის მილიციის უფროსიც, რომელთაც ყველაფერი უკვე გაგებული ქონდათ. ეს ორი ქურდბაცაცა ყველა ნადავლით მილიციელებმა წაიყვანეს.

ჩვენ კი წავედით იქ, სადაც აღვნიშნეთ ასე ალალბედად და იღბლიანად ნაქურდალის პოვნა. მეორე დღეს შესდგა სასამართლო, ბოროტმოქმედებს მიუსაჯეს სამ–სამი წლით პატიმრობა. მთელი ტანსაცმელი უკლებლივ ჩავიბარე, ცხვირსახოციც არ დაკლებია.

თბილისში ჩასვლისას ლელოს გადავეცი ჩემოდანი, ერთ–ერთი კაბა, რომლის დაკარგვასაც ის განსაკუთრებით სწუხდა საგანგებოდ დაუმალე, რათა მერე უფრო გამეხარებია მისი გული.

ბორჯომში ვეღარ ვბრუნდები

მამას ავადმყოფობამ მიიღო სერიოზული ხასიათი. აღმოაჩნდა ღვიძლის დაავადება. მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა, რასაც კიდევ უფრო ამწვავებდა ხელის მოტეხილობა. მეტად შეწუხებული იყვნენ მამას მძიმე ავადმყოფობით მთელი საავადმყოფოს ექიმები, განსაკუთრებით მისი მეგობრები; **ალექსანდრე /საშა/ მაჭავარიანი, კლავდი ტყემალაძე, გიორგი ხეჩინაშვილი, სოსო ასლანიშვილი** და სხვა.

ოპერაციის გარეშე მამას შველა შეუძლებელი გახდა. საშა მაჭავარიანმა ჩემთან შეთანხმებით გადაწყვიტა ოპერაციის გაკეთება **კლავდი ტყემალაძის** მონაწილეობით. ოპერაციამ სამ საათს გასტანა. მამამ გადაიტანა და გაუძლო ოპერაციას, რის შემდეგ იცოცხლა რამოდენიმე დღეს.

მამამ დალია სული ანიკოს ხელში. ბიძია პეტიამ გულამოსკვნით დაიტირა ძმასავით საყვარელი ადამიანი.

ეს მოხდა 1929 წლის 3 მარტს გათენებისას, დაკრძალვისას გამოსათხოვარი სიტყვა უთხრა კლავდიმ, რომელმაც ვერ შეძლო მისი დამთავრება. **ვასო კობახიძემ** რესტორნის დაკეტვით გამოხატა თავის მწუხარება /ასევე მოიქცა კოლია ორლოვსკის დაკრძალვისას/ ჩვენი ოჯახის მწუხარება გაიზიარეს ერთ–ერთ გადასახლებიდან ბიძია სერიოჟამ, პარიზიდან **ლოლა**

გომართელმა და სხვა მრავალმა, რომლებმაც ვერ მოახერხეს დაკრძალვაზე დასწრება. ოჯახში რაც ხდებოდა ამაზე ვერაფერს ვიტყვი, არც მახსოვს. კარგახანს ვიყავი გაოგნებული. ესეც ძლივს შევძელი, რაც დავწერე.

რამოდენიმე ხნის შემდეგ დავბრუნდი ბორჯომში მუშაობის გასაგრძელებლად. დროგამოშვებით მიხდებოდა თბილისში ჩასვლა. დაიწყო 1930 წელი. ჩემთან ხშირად ჩამოდიოდნენ სტუმრად მეგობრები. ერთხელ ჩამოვიდა თამარაც, გაიცნო ივან პეტროვიჩმა და ძალზე მოეწონა. ვის არ მოეწონებოდა წაბლისფერთმიანი, ლურჯთვალება ფუნჩულა გოგო, რომელსაც ის იყო შეუსრულდა 17 წელი. რამდენადაც ვიხსენებ ივან პეტროვიჩი უკვე ცოლიანი იყო, მას მისი სურვილით გავაცანი **სიუზანა რეხვიაშვილი,** რომელიც გახდა მისი მეუღლე.

თბილისში ყოფნისას 1930 წლის 29 ივნისს მე და თამარა დავქორწინდით. ჩვენი მეჯვარე იყო **პეტრე ჭიჭინაძე.** იმავე დღეს გავემგზავრეთ ბორჯომში. სადგურზე სხვა ნაცნობ მეგობრებთან ერთად დაგვხვდა **გოგი ჯორჯაძე,** რომელიც ჩამოსულიყო თავის ამალით ახალციხიდან. /სადაც მუშაობდა იმ ხანებში/.

გოგიმ წაგვიყვანა ლავრენტი სარიშვილის რესტორანში, იგი მთლიანად დავიკავეთ, ნადიმმა დილამდის გასტანა.

ერთი თვის შემდეგ ჩამოვიდნენ ახლადდაქორწინებულები: **ნუნუ კილოსანიძე და სანდრიკა ანდრონიკაშვილი.** იმავე რესტორანში აღვნიშნეთ მათი დაქორწინება ლელოს თანდასწრებით.

მეორე დღეს ახლად გაბედნიერებულებს დაულოცე გზა და გავისტუმრე ახალციხისაკენ /სადაც იმ ხანს მუშაობდა სანდრიკა/.

ზაფხული მე და თამარამ გავატარეთ ბორჯომში, რის შემდეგ სამსახურში ავიღე საბოლოო ანგარიში. ივან პეტროვიჩმა გაგვიმართა გაცილება, იმ იმედით, რომ ჩვენ ხშირად შევხვდებოდით ერთმანეთს, რადგან გადმოვდიოდი სამუშაოდ რესპუბლიკის მთავარ საკურორტო სამმართველოში.

თბილისში ჩემი ახალი ცხოვრება დაიწყო თამარას მშობლების ოჯახში. შეუდექი მუშაობას **მ.ვ. ბუზოღლისთან.** მალე აღვიდგინე თავი ინსტიტუტში.

ჩემი ახალციხეში ყოფნისას /მივლინებით/ დამირეკეს ტელეფონით და მომილოცეს ვაჟის შეძენა. თბილისში ჩამოსვლისას მომიხდა მმაჩში წასვლა ბავშვის დაბადების მოწმობის ასაღებად. მახსოვს როგორ ამაყად მივაბიჯებდი რუსთაველის პროსპექტზე. მოწმობის ასაღებად საჭირო გახდა ერთი მოწმე მაინც. გამოვედი ქუჩაში, რომ პირველი შემხვედრი ნაცნობი წამეყვანა. შემხვდა **ვასო გოძიაშვილი**, რომელიც გახდა ჩემი ვაჟის ნათლია.

ვუკოლი ბერიძის შერჩევით და **ელენა ზახარევნას** მოწონებით ახლად დაბადებულს დავარქვით გურამი.

მთავარი საკურორტო სამმართველო იმყოფებოდა ყოფ. კადეტთა კორპუსის შენობაში ოპერის თეატრის გვერდით. ამ თეატრის გვერდით /სადაც ეხლა დგას ზაქარია ფალიაშვილის მონუმენტი/ იყო სასაუზმე, სადაც დავდიოდით შესვენებისას.

ერთხელ შევედით: სერგეი **რომანიჩი ხუნდაძე, მიხეილ ვართანიჩი ბუზოღლი, ივან პეტროვიჩი და მე.** საუზმე გაგრძელდა. ივან პეტროვიჩმა ძალზე დაისველა როგორღაც თეთრი ჩეხური კოსტიუმი. /იგი იცვამდე საერთოდ ელეგანტურად/. იყო მზიანი დღე. იძულებული ვიყავით გასაშრობად დაგვესვა სკამზე, რაზეც მას ჩამოეძინა. ბუზოღლიმ ბაღის ფოტოგრაფს სასწრაფოდ გადააღებინა სურათი, რაზეც მიაწერა: Я Волчица на фоне оперного театра. შებინდებული იყო, როდესაც ჩავსხედით ეტლში და წავედით ბუზოღლის სახლში. იქაც დაუმატეთ. დილას გავიღვიძეთ. მე აღმოვჩნდი ტანსაცმლით საწოლზე მიძინებული, ასევე დანარჩენიც, რომელიღაცას კრესლოში ეძინა. მე თავი უხერხულად ვიგრძენი. დავაპირე გაპარვა. დიდი დოგი ჩასაფრებული იყო. სად გამიშვებდა?

რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ გვესტუმრა კოლჩინი. ამჟამად ბუზოღლიმ, შალვა მაისურაძემ, ნიკოლოზ /კოლია/ უგრელიძემ და მე წავიყვანეთ რესტორან „გემო“–ში. ის იყო დავსხედით სუფრაზე, ჩამოდის კოსტუმში გამოწყობილი პიროვნება, რომელიც მოდის ჩვენთან და გვერდზე იხმობს ივან პეტროვიჩს. აცნობს თავის თავს, რის შემდეგ ორივენი ადიან კიბეებზე. ივან პეტროვიჩმა ცრემლმორეული კეთილი თვალები მოგვაპყრო და ხელით კოცნა გამოგვიგზავნა. ასე დავემშვიდობე სამუდამოდ უფროს მეგობარს, კოლეგასა და პირველ მასწავლებელს. ივან პეტროვიჩი ცოტა ხნის შემდეგ ციხეში გარდაიცვალა რისთვის? რა დააშავა? ან ვის რა დაუშავა? ამის გახსენება ძნელია, ამის შერიგება საერთოდ შეუძლებელი.

ჩემი გონება არასდროს შეურიგდება უდანაშაულო ხალხის მასიურად მოსპობას. მერე როგორი ხალხის?

დავამთავრე ძველ თბილისზე თხრობა. გავიხსენე მშობლები, გავიხსენე წარსული და დარჩენილი ნათესავები, მეგობრები და ნაცნობები...

გავიხსენე თვალსაჩინო, განუმეორებელი, ბრწყინვალე ადამიანები. გავიხსენე იმდროინდელი ყოფა–ცხოვრება. მეხსიერების საკუჭნაო სავსე ყოფილა მოგონებებით. გამიჭირდა მათი დალაგება, ზოგი წინ უსწრებს, ზოგი ჩამორჩება, ზოგი კი საერთოდ იკარგება...

ეს არის განვლილი, წინანდელი სიხარული და მწუხარება. განცდილი, ერთი სიტყვით, ყველაფერი ის, რაც ავსებს ჩვენს სულს.

ჩემს მოგონებებში მე ყოველ მხარეს ვეხები ადამიანის ცხოვრებისა, ვისაც არ უნდა ეხებოდეს, მე თუ სხვას.

გულახდილად, უბრალო ენით აღვწერე ჩემი განვლილი გზა. არ შევხებივარ ჩემს შეხედულებას დღევანდელ ცხოვრებაზე. ეს ძალიან შორს წაგვიყვანდა. არც მიზნად დამისახავს. თუმცა სათქმელი მაქვს. ყოველ შემთხვევაში, გეტყვით: საერთოდ, რაც მოსაწონია, ყველაფერი მომწონდა და მომწონს. როგორ შეიძლება იმის მოწონება, რაც მოსაწონი არ არის. დასაძრახი ყოველთვის დასაგმობია.

არ ვიცი, მკითხველი რას იტყვის, მე კი მაინც კმაყოფილი ვარ. ადამიანს, როდესაც რაღაც აქვს დასაწერი თავის თავზე, ეს უკვე კარგია. ბედნიერ კაცად ვთვლი თავს. მიცნობენ ისეთს, როგორიც ვარ.

გთავაზობთ ირაკლი ქავთარაძის
მიერ გადაღებული ფოტო არქივის ნაწილს



ბაგრატ ქავთარაძე
(ირ. ქავთარაძის ბაბუა)

დაბო აბაშიძე – ქავთარაძისა
(ირ. ქავთარაძის ბებია)

სოფიო ალექსანდრეს–ასული
სამად–ქერუმ–ბეგი–ქავთარაძისა
(სამადბეგიშვილი)
ირ. ქავთარაძის დედა

ირ. ქავთარაძის მამა (მარჯვნივ)
ვიქტორ ბაგრატის–ძე ქავთარაძე

ვიქტორ ქავთარაძე,
სოფიო სამად–ქერიმ–ბეგი–ქავთარაძისა

არჩილ ვიქტორის–ძე ქავთარაძე
(ირ. ქავთარაძის ძმა)

გურამი (ირ. ქავთარაძის ვაჟი)
ნანა ქავთარაძე (ირ. ქავთარაძის ძმისშვილი)

ირ. ქავთარაძის შვილიშვილი – აკა ქავთარაძე და
შვილთაშვილი – გიორგი ქავთარაძე

ირ. ქავთარაძე

ირ. ქავთარაძე

გურამ ქავთარაძე (ირაკლი ქავთარაძის ვაჟი)
თამარა ზუკია (ირაკლი ქავთარაძის მეუღლე)

ვიქტორ ქავთარაძე, მარჯვნივ (ირ. ქავთარაძის მამა)
მიხეილ ჯაფარიძე

ანდრო აფაქიძე, მაია ქავთარაძე, თამარა ბუკია, არჩილ ქავთარაძე
ირაკლი ქავთარაძე, გივი ჟვანია, გურამ ქავთარაძე

ანდრო აფაქიძე, მაია ქავთარაძე, თამარა ბუკია ირ. ქავთარაძის მეუღლე,
არჩილ ქავთარაძე, ირ. ქავთარაძე, გივი ჟვანია, გურამ ქავთარაძე, ნანა ქავთარაძე (ზის წინ)

ანა ლორთქიფანიძე – ქავთარაძისა
(ირაკლი ქავთარაძის ბიცოლა)

სერგო ქავთარაძე (ირ. ქავთარაძის ბიძა)
სოფიო ვაჩნაძე – ქავთარაძისა

პეტრე ქავთარაძე
(ირ. ქავთარაძის ბიძა)

ლელო, ნათელა, მანანა, ირაკლი,
არჩილ ქავთარაძეები ე.ი. ტროიცკი



კოტე მარჯანიშვილი

ნატო ვაჩნაძე (ზის
თამარა წერეთელი (დგას შუაში)

უშანგი ჩხეიძე



თამარა წერეთელი
ი. პროზოროვსკი
(კონცერტზე)

ნატა ვაჩნაძე

ნინო ღოღობერიძე (ლომთათიძისა)

სასტუმროები „Grand Hotel” და “London” (თბილისი)

მერკვილაძის ბუკინისტური წიგნების მაღაზია

ქარვასლა (თბილისი)

გოლოვინის პროსპექტი (თბილისი)

ქ.თბილისის ხედი მეტეხის ციხის ხედით

ქ.თბილისი, ნარიყალის ციხე–სიმაგრე

თბილისის ცირკი





1944 წ. სიმონ ჯანაშიას მოხსენება,
ვარლამ თოფურია, გიორგია ახვლედიანი,
აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე, ნიკო ბერძენიშვილი

1944 წ. სიმონ ჯანაშიას მოხსენება,
ვარლამ თოფურია, გიორგია ახვლედიანი,
აკაკი შანიძე, ვუკოლ ბერიძე

სიმონ ჯანაშია

გიორგი სტურუა, სიმონ ჯანაშია

პირველ რიგში სიმონ ყაუხჩიშვილი, ვლადიმერ თოფურიძე
მეორე რიგში - ანდრო აფაქიძე

სიმონ ჯანაშია
უკან გერმანე გობეჯიშვილი

გიგი ლომთათიძე, სანდრო კალანდაძე

ვახტანგ ზერიძე მცხეთაში



II მსოფლიო ომის დაწყება არმაზში

გაუხსნელი სამარხი

გაუხსნელი სამარხი

ი.ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია

ი.ჯავახიშვილი, ი. ივაშჩენკო სამთავროს გათხრებზე

მარცხნიდან მეორე გოგი ლომთათიძე,
ირაკლი ქავთარაძე, ანდრო აფაქიძე

მარცხნიდან ანდრო აფაქიძე, გიორგი ნიორაძე,
ივანე ჯავახიშვილი, სიმონ ჯანაშია

სანდრო კალანდაძე, ფილიპე მახარაძე

სიმონ ჯანაშია, გიორგი ნიორაძე,

ივანე ჯავახიშვილი

ივანე ჯავახიშვილის დაკრძალვა უნივერსიტეტიდან

ნატო ვაჩნაძე არმაზის გათხრებზე

არმაზის ხევის ქვაყუთი

შუაში - გიორგი ნიორაძე



არმაზის ხევის პიტიახშის სამარხი



არმაზის ხევის პიტიახშის სამარხი



არმაზის ხევში, პიტიახშის სამარხში აღმოჩენილი სამკაულები







გათხრების შედეგად მოპოვებული სამკაულები

სამარხის გახსნა, გოგი ლომთათიძე, მ. ივაშჩენკო

გოგი ლომთათიძე

მსჯელობა ახლად გახსნილ სამარხზე არმაზში

სამთავროს ველი

სამარხის გახსნის პროცესი

სამარხის გახსნის პროცესი

ახლად გახსნილი სამარხი არმაზში

ივანე ჯავახიშვილი

არნოლდ ჩიქობავა, სიმონ ჯანაშია

არნოლდ ჩიქობავას მეუღლე, სიმონ ჯანაშია, არნოლდ ჩიქობავა,
ვარლამ თოფურია, ირაკლი ქავთარაძე, გოგი ლომთათიძე, ანდრო აფაქიძე

იური პახომოვი, სიმონ ჯანაშია, სანდრო კალანდაძე,
გოგი ლომთათიძე, პავლე ინგოროყვა, ნიკო ბერძენიშვილი
სიმონ ყაუხჩიშვილი

სიმონ ჯანაშია, ნიკო ბერძენიშვილი,
იასე ცინცაძე

ანდრო აფაქიძე

ნიკო მუსხელიშვილი, ნატო ვაჩნაძე

ლაშა და სიმონ ჯანაშიები

რუსიკო და ლაშა ჯანაშიები
არმაზი

გოგი ლომთათიძე
მცხეთაში

ირაკლი ქავთარაძე, გოგი ლომთათიძე

გიორგი ჩუბინაშვილი, აკაკი შანიძე



ირაკლი ქავთარაძე, მარგო ლორთქიფანიძე,
ბორის კუფტინი

აკაკი შანიძე, რ. ხარაძე, თინა ვირსელაძე
მცხეთაში

გოგი ლომთათიძე მცხეთაში



ალავერდობა

სანდრო კალანდაძე, ანდრო აფაქიძე,
გოგი ლომთათიძე, ირ. ქავთარაძე, დუდანა, აფაქიძის მეუღლე)

სამთავროს სამარხის გახსნა, გოგი ლომთათიძე
ი, ივაშჩენკო



თამარი და ლაშა გიორგი, ბერთუბანი

ბერთუბანი

გოგი ლომთათიძე გათხრებზე

ნინა ღოღობერიძე - ლომთათიძისა

კოლია მახარაძე, სერგი ჟღენტი

რუსუდან ხარაძე

არნოლდ ჩიქობავა

ალიოშა რობაქიძე

ვოვა მაჭავარიანი

გოგი ლომთათიძე, ნინო ბერძენიშვილი

მარცხნიდან მეორე - ქეთინო ნამორაძე
თინა ოჩიაური, ირ. ქავთარაძე

პროფ. გიორგი ნიორაძე და გიგი ლომთათიძე

ანდრო აფაქიძე, ირაკლი ქავთარაძე

კოტე მარჯანიშვილი, უშანგი ჩხეიძე,
იოსებ გრიშაშვილი, ირაკლი ქავთარაძე

სანდრო კალანდაძე, ანდრო აფაქიძე, გოგი ლომთათიძე, ირ. ქავთარაძე, დუდანა (ა. აფაქიძის მეუღლე)

გოგი ლომთათიძე, ირაკლი ქავთარაძე
მართა ჯანაშია (მაჩაბელი), არნოლდ ჩიქობავას მეუღლე - თამარ ყიასაშვილი

გოგი ლომთათიძე

გოგი ლომთათიძე, ირაკლი ქავთარაძე ბორჯომში

სანდრო შანშიაშვილი, ილო მოსაშვილი, კ. ჭიჭინაძე, პეტრე ქავთარაძე,
შალვა დადიანი, მიხეილ ჯავახიშვილი, გერონტი ქიქოძე



ანა ლორთქიფანიძე–ქავთარაძისა, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი,
გერონტი ქიქოძე, ნინა მაყაშვილი (ტიციანის მეუღლე) შალვა ქართველიშვილი,
ტასო ამირეჯიბი (გერონტი ქიქოძის მეუღლე) გოგლა ლეონიძე,
პეტრე ქავთარაძე, სოფიკო გედევანიშვილი

ვარძია

ქავთარაძეების მოგზაურობა
ვარძიაში

ანდრო აფაქიძე, მაია ქავთარაძე, თამარა ბუკია, ირ. ქავთარაძის მეუღლე, არჩილ ქავთარაძე, ირ. ქავთარაძე, გივი ჟვანია
გურამ ქავთარაძე

უჩა ჟვანია, თამარა ბუკია, მაია ქავთარაძე, ანდრო აფაქიძე
სოფიო ვაჩნაძე, სერგო ქავთარაძე
ირ. ქავთარაძე, გურამ ქავთარაძე, არჩილ ქავთარაძე,
ს. ჯიბლაძე, ნანა ქავთარაძე, თამაზ ჯიბლაძე

ირაკლი ქავთარაძე ხევსურეთში
ი. ქავთარაძე, თინა ოჩიაური

ირაკლი ქავთარაძე ხევსურეთში



ჩუკულის კარები სვანეთიდან
ჩამოიტანა ირაკლი ქავთარაძემ